

K 18232  
4



საქართველოს  
ისტორიულ-  
ეთნოგრაფიული  
ატლასი

მასალა



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და  
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი



ქართული  
ენციკლოპედია

# საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი

მასალები  
მემინდვრეობა



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1985



633. (c922)



633  
421  
633 (083)  
ა. 362

გონივრული აქტივობა


ნაშრომის მიზანია შეაჯამოს და წარმოაჩინოს საქართველოს მემინდერების თეიმყოფი კულტურა, დაადგინოს მათი გავრცელების არეები და სიხშირე, გამოავლინოს ეთნოგრაფიული მოვლენების შესაბამისი კანონზომიერებანი. სათანადო ტექსტების. სამეცნიერო კარტოგრამების, ტაბულებისა და ილუსტრაციების მეშვეობით საზოგადოებისათვის თვალსაჩინო გახადოს ეთნოგრაფიული სინამდვილე, წარსული და აწმყო, ხელი შეუწყოს პროგრესული მეურნეობრივი გამოცდილების დანერგვას, კეთილმოყოფელი ჩვევებისა და ტრადიციების გამდიდრებას და მათ ჩაყენებას ახალი, სოციალისტური ცხოვრების სამსახურში.

კრებულში ასახულია მემინდერების სისტემის შემადგენელი საკითხების მხოლოდ ერთი ნაწილი.

18.232  
4  
K

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

- ნ. აბესაძე, ნ. ბრეგაძე, ვ. ითონიშვილი, თ. ოჩიაური, ალ. რობაქიძე, ჯ. რუხაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), მ. ქანთარია, მ. შილაკაძე (მდივანი), გ. ჩიტაია (მთ. რედაქტორი), გ. ჯალაბაძე.



181-116-11-37 26 1-30

## წინასიტყვა

წინამდებარე ნაკვეთი არის გაგრძელება იმ სერიისა, რომელიც დაიწყო ნაშრომის — „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები. თბილისი, 1980“ — გამოქვეყნებით. აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილი იყო მიწათმოქმედების საკითხები — ძირითადად მემინდვრობის და აგრეთვე მევენახეობა-მელვინეობის შესახებ.

ნაკვეთში განხილულია ქართველი ხალხის მემინდვრობის ყოფითი და კულტურულ-ისტორიული თავისებურებანი, რაც ცოცხალმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ მდიდარი ტრადიციების სახით მოიტანა მატერიალურ-საწარმოო ცხოვრების სფეროში. დადგენილია კულტურის ცალკეული ელემენტების გავრცელების არეები და სიხშირე. გამოვლენილია ეთნოგრაფიული მოვლენების შესაბამისი კანონზომიერებანი. სათანადო ტექსტების, რუკების, ტაბულებისა და ილუსტრაციების მეშვეობით წარმოდგენილია ეთნოგრაფიული სინამდვილე, წარსული და აწმყო.

კრებული თავისებურად აჯამებს კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში ადამიანის აქტიური დამოკიდებულების შედეგებს ბუნებრივ საწარმოო ძალებთან.

მემინდვრობის ყოფის და კულტურის სპეციფიკის გამოვლინებასა და შესწავლას აქვს არა მარტო ვიწრო მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობა, არამედ ის შეიძლება გახდეს ხალხის მრავალსაუკუნოვანი საწარმოო მიღწევების მეცნიერული პროპაგანდის საგანიც სასარგებლო ტრადიციების რაციონალური გამოყენების მიზნით.

კრებულში ასახულია მემინდვრობის სისტემის შემადგენელი საკითხების მხოლოდ ერთი ნაწილი.

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის პროსპექტით გათვალისწინებული მემინდვრობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები გამოქვეყნდება ამ სერიის მომდევნო ნაკვეთში.



მ. ზილაკაძე

## საქართველოს ნიადაგები<sup>1</sup>

საქართველოში მრავალფეროვანი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებია, შესაბამისად მრავალფეროვანია საქართველოს ნიადაგური საფარიც (იხ. რუკა 1).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნიადაგური პირობების სხვადასხვაობასა და თავისებურებებს განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიის ძლიერ დანაწევრებული ზედაპირი და სხვადასხვა ნაწილში გეოლოგიური აგებულების, კლიმატის, ჰიდროლოგიური რეჟიმის, მცენარეულობის და სხვ. დიდი განსხვავებანი. ასევე დიდად იჩენს თავს ვერტიკალური ზონალობა და ყველა აღნიშნული ფაქტორის სხვადასხვა გამოსახულება სხვადასხვა სიმაღლეზე და რელიეფის სხვადასხვაგვარ პირობებში. ამასთან დაკავშირებით, განსხვავებულია ამ პირობებში ნიადაგწარმოქმნის პროცესების გამოსახულება და ინტენსივობა, ნიადაგის შედგენილობა და თვისებები (XV, 19).

საქართველოს ფარგლებში გავრცელებულ ნიადაგებს ყოფენ შემდეგ ძირითად ზონებად:

I. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის წითელმიწა-ეწეროვანი ნიადაგები;

II. აღმოსავლეთ საქართველოს ველების მურა, წაბლა და შავმიწა ნიადაგები;

III. სამხრეთ საქართველოს მთიანი ტყის ზონის ტყის ყავისფერი, ტყის ყომრალი და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები;

IV. მაღალმთიანი ზონის მთა-მდელოთა ნიადაგები.

გარდა ამისა, რიგ ადგილებში ჭაობიანი, დამლაშებული, ალუვიური და სხვა ნიადაგებიც საკმაოდაა გავრცელებული (XV, 20).

ნიადაგის აგროსაწარმოო თვისებები (მისი გამოყენების შესაძლებლობა ამა თუ იმ კულტურისათვის) განისაზღვრება მისი შედგენილობით, ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებებით რელიეფის, ჰავის და სხვა პირობებთან ურთიერთკავშირში (XV, 481).

ნიადაგის აგროსაწარმოო თვისებების ხალხური ცოდნა სავსებით შეესატყვისება იმ მაღალ ქართულ სამიწათმოქმედო კულტურას, რომელიც საუ-

<sup>1</sup> წინამდებარე სტატია ეყრდნობა ქართველი ეთნოგრაფების იმ ნაშრომებს, რომლებიც ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო ყოფას ეხება, აგრეთვე საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომლების მიერ შეკრებილ სავსე მასალას. აღნიშნული მასალები ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის არქივში. მასალების შეკრებისა და შენიშვნებისათვის მადლობას მოვასხენებ უფროს მეცნიერ თანამშრომლებს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს—გ. რუხაძეს, ნ. ბრეგაძეს, უფროს მეცნიერ თანამშრომლებს—ლ. ბერიაშვილს, რ. თოფჩიშვილს, მ. ხაზარაძეს, მ. კანდელაკს.

ნიადაგები



რუკა № 1. სახარტველოს სსრ ნიადაგები

1. ჭაობის ნიადაგი, 2. ეწერი ნიადაგი, 3. წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები, 4. კორდიან-კარბონატული ნიადაგები, 5. ყომჩალა ნიადაგი, 6. ყავისუფრი ნიადაგი, 7. წაბლა და მტრანი-დაგები, 8. შავმიწა ნიადაგი, 9. ალუვიური ნიადაგი, 10. დამლამებული ნიადაგი, 11. მთის შავ-მიწები, 12. მთა-მდელოს ნიადაგი





კუნეთა განმავლობაშია გამომუშავებული და მის ყველა ელემენტში ვლინდება.

ქართულმა ენამ შემოინახა ნიადაგებთან დაკავშირებული ლექსიკური მასალა, საიდანაც ჩანს, რომ ნიადაგებს განასხვავებენ ფერის, ვერტიკალური ზონალობის, მდებარეობის, ექსპოზიციის, ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის, მექანიკური შედგენილობისა თუ სტრუქტურის, სინესტის შემცველობის, მორწყვის შესაძლებლობის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს ნიადაგთან დაკავშირებული უამრავი ტერმინი, რომელთაგანაც ზოგი პარალელურია, ზოგი დიალექტიკურ ფორმას წარმოადგენს. ასეთებია: კადარი, ალქატი, სათაო, ხოდაბუნი, ყამირი მიწა, ფურსი, ფატარი, რზენი, ხამი, დობერა, ნაფუზარი, ურწყავი, ბოშა, ვაკე ადგილი, მზისპირი, მზიანი, ჩრდილი ადგილი, საყანე მიწები, სახნავი მიწები, სავენახე, საბოსტნე, ფერდი, ფხეკი//ფხნეკი, ღარტარი, ნობე, ღრანტე, ფლატე, სოგორი, კორტი, ყვაპე, წმინდა, დიხაშხო, ეწერი, ზეგანი, თირი, თოხნარი, ლაგაზა მიწა, მადნარი, მერე, მსუქანი ნიადაგი, მჩატე მიწა, მძიმე მიწა, ჭონჭყო, ხრიაკი და სხვ. სამეგრელოში: ეწერი, ტკილი, ლები, ქვიშრობი, ჭაობი, ჭანჭრობი, ჭყანტი; დამპალა, დიხა, მბილი, დიხაშხო, მდივნე, უტახი, ურეტი, შხუნა, ჭვარუა და სხვ. განასხვავებდნენ ნიადაგს მაგარს, რბილს, მძიმეს, მშრალს, სველს, ცივს, თბილს, ქვიშაქვიანს, დამშრალსა და გახრუკულს. „სუქან და მციარე“, ღონიერ, მძიმე და „მჩალატე“, ნოყიერ და მწირ ნიადაგებს, ნაყოფიერ, მსუქან ანუ „პოხიერს“ და „აღდაჭ“ ანუ ბიც ნიადაგებს (XXX, 119; XXI, 52; XXVI, 368; XXXIII, 6).

ნიადაგების შესახებ არსებული სპეციალური და ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო ყოფის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, ეთნოგრაფიული და ენობრივი მონაცემების მიხედვით ნიადაგების ოთხგვარი კლასიფიკაცია გვაქვს. კლასიფიკაციის პრინციპად ოთხი სხვადასხვა ნიშანი არის მიღებული: 1) ფერი, 2) მექანიკური შედგენილობა, 3) ვერტიკალური ზონალობა და ექსპოზიცია, 4) ნაყოფიერება-მოსავლიანობა.

ნიადაგის აღსანიშნავად საქართველოს ყველა კუთხეში მოწმდება ტერმინი „მიწა“, რომელიც ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ ქართულშიც (I).

ნიადაგების კლასიფიკაცია ეთნოგრაფიული და ენის მონაცემების მიხედვით შემდგენიარად წარმოგვიდგება:

ნიადაგების კლასიფიკაცია				
№№	ფერის მიხედვით	ნიადაგის მექანიკური შედგენილობის მიხედვით	ვერტიკალური ზონალობისა და მდებარეობის მიხედვით	მოსავლიანი ნაყოფიერების მიხედვით
1.	შავმიწა	ქვიანი//სილა-მიწა	ჭალის მიწები	მოსავლიანი
2.	წითელმიწა	ქვიშნარი	ვაკე ადგილები	საშუალო მოსავლიანი
3.	ყვითელმიწა	ჭაობი//ნოტიო	ფერდი ადგილები	ნაკლებმოსავლიანი
4.	თეთრი	კირნარი	მზიანი	უნაყოფო
5.	წაბლა	თიხნარი	ჩრდილიანი	
6.	ოუხი			
7.	„ტრედისფერი“			
8.	ლექი//ლურჯი			



**შავმიწა ნიადაგები** ცნობილია სახელწოდებებით: შავი მიწა//შავი მიწა//დიხაშხო//უჩა დიხა (სამეგრელო), დილღვამი//ოღამიწა (იმერეთი), წმინდა მიწა (რაჭა) (XIII, 11). ამ სახელებით არის ცნობილი სხვადასხვა კუთხეში „წმომბალათი მდიდარი თიხნარ-კირიანი მიწა, რომელსაც შავი ფერი აქვს, ღონიერია და მოსავლიანი“ (XXX, 119). სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ შავმიწებს ახასიათებს ჰუმუსის სიმდიდრე, რაც განაპირობებს მის დიდ ნაყოფიერებას (მ. საბაშვილი). ეს ხალხის მიერაც კარგად ყოფილა შემჩნეული. ხალხური დახასიათებით ეს არის მსუქანი მიწა, მოსავლიანი, ღონიერი, მძიმე, მაგარი, ბუჟბუჟა, ნოყიერი, ზეთიანი, დასამუშავებლად მძიმე. სინესტეს ინარჩუნებს, არ საჭიროებს სასუქს, არც დაბელტვას (10—12 წლის განმავლობაში), კარგად იტანს გვალვას. საქართველოს ყველა კუთხეში იგი საუკეთესო ნიადაგადაა ცნობილი. ასეთ ნიადაგზე მოყავთ მარცვლეული კულტურები, პარკოსნები, ბოსტნეული, ტექნიკური კულტურები, აშენებდნენ ვენახს (VII, 44; XIII, 11; LI, 278; III, 162; VIII, 46; XXXVIII, რვ. 1; XLVII, რვ. 1,2). თუმცა ზოგიერთ კუთხეში, მაგ., რაჭაში თვლიან, რომ ეს ნიადაგი ვაზს მეტისმეტად ათამამებს და მისთვის თირს (ნ. ქვემოთ) ამჯობინებენ (XX, 52).

**წითელმიწა ნიადაგები** ცნობილია შემდეგი სახელწოდებებით: წითელი მიწა//ჭითა დიხა, ჭუბერი (სამეგრელო), ქარსი მიწა, მიწა//ცარცი მიწა//ლოყობო//ხოფი (იმერეთი), ჭინჭიბური//ეწერი (გურია), აყალო მიწა//მოხა მიწა//ხიხო მიწა//რიყიანი//კირიანი//თიხა მიწა (აღმოსავლეთ საქართველო) (XXX, 120—121; XIII, 11; III, 103; VII, 44; VIII, 45).

ხალხური დახასიათებით წითელი მიწა არის მსუბუქი მიწა, პირმაგარი, ფჩხვნილი (იმერეთი), ნაკლებმოსავლიანი, ძნელი დასამუშავებელი, ზედმეტ სინოტივეს არ იღებს, საჭიროებს განაყოფიერებას.

წითელი მიწის სახეობაა აყალო. ეს არის თიხიანი მიწა, სამუშაოდ მძიმე, ვენახისათვის ვარგისი, სიმინდისათვის ნაკლებ შესაფერი (VIII, 45).

წითელი მიწის სახეობა ჩანს ე. წ. მუნი მიწა, რომელიც არის უღონო მიწა, წებოიანი (აღმ. საქართველო, გურია).

ეს ნიადაგები გამოიყენება მარცვლეულის, პარკოსნების, ვენახისა და ხეხილისათვის.

წითელმიწა ნიადაგებს (ყვითელმიწასთან ერთად) დიდი გამოყენება აქვთ ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურებისათვის (მ. საბაშვილი).

**ყვითელმიწა ნიადაგების** სახელწოდებითაა ცნობილი კირნარევითიხნარი ნიადაგი (ივ. ჯავახიშვილი). იგი ითვლება საშუალოზე ნაკლებ მოსავლიანად, ვერ უძლებს გვალვებს, საჭიროებს მორწყვას. მასზე ითესება კარტოფილი, ხორბალი და ქერი (კახეთი), აშენებენ ბოსტანს.

**თეთრი მიწა** გვხვდება შემდეგი სახელწოდებებით: თირი//წარნაქი//ნათელი მიწა//აყალო, ხვიფნარი, თელეგერი, თირილო (იმერეთი), ალქატი, მშიერი მიწა (ქართლ-კახეთი), ფოტორო (მესხეთი) (VII, 44; XIX, 144). ხალხის დახასიათებით, არის ფხვიერი, ნაკლებად ნაყოფიერი მიწა, ზოგჯერ ქვით ნარევი, გამოიყენება ჭურის საგლეხლად (იმერეთი). კახეთში იყენებენ საცხოვრებელი სახლების გასაღესად. მოსავალს იძლევა პატივით განოყიერების შემთხვევაში (ქართლ-კახეთი, იმერეთი). ამ





ნიადაგზე ითესება მარცვლეული კულტურები (ხორბალი, სიმინდი), პარკოსნები, ბოსტნეულ-ბაღჩეული (ჭარხალი, კომბოსტო, გოგრა). იმერეთის ლით, „ლომის მეტი არაფერი მოდიოდა“ (ჭიათურის რ-ნი) (XLVII, 15—16; XLVIII, 12; L.).

**წაბლა მიწა** // დიხა ჭუბერი (სამეგრელო) ითვლება მსუბუქ მიწად. ხელსაყრელია მარცვლეულის, ბოსტნეულის, ტექნიკური კულტურებისათვის, აგრეთვე ხეხილისა და ვენახისათვის (მ. საბაშვილი).

**რუხი მიწა** (იმერეთში ნაცრისფრადაც იწოდება) // ბიშინი (თუშეთი) (XXXVII) მოშავო ფერისაა, საშუალო მოსავლიანი. ადრე თითქმის გამოუყენებელი იყო. ამჟამად წითელწყაროს რაიონში დავამოწმეთ მისი გამოყენება ვენახისათვის (XLIX, 40—41).

**„ტრედისფერი“** მიწა ითვლება საშუალო ნაყოფიერ ნიადაგად. იგი კირს შეიცავს და ამიტომ მას კირნარსაც უწოდებენ (იხ. რუკა № 2).

2. ნიადაგების კლასიფიკაცია მექანიკური შემადგენილობის მიხედვით

**ქვიანი ნიადაგი** გვხვდება შემდეგი სახელწოდებებით (XIII, 11; IX): ქვიშნარ ი/გვიშრალი / ქვიშანი (რაჭა-ლეჩხუმი) // ხრეშო / თორი / ქვიშარი (გურია), ხოროშო / ღორდი / ქენჭნარ / ქეჭეხი / კაწარი / დღვანა / ქაქონა / ქვერცხა (სამეგრელო), ქვაროხი / ქვაგუნდა / ქვათირი (იმერეთი), რიყიანი (კახეთი), ქვაროხი / ღორდი მიწები / ღორდიანი (ხევსურეთი), ხირხატი (ქიზიყი).

ეს ნიადაგი გამოიყენება მარცვლეულისათვის, აშენებენ ხეხილს, ვენახს. კარგად მოდის ღომი.

ქვიანი ნიადაგის სახეობის აღმნიშვნელ თუ მის პარალელურ ტერმინს წარმოადგენს კადარი მიწა (სამეგრელო) — ფხვიერი, ქვიანი ნიადაგი, რომელზედაც კარგად ხარობს ვენახი, მარცვლეული, განსაკუთრებით ღომი (XL, 11, რგ. 2).

ამავე ნიადაგების სახეობას უნდა წარმოადგენდეს თირი მიწა, რომელიც კლდისაგან ნაშალ მიწას აღნიშნავს. გვხვდება მთისძირა ფერდობებზე, არ სჭირდება ღრმა ხვნა. ვარგისია წვრილი ხილისა და ვენახისათვის. ადვილი დასამუშავებელია. მორწყვისას კი ფრთხილობენ, რომ წყალმა დახრამვა არ გამოიწვიოს (V, 95—96; XL, რგ. 2; XLVII, 51).

**ქვიშარი / ქვიშანი მიწა** (რაჭა) // ქვიშა-დიხა (სამეგრელო), ხირხატი // ხრეშო მიწა // თირი / გვიშრალი (იმერეთი). ეს მიწა მოთეთროა, ფხვიერი, ტენიანი (გვალვის დროსაც ინარჩუნებს სინესტეს), საშუაოდ ადვილი, მაგრამ ნაკლებმოსავლიანი, რომელიც განოციერებას საჭიროებს და მაინც კარგ მოსავალს არ იძლევა (თუმცა სიმინდს მაინც თესენ მასზე, რომელსაც ჩაღად იყენებენ). ადრე მხოლოდ ფეტვს თესდნენ. წარმატებით იყენებენ ხეხილისათვის, განსაკუთრებით კურკოვანისათვის (იმერეთი). მესხეთში ასეთ ნიადაგზე კარგად ხარობს თუთა. ზოგან აშენებენ ვენახსაც (XXX, 123; X, 16; XX, 53; XLVII, 40, 45; L.).

ფერის მიხედვით ეს ნიადაგი სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარად არის ცნობილი: სამეგრელოს რიგ რაიონებში (გეგეჭკორის რ-ნი) მოწითალო-მოწაბლისფროდ ახასიათებენ. ჩხოროწყუს რაიონში — მოშავოდ. დუშეთის რ-ნი — რუხი ფერისად (XLIII, XLIV).



მ  
 ს  
 3  
 ი  
 მ  
 რ  
 3  
 ა

რუკა № 2. საქართველოს ნიდაგები

(ხალხური კლასიფიკაცია ფერის მიხედვით)

1. შავი მიწა, 2. წითელი მიწა, 3. ყვითელი მიწა, 4. თეთრი მიწა, 5. წაბლა მიწა, 6. რუხი მიწა, 7. ტრედისფერი მიწა





**სილა მიწა** (იმერეთი) არის ნაცრისფერი, მალე შრება. ამ მიწაზე „ვარგაშის“  
და ლომი, უხდება ბოსტანსაც“ (იმერეთი) (XLVIII, 33—34).

**ჭაობიანი ნიადაგი**//ნოტიო ადგილი//ჭანჭრობ ი//ჭოჭყ ი//ჭეო//  
ხვილიფი (იმერეთი), ბუანტიანი (თუშეთი), შკედ ი//ოწყარე  
(სამეგრელო), ლაგაზი 2//ჭყანტი ი//ჭყაბ ი//ჭოჭყ ი//ჭონჭყო (გუ-  
რია). ამ სახელებითაა ცნობილი წყალჭარბი ადგილები (XXX, 125; VIII, 44;  
XIII, 13). ამ ნიადაგის უარყოფითი თვისებებია მეტი ტენიანობა და სიმლა-  
შე. საჭიროებდა არხების მეშვეობით დაშრობას (XLVIII, 56; L). ასეთ  
ნიადაგზე ითესებოდა ბრინჯი (კახეთი, გურია) (XLIX, XLV), მარცვლეული  
და პარკოსნები (ქართლი).

**კირნარი**//კირიანი // შირიმიანი (კახეთი) (XIV, 81) ითვლება  
„ფიცხ“ ნიადაგად. წყალს მალე იშრობს. მოჰყავთ ხეხილი, აშენებენ ვე-  
ნახსაც (მესხეთი), დაფნას (გურია) (X, 15; L; XLVI).

**თიხნარი** — ხინჭყონ ა//ლაგოზ ი//ეწერ ი//ენწერ ი//მელჭვი-  
ლი (სამეგრელო), სახრო (გურია), მწირე, ალიზიანი, ლაგაზა,  
ლაცხეზი (რაჭა), აყალო//დაგე//ჭინჭიბურე (ქვემო იმერეთი),  
ალიზიანი (მესხეთი), აყალო მიწა, ბალყუმი, ალაყა (ხევი)  
(XXX, 128; III, 163; L; XXXIX).

ხალხური დახასიათებით ეს არის მაგარი მიწა, მოწითალო-მოყვითალო ფე-  
რისა, სინესტეს ინარჩუნებს დიდხანს (ამ თვისების გამო საბოსტნედ ამჯობი-  
ნებდნენ) (XVIII, 12).

განასხვავებენ ქვიშიან თიხნარს, მშრალ თიხნარს, თიხიან მიწას, თეთრ  
თიხამიწას, საიდანაც კეცებს აკეთებენ (II, 94).

ამ ნიადაგზე მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები, პარკოსნები, ბოსტ-  
ნეული (კარტოფილი, ჭარხალი, კომბოსტო) და ტოვებდნენ საანეულოდაც  
(დუშეთის რ-ნი) ან საძოვრებად (ადიგენის რ-ნი). რაჭა-ლეჩხუმში ამ ნიადაგზე  
აშენებენ ვაზს (II, 94; XLIV).

(იხ. რუკა № 3).

### 3. ნიადაგების კლასიფიკაცია ვერტიკალური ზონალობისა და მდებარეობის მიხედვით

„კულტურულ-სამეურნეო თვალსაზრისით საქართველოსათვის ვერტიკა-  
ლური ზონალობაა დამახასიათებელი. საქართველოში მთას უჭირავს საერთო  
ფართობის 58,6%, მთის ძირა ზოლს — 33,4%, ხოლო 13% დაბლობია. ვერ-  
ტიკალური ზონალობის შესაბამისად საქართველო იყოფა მთად, გარდამავალ ზო-  
ლად და ბარად“ (XXVIII, 209; XXXIV; II, 98—100).

საქართველოში ვერტიკალური ზონალობის, ექსპოზიციისა და მდებარე-  
ობის გავალისწინებით ხდებოდა სავარგულებზე კულტურის შერჩევა.

ექსპოზიციისა და მდებარეობის მიხედვით განასხვავებენ დაბლობ — ჭა-  
ლა და ვაკე ადგილებს, ფერდ ადგილებსა და ზეგნებს, მზიან და ჩრდილიან  
ადგილებს, ბარად სახნავსა და მთის დამრეც ფერდობებზე სახნავს (სამთო  
ყანები) (V, 96—97; XX, 52; XXXI, 6).

ნიადაგის ექსპოზიციას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სათესი კულ-  
ტურების შერჩევის დროს, მაგ., მთის დამრეც ფერდობებზე სვილსა და შერი-  
ას თესავენ, ბარში — ქერს, ქერ-სვილს, ცერცვს (XXXIX).

<sup>2</sup> ლოგოზა მიწა გურიაში ეწოდება წებოვან მიწას, რომელსაც ქურის თაგების დასაგოზავად  
ხმარობენ. მასზე ვარვა ჩაი, ბამბუკი (ლანჩხუთის რ-ნი), (XVI).



რუკა № 3. საქართველოს ნიდაგები

(ხალხური კლასიფიკაცია შექნილია შედეგნილოზის მიხედვით)
   
 1. ქვიანი, 2. კეზნარი, 3. კობიანი, 4. კორანი, 5. თიხანი





ჭალის მიწები ი//მერე (გურია) //ჭალე//მერეს ი//მელეხი (სამეგრელო), ნოდამიწა (რაჭა) წყლის პირას მდებარე ადგილებია. „ჭალაში“ იგულისხმება ტყით მოსილი მდინარისპირა ადგილი ან მდინარის პირის მინდვრები, რომელიც ბუჩქნარით არის დაფარული, სადაც სხვადასხვანაირი ნიადაგები შეიძლება შეგვხვდეს (VII, 148—149).

ჭალის მიწები გამოყენებული იყო სახნავ-სათესად, საძოვრებად, ბოსტნებისთვისაც, ბაღებისთვისაც. ვენახის გაშენებას იქ ერიდებოდნენ წყალდიდობის შიშით (XX, 53).

სავარგულებს განასხვავებდნენ ექსპოზიციისა და მზის მხარის ადგილმდებარეობის მიხედვით (მზისა და ჩრდილის მხარედ) და სათეს კულტურებს ამის მიხედვითაც ურჩევდნენ ადგილს. მზიანი ადგილი//ზვარე არის სამზრეთით მდებარე ადგილები, რომელსაც მზე დასცქერის (XXIV, 484). იგი სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება: მზიანი ადგილები//ობჟათე//ობჟალე//ოჩხანე (სამეგრელო) //პირიმზე (ქიზიყი) //პირიმზე (თუშეთი) //მზვარე, მზორე (ქართლი), მზის მხარე (მესხეთი), მზორი, საობილავანა, შუბლა (ხევი) (XLI, XLII, რვ. 1; II, 99—100; XIX, 46; VII, 177).

მზიანი ადგილები ყველგან ცნობილია მაღალმოსავლიანობით. თუმცა, არის კულტურები, რომლებიც ჩრდილ ადგილებს (ჩრდილი ადგილი//ჩრდილა (ხევი) //ჩორდილი//ოშკედე (სამეგრელო)) უფრო ეგუებიან. მაგ. ქერი, თხილი და კაკალი (გურია) (XIII, 14; II, 99; XLVI).

სახნავ-სათესად უპირატესობა ვაკე ადგილებს ენიჭებოდა. ფერდ ადგილებზე რთულია მუშაობა, თუმცა მთის კუთხეებში ამ ადგილთა გამოყენება აუცილებელი იყო.

4. ნიადაგების კლასიფიკაცია მოსავლიანობა-ნაყოფიერების მიხედვით

ნაყოფიერება-მოსავლიანობის მიხედვით ხალხი განასხვავებს 1) ნაყოფიერ და მოსავლიან მიწებს, 2) საშუალო მოსავლიანს, 3) ნაკლებმოსავლიანს და 4) უნაყოფო მიწებს.

მოსავლიანი და ნაყოფიერი მიწების აღმნიშვნელი ტერმინებია: დალიანი მიწა, ნაჩხატი, ბადლი, მდიდარი, ტუმნა, ნიეთიანი, პოხიერი (ხევსურეთი), ნოდე, დილდამი, ნაძველახი, კაპეტი, ჩხოკო, ნამბილარი, ბილარი, მძიმე მიწა, პარტახი მიწა (იმერეთი), მსუქანი ადგილი, ნაყოფმდიდარი, ნაყოფისმომცემი, უხვი, ხასი (მესხეთ-ჯავახეთი), ლეკი, ოროკი, უყი, ჩანასილავი, დობირო (გურია), შხუნა//ურყი//უდო//დომერა//ოჩხონაფუ//კადარი (სამეგრელო), რცხალი (აჭარა), დილდამი//კაბეტი//კაპეტი, ჩხოკო//ოჩე//დინაშხო//კაბეტი//ტევრი//უყი//ახო (რაჭა-ლეჩხუმი), დედიანი (თიანეთი), მოლმოლარ (სვანეთი) (XIII, 14, 15, 17; II, 93).

ნაყოფიერ მიწებად წოდებული ნიადაგების გავრცელების არე აღმოსავლეთ საქართველოში ემთხვევა იმ ზონას, სადაც გავრცელებულია ტყის ყავისფერი ნიადაგები<sup>3</sup>, ნეშომპალა კარბონატული ნიადაგები და მდელოს ალუვიუ-

<sup>3</sup> კახეთში ფიქსირებული მასალის მიხედვით. „შეე მიწას რასაც ეძახიან. ფერად ეს მიწა არც ძალიან შავია, წაბლისფერია“ (XLVIII, 29, 41—42).





რი ნიადაგები (XV, 356, 410, 304, 312, 371, 372). ამ ნიადაგების განსაკუთრებული ნაყოფიერება გაპირობებულია მასში ჰუმუსის და საკვები ნივთიერების მაღალი შემცველობით, კარგი სტრუქტურაანობით, ხირხატიანობით და ამის საფუძველზე დადებითი წყალმართვი, ჰაეროვანი და სითბური თვისებებით (XV, 410).

საშუალო მოსავლიანი მიწა ე. წ. თხინა (მოშავო, მშრალი მიწა), დიბინე, შვებ ა//ნატებერ ა//ეწერ ი//ენწერი, მხლატე//ხმელი ადგილი (რაჭა-ლეჩხუმი), ნოლა ადგილი (იმერეთი), მალნარი (გურია). ასეთ ნიადაგებზე აშენებდნენ ვენახსაც და მოყავდათ სიმინდი და ღომი (სამეგრელო, ჩხოროწყუს რ-ნი) (XLIII).

უნაყოფო ნიადაგს ბიცი ეწოდება. ამ ნიადაგის აღსანიშნავად დამოწმებულია შემდეგი ტერმინები: აბეჩხარი (ფშავი), მელჭვილი, ფურსი მიწა, ფატარი (სამეგრელო), მწირი, მშიერი, გამოღალული, უნივთო, ხოხოსა, ხირხატი, ფხეკურა (რაჭა-ლეჩხუმი), ფხეკი მიწა (რაჭა, იმერეთი), გვიმრა მიწა, ფერნაკლები მიწა, ხირხალი მიწა, თრითინა მიწა, მცირე მიწა (იმერეთი), უდედო მიწა (ქართლი), კლდიანი, ხეშიანი, მხლატე, დარბი, გვიმრალი (რაჭა-ლეჩხუმი). უღალო, ფატარ ი//ნარსილ//ნარცილ//მირციუ//ოყუნი (სამეგრელო), ქვათირი (იმერეთი), ქერქეტი მიწა ა//ეწერი (გურია) (LI, 99; XXXI, 155; X, 16; III, 163; VIII; XIII, 14; XXI, 119; XXVI, 370).

უნაყოფო მიწებია: ფატარი (მოწითალო მიწა), თუმცა მაინც თესვენ ღომს და ფეტვს (სამეგრელო), ფურსი მიწა (XLI).

მწირი, მცირე მოსავლიანი მიწის აღმნიშვნელია ტერმინი ეწერი.

ეწერი ა//ენწერი (სამეგრელო) ამჟამად ნიადაგის სხვადასხვა ტიპის საერთო სახელად არის ქცეული. გურიაში იგი ბუჩქით, ისლით და მისთანათი დაფარული დაბალი ადგილია, უნაყოფო მიწაა. ივ. ჯავახიშვილის მონაცემებით, ეწერი მეგრულში პატარა და დაბალ ტყესა და თანაც ქვიშნარს ნიშნავს. გურიასა და სამეგრელოში თიხნარი და თიხნარევი მძიმე და ძალიან ღრმა წითელი ანდა ყვითელ-მონაცრისფრო იწოდება, ნეშომბალს იგი ნაკლებ შეიცავს. იმერეთში კი ეწერი მონაცრისფრო ყვითელი ფხვიერი ნიადაგია, ნაკლებნაყოფიერი. გურიაშიც ეწერი ნაკლებმოსავლიან წითელ მიწას ეწოდება (XXX, 125; IV, 21—22; XLV).

ძველად ეწერი ნორჩი ტყით მოფენილი ადგილ-ნიადაგის აღმნიშვნელი ყოფილა. თანდათან ტყეების გაჩეხისა და მიწათმოქმედებისათვის გამოყენების დროსაც ამ ადგილებს წინანდელი სახელი შერჩენიათ და რაკი მათი ნიადაგის ფიზიკური თვისება სხვადასხვა ადგილას განსხვავდებოდა, ამიტომ ეწერი ნიადაგის მნიშვნელობაც სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად ესმით. ეწერი არსებითად იმდენად ნიადაგის ფიზიკური დამახასიათებელი ტერმინი არ არის, რამდენადაც ნატყევარი ადგილის (ივ. ჯავახიშვილი).

სპეციალურ ლიტერატურაში ეწერი დაბალნაყოფიერ ნიადაგად ითვლება (XV, 84—85).

ეწეროვან ნიადაგს წარმოადგენს ლავაზა (გურია), სადაც გვიმრაც კი ვერ ხარობს. რაჭაში ლავაზი (ლაცხეზი) მოუსავლიანი, ძნელად დასამუშავებელი, ნესტიანი, წებოიანი ნიადაგია (XX, 53).

გამოღლილი მიწის აღმნიშვნელია მოღული (იმერეთი, გურია) (XIII, 17; XLVI). ეს არის დიდი ხნის ყანობით გამოფიტული მიწა. ასვენებდნენ 4 წელი-

წადს და ისევ დათესავდნენ (გურია). გამომოდულეზულ მიწას მხოლოდ ლომის დასათესად იყენებდნენ (XI, 82).

საინტერესოა ხალხური დაკვირვება მიწის მოსავლიანობის განსასაზღვრავად: „გლეხი რომ მიწას ამუშავებს, აკვირდება, თუ ანწლი და ჭინჭარი ამოშუშუნდა, მსუქანია, ე. ი. კარგია მოსავლისათვის“ (XLV).

ნიადაგის თვისებების ხალხური ცოდნის მაღალ დონეზე მეტყველებს ხალხის მიერ გამომუშავებული ისეთი აგროტექნიკური ღონისძიებანი, როგორცაა ნიადაგის დასვენება, თესლბრუნვა და განოყიერება.

ნიადაგის დასვენებასთან დაკავშირებული ტერმინებიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია: დაუხნავი მიწა, ნარჩხატი (ერთ წელიწადს დაუხნავად დარჩენილი მიწა), რცხალი (ორ წელიწადს დაუხნავად დარჩენილი მიწა), კორდი (დიდხანს დაუხნავად დარჩენილი მიწა), ჰაროსი (ექვს და მეტ წელს მოუხნავი მიწა), უყი მიწა, ჩხუნა მიწა, ხამი ადგილი, კაპეტი, ჩხოკო, გაბორტვებული, ყამირი, ყამირის ყამირი. ბორცვი (LI, 194; XXII).

ნიადაგის თვისებების ემპირიულ ცოდნას ემყარება ისეთი რთული წესი მიწათმოქმედების სისტემაში, როგორცაა ახოს აღება (ტყის საყანედ გაკაფვა) (XXIV, 484; 11, 103; V, 13; XXXI, 13).

მიწის გამოფიტვის საწინააღმდეგო საშუალებაა თესლბრუნვა და განოყიერება. საქართველოში საყოველთაო და ცნობილი ნაკელით განოყიერების გარდა მოწმდება ნიადაგის მიწითვე განოყიერების უძველესი წესი; მაგ., აყალოზე შავი მიწის დაყრა (V, 125). აღსანიშნავია აგრეთვე დასავლეთ საქართველოში დამოწმებული ძველთაძველი საშუალება ტკილიანი მიწის (დატორფიანებული მიწა) სასუქად გამოყენება (რომელიც 15—18 წლით უზრუნველყოფს მაღალ მოსავალსა და წელიწადში ორმოსავლიანობას (XXVII, 148; XXXVI, 189; XXXIII, 6—7).

ტკილი // ლ ე კ ი, რომელიც შლამშია, ურმებით მიჰქონდათ სათანადო ადგილას, ძირითადად ვენახისა და ბოსტნისათვის (ტკილი იგივეა, რაც მერგელი, გეოლოგიური ქანია, შედგება თიხისა და კირქვისაგან, იხმარება ... ზოგი სახის ნიადაგის გასაპოხიერებლად) (XXIII).

ნიადაგის თვისებების ემპირიული ცოდნა მუდგანდება გარკვეულ მიკრო-ჰავასა და ნიადაგურ პირობებთან სათესი კულტურის შერჩევის დროს. მაგ., ცნობილი იყო შავმიწა ნიადაგის მაღალი ღირსება, მაგრამ არა ყოველი კულტურისათვის, ხორბლისათვის არჩევდნენ სამზიანო ადგილს, მშრალ მიწას, ქერი და ფეტვი უფრო მთა ადგილებში ითესებოდა, კანაფი კარგ მიწაზე (XXX, 139; V, 97, 98; VII, 91; II, 96; 207; XII, 79).

ნიადაგის თვისებების ცოდნა გამოვლინდა იმ სამუშაო იარაღებში, რომლებიც კონკრეტულ რეგიონში გვხვდება. საქართველოში გავრცელებული სამუშაო იარაღები კარგადაა შეთავსებული მოცემული მიკრორაიონის ბუნებრივ სამეურნეო პირობებთან (XXV). ასეა როგორც ხელით სამუშაო იარაღები, ისევე სახენელები. მაგ., რბილ მიწაზე იხმარებოდა მაღალქუსლიანი კავი, ხოლო მაგარზე — დაბალქუსლიანი, აგრეთვე სახენელი იარაღის ქუსლის ფორმა შესატყვისებოდა წყალგამტარ და წყლის არაგამტარ ნიადაგს (XXV, 191).

ყურადღებას იქცევს მდიდარი ქართული ტოპონიმიკური მასალის ის ნაწილი, რომელიც ნიადაგებთან არის დაკავშირებული. აქ შეიძლება გამოვყოთ:

1) ტოპონიმები, რომლებიც ნიადაგის თვისებების აღმნიშვნელია (წითელი მიწა, ლამიანიები, ჭონჭყო, გუბეები, თეთრო-



მ ე ნ ი, ქ ა ო ბ ა, ე წ ე რ ი) (VI, 174, 196; II, 94; IX, 110; XVI, 126; XVII, 48, 53, 69).

2) ტოპონიმები, რომელშიც ასახულია ნიადაგის მდებარეობა და ექსპოზიცია (ნაფუძვრები, დელისპირის მიწები, შინაყანები, ბარის მიწები, ზეითები, ქვეითები, დობირო, მერე, ჭალა, ჩრდილისი);

3) ტოპონიმები, რომელნიც სავარგულ-საყანურთა სიდიდეს გამოხატავენ (დიდმამულა, დიდველი და მისთ.);

4) ტოპონიმები, რომელთაც სახელი შერქმეული აქვთ გარეგნული, ფორმა-მომხაზულობის მიხედვით (გრძელმინდორი, ნამგალა...).

საინტერესოა აგრეთვე ტოპონიმები, რომლებიც სხვადასხვა შინაარსს ატარებენ (ახოები, ანეულეები, კორდი, მოდული, ოჩე, ნაოჩვარი).

ამგვარად, ნიადაგის თვისებებზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად შემუშავებულია ნიადაგის თვისებების დიფერენცირებული და ღრმა ცოდნა. განასხვავებენ ნიადაგებს მექანიკური შედგენილობის, ფერის, მოსავლიანობა-ნაყოფიერების, მდებარეობის მიხედვით.

მდიდარი ენობრივი მასალა (ტერმინოლოგია) ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად ხალხური ნიადაგმცოდნეობის მაღალ დონეზე მეტყველებს. აქ იგულისხმება: ნიადაგის შედგენილობა და თვისებების ცოდნა, ნიადაგის ხარისხის შეფასების უნარი; მცენარეთა ნიადაგებთან დამოკიდებულების ცოდნა, სათესი კულტურების განაწილება ნიადაგის თვისებების, ვერტიკალური ზონალობისა და ექსპოზიციის გათვალისწინებით და შესაბამისად.

მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა, რომელიც ქართველმა ხალხმა შექმნა და რომელიც ამ კულტურის ყველა ელემენტში ჩანს, ხალხური ნიადაგმცოდნეობის დონითაც დასტურდება.

### ლიტერატურა და ხელნაწერები

- I ოლ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
- II ოლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბილისი, 1973.
- III ნ. ბრეგაძე, ხალხური აგროტექნიკის ზოგიერთი საკითხი, I, „მაცნე“, 1965, № 5.
- IV ნ. ბრეგაძე, ხალხური აგროტექნიკის ზოგიერთი საკითხი, III, მსე, XIV, 1968.
- V ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1969.
- VI მ. გეგეშიძე, ქართლის სამეურნეო ტოპონიმია, თსუ შრომები, ტ. 37, 1949.
- VII მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბილისი, 1961.
- VIII კ. კახიანი, გლეხის კარმიდამო იმერეთში, თბილისი, 1964.
- IX ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობის სამეურნეო ყოფა ტოპონიმების შუქზე, „მაცნე“, 1966, № 1.
- X დ. პავლიაშვილი, მეხილეობა საქართველოში, თბილისი, 1962.
- XI ჯ. რუხაძე, ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, 1960.
- XII ჯ. რუხაძე, კანადის მეურნეობა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI—XVII, 1972.
- XIII ჯ. რუხაძე, ხალხური აგროკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1976.
- XIV ჯ. რუხაძე, ა. ლეკიაშვილი, ი. ჭყონია, სოფელი აკურა, თბილისი, 1964.
- XV მ. საბაშვილი, საქართველოს სსრ ნიადაგები, თბილისი, 1965.
- XVI ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წ. 1, ბათუმი, 1958.
- XVII ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წ. II, ბათუმი, 1959.





XVIII გ. სონდულაშვილი, მებოსტნეობა თბალას სანახებში, თბალა, 1959.

XIX გ. სონდულაშვილი, მასალები ქართული ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1964.

XX ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, თბილისი, 1974.

XXI ქართველურ ენათა ლექსიკა, თბილისი, 1938.

XXII ქართული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი, 1981.

XXIII ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

XXIV გ. ჩიტაია, ქსნური მთის გუთანი, ენიქის მოამბე V—VI, 1940.

XXV გ. ჩიტაია, რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი, ისუ შრომები, ტ. XVIII, 1941.

XXVI გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, „მომომხილველი“, 1, 1949.

XXVII გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, 1959.

XXVIII გ. ჩიტაია, ქართული ეთნოგრაფიული ატლასი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, № 1.

XXIX. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბილისი, 1930.

XXX. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, თბილისი, 1935.

XXXI გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, თბილისი, 1963.

XXXII გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში, კრ. მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი, 1972.

XXXIII გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობა სამეგრელოში, მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი, 1979.

XXXIV В. В. Докучаев, Учение о зонах природы, Москва, 1948.

XXXV М. Сабашвили, Почвы Грузии, Тбилиси, 1948.

XXXVI Г. Читаия, Некоторые итоги экспедиционной работы 1957 г. Отдела этнографии Института истории АН ГССР, Мск, XI, 1960.

XXXVII გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1936, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის არქივი.

XXXVIII რ. თოფჩიშვილი, ახმეტის რაიონში შეკრებილი მასალა, 1976 წ., რვ. 1.

XXXIX მ. კანდელაკი, ყაზბეგის რაიონში შეკრებილი მასალა, 1976 წ.

XL გ. რუხაძე, ჯავახეთში შეკრებილი მასალები, 1951, რვ. 2 (ეთნოგრ. სექტ. არქივი).

XLI გ. რუხაძე, მარცვლეული კულტურები და მემინდვრეობის სისტემა, 1969, რვ. 1, (ეთნ. სექტ. არქ.).

XLII გ. რუხაძე, მემინდვრეობის სისტემა და მარცვლეული კულტურები, 1969, რვ. 2 (ეთნ. სექტ. არქ.).

XLIII გ. რუხაძე, 1970 წ. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები.

XLIV გ. რუხაძე, 1974 წ. ყინვალის ექსპედიციის მასალები.

XLV გ. რუხაძე, 1981 წ. გურიაში მივლინების მასალები.

XLVI ზ. ტულუში, ლანჩხუთის რაიონში შეკრებილი მასალა, 1982 წ. (ეთნ. სექტ. არქ.).

XLVII მ. შილაკაძე, 1976 წ. იმერეთში მივლინების დღიური (ეთნ. სექტ. არქ.).

XLVIII მ. შილაკაძე, 1981 წ. ზემო იმერეთში მივლინების დღიური (ეთნოგრაფიის სექტ. არქ.).

XLIX მ. შილაკაძე, 1982 წ., კახეთში მივლინების დღიური (ეთნ. სექტ. არქ.).

L მ. ხაზარაძე, 1976 წ. მესხეთში შეკრებილი მასალა.

LI გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა საქართველოში, თბილისი, 1971 (ხელნაწერი).


ლ. ბერიავილი

### ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში

მეურნეობის ტერასული ფორმები მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. ფერდობებზე ტერასების მოწყობა, როგორც დაქანებული, შვეული ზედაპირის ხელოვნურად შეცვლის საშუალება, ერთ-ერთი უძველესი სამეურნეო წესია და მიზნად ისახავს მთის რელიეფის ათვისებას. იგი ემსახურება ნიადაგის ეროზიისაგან დაცვას და ჰიდროგრაფიული რეჟიმის რეგულირებას. დღეისათვის მეცნიერულად გამოკვლეულია, რომ ბევრი კულტურა (ვაზი, ჩაი, ციტრუსები) მხოლოდ ფერდობზე იძლევა განსაკუთრებულ გემოს და მაღალხარისხოვან მოსავალს. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ტერასული მიწათმოქმედება წინა აზიაში, სახენელის გამოყენებასთან ერთად, ადრე-ბრინჯაოს პერიოდს განეკუთვნება და უშუალოდ უკავშირდება საწარმოო ძალების შემდგომ აღმავლობას (XXVIII). ასევე მიჩნეულია, რომ ფართო გავრცელება აღნიშნულ სახეობას განვითარებულ საზოგადოებაში უნდა მიეღო (XXIX).

უძველესი დროიდან ადამიანს გამოყენებული აქვს აგრეთვე ბუნებრივ წარმოშობის ტერასული მოედნები, რომლებიც უმეტესად განლაგებულია ხეობებში, მდინარეთა დაბლობებში, ტბებისა და ზღვების სანაპიროებზე. ბუნებრივი ტერასები გვხვდება ერთ და მრავალსაფეხურიანიც. უფრო მეტადაა გავრცელებული მდინარის ტერასები, რომლებიც კალაპოტის შეცვლისა თუ წყლის მარაგის შემცირების გამო აღარ განიცდიან წალეკვის საშიშროებას და წარმოადგენენ ფერდობზე მიყოლებით განლაგებული სწორი ზედაპირის მქონე მოედნებს. მდინარეული ტერასების სიმაღლე დინებიდან სხვადასხვაა. მათი ფართობიც მერყეობს რამდენიმე მეტრიდან ასეულ კვ. მეტრამდე. ხშირად, ბუნებრივი ტერასები ადამიანის მიერ კედლებით შემაგრებულია და ათვისებული სამეურნეო დანიშნულებით. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტერასების ეს ტიპი იყო ერთ-ერთი პირველი, მიწათმოქმედების გარეუარაჟზე ადამიანმა რომ აითვისა და გამოიყენა.

საქართველოს მიწათმოქმედებაში ნიადაგის დამუშავების ტერასული ფორმები უძველეს ტრადიციას ემყარება. „ქართველი მიწისმოქმედი სიძნელესა და დიდ შრომას არ შეჰშინებია“ და) სათანადო შედეგისათვის მიუღწევია („დაბაქნებულ ფერდობებზე ხელოვნური ნიადაგის შექმნით, ქვაყორისაგან პატარა მანძილის ამოშენებითა და მიწის ბაქან-ბაქანად შიგ ჩაყრით. ბლვენახისათვის ამნაირად ხარისხებრ მოვაკებული ადგილი კეთდებოდა, რომელსაც შემდეგ ხეხილისა და ვაზის ძირგამდგარი ფესვები ამაგრებდნენ ხოლმე“ (I). ამგვარად აღმოცენებული, ხელოვნურად დაბაქნებული მიწის ნაკვეთები მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის იყო განკუთვნილი.) მათი აღმნიშვნელი







სახელწოდებებია ლიტერატურაში ოროკი, ტახტი, ბაქანი, საქვი, დარიჯი, ჯიქენული დონი და სხვ.

ტერასული მიწათმოქმედების ხასიათი საქართველოს სხვადასხვა კლიმატურ-გეოგრაფიულ გარემოში განსაზღვრულია ბუნებრივ მოვლენათა განსხვავებული კომპლექსით, ზოგადად კი ქვეყნის მთა-გორიანი რელიეფის პირობებში ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებაა. ეროზია, რაც ნიადაგის ზედაფენების დაშლასა და (დარეცხვას ნიშნავს, საქართველოში ფართოდ გავრცელებული მოვლენაა. დადგენილია, რომ იგი უფრო მეტად იჩენს თავს მთიან რაიონებში და განსაკუთრებით იქ, სადაც წინდაუხედავად ისპობა მცენარეული საფარი ან მისი გამეჩხერება ხდება წარსულში საქართველოს ტერიტორიის 4/5 ნაწილი ტყეებით ყოფილა დაფარული (VI). ამჟამად მათი დიდი ნაწილი სრულიად მოსპობილია. ნიადაგების სტრუქტურის შენარჩუნების პრობლემის კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მრავალი, ამჟამად მიტოვებული და აუთვისებელი მიწების ნაკვეთები შედეგია იმ ეროზიული პროცესებისა, რომლებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო საუკუნის მანძილზე. განსაკუთრებით მთიან რაიონებში ეროზიების მკვეთრი ზრდის შედეგად სასოფლო-სამეურნეო მიმოქცევიდან სრულიად ამოვარდნილია მიწის უზარმაზარი ფართობები, რომლებიც ადრე სახნავ-სათესს ეჭირა. ამიტომ განსაკუთრებით გახშირდა ჩვენში ე. წ. ანთროპოგენული ლანდშაფტი, ანუ ადამიანის ქმედებით სახე შეცვლილი, გარდაქმნილი, გავრავლებული გარემო.

ნიადაგის ეროზიას წარსულშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ტრადიციული მიწათმოქმედება მაქსიმალურად ითვალისწინებდა მიწის საფარის დაცვისა და შენარჩუნების უამრავ ხალხურ ღონისძიებას. ხელოვნური ტერასებიც ეროზიის წინააღმდეგ მიმართული უძველესი ხალხური საშუალებაა, რომელიც მეურნეობის ინტენსივობის თვალსაზრისით დიდი ეფექტის მქონეა.

რელიეფის ათვისების, კლიმატური და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობის გარდა ტრადიციულ მეურნეობაში სატერასე ნაკვეთის შერჩევისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა მზის ენერგიის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების ფაქტორს. საქართველოს დანაწევრებული რელიეფის პირობებში მზის განათების მნიშვნელობის ასეთი შეფასება განსაზღვრულ მიზანს ემსახურებოდა. ხალხში დაცულია ღრმა ცოდნა მზის ფაზებისა, მისი დახრილობისა და სამეურნეო ნაკვეთის განათების ეფექტისა წლის სხვადასხვა დროის მიხედვით ანუ იმ კულტურის თვისებებისა და მომთხოვნელობის შესაბამისად. მზის ენერგიის მოქმედების ხარისხი ტერასების შექმნისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობადაა მიჩნეული. სატერასედ შერჩეული ფერდობი, სადაც ბაღი თუ ვენახია გაშენებული, აუცილებლად მზის გულია, რის გამოც აქ განსაკუთრებით მაღალია „აქტიურ ტემპერატურათა“ ჯამი. გაზაფხულზე ეს ნაკვეთები სითბოს, სხვასთან შედარებით, ადრე ღებულობენ, რაც შემდგომში მომწიფებისა და ნაყოფის ხარისხისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა. ამიტომაც, რომ საქართველოს უძველესი ვახის ჯიშები მათი ინტენსიური გავრცელების თითქმის ყველა უბანზე სწორედ ფერდობის მევენახეობის სახითაა დადასტურებული (იმერეთი, სამეგრელო, ქართლი, მესხეთი).

ამდენად, საქართველოს ტერასული მეურნეობა განიხილება როგორც განსაზღვრული ბუნებრივ-სამეურნეო გარემოთი შეპირობებული მეურნეობის ფორმა, რომელიც ძირითადად ახალი სავარგულების ათვისებას ისახავს მიზნად და ინტენსიური მეურნეობის ერთ-ერთ ეფექტურ ღონისძიებად გვესახება. ამავდროულად იგი მიმართულია ბუნების უარყოფითი მოვლენების წინააღ-





მდეგ. ამიტომ, თუ აღმოსავლეთ საქართველოში ტერასული მეურნეობა ეტროპეული ზიის საწინააღმდეგო საშუალებათა შორის ნიადაგის წყლით მომარაგებას მის გეგმაზომიერ გამოყენებას ისახავს მიზნად, დასავლეთ საქართველოში, მაღალი ტენიანობის მქონე სარტყელში, იგივე საშუალებით მოჭარბებული წყლისა და წყლით შექმნილი დარეცვის საწინააღმდეგო ფუნქციას ითავებს და მას ემსახურება.

ტერასები ერთმანეთისაგან ტიპოლოგიურად განსხვავდებიან, რაც შეპირობებულია კონსტრუქციული თავისებურებებით, მშენებლობის ტექნიკითა და მეურნეობრივი დანიშნულებით.

ერთოგრაფიული მასალის საფუძველზე საქართველოში შესაძლებელი ხდება შემდეგი ტიპების დადგენა:

კ ე დ ლ ი ა ნ ი ტ ე რ ა ს ე ბ ი .

უ ქ ე დ ლ ო ტ ე რ ა ს ე ბ ი .

თითოეული მათგანი შეიცავს ქვესახეობებს:

კ ე დ ლ ი ა ნ ი ტ ე რ ა ს ე ბ ი — ქ ვ ის კ ე დ ლ ი ა ნ ი , ხ ის კ ე დ ლ ი ა ნ ი ;  
 უ ქ ე დ ლ ო ტ ე რ ა ს ე ბ ი — მ ე ბ ა დ ე ო ბ ა - მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ის ა თ ვ ის  
 გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი , მ ე მ ი ნ დ ვ რ ე ო ბ ის ა თ ვ ის გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი  
 (ლ ა რ ე ბ ი)

განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

კედლიანი ტერასები

I. ქვისკედლიანი ტერასები. ქვისკედლიანი ტერასები საქართველოს რამდენიმე კუთხეშია ცნობილი:

მესხეთი. მესხეთში ტერასები (ტაბ. I, 1, 2, 3) ძირითადად ვავრცელებულია ასპინძის რაიონში, მტკვრის ხეობასა და მასში შემდინარე მომცრო ხეობათა სიღრმეში. ტერასებს განსხვავებული სიდიდე აქვთ. მათი აგების პრინციპი კი ერთიანად იქნება რამდენიმე საფეხურად, ჰორიზონტალურადაა შეჭრილი ქანობში და ქმნის სწორი ზედაპირის მქონე ფართობს. პირველი, ანუ ქვედა საფეხური მომდევნოზე წინაა გამოწეული და ასე მეორდება ყოველ შემდგომ საფეხურზე. ტერასულ ნაკვეთებს შორის ქვის კედლებია აგებული, ისე, რომ ყოველი ქვედა საფეხურის კედელი მომდევნო საფეხურის დასაწყისსა და მის საფუძველს წარმოადგენს. ორ კედელს შორის მოქცეული მიწის ზოლი, რომელსაც სხვადასხვა ფართობი უკავია, არის ტერასა, ანუ კულტურათა გასაშენებლად შექმნილი ხელოვნურად დაბაჩნებული ადგილი.

არქეოლოგიური მასალა ტერასული მეურნეობის შესახებ მეტად მცირეა. ამ თვალთახედვით ინტერესს იმსახურებს სოფ. აფნიის თავზე ადგილი ნ ა ვ ა რ ძ ი ე ვ ი , რომელიც აღსანიშნავია ხელოვნური ტერასებითა და იქ ნაპოვნი ენეოლითის ეპოქის ზედაპირული მასალით. ამ რიგისაა სოფ. ახჩიის მიდამოებში მდებარე ადგილები, სადაც ერთ კომპლექსშია მოცემული დარნის ტიპის ნაგებობები, ყორღანული ქვაყრილები და სამეურნეო ტერასები. ასევე წუნდის ველის მიმართულებით მტკვრის ხეობაში უძველეს ხელოვნურ ტერასებზე აკრეფილია სხვადასხვა პერიოდის უამრავი კერამიკული მასალა (XXIII, 8). თვით ტერასები აგებულია უზარმაზარი „ციკლოპური“ ბაზალტის ლოდებით, რაშიც ჩანს მშენებლობის უძველესი ტექნიკა (XXIV, 5). საინტერესო მონაცემებს შეიცავს წუნდის ნაქალაქარის არქეოლოგიური მასალა ტერასების აღმოცენებისა და მათი სამეურნეო დანიშნულების გარკვევისათვის (XXVI, 4). საგულისხმოა ასევე ახალციხის ა მ ი რ ა ნ ი ს გ ო რ ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს შ ი დ ა ც უ ლ ი მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი , რომლებიც შესაძლებელს ხდიან ტერასული



მიწათმოქმედების ფესვები მტკვარ-არაქსის კულტურას მივაკუთვნოთ, რომელიც IV—III საუკუნეების მანძილზე აღწევს განვითარების უმაღლეს საფეხურს (XXV).

მესხეთში ტერასები განირჩევიან სიდიდითა და კონფიგურაციით, რასაც ფერდობის მდებარეობა და მათი ხეობის მიმართ დახრილობა განსაზღვრავს. რაც უფრო მეტადაა დაქანებული ფერდობი, მით უფრო მაღალი კედელი ესაჭიროება ბაქანს, ხოლო მისი ტერიტორია ნაკლებ ფართობს მოიცავს და, პირიქით, ნაკლებად დაფერდებულ ნაკვეთებზე ბაქნები მეტი სიდიდისაა და კედლები შედარებით მცირეა.

ქვისკედლიანი ტერასები მესხეთში სამი სახეობისაა — დარიჯი// დარეჯი//დუქანი, საქვე//საქვი, ბაქანი//ოროკი. დარიჯი და საქვე კონსტრუქციულად ერთ პრინციპზეა აგებული. მათ შორის სხვაობა შემდეგში მდგომარეობს:

1. დარიჯის ფართობი გაცილებით აღემატება საქვის ფართობს.
2. დარიჯები განლაგებულია უშუალოდ მდინარეთა დინების გასწვრივ ან მის სიახლოვეს.
3. დარიჯები შედარებით მცირე დახრილობის ფერდობებზეა მოწყობილი, მაშინ, როდესაც საქვები მთის შვეულ კალთებზეა ასული და მაღალი ექსპოზიცია უჭირავთ. შესაბამისად საქვების ტერასული კედლები სიმალით დარიჯისას გაცილებით ჭარბობს.
4. დარიჯებზე უმთავრესად ხილისა და თუთის ბაღებია გაშენებული. ადრე აქ გავრცელებული იყო მაღლარი ვენახის ჯიშები, მაშინ, როდესაც საქვები ძირითადად სავენახე ფართობებია.
5. დღევანდელი ვითარების მიხედვით, დარიჯებზე შემორჩენილია ხილის ბაღები, რომლებიც დიდ ნაწილში განახლებას მოითხოვენ. საქვებად მიჩნეული ადგილები კი სრულიად შიშველია მცენარეულისაგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აქა-იქ კოლმეურნეთა მიერ ჩაყრილ ვენახს და ბუნებრივად ამოსულ იფნის ხის ნერგებს.

ტიპური დარიჯის სიგანე 4—12 მეტრია, სიგრძე 30—40 მ შორისაა. ყველაზე ვიწრო უბნები ე. წ. საქვები 2—2,5 მ სიგანის დამოწმდა. ქვის კედლების საშუალო სიმაღლე 1,5—3 მეტრია. ხშირად შეჭრიდნენ ფერდობს ქანობში 40—50 სმ-ით და ისევე განაგრძობდნენ შენებას. იმ ადგილს, სადაც ქვის მთლიანი კედელი ორად იყო გაყოფილი გადატეხილი მიწის საფეხურით, თაბოოს უწოდებდნენ (X, 94). მათი ნახვა დღესაც შეიძლება სოფ. ბნელას გამოღმა მტკვრის ნაპირზე, ვომის ჭალებთან, ხიზაბავრის ყოფილ ტერასებში.

როგორც აღინიშნა, ტერასისათვის მესხეთში მოწმდება აგრეთვე ტერმინი ოროკო, რომელიც ძველ საქართველოში ასევე ბაქნის აღმნიშვნელია (II). როგორც ლიტერატურაშია მითითებული, „შავმეთ-კლარჯეთში ბუნებრივი პირობების უაღრესად მთავორიანობა და სახმარი მიწის საარაკო სიმცირე მევენახეობას საქართველოს ამ ორ თემში მეტად მცირე არეს უთმობდა. ბოლო დრომდე მევენახეობა აქ წინანდებურად უმთავრესად ხელოვნურად ბაქან-ბაქან მოვაკებულ ნიადაგზე შენდებოდა, რომელსაც ძველად საქართველოში ოროკო ეწოდებოდა“ (I). მესხეთში ძველად ოროკოებს უწოდებდნენ სოფ. აწყურის დიდი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებს თისელის სერამდე. აქ ახლაცაა დარჩენილი მრავალსართულიანი დაბაქნებული ადგილები, სადაც

<sup>1</sup> აქ და სხვან ბაქანს ვხმარობთ ტერასის ქართულ შესატყვისად, მის აღმნიშვნელად, იდენტურად.



ჯერ კიდევ შერჩენილია მესხეთის ადგილობრივი ვაზის უძველესი ჯიშები — რაკეთულა, ხარისთვალა, ბეჟანა (XXII).

ბაქნების შენებას იწყებდნენ ფერდობზე მიწის გამოთხრით, გაშლვით. მერე კედელს ჩაუყრიან საძირკველს ქვის ლოდებით და იწყებენ მიწის გამოკაფვას. ამოსული ქვა კედლის მშენებლობაში იხმარება. ამ დროს გამოყენებული იარაღებია — წერაქვის ტიპის ადგილობრივი თოხი, პირგანიერი თოხი, ე. წ. ჩაფი, ბარი, რკინის კეტი და სხვ. ქვის კედელი მშრალად ნაგებია, ძირზე ჩვეულებრივ უფრო მსხვილ ქვას უწყობენ. მშრალი წყობით კედლის შენების ტექნიკა საქართველოში უძველესია. ტერასებისათვის მას ის მნიშვნელობა ენიჭება, რომ ადვილად ატარებს წყალს, რაც იცავს დანგრევისაგან. მშენებლობის დროს ყურადღება ექცევა ასევე ასაგები კედლის დახრილობას, რასაც მორწყვაში ენიჭება მნიშვნელობა. ტერასებს სარწყავი წყლის სადინარები აქვს გაკეთებული, რომელიც „ჩამოკბული“ ანუ დასაფხურებულია ქვის წყობით, რათა წყალმა მიწა არ გაჭრას და არ დაახევოს. მორწყვას იწყებდნენ ზედა ტერასიდან და სანაკედლოების მორიგეობითი გახსნით რწყავდნენ ყველა ქვევით მიმდებარე ნაკვეთს. სარწყავად გამოყენებული იყო მთის მდინარეები და წყარო-ნაკადულები.

ახლად შექმნილი ტერასული ნაკვეთები გულდასმით იწმინდებოდა ქვა-ლორლისაგან და „მდიდრდებოდა“ ნაკელითა და მსუქანი მიწით, რომელიც შორი მანძილიდან მოჰქონდათ ურემზე დამაგრებული ძარებით. ხშირად „გაკულტურებული“ ფენა 1 მეტრამდე სისქეს აღწევდა. აღნიშნული ღონისძიება მე-19 საუკუნის II ნახევარშიც არის დადასტურებული მესხეთში (XXX, 94). მესხეთის ტერასული მიწათმოქმედების თავისებურებად უნდა ჩაითვალოს აქაური ქარების დადებითი მოქმედება, რომლებიც მუდამ ზომიერ ხასიათს ატარებს, ზაფხულის პერიოდში კი ხელშემწყობად მოქმედებს ნაყოფის მომწიფებასა და მის ხარისხზე<sup>2</sup>.

მესხეთში ქვისკედლიანი ტერასები ძირითადად უკავშირდება მეურნეობის ორ დარგს — მევენახეობასა და მებაღეობას. მესხეთის შესახებ ფრანგი დიუბუა დე მონპერე შემდეგს გადმოგვცემს: „ძველ დროში ეს მხარე აყვავებული იყო, ხელოვნება და მეურნეობა ჩინებული ჰქონდა. თვით იმ კლდე-ლრეებში, სადაც კი ადამიანის ხელი უწვდიდა, გამოჭრილი იყო არხები, რომელთაც ახლაც ვანციფრებაში მოჰყავხართ) ეს ადგილები დიდროვანი ქვის ზღუდეებით კიბე-კიბე იყვნენ შეჭრილნი, როგორადაც ყენევაში და ნეშატელში, და შემკულნი მრავლის ვენახითა და ბალით“ (XXXIV).

მესხეთი ვაზის აბორიგენული ჯიშების კერად არის მიჩნეული, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში შეგუებული იყვნენ მაღალმთის კლიმატურ პირობებს (VII). ტერასებზე დაბლარი ვაზი ჰქონდათ გაშენებული, რომელიც შემდეგი წესით იყო განლაგებული — ვაზს მიწაში ჩააწვენდნენ და გამოაყოფინებდნენ რქას ქვედა ბაქნის კედელში. ყლორტები დროთა მანძილზე კედელს ეფინებოდა და ნაყოფიც ზედ მწიფდებოდა, ისე რომ სარი-ჭიგო არ სჭირდებოდა. მწიფობის დროს კედელი მთლიანად იფარებოდა მსხმოიარე ყურძნით. ტერასებზე გარდა ვენახებისა გაშენებული იყო ხილის ბაღები. ჰქონდათ ქლიავი, ალუბალი, თუთა და სხვ. აქაური ვაშლი და მსხალი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ბაზარზე).

<sup>2</sup> მესხეთისაგან განსხვავებით, დაღესტანში ქარი ხშირად ანადგურებს ტერასულ ნარგავებს. გამოფიტავს და აღარბებს ნიადაგურ ფენას (XXXI).





მიუხედავად იმისა, რომ მესხეთის ხელოვნური ტერასები თითქმის მოწყობილია და სადღესოდ განადგურებულიც, სპეციალური გამოკვლევით დადგენილია, რომ მისმა ნიადაგებმა დღემდე შეინარჩუნა მაღალნაყოფიერება და თითქმის არ განუცდია ეროზიული პროცესების მოქმედება. ამაზევე მიუთითებს ამ ფართობებში ჰუმუსისა და მცენარისათვის საჭირო სხვა საკვები ელემენტების სიჭარბე (XXXII).

(აჭარა<sup>3</sup>. აჭარაში სამეურნეო ფართობების ტერასული განლაგების ტრადიცია დღესაც მტკიცეა და ცუდი. ქვით ნაგები ტერასები, როგორც წესი, კარმიდამოსა და მის ახლო მდებარე ნაკვეთებში გვხვდება.) მათ აღსანიშნავად რამდენიმე ტერმინი არსებობს — ს ე ქ ე ი / თ უ მ ბ ი / თ ა ხ თ ი. ამასთან ერთად ზოგჯერ ხმარებაში ყოფილა თ ა რ ო. ეს სახელები ძირითადად ხულოს რაიონშია გავრცელებული, სადაც ტერასების ქვით „შემოსვის“ წესი უფრო ტრადიციული ჩანს. შედარებით კარგადაა ტერასები დაცული ასევე შუბანში, ხაბელაშვილებში, დიოკნისში, კორტოხში, ვერნებში, ცალკეული ეგზემპლარები გვხვდება ქედის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში<sup>4</sup>.

(აჭარის მთიანეთის სოფლები ტრადიციულად ბუნებრივ ტერასებზეა გაშენებული, რომელთაც თავში, როგორც წესი, გარკვეული სიდიდის საგანგებოდ მოშენებული ტყის ზოლი აკრავს, ე. წ. „საფარი ტყე“.) ამის თვალსაჩინო მაგალითია ღორჭიში, რომელიც დაქანებულ ფერდობზეა განლაგებული: „მთელი ეს ტერიტორია აშკარად გამოვლინებულ ტერასულ ხასიათს ატარებს. დასახლების ეს თავისებურება განსაკუთრებული სიცხადით მართის ხეობაში, კერძოდ სოფ. შუბანში მოჩანს“ (IX, 14).

აჭარაში ეთნოგრაფიულად დამოწმებულია ბაქნების შენების ხალხური წესი, რომელიც შემდეგნაირად არის დახასიათებული: ქვალოდოვან გვერდზე, ერთი ნაპირიდან შეუდგებოდნენ ლოდების ამოყრას. გასამართი ტერასის ზოლზე შემხვედრ დიდრონ ქვებს ხელუხლებლად ტოვებდნენ და კედლის შენების დროს საძირკვლად იყენებდნენ. ასე ათავისუფლებდნენ ჯერ 3—4 მეტრის სიგანის ზოლს ნაკვეთის გასწვრივ. შემდეგ ძირის ქვების დასამარხად (საძირკველის მოსაწყობად) ამავე მიმართულებით გაჭრიდნენ 70—80 სმ სიგანის და 30—40 სმ სიღრმის ე. წ. საქვე ბუდეს. ძირის ქვებად იყენებდნენ ლოდებს, რომლებზეც შემდეგ მიწიდან გამოღებული ქვით, მშრალი წყობით აპყავდათ საჭირო სიმაღლის ყორე. როდესაც კედელს საჭირო სიმაღლეზე აიყვანდნენ, გვერდს გადმოთხრიდნენ და თაროსავით მოასწორებდნენ. მიწის სიმცირის შემთხვევაში მარხილით მოზიდავდნენ ტყის მიწას და ნაკვეთს შეავსებდნენ. ეს იყო ს ე ქ ე ი, თ ა ხ თ ი, თ უ მ ბ ი.

ხედაპირის სირთულის გამო აჭარისათვის დამახასიათებელი არ იყო დიდი მასივების ერთიანი, უწყვეტი დატერასება. ქვით ნაგები ტერასების აღრინდელი ნიშნები დაცულია სოფ. ხაბელაშვილებში, სადაც ნიადაგის დაკიბურების ტრადიცია დღესაც განაგრძობს არსებობას. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ტორიკულის უბანი. მისი ფართობი 6 კმ. აღემატება. ამ ტერიტორიაზე გაფანტულია ქვით ნაგები ძველი ტერასების მთელი სისტემა, რომელთაგან ყველაზე მცირეს ფართობი 50 კვ. მეტრია, უდიდესი კი 800 კვ. მეტრი. კედლების სიმაღლე ალაგ-ალაგ 2 მეტრს აღემატება. ტერასის მშრალი წყობით

<sup>3</sup> აქ და სხვგან აჭარის შესახებ მოტანილი ტექსტობრივი მასალა ამოღებულია ნ. ჩიჯავაძის ნაშრომებიდან (XI, XII, XIII).

<sup>4</sup> ყურადსაღება ის ფაქტი, რომ აჭარაში ბევრგან ტერასარებულ უბნებს მოსახლეობა „ნაქართლს“ უწოდებს (XI, 94).





ნაგები კედლები თითქმის ყველგან ვერტიკალურია. მცირე სიდიდის ტერასები ხეხილს უკავია, მოზრდილი ნაკვეთები სახნავ-სათესს წარმოადგენს, ხოლო ზოგიერთზე მეურნეობის შერეული ფორმაა მოცემული (ხეხილი, ბოსტანი, ნათესი).

საყურადღებოა ხელოვნური სარწყავი ქსელის ოსტატური დაკავშირება ტერასულ ნაკვეთებს შორის: სულ ზემო ქაზნიდან მოყვანილია წყალი, რომელიც ტერასს რუს საშუალებით გადაკვეთს, იგი ხის ღარით გადაყვანილია მომდევნო ტერასის კედელზე, ისევ რუში ეშვება და ასე მეორდება ბოლომდე.

ტერასების შენება მძიმე ფიზიკურ დატვირთვასა და ბევრ მუშახელს მოითხოვდა. ერთი ტერასის შექმნას ოჯახი რამდენიმე წელს ანდომებდა. ასეთ საქმეში ჩვეულებრივი იყო ახლო მეზობლებისა და ნათესაების დახმარება, რაც შრომითი გაერთიანების სხვადასხვა ფორმით იყო განხორციელებული.

ქართლი. ქართლში კედლიანი ტერასები ძირითადად გვხვდება ატენის ხეობაში (ტაბ. II, 1, 2), გორის რაიონში) ხეობის სიგრძე 35 კილომეტრს არ ეღვამატება, იგი ადრე გაუვალი ტყეებით ყოფილა დაფარული, რომელიც მერე გაუკაფიათ. ხეობას მიერთვის შედარებით მცირე ხევები — დეგეულას ხევი, აბანოს ხევი, წედისის-ხევი, ნათლისმცემლის ხევი, ვერის-ხევი, სათხი-ხევი და სხვ.

ატენის ხეობის ადგილობრივ მეურნეობაში მთავარი დარგებია მევენახეობა-მებაღეობა და მესაქონლეობა. აქ ოდითგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვაზის კულტურას. ვენახები ხეობის ორივე მხარეზე ქვის კედლებით შემაგრებულ ტერასებზეა განლაგებული, რომელთაც ადგილობრივ ბაქნებს უწოდებენ. დასახლება ჭარბობს მდ. ტანას მარცხენა სანაპიროზე, სადაც ტერასები სამოსახლოსთან ერთ კომპლექსშია მოთავსებული. არის მათი ცალკეული უბნებიც. მარჯვენა ნაპირზე ტერასები მდინარის დინებას გასდევს, იქ დასახლება თითქმის არ არის, დამუშავებულ ნაკვეთებს ესაზღვრება ტყე და ხშირი ბუჩქნარი. მარცხენა სანაპირო მზის გულია, მარჯვენა — ჩრდილის მხარე, მეტი სინესტე იცის, ცივი ადგილებია. ხეობის დახრილობა ორივე მხარეს 15—45 გრადუსს შორის მერყეობს<sup>5</sup>.

ტერასების უმრავლესობა ძველია, თუმცა საკმაოდ კარგად დაცული. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ხეობას ასათვისებელი ახალი ფართობები ნაკლებად აქვს. ბევრგან კედლების შეცვლა დაიწყეს ბეტონის ფილებით, რომლებიც ჯერ გამოცდის პროცესშია.

ხეობის კალთებზე განლაგებული ტერასები ძირითადად ვენახებისთვისაა გამოყენებული. აშენებენ აგრეთვე ხილის ბაღებს და ბოსტანს. ბაქნების ქვის წყობა მშრალადაა ნაგები, კედლების სიმაღლე 1-დან 2—2,5 მეტრამდეა, ხოლო სიგრძე 6-დან 15—20 მეტრის ფარგლებში მერყეობს. ტანას მარჯვენა სანაპიროზე ბაქნების სიგრძე მეტია; ასევე სოფლის განაპირა, ხეობის ჩაღმართ ფერდობებზეც შედარებით მოზრდილ ნაკვეთებს ვხვდებით. ბაქნების სიგანეც განსხვავებულია, საშუალოდ 4—8 მეტრს უდრის. ზოგან 2-პირადაა ვაზი მოთავსებული და ზოგან 5 პირად, გარშემო ხილის ხეები ეკვრის. ბაქნების განლაგება ფერდობზე უმეტესად 3—4 იარუსიანია და ზოგან 6 იარუსამდე აღის. ძლიერად დაფერდებულ კლდოვან ფერდობებზე ძველად მიღებული ყოფილა უვარგისი, მწირი ნიადაგის შეცვლა ნოყიერი მიწით, რაც განსაკუთრებით დიდ დროსა და მუშა-ხელს ითხოვდა. სავაზედ განკუთვნილ ადგილებში სცოდნიათ

<sup>5</sup> ატენში დაცულია „ატენის სიონი“, რომელიც VII საუკუნით თარიღდება. ამას გარდა ხეობაში 50-მდე ძველი ეკლესიაა შემორჩენილი, რომელთა დიდი ნაწილი დანგრეულია (IV, 11).





მიწის ქვასთან შეზავება და ჩატკეპნა, რათა გვალვისაგან დაეცვათ მცენარეული ფესვები და ნიადაგისათვის ტენის შენარჩუნების უნარი გაეზარდათ.

ძველად ბაქნებზე ხეივნები ჰქონდათ გამართული, მას ადგილობრივ ხე-იბანსაც უწოდებენ. ბაქნის ქვედა კედლის ნაპირიდან გადიოდა ხის ლატნები, მის ქვევით მოთავსებული ბაქნის თავზე ბოლომდე და ნაკვეთის დასასრულს ჩადგმულ ხის ბოძებს ეყრდნობოდა. რამდენი ბაქანიც იყო, იმდენი ხეივნის მოწყობა შეიძლებოდა. ხეივანზე გაშვებული იყო ადგილობრივი მამაპაპეული ვაზის ჯიშები — ატენური მწვანე, თავკვერი, ჩინური, ბუდეშური და სხვ. დღესაც საყოველთაოდ ერიდებიან ბაქნებზე ვაზის მეზობლობაში სხვა მცენარის დარგვას, ხილის ხეები ნაკვეთის განაპირა ზოლს გასდევს. ძველად აუცილებელი იყო ამ ნაკვეთების საქონლის პატივით გამდიდრება (ახლა ქიმიურ სასუქს ხმარობენ). ატენის ტერასები ირწყვება.

ქსნის ხეობა. ეთნოგრაფიული კვლევით უძველესი ტერასირებული უბნები დადასტურებულია ქსნის ხეობაში. ქსნის ხეობა უძველესი კულტურის კერაა საქართველოში, რაზეც მრავალი ისტორიული დოკუმენტი მიუთითებს. მისი მეურნეობა წარმოადგენდა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზს, სადაც თითოეულის უპირატესობა დამოკიდებული იყო ზონალობის ადგილობრივ მაჩვენებლებზე. — „ქსნის ხეობაში მოცემული იყო ბუნებრივ პირობებთან შეფარდებული სამი სახის მეურნეობა: ბარული (ლენინგორამდე), მთის ძირის (ლარგვისამდე) და მთის ზოლისა (ლარგვისს ზევით). ეს ფაქტორი განაპირობებდა როგორც მის დასახლებას, ასევე მეურნეობის ხასიათსა და ამა თუ იმ დარგის დაწინაურებას“ (III).

ქსნის ხეობას მრავალი ხეობა უერთდება. ტერასული მეურნეობის ნაშთები შემოგვინახა ერთმა მათგანმა — ცხავატის პატარა ხეობამ, რომელიც ქსნის ხეობის გარდამავალ ზოლშია მოთავსებული. ამ ზოლში პურეულის ყველა ჯიშია წარმოდგენილი, არსებობს სარწყავი სისტემა, დადასტურებულია ვაზის კულტურის არსებობა. ხეობის სიღრმეში მდებარე სოფლებში ოდესღაც ღვინო უკეთებიათ. ამაზე მიუთითებს ხალხში მრავლად შემონახული თქმულება-გადმოცემა ცხავატური ღვინის სიკეთისა და სიუხვის შესახებ.

ცხავატის ხეობაში ტერასები განლაგებულია მდ. ცხავატურას მარჯვენა ნაპირზე. „ქსნის ხეობაში მიწის სიმცირის გამო მოსახლეობა საუკუნეების მანძილზე იძულებული იყო ბუნებისაგან გამოეგლიჯა საყანედ გამოსადეგი მიწის თითოეული ნაკუწი... ცხავატურას ხეობის ზვრებში დღესაც ჩანს ტერასიებურად აგებული ყორეები, რომლებიც ფერდობებში ნიადაგის დაქანების წინააღმდეგ ყოფილა მიმართული“ (III). ცხავატის ხეობის მზვარე ტერასებზე ძველად ვენახები იყო გაშენებული და უხვი, მაღალი ხარისხის მოსავალს იძლეოდა (XIV). დღეისათვის ტერასული უბნები მეტად დაზიანებულია, მაგრამ კედლის ნაშთები მაინც საკმაოდ რელიეფურად ჩანს. დარჩენილი ფრაგმენტების მეშვეობით შესაძლებელი ხდება როგორც ქვის კედლის მშრალად ნაგები სახის აღდგენა, ასევე ფერდობზე მიყოლებით განლაგებული მრავალიარუსიანი კომპლექსის დადასტურება, რომლის უმაღლესი განფენილობა 7 იარუსს შეიცავს. ყველაზე ქვევით მდებარე კედელი ხეობას დინებიდან 2 მეტრის სიმაღლეზე გასდევს და 9 მეტრის სიგრძეს აღემატება. რაც უფრო ღრმავდება ხეობა, მით უფრო ხშირდება ტერასირებულ ფერდობებზე მცენარეული და სულ მალე ხშირი ტყით იფარება. როგორც ვიხსენებ, ქვით ნაშენი

კედლები ტყეშიც ბევრი მოიძებნება, მაგრამ გარედან მათი შემჩნევა მცენარეული საფარის გამო ჭირს, ტყე დგას ზედ<sup>6</sup>.

ხეობის მკვიდრთა გადმოცემით, ეს ადგილები ნავენახარია, რომელიც დროთა მანძილზე ჩამოიჩხატა, დაიშალა ნიაღვრისაგან და აქ დარგული ვენახიც თან წაიღო. ვენახი მრავლად ყოფილა ასევე ცხავატურას ჭალაში, გოგინაანთ უბანში, რომელიც მურყანის ტყით იყო გარშემორტყმული და უხვად გააჩნდა სარწყავი წყალი. ცხავატის ახლოს მდებარე ქვემო მზვარეში ახლაცაა შემორჩენილი ნაშენი კედლები და აქა-იქ გაგარეულებული ვაზის ნაშთები. ქვის კედლებით ფერდობი ადგილების შემავრების შესახებ საინტერესო ცნობები ქსნის ხეობის სხვა უბნებზეცაა შემონახული. მაგალითად, ლარგვისის ძველ მამულებში, რომელიც დიდი ხნის წინაა მიტოვებული, ადრე სცოდნიათ ამ გვარად ქვების გარიგება, კედლების გაკეთება, სადაც პური და ქერი ეთესათ. ტყეში ნაკეთები კედლებისა და ქვისკედლიანი ჯებირების შესახებ ცნობები დღესაც მოიპოვება.

(მთიულეთ-გუდამაყარი. მთიულეთ-გუდამაყარში მოსახლეობა უძველესი დროიდან ცდილობდა შეემუშაებინა ნიადაგების ათვისების რაციონალური წესები. ამისათვის „მიმართავდა სახნავი მიწების ტერასირებას, მორწყვას და გაბატონებას“ (XXVII). აქ დასტურდება ნიადაგის ტერასირების ტრადიცია როგორც სახნავ-სათესი ფართობებისა, ასევე საკარმიდამოსი.) როგორც ცნობილია „...ქვის ყორეების ამოშენების წესი კავკასიის მთიანეთში ტერასირების ერთ-ერთ ძირითად სახეობას წარმოადგენს. საქართველოდან საამისო მაგალითად დავასახელებთ მთიულეთში ხანდოს ხევის სოფ. ვეშაგურთას, სადაც საბოსტნე ადგილები ეხლაც არის ტერასირებული, და ამავე ხეობის სოფელ წინამხარს, სადაც ტერასირების საუკეთესო ნიმუშს ბალის საკმაოდ დიდი ფართობი წარმოადგენს“ (VIII) (ქვის კედლებით შემავრებული ტერასული უბნები მთიულეთში ბევრგან გვხვდება) დასახლების კომპლექსში კი განსაკუთრებით რელიეფურადაა დაცული სოფ. წინამხარში. სოფელი ხეობის დასაწყისში, მის ორივე მხარესაა გაშლილი. ტერასული დასახლება მარცხენა ფერდობზეა გამოკვეთილი. საკარმიდამო ნაკვეთები საფეხურის მაგვარად არის ფერდობზე განლაგებული. ყოველ მათგანს გარშემო აკრავს ბალი და ბოსტანი, რომელიც ასევე ხელოვნურად დაბაქნებულ, რამდენიმე იარუსად განლაგებულ მოედნებზეა გაშენებული. ტერასის კედლები მშრალი წყობითაა ნაგები და მერყეობს 1—1,5 მეტრის ფარგლებში. ყველაზე მაღალი კედელი 2 მეტრს არ აღემატება, სიგრძე 10—15 მეტრია. ხანდოს ნაპირებზე ქვის მასალის სიუხვე მათ მშენებლობას აადვილებს.

მსგავსი სურათი მეორდება სოფ. ვეშაგურთაში. აქ ტერასებზე ხილის ხეები ჭარბობს. ქვის კედლებით შემავრებული ბაქნები კარმიდამოს ახლთა. ტერასული ნაკვეთები მუდმივ განოყიერებას მოითხოვს. მორწყვა როგორც ძველად, ისე ახლაც არარეგულარულ ხასიათს ატარებს.

(ქვის კედლებით შემავრებული ტერასული ნაკვეთები დადასტურდა ასევე გუდამაყარში.) თავისი შინაარსით იგი ახოს ადების წესს უკავშირდება. ამ თვალსაზრისით თვალსაჩინო ობიექტია სოფ. ჩოხი, რომლის დასახლება ბევრგან ტერასულ სახეს ატარებს. ამას განსაკუთრებით კარგად გადმოსცემს ჩოხის ზედა უბნის დასახლება. (ტერასირებულ მოედნებზე გაშენებული ბალი და ბოსტანი ძველად ნაშენი კედლებითაა გარშემორტყმული და მას ეფუძნე-

<sup>6</sup> ცხავატში დაცულია მაცხოვრის ეკლესია ლაბიდარული წარწერით, რომელიც პალეოგრაფიულად X საუკუნით თარიღდება (XX, 5).





ბა. წინათ ამ ფართობში პურეული მოჰყავდათ. დღესაც საქონლის ნაკელით ანოყიერებენ და პერიოდულად რწყავენ. ტერასების მოწყობის წესები კარგად ახსოვთ ასევე სოფ. ხოზას უხუცეს მკვიდრთ. მათი შექმნა ახალი ნაკვეთის ათვისებასა და ამავე დროს მის დაცვას ითვალისწინებდა. ამ მიმართებით საინტერესოა ტერასული მდებარეობის ადგილობრივი აღმნიშვნელი ტერმინი დაჭრილი მამულეები. ესაა მთებში საკმაოდ შევული მდებარეობის უბნები, რომლებიც მისადგომ ადგილებშია გამოვაკებული და ნახნავი ზედაპირი ქვითაა შემავრებული. მთიულეთ-გუდამაყარში, რომლის რელიეფი არ წარმოადგენდა მარცვლელ კულტურებისათვის იოლად ასათვისებელ გარემოს, ადგილობრივი მოსახლეობა ყველა ღონეს ხმარობდა არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისათვის. ამიტომ ჩატარებულ ღონისძიებათა რიგში ნიადაგის ახოდ გადაქცევა და მისი ტერასირების მეშვეობით ახალი ნაკვეთების შექმნის პრაქტიკა დიდი სამეურნეო დანიშნულების მქონე იყო. დღეისათვის ტერასული უბნები მხოლოდ დასახლების კომპლექსში შეიძლება იყოს ნანახი.

ხევი. ხევი საქართველოს მაღალმთიანი ზონის ტერიტორიას მოიცავს. კლდოვანი, ძლიერად გადაკვეთილი მდებარეობის გამო მოსახლეობას მიწათმოქმედებისათვის ათვისებული და დამუშავებული ჰქონდა მცირე დაბლობებში და მთის კალთებზე მიმობნეული მიწის ნაკვეთები. მაღალი მდებარეობის სახნავებს მუდმივ საფრთხეს უქმნიდა თოვლდნობა და წვიმით გამოწვეული ნიადაგის დარეცვა. მათი შენარჩუნების მიზნით, არსებული მიწის ფონდის დაცვის საჭიროებით იყო ადგილობრივ შეპირობებული ფერდობის გამოვარებისა და მისი კედლით შემავრების საშუალებათა გამოყენება.

ფერდობზე ტერასული ნაკვეთების მოწყობა შემდეგი წესით ხდებოდა: ფერდობის დახრილობის შესატყვისად ამოაშენებდნენ სათანადო კედელს; მერე იწყებდნენ ფერდობის ხვნას საბრუნავი გუთნით, კედლის გაყოფებაზე, ისე, რომ ნახნავი მიწა კედლის ნაპირისაკენ მოექციათ. რამდენიმე პირის გავლის მერე, როდესაც მიწაყრილი სათანადო ღონეს მიღწევდა, განაგრძობდნენ კედლის მატებას. ასე გრძელდებოდა რამდენიმე ხანს ისე, რომ ტერასული ნაკვეთის საბოლოოდ გაფორმების პროცესი ზოგჯერ 10—15 წელსაც გასტანდა. დროთა მანძილზე ფართობი დასრულებული, სწორი ზედაპირის სახეს ღებულობდა, სადაც ითვისებოდა მარცვლელული. აქვე ჰქონდათ სათიბიც. საბრუნავი გუთნით სატერასე ფართობის მოხვნა ასე ხდებოდა: ჯერ ერთ პირს გაატარებდნენ თავიდან ბოლომდე, მერე ამოიღებდნენ კაპზე, შტოზე დამავრებულ სახნისს და ახლა უკან დააბრუნებდნენ. ასე იქმნებოდა მთის კალთებზე ნახნავი, ნაძრავი მიწა. მისი ჩამოშლის ყველაზე საშიშ ადგილებში მიღებული იყო მთლიანი, დამცველი კედლის ამოშენება, რომელიც საფუძველს უმაგრებდა მთელ ფართობს.

კედლების აგება იცოდნენ აგრეთვე მთებზე, ძლიერი ნიაღვრების გავლის ადგილებში. წყლით დარეცხილ მიწაზე იტყვიან — ხევში ადგილი დაიხახაო. დაშლილ, დახრამულ ნიადაგს ხახი ერქვა. ტერასის კედლების სიგრძე 5—6 მეტრს არ აღემატებოდა; უფრო მომცრო 2—4 მეტრის სიგრძისა იყო. კედლებს სიმაღლე 2 მეტრამდე ჰქონდა. ხშირად ტერასულ ნაკვეთებს ერთიმეორისაგან ბეჭები — მთის ბუნებრივი, დამრეცი ქანობი მიჯნავდა, რომელიც ბალახით იყო დაფარული. ასეთ ადგილებში იარუსულ განლაგებას ცვლის ფერდობზე გაბნეული, ცალკეულ უბნებად მოწყობილი ბაქნები.

ტერასულ ვაკეებზე ეთესათ სვილი, ქერი, უფრო ხშირად ქერ-სვილი. ხდებოდა მათი შეძლებისდაგვარად რწყვა, განსაკუთრებით ხმელი ადგი-





ლების. ამისათვის 4 თითის დადებაზე, რასაც ბარის წვერი ამოიღებდა, ჭრიდნენ თხრილს და პატარ-პატარა არხების მეშვეობით უწილებდნენ წყალს ყველა ნაკვეთს. ტერასების განოყიერება ყოველ წელს იყო საჭირო. ტერასების კედლების მშენებლობაში გამოყენებული იყო ბასარი ქვა. იგი მოიპოვება მდინარის პირებზე, ხევებზე, მთებში, იყენებენ სააღმშენებლოდ. ბასარი ქვით ნაშენი კედელი მშრალი კედელია, მას ქაჯის კედელსაც უწოდებენ. რადგან ჯიშით ჭაჭს<sup>7</sup> ეკუთვნის, მაგრამ მასზე მაგარია. ბასრი ქვა ტერასული კედლების მშენებლობის ძირითადი მასალაა<sup>8</sup>.

იმერეთი. ტერასული მეურნეობა ტრადიციული დარგია დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში. უძველესი დროიდან დამუშავებული იყო ფერდობები, სადაც სახვნელი იარაღის გამოყენება ჭირდა და თოხით ხდებოდა მიწის ათვისება. თავისებური კლიმატური გარემო, მცენარეული საფარის სიუხვე, ზედაპირის ძლიერი დასერილობა, ჭარბი ატმოსფერული ნალექები და მთაგორიანი რელიეფი ხელს უწყობდა მიწის ახალი ფართობების გამოჩახვის პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას.

იმერეთში ქვისკედლიანი ტერასები განსაკუთრებით რელიეფურადაა შემონახული წულუკიძისა და ჭიათურის რაიონებში. აქ, ქვის კედლებით, ყორეებით შემაგრებულ ტერასებზე გაშენებულია კარმიდამო, ვენახი, ხილის ბაღი და ბოსტანი. ასეთი ეზოები მთის ზოლში გვხვდება, სადაც მთის ფერდია და აქეებია განვითარებული.

ტერასების შესანიშნავი ნიმუშებია დაცული სოფ. დვედში (წულუკიძის რ-ნი), რომელიც მაღალ გორაკზეა გაშენებული. თითქმის მისი ყველა უბანი ქვისკედლიანი ყორეებითაა შემოსაზღვრული და მას ეფუძნება, რომელიც დასავლეთ საქართველოში ტერასების მშენებლობის მაღალი კულტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

ქვისკედლიანი ტერასები ჭიათურის რაიონში გამოყენებულია ვაზისა და ხილისათვის. ვხვდებით მასზე სიმინდის ნათესებს. ტერასების ფართობი ამ რაიონებში 50 — 100 კვ. მ ფარგლებში მერყეობს. ყორეებში მოქცეულ ნაკვეთებს იმერეთში „ირმიცულ“ ეზოებს უწოდებენ, რომელიც რამდენიმე „ნაჭრადაა“ გაბნეული. თითოეული ნაჭერი სხვისი ეზოსაგან ყორითაა გამოთიშული. მიწის დაქუცმაცებულობა არ იძლევა საშუალებას, რომ პატრონს თავისი საკარმიდამო და ეზო „ერთ ყორეში“ ჰქონდეს მოქცეული (XVI, 52).

სამეგრელო. საინტერესო ტერასული უბნებია ჩხოროწყუს რაიონში, მუხურის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე, ხობისწყლის ხეობის ზედა წელში (ტაბ. III). მუხური ძველი დროიდან ამ ადგილის ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული ცენტრი ყოფილა. მუხურის უბნების დიდი ნაწილი მთა-ფერდობებზე იყო შეფენილი (ლაკადა, მთაოსინდალე და სხვ.). სოფ. მუხურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ძველთაგანვე ტერასული ტიპის მიწათმოქმედება იყო განვითარებული. მცირე, ქვის ღორღით და ღობურით გამაგრებული ტერასული ტრანშეები კიბისებურად მიყვებოდა ფერდობებს და ჭალა-ჭალას და დაფარული იყო ღომისა და სიმინდის ნათესებით, ხლითა და ყურძნით (XX1, 9). მუხურის ტერიტორიაზე დადასტურდა რამდენიმე ტერასული უბანი, რომელიც ადრე გაბედავების ნასახლარი იყო. ადგილს ლეგაბედეს უწოდებენ, იგი მუხურის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მთების კალთებზეა განლაგებული. ტერასული უბნები მიკე-

<sup>7</sup> ჭაჭის ჯიშის ქვას ხევში ასახელებს ს. მაკალათია (V, 13).

<sup>8</sup> მასალა მოგვაწოდა გ. ჩიქოვანმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.





ლუღია სოფლიდან 1 კმ-ის მოშორებით, მცენარეული დაბურულ ფერდობებზე. ხელოვნური ტერასები ცალკეულ ნაკვეთებად არის წარმოდგენილი. ყოველ მათგანს ერთმანეთისაგან ქვის დაბალი კედელი, ყორე//ხუროგი მიჯნავს, რომელიც ღობის როლსაც ასრულებს. მიდამო გატყიანებულია და გავერანებული, ადრინდელი დამუშავების კვალიც არ ეტყობა. ტერასული ხელოვნური კედლები საკმაოდ რელიეფურად ასახავს ფერდობზე მათი განლაგების სტრუქტურას. შემორჩენილ უბნებზე 6 და 7 იარუსიანი კედლების დადგენა შეიძლება. კედელი დიდი ღოდებისაგან არის ნაგები და მთლიანად ხავსი და ბალახი ფარავს. ფერდობზე ბევრგან კლდოვანი ქანობი მიწის ზედაპირზეა ამოზიდული და ბუნებრივ ზღუდეს ქმნის. ასეთ ადგილებში ბუნებრივი ქანობის კონტური ფერდობის გაყოლებაზე ამოშენებულია და გაგრძელებული ქვის მშრალი წყობით, რომელიც საბოლოო სახით აფორმებს ტერასულ კედელს. ფერდობზე თითოეული ნაკვეთი, ანუ მიჯნებით შემოსაზღვრული ფართობი საკმაოდ დიდია და 30—35 გრადუსამდე დახრილობას ქმნის. ათვისებული ფერდობის განფენილობა 250 მეტრამდეა. კედლების სიმაღლე მერყეობს 1,5—2 მეტრს შორის. ფერდობზე აქა-იქ მოჩანს გადაგვარებული ვაზის ნაშენები. ხალხში დაცული ცნობებით უფრო გვიან აქ ყანა ჰქონიათ გამართული. ძველი ყორეები გავრცელებული ყოფილა აგრეთვე ლუგელას ხეობასა და მის მარცხნივ განლაგებულ საყანებთან, რომელსაც მოსახლეობა ზინდს უწოდებს: ასევეა ხობისწყლის ხეობაში.

უძველესი ტერასირებული უბნები მიკვლეულ იქნა გეგეჭკორის რაიონში, გაჭედის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე სოფ. I ბაღდას მიდამოებში (ტაბ. IV). ძველი ყორეები ზებერდე-კირდეს ანუ ზებერდეს მთის კალთებზეა განლაგებული. ადგილის სახელია როდი. ფერდობის დახრილობა 35—40 გრადუსი და ზოგან მეტიც არის. გრუნტი ქვიანი, ძლიერად ეროზირებულია, ნიადაგური ფენა დაშლილია და დარეცხილი. ყორეების ადგილები მცენარეულისაგან თითქმის შიშველია და კედლის ერთიანი კონტურის დადასტურება არ ხერხდება. შემორჩენილი უბნების მიხედვით შესაძლებელი ხდება როგორც მათი იარუსული განლაგების დადგენა, ასევე სამეურნეო პროფილის ხასიათის გადმოცემა. ყორის კედლები 6 იარუსამდე აღის. ფერდობის შვეული ექსპოზიციის მონაკვეთში, გზის გაყოლებაზე შედარებით კარგადაა დაცული რამდენიმე ყორის ფრაგმენტი, რომლის სიმაღლე 1,5 მეტრია. ქვის წყობა იმეორებს საქართველოში გავრცელებულ ტრადიციას და მშრალადაა ნაგები.

ადგილობრივ, ტერასების მოწყობის პრაქტიკულ დანიშნულებას მიწის დაშლასა და დარეცხვას უკავშირებენ: წინაპრებს აქ ვაზი ჰქონიათ გაშენებული, ხოლო ომის დროს ღობი და ჰვავი ეთესათ. კარგად არის დაცული ხალხის ხსოვნაში ყორის შენების წესები და ფერდობის ათვისების საშუალებანი. ყოველი ტერასული ფართობის თავში მიწის დასამავრებლად რგავდნენ ხეებს — კაკალს, წაბლს, მუხას, რაც დღესაც კარგად ჩანს შემორჩენილ ტერასირებულ უბნებზე. ყორეების მშენებლობის პრაქტიკა კარმიდამოს კომპლექსში დამოწმდა სოფ. მეორე ბაღდაში, სოფ. მესამე ბაღდაში, სალხინოში, ლეცავეს უბანში. კურზო-დობერაზენში და სხვ. ძველი ყორის კარგად შემონახული ფრაგმენტები დაცულია ამჟამად სალხინოში, დადიანების ყოფილი სასახლის ეზოში და იცავს ჩამოქცევისაგან 15 გრადუსი დახრილობის დიდ ფართობს.

სვანეთი. ტერასული მეურნეობა სვანეთში სპეციალურად არ არის შესწავლილი. ლიტერატურული მონაცემებით ტერასები ყოფილა გასული სა-

უკუნის ბოლოს სადადიანო სვანეთში, ჩოლურის თემში, რაზედაც შემდგომში ამონაწერი მიუთითებს.

„... ზოგან ვიწრო ხეობა ფართოვდება, სადაც განლაგებულია სოფლები, რომელთაც სახანავ-სათიბი ეკვრის. ჩვენ ვაკვირებას არ ჰქონდა საზღვარი, როდესაც დავინახეთ, რომ ხეობის ორივე მხარე ასეთ ადგილებში სწორ ტერასებად ეშვება და თითოეულის ნაპირი გულდაგულ ამოშენებულია ქვით. უკიდურესი იყო ჩვენი გაოცება, როდესაც ვავიგეთ, რომ ყველა ეს ტერასა ხელოვნურია. მოაქვთ ნიადაგი და ფერდობები, ადრე სრულიად გამოუყენებელი, გადაქცეულია საუკეთესო მიწად, სადაც თესენ სიმინდს, ფეტვს, ხორბალს, ხოლო მაღალ კალთებზე — ქერსა და ჭვავს“ (XXXIII).

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში ნიადაგების ათვისების ტერასული ფორმა მაღალგანვითარებულ ტრადიციას ამჟღავნებს. სამეგრელოში ქვისკედლიანი ტერასების აღმოჩენა შესაძლებელს ხდის ამ სახის ხალხური ღონისძიებანი დასავლეთ საქართველოში მივიჩნიოთ იმ ერთიანი, ზოგად-ქართული კულტურის ელემენტად, რომელიც ყველაზე რელიეფურად დღეს მესხეთშია შემორჩენილი. მათი აღმოცენება და გავრცელება ნაკარნახევია მთისძირა მეურნეობის პრაქტიკული საჭიროებით და შეპირობებულია მცირემიწიანობის, ნიადაგის, ეროზიის, ჭარბტენიანობისა და სათანადო კულტურების მოვლამოშენების მდიდარი გამოცდილებით.

**2. ხისკედლიანი ტერასები.** ქანობის დაშლისა და ეროზიისაგან დასაცავ ხალხურ სამეურნეო ღონისძიებას წარმოადგენს მიწის ხით შემავრების წესი, რაც ფერდობის დაცვას ისახავს მიზნად. იგი ფართოდაა გამოყენებული მთელ საქართველოში, აჭარაში კი განსაკუთრებით რელიეფურადაა დაცული.

(აჭარა<sup>9</sup>. ხისკედლიანი ტერასის ტიპს წარმოადგენს აჭარაში საყოველთაოდ გავრცელებული კადონი, რომელსაც ასევე სანკალს უწოდებენ. კადონის ქვესახეობაა ე. წ. ჭერიანი კადონი, რომელიც მის განვითარებულ კონსტრუქციას წარმოადგენს. ძელური ტერასის განვითარებული სახეა ასევე ბორკილი. კადონი მარტივი სახის ბაქანია, რომელიც ფერდობს იცავს დაშლისაგან) მის მოსაწყობად ნიადაგს პალოებით მწკრივად „დაპასლავდნენ“. მათზე საგანგებოდ შერჩეულ საკადონე ძელებს „ლატნებს“ მოაწყობდნენ, რის შემდეგ ყანას მოფოცხავდნენ და მონაფოცხ-მონაგარს კადონის „ლატანს“ მიაყრიდნენ. ეს იყო დაკადონება. ახლებში კადონები ერთ-ერთიანი იცოდნენ, მაგრამ სადაც ქანობი დიდი იყო, უფრო სქელტანიან ერთ-ერთ ლატანს გაუდებდნენ. ასეთი კადონი მცირე ბაქანს ქმნიდა და 1—2 ძელით გამართული ფრონტალური კედელი ჰქონდა. საკადონედ გამძლე, მაგარი ჯიშის ხეებს არჩევდნენ. კადონის განვითარებული კონსტრუქციაა ჭერიანი კადონი და ბორკილი.

ჭერიანი კადონი იმეორებს კადონისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, დამატებით აქვს ე. წ. ჭერი, რომელიც კადონს უფრო მყარ საფუძველს უქმნის და მიწის საცავს წარმოადგენს. ჭერიანი კადონი დიდ დატვირთვას უძლებს და ძირითადად ყანის ბოლო ტერასებსა, ეზოს პირებში და „ეზოკარში“ გვხვდება. ბორკილი ძელური ტერასის განვითარებული სახეობაა. ამგვარად ნაგები კედელი ადვილად არ ირღვეოდა, ბორკილი განსაკუთრებით დიდ დატვირთვას იტანდა. კედლის გასწვრივ, წინა მხრიდან ყოველ 3—4 მეტრზე საგანგებოდ დარგული ტირიფის ხე ახლდა, რომელიც 2—2,5 მეტრის სიმაღლეზე იყო გადაჭრილი და გასხლული.

<sup>9</sup> მოტანილი ტექსტი ეყარება ნ. ჩიჯავაძის ნაშრომს.





აჭარაში კადონური წესით მიწის შემავრების ფაქტები დღესაც არაერთგან მოწმდება. კადონის შემონახულობის საუკეთესო ნიმუშია სოფ. ინაშვილები (ქედის რაიონი).

**გ უ რ ი ა.** ხის მეშვეობით ნიადაგის შემავრების ხალხური საშუალებანი ფართოდაა გამოყენებული გურიაში. ისინი ბევრ საერთოს ამყლავნებენ როგორც კონფიგურაციით, ასევე პრაქტიკული დანიშნულებით ტერასული მეურნეობის ფორმებთან და თავისი ხასიათით ტერასული მეურნეობის გაგებას შესატყვისებთან. (გურიაში დასტურდება ნიადაგების დაცვის ხალხური წესები, რომლებიც ადგილობრივ დაბეკვის სახელითაა ცნობილი.) ბეკი დამუშავებულ ფართობს უკეთდება ჰორიზონტალურად და ხით შექმნილ გამავრებას წარმოადგენს. (ბეკისათვის მიწაში ხის პალოებს ჩადებდნენ, მაგრად მოტკეპნიდნენ და ზედ დიდ ხეებს მოაწყობდნენ.) პალოები ბეკისათვის განკუთვნილი ხის მორების დასამავრებლად იყო საჭირო. შემდეგ ზედ ჩალასა და მონაკაფს მიაყრიდნენ და ზემოდან საუკეთესო ხარისხის მიწას ამატებდნენ. ბეკების გამართვა თითქმის კადონის ანალოგიურად ხდებოდა. ბეკების სიმრავლით განსაკუთრებით გამოირჩევა სურების ხეობა (ჩოხატაურის რაიონი), მათი გამოყენება იცოდნენ საქარმიდამო ნაკვეთებშიც, სადაც ხილი და ვენახი იყო გაშენებული (XVII).

უკედლო ტერასები

**1. მევენახეობა-მებაღეობისათვის გამოყენებული,** კედლიანი ტერასის ანალოგიურია უკედლო ტერასები, რომელთა კონსტრუქცია ერთ პრინციპს ემყარება. უკედლო ტერასებს ქვის წყობით შექმნილი შემავრება, ზღუდე არ უკეთდება. ეს ტიპი გამოსახულია ფერდობის ნაკლები დახრილობით და ზღვის დონიდან 300—1000 მეტრის გარდამავალ სარტყელს განეკუთვნება.

**ქ ა რ თ ლ ი.** უკედლო ტერასები საყოველთაოდაა გავრცელებული ქართლის რეგიონში. ისინი დადასტურებულია გორის, კასპის, მცხეთის, თეთრიწყაროს რაიონებში, დიღმის ხეობაში, თბილისის შემოგარენში. მათი მოწყობა ფერდობში მიწის თანდათანობით გადმოთხრის პროცესში ხდება, ერთმანეთისაგან ბალახით დაფარული ფერდობის ბუნებრივი დახრილობა მიჯნავს. თითოეულ ფართობს შიდა მხარეს აქვს დაქანება. უკედლო ტერასის რამდენიმე სახეობაა დადასტურებული: ბ ა ზ ო // ბ ე ზ ო, // ე ტ ი // ი ე ტ ი, ბ ა ქ ა ნ ი // ბ ე ქ უ მ ი // ტ ა ხ ტ ი // ჩ ე მ ა. ბ ა ზ ო ეწოდება როგორც ტერასას, ასევე კვალს. როდესაც იტყვიან — „ფერდობი ბაზოთ გაკეთდა“ — ეს ნიშნავს ფერდობის დატერასებას; „ორი ბაზო ხახვი მაქვს“ — მიუთითებს, რომ ერთ ტერასზე ორ ნაკვეთად, კვალად, ბაზოდ, ხახვია დარგული. ბაზოს ზოგან გატეხილ მამულს უწოდებენ, რომელიც ადრე ნახხოარ ტყის პირებზე ტერასულად იყო მოწყობილი (სოფ. ნიჩბისი, სოფ. სასხორი). ბაზოები იცავს ნიადაგს და ც უ რ ე ბ ი ს ა გ ა ნ. მათზე ძირითადად ბაღი და ბოსტანია გაშენებული. ბაზოებს აწყობდნენ ბარის, წერაქვის, თოხის, რკინის კეტისა და ნიჩბების საშუალებით. ეს მძიმე სამუშაო ხშირად გავრთიანებული ძალებით წარმოებდა, რასაც ქართლში დაძახილს და ულამს უწოდებდნენ (XIX).

ბაზოსთან შედარებით ეტი დიდი მოცულობის ტერასულ ფართობს ეწოდება. იგი გამოყენებულია როგორც ხილისათვის, ასევე სიმინდის ყანისა და ბოსტნისათვის. ბაქანი და ტახტი ძირითადად სავენახე ადგილე-



ბია, რომლებიც მოცულობით ბაზოსა და იეტს ჩამოუვარდება. ტახტების იარუსული განლაგება უფრო მკვეთრადაა გამოსახული, დასტურდება მათი 5—6 იარუსიანი კომპლექსები, მაშინ როდესაც ბაზოები და ეტები 2—3 იარუსს არ აღემატება. დღეს ტახტებზე ვაზის გაშენება ძველი ტრადიციის გაგრძელებაა. აქაური ჯიშები — ბუდეშური, გორულა, თავკვერი, ქიწნურა და სხვ. საუკეთესოა ბაქნებზე და დაბლობთან შედარებით მაღალი ხარისხის პროდუქციას იძლევიან. ქართლის ტერასები დღესაც წყლის შიდა რესურსებით არის მომარაგებული. ამჟამად გამოყენებულია საბაღედ, საბოსტნედ და სავენახედ.

აჭარა. უკედლო ტერასის აღმნიშვნელია აჭარაში ო რ ო კ ი. იგი მოწყობილია ფერდობზე და განსაკუთრებული თვისებების ნოტიო ნიადაგებზე. ოროკოებს აკეთებდნენ როგორც სახვნელით (ჯილდით), ასევე თოხით, ეს მაშინ, როდესაც მიწას დიდი დაქანება ჰქონდა და გამწვევი ძალა არ მიუღებოდა. ოროკოების ბაქნები და მათ შორის კედლებიც დახრილია. ფართობიც ნაკლები აქვთ (ქვისკედლიან ტერასებთან შედარებით). მათი გავრცელების ძირითად არედა ქვემო აჭარა, მაჭახლის ხეობა გვევლინება. ამჟამად მათი ძირითადი ნაწილი მოშლილია, ხოლო ზოგი მათგანი კარგად არის შემონახული და დღესაც გამოყენებულია (XII).

2. მემინდვრობისათვის გამოყენებული — ლარები. საქართველოს გარდამავალი ზონის სარტყელში საყოველთაოდ გავრცელებული ჩანს ნიადაგების ათვისების თავისებური ფორმა. რომელიც ტერასულ პრინციპს ემყარება და შესაძლებელია მისი ცალკე სახეობად გამოყოფა. ლარები ანუ ნახნავი ტერასები ფერდობის ხვნის პროცესში შექმნილი სავარგულებია, რომელთა ხვედრითი წონა მარცვლეული კულტურების მწარმოებელ რაიონებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ჩანს.

მესხეთი. მესხეთში მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებები დამატებითი სახნავი ფართობების შექმნის პრაქტიკულ ღონისძიებაში გამოიხატება. ამ მიზნით, მაღალ ფერდობებზე და მთის კალთებზე სახნავ-სათესად ათვისებული იყო მიწის ნაკვეთები — ლარები<sup>10</sup>.

თავდაპირველად საჭიროა განისაზღვროს როგორც აღნიშნული ტერმინის შინაარსი, ასევე ის შესატყვისობა, რომელიც მისი სამეურნეო მნიშვნელობით ხმარებას უდევს საფუძვლად. „ლარი — წელი შეგვრებილი“ — განმარტავს ს. ს. ორბელიანი. ლარის ადგილობრივი გაგებაც ანალოგიურია: იგი ცხვრის წელებისაგან დამზადებული გრძელი სიმი, რომელიც ჩონგურს უკეთდება. ლარი მესხეთში ეწოდება აგრეთვე მატყლის საპენტად გამოყენებულ ხელსაწყოს, რომლის მთავარი ელემენტია ლარი — გრძელი სიმი, ასევე დამზადებული საქონლის წელებისაგან. იგი ბოლოებით ჩამაგრებულია ჩარჩოში და ხელის სათანადო მოქმედებით ახდენს მატყლის დამუშავებას. მთლიანად საპენტი მოწყობილობის სახელწოდებაც ამ ელემენტისაგან წარმოსდგება. ის ანალოგია, რომელიც მკვადენდება ლარის სამეურნეო ტერმინოლოგიაში, სწორედ მისი სიწვრილის, სისწორისა და სიგრძის გაგებასთანაა დაკავშირებული<sup>11</sup>.

ლარი ფერდობზე, მთის მაღალ კალთებზე გამოხნული მიწის ნაკვეთია, რომელიც პერპენდიკულარულადაა შეჭრილი ნიადაგში და სახნავ-სათეს ფარ-

<sup>10</sup> მესხეთის ლარების შესახებ სათანადო ეთნოგრაფიულ მონაცემებს შეიცავს 1973 წ. გამოსული ჩვენი მონოგრაფია (ლ. ბ.), (XVIII).

<sup>11</sup> ლარ [л'ар] канал, ручей, проток, пазуха, худой, тощий—М. Гаффаров, Персидско-русский словарь, т. II, М., 1976 г.



თობს ქმნის) ფერდობის დახრილობა არ იძლევა მისი გაფართოების საშუალებას, ამიტომ 3—4 კაბდოს სიგანეს არ აღემატება (ადგილობრივი კაბდო 1,90 სმ უდრის). ფართობის კომპენსირებას იძლევა სიგრძე, რომელიც ლარს არა აქვს შეზღუდული. რადგანაც ლარის ჩამოყალიბება ხდება ფერდობის ხენის პროცესში, რაც ხანგრძლივად მიმდინარეობს, თანდათანობით ხდება მისი გაფართოებაც. ლარებად ათვისებული მთის კალთები რამდენიმე იარუსადაა მოწყობილი, მათ სიმრავლეს აგრეთვე ფერდობის კონფიგურაცია განსაზღვრავს (დახრილობა, სიმაღლე, დასერილობა და სხვ.). შემაგრება ან კედელი ლარს არ უკეთდება. ორ ლარს შორის ადგილი ზღვარია, დაკორდებული, ბალახით დაფარული მიწის ზოლი, რომლის სიგანე 7—8 მეტრს აღწევს. ზღვარს განსაზღვრული დახრილობა აქვს ნაკვეთის მიმართ. მას ძველად თავისი გამოყენება ჰქონდა. ეს იყო ხელოვნური სათიბი, ხენის დროს კი საქონლის საძოვრად იყო გამოყენებული.

ლარების ჩამოყალიბება ხდებოდა არა ერთბაშად, არამედ ათეული წლის მანძილზე, ხენის გარკვეული წესის გამოყენებით. მისი დამუშავება მოითხოვდა ყოველი კვალის სიგრძეზე გაყვანის შემდეგ სახენელის ამოღებას და მის საწინააღმდეგო მიმართულებით შემობრუნებას. ამ პროცესს, რომელიც დიდი გუთნისათვის საკმაოდ გაძნელებული და ზოგან შეუძლებელიც იყო, საკმაოდ იოლად ასრულებდა ადგილობრივი სახენელი ჯილდა — გოგორა. ჯილდა არ არის მძიმე სახენელი. იგი მესხეთის მიწა-წყლისათვის უნივერსალურ სახენელს წარმოადგენს. მით უმეტეს ლარებზე, რომელთა მდებარეობა და ფართობის ხასიათი ძნელად დასამუშავებელ პროფილს ქმნის, მხოლოდ ჯილდით იყო შესაძლებელი მიწის დამუშავება. ლარები მაღალი მდებარეობის გამო ძირითადად საგაზაფხულო კულტურებს ეთმობოდა (დიკა, ასლი). მათი განოყიერება და მორწყვა, მიუდგომლობის გამო, არ ხდებოდა. ნიადაგის გაუმჯობესების მიზნით მარცვლეულს უნაცვლებდნენ მრავალწლიან ბალახს ან ზეთოვან კულტურას. იცოდნენ ლარების ყამირად, „პაროსად“ გადაქცევა, რომლის დროს ნიადაგი 10—15 წელი ისვენებდა. ხალხური დაკვირვებით ლარების მოსავალი განსაკუთრებით უხვი და მაღალი ხარისხისა იყო. მოსავალი გამოჰქონდათ საცურავებით გამართული მარხილებით, რომელიც დიდ ტვირთს იტევდა.

ინტერესს იმსახურებს ლარების უძველესი კომპლექსი ურაველის ხეობაში, ელიას მთის აღმოსავლეთის ფერდობის გაყოლებაზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „დაწყობილ ყანებს“ უწოდებს. ამ კომპლექსში შემავალი საინტერესო ძეგლია გორა ლოდობანა, რომელიც აღწერილი აქვს არქეოლოგ შ. დედაბრიშვილს (XV, 2). ლარების უძველესი უბნები კარგადაა შემონახული ასევე ვერთაყანაში, სოფ. თმოგვის ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით, მტკვრის ხეობაში.

ლარების საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს მტკვრის ხეობაში, ჭობისხევთან მდებარე სოფელი ლარები (ამჟამად ნასახლარია), რომლის ეთნოგრაფიული შესწავლა მნიშვნელოვანია სამეურნეო ლარების შემდგომი კვლევის თვალთახედვით.

მოტანილი მასალა ნათელყოფს ლარების სისტემის მნიშვნელობას მესხეთის სამეურნეო ყოფაში, რომლის მასშტაბები მის ფართო პრაქტიკულ დანიშნულებაზე მეტყველებენ და ერთხელ კიდევ მიუთითებენ აქაური მემინდვრობის მაღალ დონეზე, მის ინტენსიურ ხასიათზე.

ერწო. ლარების სამეურნეოდ გამოყენების პრაქტიკა დადასტურდა ერწოში. მათი ადგილობრივი სახელწოდებაა ლარი ანუ ლარა. ესაა გვერ-





დობის, მთა-გორაკების სახნავეები, რომლებიც ხენის პროცესშია გავაკებული და ვიწრო, გრძელ მონაკვეთებს ქმნის. ლარების განსხვავებული ზომები ადგილობრივ მათი მდებარეობით არის განსაზღვრული, რასაც ფერდობის დახრილობა აპირობებს, რაც უფრო შვეული ხდება ფერდობი, მით უფრო მცირე ფართობი ეთმობა სალარე მამულს. ისევე, როგორც მესხეთში ლარების სიგრძე ზოგჯერ 300—400 მეტრს აღწევს და აღემატება კიდევ.

ლარების შექმნა ერწოში ძირითადად ახოს კულტურას უკავშირდება. სოფ. ნაქალაქარში გვისახელებენ ძველი ახოს ადგილებს, სადაც მამულები ლარებად ჰქონდათ გამართული — ვ ე ფ ხ ი ა ს წ ყ ა რ ო ე ბ ი, ფ ი ლ ი პ ე ს ა ხ ო ე ბ ი, ს ა დ ა თ ვ ე, ლ ა რ ე ბ ი და ს ხ ვ. ლარების დამუშავებაში აჩეჩს იყენებდნენ. სათესი კულტურებიდან მხოლოდ საგაზაფხულო მოყავდათ — დიკა, ქერი, სვილა. იმ ლარებზე, რომელთაც მაღალი მდებარეობა ეჭირათ, თესდნენ შერეულ მარცვალს — ასლ-დიკას. ლარები ერწოში ურწყავია, ისევე როგორც აქაური საპურე ფართობების დიდი ნაწილი. დღეისათვის ლარები თითქმის მთლიანად მიტოვებულია.

ქართლი. ლარები დადასტურდა ქართლში ლარა მამულების სახელით. ლარებად მოხსნული ფერდობები ზოგჯერ დიდი ნაკვეთების შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა და 16—20 მეტრის განის ზოლებად იყო გამოხსნული. ჩვეულებრივ ლარების ზედაპირი 8—10 მეტრს არ აღემატებოდა. ლარივით გაბმულ მონაკვეთებზე საინტერესო ცნობებია დაცული მცხეთის რაიონის სოფ. ზაქაროში. ძველად ლარა მამულები გუთნით იხვნებოდა. ლარებს ერთმანეთისაგან ბალახით შემოსილი მიჯნები, საზღვრავდა, რომელთა სიგანე 10 მეტრს აღწევდა. ლარებს უმეტესად მაღალი მდებარეობა ეჭირათ, ახლა ამ ადგილებში ტყეები გააშენეს და სანერგე მეურნეობა აქვთ მოწყობილი, ასეთებია: ჯიდაურას ლარები, ზაქაროს ლარები და სხვ. სოფელ წინამძღვრიანთ-კარში ლარების ადგილებზე ადრე ახლები ჰქონიათ. გატეხვაზე იყო დამოკიდებული, ვინ როგორ გატეხავდა ახოს. იმ ახოს ადგილებში „პატარა ლარა მამულები“ ჰქონიათ და სხვაგან დიდი ლარების მოწყობა სცოდნიათ. სოფლიდან დაშორების მიხედვით განიჩეოდა „ახლო ლარები“ და შორი ლარები. ახლო ლარებში ადრე პური ეთესათ, როგორც საგაზაფხულო ასევე საშემოდგომო მარცვლეული. მერე და მერე სიმინდის თესვას მიჰყვეს ხელი. შორეულ ლარებში ძირითადად საგაზაფხულო თესლი გაჰქონდათ და ზოგჯერ საქონლის საკვებ ბალახს უნაცვლებდნენ. ამჟამად მათი არა მარტო დამუშავება შეიძლება, არამედ მისადგომადაც მიუვალა უგზოობის გამო.

დუშეთის შემოგარენი. ნიადაგის ლარებად დამუშავების წესი დადასტურდა დუშეთისა და ბაზალეთის მთისწინეთის ტერიტორიაზე. აქ ლარები გამოხსნული, მთის კალთებზე განლაგებული ფართობებია. ამ ადგილების უმეტესობა ახლა მცენარეულისაგან შიშველშია ან ბუჩქნარითა და თხელი ტყითაა დაფარული. მათი გამოყენება დიდი ხანია არ ხდება. აქაც ლარა მამულები ძველი ნაახოარი ადგილებია. მაგალითად დუშურ-ახოებს თავისი ლარები აქვს და ორხევის ახოებს — თავისი. ლარები დიდი ხანია მიატოვა ხალხმა და მათი დამუშავება არ ხდება. უხუცესი მთბრახელები, რომელთაც კარგად ახსოვს ახოს ადების წესები, ლარების დამუშავებას არ მოსწრებიან. სიმორისა და რთული მდებარეობის გამო ხალხი ერიდებოდა ლარების ხვნას. ამჟამად, არა თუ ლარები, ძველი ახოს კარგად მისადგომი ადგილებიც სრულიად უმოქმედოდაა დარჩენილი სათანადო სახენელი იარაღის უქონლობის გამო.






მ  
ს  
3  
3  
ს  
ს

რუკა № 5. ტერასული მიწათმოქმედება (XX ს. 30-ანი წწ.).

1. ქვისკედლიანი ტერასები, 2. ხისკედლიანი ტერასები, 3. უკედლო ტერასები, 4. ნახნავი ტერასები (ლარები)



მ  
ს  
3  
ნი

8  
მ  
3  
ს

რუბა № 4. ტირასული მიწათმომკმობა (XIX ს. II ნახ.).

1. ქვისკლდოანი ტერასები, 2. ხსკლდოანი ტერასები, 3. უკლდო ტერასები, 4. ნახნავი ტერასები (ლარები)





(მთიულეთი. მთიულეთში ლარები გვხვდება ხადას ხეობაში, ხეობის მარჯვენა, ძნელად მისადგომ ფერდობებზე საფეხურებად განლაგებული სახნავი ნაკვეთები, რომელთაც ამჟამად არ ამუშავებენ.) ნაკვეთების ფორმა და განლაგება რელიეფურად წარმოაჩენს ლარებიან სახნავ მინდვრებს (ადგილობრივი ცნობებით, ადრე აქ ყანები ჰქონიათ და მარცვლეული უთესიათ) ფერდობის ძლიერი დაქანების გამო ნაკვეთები ვიწროა და განივდაა შეჭრილი, რაც იცავს მას ჩამოშლისაგან და დასამუშავებლად მისადგომს ხდის. ამჟამად აღნიშნული სახნავები მიტოვებულია და მხოლოდ ეთნოგრაფიული ცნობების მეშვეობით ხდება შესაძლებელი ზოგი დეტალის დაზუსტება.

(კახეთი. ლარების სამეურნეო გამოყენების პრაქტიკა თავს იჩენს კახეთში (ყვარლის რაიონის სოფ. გრემი, შაქრიანი, ალმატი, საბუე). ადგილობრივ ლარებს უწოდებენ მარცვლეული კულტურებისათვის განკუთვნილ, ფერდობზე შეფენილ სახნავ ტერასებს.) ეს უძველესი სახნავ-სათესი ადგილებია, რომელსაც ხალხი გუთნითა და ხარ-კამეჩით ამუშავებდა. მათი სიგანე 6—7 მეტრი და სიგრძე 100 მეტრზე მეტი იყო. ლარებს შუაში გასდევდა მოუხნავი ბაქნები. ლარებს იყენებდნენ როგორც საგაზაფხულო, ასევე საშემოდგომო კულტურებისათვის. ლარები კახეთში არ ირწყვებოდა, ამჟამად ადრე ლარებად დამუშავებული ადგილები სრულიად მიტოვებულია და ტყითაა დაფარული.

თუშეთი. არსებული მონაცემებით თუშეთში საბურედ განკუთვნილი ლარის ტიპის სახნავები საყოველთაოდაა გავრცელებული. მათი აღმნიშვნელი ადგილობრივი ტერმინებია ბეჭი და ხაგირი, რომელთა ტერასული განლაგება საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებული სახნავი ტერასების სახეს ქმნის. ამაზე დღესაც ნათლად მიუთითებს სოფ. დანოსა და სოფ. დართლოს სახნავების ხასიათი.

(ამდენად, საქართველოს ტერასული მეურნეობა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ადგილობრივი ტრადიციული დარგების — მევენახეობა-მეღვინეობის, მეზღაღობისა და მემინდვრეობის განვითარებულ დონეს, რაც ნიადაგების დამუშავების ინტენსიური წესით არის შეპირობებული. იგი იმყარება მდიდარ გამოცდილებას და ქართველი ხალხის მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის კიდევ ერთი უტყუარი მოწმეა) (რუკა 4, 5).

ლიტერატურა

I ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 1, თბ., 1934.  
 II ს. ს. ორბელიანი, ქართულალექსიკონი, თბ., 1928.  
 III გ. ჩიტაია, ქსნური მთის გუთანი, ენამკას მოამბე, თბ., 1940.  
 IV ს. მაკალათია, ატენის ხეობა, თბ., 1957.  
 V ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1934.  
 VI ნ. კეცხოველი, საქართველოს მცენარეული სავარი, თბ., 1960.  
 VII მ. რამიშვილი, მევენახეობის განვითარება მესხეთში, საქ. სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტ. შრომები, მე-14, თბ., 1949.  
 VIII აღ. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, კეკ., თბ., 1964.  
 IX აღ. რობაქიძე, დასახლებას ფორმათა საყოთხასათეის ზევი აჭარაში, ბათუმის სამეცნ.-კვლ. ინსტიტუტის შრომები, თბ., 1960.  
 X მ. გეგეშიძე, სარწყავი მაშათმოქმედება საქართველოში, თბ., 1962.  
 XI ნ. ჩიჯავაძე, ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებანი აჭარაში, კრებ. „აჭარის მოსახლეობის ყოფა და კულტურა“, თბ., 1966.  
 XII ნ. ჩიჯავაძე, სამაშათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971.  
 XIII ნ. ჩიჯავაძე, ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1976.

- XIV გ. ჯალაბადე, მევენახეობა ქსნის ხეობაში, საქ. სახ. მეზ. მოამბე, 30, თბილისი, 1974.
- XV შ. დედაბრიშვილი, სამცხის არქეოლოგიური ძეგლები, თბ. 1959 (ხელნაწერი)
- XVI კ. კახიანი, გლეხის კარმიდამო იმერეთში, თბ., 1964.
- XVII. ჯ. რუხაძე, დასავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო კულტურა (ხელნაწერი), 1970.
- XVIII. ლ. ბერიაშვილი, მემინდვრეობა მესხეთში, თბ., 1973.
- XIX ჯ. სონდულაშვილი, მებოსტნეობა თბილისის სანახებში, თბ., 1958.
- XX ჯ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, კეკ. თბ., 1971.
- XXI გ. ელიავა, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკური კალენდარი, თბ., 1983.
- XXII შ. შიქვაძე, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის მესხეთში, თბ., 1958.
- XXIII თ. ტატიშვილი, თ. ღამბაშიძე, ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვის შედეგები, თბ., 1959 (ხელნაწერი).
- XXIV თ. ღამბაშიძე, მესხეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ხელნაწერი), 1960
- XXV ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1962; მისივე, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ., 1965.
- XXVI ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1965.
- XXVII Г. С. Читая, Горное земледелие на Кавказе, Тб., 1960.
- XXVIII Х. А. Кинк, Восточное средиземноморье в древнейшую эпоху, Л., 1970.
- Glück W. The sevent of archaeological Exploration in the Negew, BASOR, 152, NI, 1958.
- XXIX М. О. Косвен, Очерки истории первобытной культуры, М., 1957.
- XXX Х. Вермишев, Экономический быт государственных крестьян Ахалцихского и Ахалкалакского уездов, МИЭБГКЗК, т. 3. 1866.
- XXXI М. А. Агларов, Андийская группа народностей XIX — начала XX веков, Мах., 1965. Г. Л. Магакян, В. К. Василенко, Горное орошение в Дагестане, Мах., 1958.
- XXXII В. А. Амбокадзе, Развитие эрозийных процессов..., ж. «Охрана природы», № 1, 1965.
- XXXIII А. Л. Долгушин, Через Сванетию к Эльбрусу, СМОМПК, 1900.
- XXXIV Dübojs de Montpereux, Voyage autor du Caucase, Paris, 1839.



შ. პირიაშვილი, ნ. მაისურაძე

## თესვა

ვერტიკალური ზონალობის და სათესი კულტურების ჯიშების მიხედვით საქართველოში დგინდება ძირითადად თესვის ორი ტიპი: საგაზაფხულო თესვა და საშემოდგომო თესვა.

როგორც ცნობილია, ზონალობის მიხედვით საქართველო იყოფა ბარად, გარდამავალ ზოლად და მთად. უძველესი წყაროების მონაცემები ამჟღავნებენ, რომ ქვეყნის ზონალური სარტყლების ცოდნა ქართველთათვის უცხო არ იყო, რასაც მიწისმოქმედი ხალხი ძველთაგანვე ღრმა ცოდნით და დიდი ნელოვნებით იყენებდა. შედარებით დაბალ ზოლში (ზღვის დონიდან 700—800 მ-მდე) უმთავრესად მისდევდნენ საშემოდგომო თესვას, გარდამავალ ზოლში (800—1400 მ-მდე) — როგორც საშემოდგომო, ასევე საგაზაფხულო თესვას, ზოგ შემთხვევაში კი ეს უკანასკნელი სჭარბობდა კიდევ. მთის ზოლში (1400—2000 მ-მდე) კი უმთავრესად საგაზაფხულო თესვას, საშემოდგომო თესვა კი ან სულ არ იცოდნენ, ან გამონაკლისის სახით.

ვერტიკალური ზონალობის მიხედვით დაბალ ზოლში საშემოდგომოდ თესდნენ რბილი ხორბლის (Tr. vulgare Vill) და მაგარი ხორბლის (Tr. durum) ჯიშებს. იშვიათად, მაგრამ მაინც ითესებოდა კილიანი ხორბლის საგაზაფხულო ფორმები: ასლი და ზანდური. აქედან ზანდური გვიან შემოდგომაზე ითესებოდა. შემოდგომაზე ითესებოდა ქერიც (ძველთესლი). დაბალ ზოლში გაზაფხულობით — სიმინდი...

გარდამავალ ზოლში შემოდგომობით ითესებოდა: დოღის პური, იფქლი, ქერი (ძველთესლი), გაზაფხულობით კი იფქლი, ხულუგო, ქერი (ახალთესლი). გავრცელებული იყო აგრეთვე დიკა, მახა, ზანდური, ასლი, სიმინდი. მაღალმთიან ზოლში თესდნენ: დიკას, იფქლს, ასლს (I, 64), ქერს.

საშემოდგომო თესვის ვადები. მარცვლეული კულტურების საშემოდგომო თესვის ვადები ცალკეულ მიკრორაიონში დამოკიდებული იყო ადგილსა და სათესი კულტურების ჯიშებზე. თუ ბარის, დაბალი ზოლის რაიონებში საშემოდგომო თესვა სექტემბრის შუა რიცხვებიდან იწყებოდა, ვიდრე ნოემბრამდე, შედარებით მაღალმთიან ზოლში — ივლის-აგვისტოს თვეებში, რომ ნათესს თოვლის ჩამოყრამდე დაჯეჯილება მოესწრო. ამასთანავე, პირველ რიგში ითესებოდა ის მარცვლეული კულტურები, რომელთაც ვეგეტაციის ხანგრძლივობა ახასიათებდათ. მაგალითად, რაჭაში საშემოდგომო ხორბლის თესვის ვადების დადგენისას გამოუმუშავებიათ შემდეგი წესი: ოქტომბრის უკანასკნელსა და ნოემბრის პირველ კვირას 10—14, ზოგან 7 დღეს, „დაწუნებულ კვირებს“, „ნაძრახს“ უწოდებდნენ (ს. ს. ლაჩთა, ჭალა, შეუბანი). ამ დღეებში არ თესდნენ ხორბალს, რადგან თუ სექტემბერში ნათესი ხორბალი „თუნდა ბელელში გქონია ჩაწყობილი“, ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისის ნათესები არ ივარგებს, გაფუჭდება, „ცალბარკალა“ „ცალბაწარა“

გამოვაო. ამ პერიოდში თესვის აკრძალვას საფუძვლად უდევს გლეხის მიერ მცენარის სავეგეტაციო პერიოდის და საერთოდ განვითარების ფაზების ხანგრძლივობის ზედმიწევნით ზუსტი ცოდნა: საშემოდგომო ხორბალი უნდა დაიწყოს თესვას ან იმდენად ადრე, რომ მოასწროს აჯგჯლება და ისე შეეგუოს ზამთრის ან „კაკლადვე“ უნდა შეყვეს თოვლს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ფუჭდება და მოსავალი იკარგება. ამიტომ აგვისტო-ოქტომბრის პირველ ნახევარში დათესილი მარცვალი ამთავრებს განვითარების გარკვეულ სტადიას სიცივეების დაწყებამდე. ნოემბრის მეორე ნახევრიდან დათესილ მარცვალს კი უსწრებს ზამთრის სუსხი აღმოცენებამდე და ნიადაგში გაზაფხულამდე „კაკლადვე“ ინახება. ამათგან განსხვავებით, ოქტომბერ-ნოემბრის მიჯნაზე დათესილი მარცვალი იწყებს გავრცელებას, მაგრამ დაზამთრების გამო ვეღარ ასრულებს დაწყებულ პროცესს, ნახევრადგაღვივებულს, „გაღოჯილს“ წყალი შეუდგება, დააღობს, ამიტომ თესლი ფუჭდება, ან ნაკლებ მოსავალს იძლევა. მაგალითად, ცნობილია, რომ რბილი ხორბლის ჯგუფის წარმომადგენელთაგან საშემოდგომოდ ითესება იფქლი და დოლის პური. აქედან იფქლი ითესება სწორედ „დაწუნებული კვირების“ წინ, ე. ი. ოქტომბრის თვის მეორე ნახევრის უკანასკნელ კვირამდე, დოლის პური კი — აღნიშნული კვირების შემდეგ, რადგან ადგილობრივმა მეურნემ იცოდა იფქლის აღმოცენების გრძელი, ხოლო დოლის პურის მოკლე პერიოდის შესახებ (II, 106—107).

გარკვეულ ვადაზე თესვის პრაქტიკა შემუშავებულია ყველა პურეთესისათვის, მაგრამ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დოლის პურისათვის. მოკლე სავეგეტაციო პერიოდის მქონე დოლის პურს ადრე დათესვის შემთხვევაში დაზამთრებამდე სასურველ ზომამდე მეტად განვითარება და ამდენად დაღუპვა ელოდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამოწმებულია ზოგიერთი მარცვლეული კულტურის თესვის ვადების შეცვლა. მაგალითად, საგაზაფხულო ხორბლის შემოდგომაზე დათესვის ფაქტი. ეს ღონისძიება ტარდებოდა ქვეყნის ავებდობის შედეგად საშემოდგომო თესლის დაკარგვის შემთხვევაში. გლეხი საგაზაფხულო მარცვალს შემოდგომაზე თესავდა. პირველ წელს მოსავლის ნაწილი მოცდებოდა, მაგრამ სათესლე მასალას მაინც იღებდა. შემდეგ წლებში ეს მარცვალი თანდათან ეგუებოდა შემოდგომაზე თესვის პირობებს და სრულფასოვანი მოსავალი მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ საშემოდგომო თესვა აგვისტოში იწყებოდა (III, 105), ისეთი საგაზაფხულო ფორმების თესვა, როგორცაა დიკა, ხულუგო, ზანდური, მხოლოდ გვიან შემოდგომაზე, ნოემბერ-დეკემბერში ითვლებოდა მიზანშეწონილად, რათა მარცვალს „გაღოჯვა“ დაზამთრებამდე ვერ მოესწრო და თოვლს „კაკლად შეყოლოდა“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნათესი დაიღუპებოდა. ეს იყო საგაზაფხულო ხორბლის იაროვიზაციის თავისებური წესი. თესვის ვადების შეცვლა, საგაზაფხულო ხორბლიდან საშემოდგომოს მიღების პრაქტიკა ქართველი გლეხის სამეურნეო გამოცდილების პროდუქტია.

ს ა გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ო თ ე ს ვ ი ს ვ ა დ ე ბ ი. მარცვლეული კულტურების საგაზაფხულო თესვა მარტის თვიდან იწყებოდა, მაგრამ ცალკეულ მიკრორაიონებში ცვალებადი იყო და დამოკიდებული გარემოსა და სათესი კულტურების ჯიშებზე. გაზაფხულზე ყველაზე ადრე ქერი უნდა დათესილიყო. მაგალითად, მესხეთში იგი მარტის 1—17-მდე (ძველი სტილით) ითესებოდა. ადრე დათესილი ქერი კარგ მოსავალს იძლეოდა. (IV, 65—70) ნათქვამია: „მარტის თვეში დათესილ ქერს ცხენი კბილში გაიგებსო“. ე. ი. მას უფრო სრული და მაგარი მარცვალი ექნებაო. ამისგან განსხვავებით, მთიულეთის მაღალი ზო-



ლის სოფლებში ახალთესლის ქერის თესვის დროდ აპრილი და მაისის თვეებში ითვლებოდა. ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სოფლებში, ლითაღ ფშავ-ხევსურეთში, ხენა-თესვა აპრილის შუა რიცხვებამდე შეუძლებელი იყო.

სიმინდის თესვაც უკავშირდებოდა როგორც კლიმატურ პირობებს, ისე ცალკეული ჯიშის თვისებებსაც. ამ კულტურის თესვის დაწყება ბევრად იყო დამოკიდებული ამინდზე. სიმინდი სითბოს მოყვარული მცენარეა. ამიტომ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თესვა სხვადასხვა დროს იცოდნენ, მაშინ, როდესაც „ჰაერი გატყდებოდა“ და ყინვები მოსალოდნელი აღარ იყო. თესვას კენტ რიცხვში, სავსე მთვარეზე იწყებდნენ. მეურნის თვალსაზრისით, ახალ მთვარეზე თესვა არ ვარგა, რადგან სიმინდის ღერო ზრდის პროცესში შეიძლება გადატყდეს.

დასავლეთ საქართველოში, სადაც მაისი ხშირ შემთხვევაში გვალვიანია, დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის აღრე დათესვას, რადგან გვალვის დაწყებამდე ნათესი ასწრებს ამოსვლას, ფესვის ზრდას, რის შემდეგაც ის აღვილად იტანს გვალვას და წვიმიან ამინდებში კარგად ვითარდება. სიმინდისათვის არც ნადრევი თესვაა სასარგებლო და არც დაგვიანებული, რადგან სიცივეში ის ვერ მწიფდება, მაგრამ მოსავლისათვის აღრეულ თესვაზე მეტად საზიანოა თესვის დაგვიანება. დასავლეთ საქართველოს ზეგან და გრილ ადგილებში სიმინდი მოგვიანებით, 15—20 აპრილიდან ითესება, დაბლობ და თბილ ადგილებში კი — აპრილის დასაწყისიდან მაისამდე.

ღომის თესვის ვადები ისევე, როგორც ყველა სხვა მარცვლეული კულტურისა, დამოკიდებული იყო სათეს ჯიშსა და სახნავი მიწის მდებარეობაზე. დაბლობში თესვა აპრილიდან იწყებოდა, შედარებით მაღლობ ადგილებში კი მაისის უკანასკნელ რიცხვებში (V, 85).

სათესი ფართობისათვის ნიადაგების შერჩევა. ნიადაგების ხარისხი და თვისებები განაპირობებენ სათესი კულტურების ხასიათს. ხალხმა კარგად იცოდა ნიადაგების და ცალკეული ჯიშებისათვის დამახასიათებელი თვისებები და ყველა კულტურას მისთვის შესაფერისი ნიადაგი ჰქონდა შერჩეული. მაგალითად, დიკა მიდრეკილებას ამჟღავნებდა ნაკლებად ნოყიერი ნიადაგებისადმი და მწირ, უღონო მიწებში განსაკუთრებით გვარობდა. ამიტომ იგი ითესებოდა მთის სოფლებში და მაღალი მდებარეობის სახნავებში. დიკას მწირ ნიადაგში თესვის აუცილებლობასა და უპირატესობას მეურნე იმით ასაბუთებს, რომ ნოყიერ მიწაში მას მაქსიმალურად აღმოცენების პირობები ექმნება, ინტენსიურად იზრდება და მისი ჩაწოლისადმი მიდრეკილება მატულობს. ამიტომ ადგილობრივი მეურნე სავანგებოდ არჩევს ამ კულტურისათვის მწირ, ხირხატიან ნიადაგს.

საქართველოში საყოველთაო აღიარება მოუპოვებია დიკასა და ქერის შერეულ ნათესს. ქართველი გლეხი ამ ნათესს ქერ-დიკას, ანდა ქერ-ჭრელს უწოდებს. ქერ-დიკას ნათესის უპირატესობა მის წმინდა ნათესთან შედარებით, რომელიც მელანდება განსაზღვრულ კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებში, კარგად სცოდნია გლეხს. ქერი მსუყე ნიადაგის მოყვარულია, დიკასთან ერთად კი უღონო, მწირ ნიადაგებშიც ვარგობს. ცალკე ასეთ პირობებში ქერი სრულიად ვერ აღმოცენდებოდა. დიკასთან ერთად ქერის თესვა განსაკუთრებით პრაქტიკული ჩანს იმიტომ, რომ: 1. ქერი რომ ცალკე დაითესოს მწირ ნიადაგში, ნათესის დიდი ნაწილი დაიღუპება აღმოცენების დაბალი პროცენტის გამო. დიკასთან ერთად კი ქერი კარგად ეგუება ამგვარ პირობებს და მოსავლის მაღალ მაჩვენებელს იძლევა. 2. ქერის თესლი, ცალკე თესვის შემთხვე-



ვაში, მიწის ერთსა და იმავე ფართობზე 3-ჯერ მეტი ითესება დიკასთან შედარებით. შერეულ ნათესებში, სადაც ქერის თესლი უდრის დიკას თესლს, წონით ოდენობას, ქერის სათესი ნორმის მხოლოდ ერთი მესამედი დაითესება. მესხეთში, მაგალითად, დასტურდება ქერის სათესი ნორმის ასეთი შეფარდება: დღიურზე ქერი ითესება 8 კოდი, დიკა — 3 კოდი. 3. მწირ მიწაში ცალკე დათესილი დიკა მეჩხერი უნდა იყოს. შერეული ნათესის დროს დაწესებული ნორმით დათესილი დიკა პლუს ქერის ისეთივე რაოდენობა ორჯერ მეტ მოსავალს გვაძლევს. ეს მოსავლიანობის გადიდების მეტად ეფექტური ღონისძიებაა. 4. ქერ-დიკას ყანა გვალვას შედარებით ადვილად იტანს. დიკასთან შედარებით ქერი უფრო ადრე ამოდის და უფრო მაღალიც იზრდება. ქერი მასზე დაბალ დიკას უჩრდილებს და ამის გამო დიკა გვალვას ადვილად იტანს.

ქერისა და დიკას შერეული ნათესები დამოწმებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ქართლში, მესხეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და აჭარაში. ამ წესს ქართველთა უძველესი წინაპრები იყენებდნენ.

ასევე შენიშნულია და სათანადოდ გამოყენებული ასლის შემგუებლობითობა ზრდა-განვითარების ყოველგვარი პირობებისადმი და ნიადაგებისადმი ნაკლები მომთხოვნელობა; კერძოდ, შემგუებლობა ლარიბი, კირიანი ნიადაგებისადმი. ამიტომაც ასლს განსაკუთრებით მაღალ ადგილებში, სადაც ნიადაგი მოცდებოდა, იქ დათესავდნენ.

ნიადაგებისადმი მომთხოვნელობის თვალსაზრისით შენიშნული იყო ქერის თავისებურებაც: ახლად ნაკელდაყრილ მიწაზე აუცილებლად დათესდნენ ქერს, რომელიც საუკეთესო მოსავალს იძლეოდა, მაშინ, როდესაც ასეთ მიწაზე მოყვანილი სხვა მარცვლეული, მაგალითად, დოლი, „წვებოდა“.

მესხეთში, ხეობათა სიღრმეში, მთის კალთებზე, სახნავ-სათესად გამოიყენებოდა მიწის ნაკვეთები, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა ლარებს უწოდებს, რადგან ლარებს მაღალი მდებარეობა აქვთ, ამიტომ ძირითადად მარცვლეულის საგაზაფხულო კულტურებისათვის იყო განკუთვნილი.

ლარებზე მარცვლეული კულტურები შერჩევით ითესებოდა. ამას განაპირობებდა როგორც მათი მდებარეობა (ზონალური სარტყელი, მზისა და ჩრდილის მხარე), ასევე ნიადაგის ხარისხი. ლარებზე დათესილი მარცვლეული განსაკუთრებით ღიდ მოსავალს იძლეოდა (IV, 96—98).

მარცვლეულ კულტურათა შერჩევის პრაქტიკა ნიადაგების ხარისხისა და თვისებების მიხედვით დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც.

სათეს კულტურებს საყანე ადგილმდებარეობასთან აფარდებდნენ რაჭა-ლეჩხუმშიც. მაგალითად ხორბლისათვის არჩევდნენ მზიან, მშრალ მიწას. ერიდებოდნენ საშემოდგომო ხორბლის ჩრდილში დათესვას, რადგან ასეთ ადგილებში თოვლი გვიან დნება, მას ემატება გაზაფხულის წვიმები, რაც ადვილად ალბობს თესლს, მაგრამ მცირემიწიანობის პირობებში ვხვდებით სიმინდთან ერთად ხორბლის ჩრდილში დათესვის შემთხვევებს. თუ გვიან შემოდგომაზე დათესილ ხორბალს ჩრდილში დალბობა ელის, ადრე შემოდგომაზე დათესილი მარცვალი, რომელიც აჯვრელებული უნდა დახვდეს ყინვებს, დაცულია ამ საშიშროებისაგან. სიმინდში კი ეს უკანასკნელი გამოითესებოდა. ამ გამოთესვის აუცილებლობას იწვევდა სწორედ ჩრდილი ადგილები. აქ სიმინდი შედარებით გვიან შემოდის და მისი აღების შემდეგ ხორბლის დათესვა რამდენადმე დაგვიანებულია. მზიანში კი მიზანშეწონილი არაა



სიმინდში წორბლის გამოთესვა, ვინაიდან აქ სიმინდი ადრე შემოსვლას ასწრებს და მის ალებამდე ხორბლის დათესვა ნაადრევი ჩანს (IV, 98—100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 190, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203, 204, 205, 206, 207, 208, 209, 210, 211, 212, 213, 214, 215, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265, 266, 267, 268, 269, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276, 277, 278, 279, 280, 281, 282, 283, 284, 285, 286, 287, 288, 289, 290, 291, 292, 293, 294, 295, 296, 297, 298, 299, 300, 301, 302, 303, 304, 305, 306, 307, 308, 309, 310, 311, 312, 313, 314, 315, 316, 317, 318, 319, 320, 321, 322, 323, 324, 325, 326, 327, 328, 329, 330, 331, 332, 333, 334, 335, 336, 337, 338, 339, 340, 341, 342, 343, 344, 345, 346, 347, 348, 349, 350, 351, 352, 353, 354, 355, 356, 357, 358, 359, 360, 361, 362, 363, 364, 365, 366, 367, 368, 369, 370, 371, 372, 373, 374, 375, 376, 377, 378, 379, 380, 381, 382, 383, 384, 385, 386, 387, 388, 389, 390, 391, 392, 393, 394, 395, 396, 397, 398, 399, 400, 401, 402, 403, 404, 405, 406, 407, 408, 409, 410, 411, 412, 413, 414, 415, 416, 417, 418, 419, 420, 421, 422, 423, 424, 425, 426, 427, 428, 429, 430, 431, 432, 433, 434, 435, 436, 437, 438, 439, 440, 441, 442, 443, 444, 445, 446, 447, 448, 449, 450, 451, 452, 453, 454, 455, 456, 457, 458, 459, 460, 461, 462, 463, 464, 465, 466, 467, 468, 469, 470, 471, 472, 473, 474, 475, 476, 477, 478, 479, 480, 481, 482, 483, 484, 485, 486, 487, 488, 489, 490, 491, 492, 493, 494, 495, 496, 497, 498, 499, 500, 501, 502, 503, 504, 505, 506, 507, 508, 509, 510, 511, 512, 513, 514, 515, 516, 517, 518, 519, 520, 521, 522, 523, 524, 525, 526, 527, 528, 529, 530, 531, 532, 533, 534, 535, 536, 537, 538, 539, 540, 541, 542, 543, 544, 545, 546, 547, 548, 549, 550, 551, 552, 553, 554, 555, 556, 557, 558, 559, 560, 561, 562, 563, 564, 565, 566, 567, 568, 569, 570, 571, 572, 573, 574, 575, 576, 577, 578, 579, 580, 581, 582, 583, 584, 585, 586, 587, 588, 589, 590, 591, 592, 593, 594, 595, 596, 597, 598, 599, 600, 601, 602, 603, 604, 605, 606, 607, 608, 609, 610, 611, 612, 613, 614, 615, 616, 617, 618, 619, 620, 621, 622, 623, 624, 625, 626, 627, 628, 629, 630, 631, 632, 633, 634, 635, 636, 637, 638, 639, 640, 641, 642, 643, 644, 645, 646, 647, 648, 649, 650, 651, 652, 653, 654, 655, 656, 657, 658, 659, 660, 661, 662, 663, 664, 665, 666, 667, 668, 669, 670, 671, 672, 673, 674, 675, 676, 677, 678, 679, 680, 681, 682, 683, 684, 685, 686, 687, 688, 689, 690, 691, 692, 693, 694, 695, 696, 697, 698, 699, 700, 701, 702, 703, 704, 705, 706, 707, 708, 709, 710, 711, 712, 713, 714, 715, 716, 717, 718, 719, 720, 721, 722, 723, 724, 725, 726, 727, 728, 729, 730, 731, 732, 733, 734, 735, 736, 737, 738, 739, 740, 741, 742, 743, 744, 745, 746, 747, 748, 749, 750, 751, 752, 753, 754, 755, 756, 757, 758, 759, 760, 761, 762, 763, 764, 765, 766, 767, 768, 769, 770, 771, 772, 773, 774, 775, 776, 777, 778, 779, 780, 781, 782, 783, 784, 785, 786, 787, 788, 789, 790, 791, 792, 793, 794, 795, 796, 797, 798, 799, 800, 801, 802, 803, 804, 805, 806, 807, 808, 809, 810, 811, 812, 813, 814, 815, 816, 817, 818, 819, 820, 821, 822, 823, 824, 825, 826, 827, 828, 829, 830, 831, 832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841, 842, 843, 844, 845, 846, 847, 848, 849, 850, 851, 852, 853, 854, 855, 856, 857, 858, 859, 860, 861, 862, 863, 864, 865, 866, 867, 868, 869, 870, 871, 872, 873, 874, 875, 876, 877, 878, 879, 880, 881, 882, 883, 884, 885, 886, 887, 888, 889, 890, 891, 892, 893, 894, 895, 896, 897, 898, 899, 900, 901, 902, 903, 904, 905, 906, 907, 908, 909, 910, 911, 912, 913, 914, 915, 916, 917, 918, 919, 920, 921, 922, 923, 924, 925, 926, 927, 928, 929, 930, 931, 932, 933, 934, 935, 936, 937, 938, 939, 940, 941, 942, 943, 944, 945, 946, 947, 948, 949, 950, 951, 952, 953, 954, 955, 956, 957, 958, 959, 960, 961, 962, 963, 964, 965, 966, 967, 968, 969, 970, 971, 972, 973, 974, 975, 976, 977, 978, 979, 980, 981, 982, 983, 984, 985, 986, 987, 988, 989, 990, 991, 992, 993, 994, 995, 996, 997, 998, 999, 1000).

განსაკუთრებით კარგ მიწას არჩევდნენ სიმინდისათვის. მისთვის საუკეთესო იყო ჭალა და შავმიწა ნიადაგი. სიმინდს თესავდნენ ყველაზე ნოყიერ, ახლად გაკაფულ, ნასვენ და განაკლებულ ნიადაგებში. მძიმე და თიხნარ მიწაში სიმინდს გვალვა ნაკლებად აზიანებს. ამიტომაც უპირატესად გარეყანებსა და ფერდს ირჩევდნენ.

ხორბალი არ ითესებოდა ჭალაში. დაბლობში საერთოდ ერიდებოდნენ ხორბლის თესვას, რადგან ატმოსფერული და ნიადაგის სინესტის დიდი რაოდენობა, რაც სასარგებლოა სიმინდისათვის, ვნებს ხორბალს. ცდილობდნენ არ დაეთესათ ხორბალი მთის ყანებშიც. დაუშვებელი იყო გარეყანებში ხორბლის თესვა. ერიდებოდნენ ხორბლის მოყვანას თიხნარ, მძიმე და ნოყიერ ადგილებშიც. ახლადგაკაფულ, ან განაკლებულ ადგილებში დათესილი ხორბალი მხოლოდ მაღალი იზრდება, თავთავს კი არ ისხამს, ან, თუ თავთავი გაიკეთა, განუვითარებელი ღერო თაველს ვერ დაიმარგებს და წაიქცევა.

მარცვლეულთა კილიანი ჭგუფის წარმომადგენლები კარგად ეგუებიან ნაკლებ ნაყოფიერ ნიადაგებსაც. ამიტომ მათ თესავდნენ კიროვან, ქვიშნარ და თიხნარ ნიადაგებში.

ქერსა და ფეტვს უფრო მთა ადგილებში — „გრილ“ ნიადაგებში თესავდნენ. მათ უპირატესად ახოებს უთმობდნენ, ბარისა და შინაყანებს მათთვის არ იყენებდნენ, გარდა მიკრორაიონებისა, სადაც მემინდვრეობაში წამყვან როლს ქერი ასრულებდა. კილიანი ხორბლისაგან განსხვავებით, ქერი კარგ, ფხვიერ ნიადაგს მოითხოვს.

ჭვავი მშრალ, ცხელ, ქვიშნარ ნიადაგებზე ითესებოდა.

ლომს თესავდნენ შემალლებულ ადგილზე, მშრალსა და სუფთა მიწაზე. თუ ლომისათვის განკუთვნილი მიწა მშრალი არ იყო, მას ხელოვნურად ქმნიდნენ. ჭარბი წყლის თავიდან ასაცილებლად სათეს მიწას გარშემო უკეთებდნენ თხრილს, შემდეგ ნაკვეთშივე კვლები გაყავდათ, რომლებიც მიწის გარშემო შემოვლებულ თხრილს უერთდებოდა. დასათესად არჩევდნენ ისეთ ადგილებს, სადაც რცხილა, მუხა ან სხვა დიდფესვიანი ხეები იდგა, რომლებიც ნიადაგს ამავრებდნენ და წყალსაც იკრებდნენ. სამეგრელოსა და აფხაზეთში ლომისათვის არჩევდნენ ახალგატეხილ ახო მიწებს, რაჭა-ლეჩხუმში ლომს გარეყანებს უთმობდნენ, იმერეთში „სოხანეზე“ თესდნენ, გურიაში კი ლომის დასათესად იყენებდნენ მოდულ-მოღვილ = გამოღვილ მიწას და ზევან ადგილებს.

საქართველოში, მთაგორიანი რელიეფის მქონე ქვეყანაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ ბუნებრივ ფაქტორს, როგორცაა მზის შუქი, მზის თბური ენერგია, რომელიც უფრო მკვეთრად იჩენს თავს ხეობათა ზოლში, სადაც ადგილმდებარეობა ნაკლებადაა ვაშლილი. ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად მოქმედებს მთის მიწათმოქმედებაზე და განსაზღვრავს სათესი კულტურების ხასიათს. მეურნემ კარგად იცის, რომ ფერდობის ექსპოზიცია დიდად უწყობს ხელს მარცვლეულის აღმოცენებასა და მის ხარისხს. ხალხში დაცულია ღრმა ცოდნა წელიწადის დროთა შესაბამისად სამეურნეო ნაკვეთების განათების მნიშვნელობისა. ამ მონაცემთა მიხედვით სახნავ-სათესი მიწები განიყოფება მზისა და ჩრდილის მხარედ. მზიანმა მხარემ, მზის გულმა უფრო კარგი მოსავალი იცის. მზის მხარის სახნავ-სათესს მუდამ მზე უყურებს და კულტურებიც შერჩევით ითესება. ჩრდილის მხარე გარკვეული მარ-



ცვლელისათვის არის განკუთვნილი, რომელთა აღმოცენების ხარისხი და მოსავლიანობა მაქსიმალურ ეფექტს იძლევა აღნიშნულ გარემოში. ამ ფაქტორის მიხედვით ნიადაგებისა და კულტურათა ურთიერთშერჩევა განაპირობებს თესვის ვადების ზუსტად დადგენის აუცილებლობას, რაც თავის მხრივ მცენარეთა სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობასა და ნიადაგის თვისებებზეა დამოკიდებული.

მზისა და ჩრდილის მხარეების კათვალისწინებისას ქერი ჩრდილიან მხარეს ითესებოდა, დოლი და ჭვავი კი მზის გულზე.

სახნავ-სათესი ფართობების ქმედითი შესაძლებლობის განსაზღვრა მათი მდებარეობისა და ნიადაგობრივი ხარისხის შესაბამისად უძველესი დროიდან იყო შემუშავებული და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

სათესი ნაკვეთების დამუშავება (ხვნა). თესვა და ხვნა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული შრომითი პროცესებია. თესვის დროულად და მომგებიანად წარმართვა ბევრად იყო დამოკიდებული ხვნის პროცესებზე. თავის მხრივ, ხვნის წესი გაპირობებული იყო უმთავრესად სათესი ნაკვეთის მდებარეობით, ნიადაგების რავარობითა და მარცვლეულის ჯიშებით. ქართლის ვაკეზე, რომელსაც ზღვის დონიდან 400—700 მ სიმაღლე აქვს და სადაც გადაჭიმულია ზემო ქართლის, გორის, ტირიფონის, მუხრანის, საგურამოს, ქარელის, წითელქალაქის, კოდისა და გარდაბნის ველები, ხალხი საუკუნეების მანძილზე ებრძოდა გვალვას, რის საწინააღმდეგოდაც აქ მიღებული იყო ნაკვეთების ღრმად ხვნა.

გარდა ადგილმდებარეობისა, როგორც აღვნიშნეთ, ხნულის სიღრმე დამოკიდებული იყო ნიადაგების რავარობასა და სათეს კულტურაზე. ყველაზე ღრმა ხნულს მოითხოვს სიმინდი, ხოლო ფეტვისნაირი და თავთავიანი კულტურებისათვის მიწა შედარებით ნაკლები სიღრმით იხვნებოდა. დიკა ზედაპირულად აჩეჩილ მიწაზე ითესებოდა, დოლის პური ღრმად მოხნულზე, ჭვავის დათესვა კი კავით გაწერილ მიწაზე ხდებოდა.

ღრმად ხნავდნენ მწირ, „მსუბუქ“, მშრალ ნიადაგს, ხოლო შედარებით ზედაპირულად ნოყიერი და ნესტიანი მიწა იხვნოდა.

გამწვლელი და თითქმის შეუძლებელი იყო „გავვალული“ მიწის დამუშავება. ამიტომ ხვნის დაწყების დრო, განსაკუთრებით შემოდგომაზე, ხშირად წვიმებზე იყო დამოკიდებული. გაზაფხულზე კი მიწა სველი იყო გამდნარი თოვლისა და წვიმისაგან, ამიტომ გათბებოდა თუ არა, იწყებდნენ ხვნას.

სათესი ნაკვეთების მდებარეობისა და ნიადაგების შესაბამისად, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დამოწმებულია ხვნა-თესვის ორგვარი წესი: ა) თესვა და შემდეგ დახვნა, ან დათოხნა; ბ) ხვნა და შემდეგ დათესვა.

პირველი წესით ხვნა-თესვის დროს, მაგალითად რაჭა-ლეჩხუმში, მიწას ჯერ „დანახავდნენ“, ე. ი. გაავლებდნენ აქა-იქ ორიოდ კვალს, რომ მოენიშნათ სათესი ფართობი, მერე დათესდნენ და ბოლოს მოხნავდნენ, ან მოთოხნიდნენ და ფარავდნენ მიწაზე მოზნეულ თესლს. ხვნა-თესვის აღნიშნული წესი იშვიათად, მაგრამ მაინც გამოყენებული ყოფილა მესხეთ-ჯავახეთში, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილას ღომისა და სიმინდის თესვის დროს.

გურიაში გავრცელებული ყოფილა ორკვალად, ანუ შებრუნებული კვალით მოხვნა: მიწა იხვნება ჩვეულებრივად პირველ ჯერზე, შემდეგ შემობრუნებული ხვნის დროს კავს მოჰყვება მთესველი, რომელიც კვალში დათესავს. როდესაც კავი და მთესავი ყანის ერთ ბოლოში გავლენ, კავი შემობრუნდება,



ჩამოუვლის მოხულს გვერდზე და დათესილს მიწას დააყრის. ასეთი წესით ძირითადად სიმინდი ითესებოდა.

საქართველოში (ქართლში, კახეთში) დამოწმებულია ნაღარითა და ნაზურგით ხვნა. ნაღარით — ყანის გვერდებიდან ოთხკუთხედად მიყოლებული ხვნაა, ხოლო ნაზურგი — სწორხაზოვნად ზედიზედ მიყოლებული. მიწა ერთ წელიწადს ნაზურგზე, მეორე წელიწადს კი ნაღარზე მოიხვნებოდა. თუ პირველ წელს ბელტი ერთ მხარეს წვებოდა, მეორე წელიწადს ბელტს უკვე საპირისპირო მიმართულებით აბრუნებდნენ და ნაკვეთი სწორდებოდა. ნაღარისა და ნაზურგის მონაცვლეობას მორწყვისათვისაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ნაზურგით ხვნის დროს ყანის შუაგულში საკმაოდ მოზრდილი მიწის შემადგენელი ნაკვეთი რჩებოდა და მეორე წელიწადს ის რომ არ მოხულიყო ნაღარით, მორწყვა შეუძლებელი გახდებოდა, ამგვარი წესით ხვნა დამოწმებულია მესხეთში (XI, 13; IV, 116).

დასავლეთ საქართველოში, სადაც სიმინდი ძირითადად ნასიმინდარზე ითესებოდა, ნიადაგების დამუშავება იწყებოდა ფართობის გაწმენდით სიმინდის ღეროთა ნარჩენებისაგან. მოხალულ მიწას ჭოცხით მოფოცხავდნენ, ბონდოს (თავმოყრილი ჩალა, ბალახ-ბულახი, გურია) გააკეთებდნენ და დაწვავდნენ. „ნასესხები“ რომ დაიწყებოდა, მიწას კავით გატეხავდნენ. მიწის პირველ გატეხვას სამეგრელოში ტახუა ერქვა, იმერეთში — ყანის აყრა. ტახუა ღრმად იცოდნენ. ამბობდნენ, რომ პირველი ხვნა კაცსაც უჭირს და ხარსაცო. ცალფახვნა სიგრძეზე ხდებოდა, რის შემდეგაც მას თავებს ჩამოუხნავდნენ. მოხული და გადაბრუნებული ბელტები სიცივისაგან გაფხვიერდებოდა და მალლა მოქცეული ჭია-ლუა დაიხოცებოდა. ასეთ მიწას გაზაფხულამდე დასვენებდნენ და გაზაფხულზე კი „ორულელა ხარით ააკავებდნენ“ (XII, 69).

საგაზაფხულო ხვნა შუა მარტიდან შუა აპრილამდე გრძელდებოდა. ისეთ ადგილებში, სადაც ხშირი წვიმები იცოდა და ზამთარში წყალი დგებოდა, მიწა ზამთრის ბოლოს ან ადრე გაზაფხულზე მოიხვნებოდა, რომ მოხულს თესვამდე მოესწრო დაშლა, ან „დაჯდომა“ -დასვენება. თესვის დაწყებამდე მიწას გაწმენდნენ, შემოაკავებდნენ და მოხნავდნენ. „შემდეგ დასერავდენ (იმერეთი) // ასრელავდენ (გურია) // დაწურავდენ (სამეგრელო) // მონიხავდენ (ქვ. რაჭა) // კავით კვლებს გაავლებდნენ, რომელთა შორის მანძილი 2—2½ მ უნდა ყოფილიყო“. მიწა აუცილებლად უნდა დაკვალულიყო რათა დათესილი და დაუთესავი ადგილი ერთმანეთში არ არეულიყო. ამასთანავე კვალი ზელს უწყობდა ნიადაგიდან ზედმეტი წყლის გამოყოფას (XII, 69—70).

„იმერეთში (ხონის რაიონი) მიწას გაზაფხულზე ერთხელ ხნავდნენ და თესავდნენ. არც დაშვა, არც დაფარცხვა იქაურ მიწას არ სჭირდებოდა, რადგან რბილი იყო“ (XII, 70).

ყველანაირ მიწას ორჯერ არ მოხნავდნენ. თეთრქვიანი მიწა ნაყოფიერი იყო და ერთხელ იხვნებოდა. გარდა ამისა, იგი ხშირად ფერდობებზე მდებარეობდა და მისი მეორედ, ჯვარედინად მოხვნა უძნელდებოდათ. აოშვა საჭირო იყო იმისათვის, რომ ზამთრის განმავლობაში დატყეპნილი მიწის ქერქი დაშლილიყო, სარეველა ბალახი არ ამოსულიყო და თესლს აღმოცენება გადავილებოდა. შემდეგ მოხული მიწის დიდ ბელტებს // კოლბოხებს დაჯოლავდენ (ამტვერედნენ თოხის ყუით და უროთი — იმერეთი), რადგან ბელტიან მიწაში თესლი სხვადასხვა სიღრმეზე არის ხოლმე და სიმინდი დროულად ვერ ამოდის. წვიმის შემდეგ, როდესაც მიწა ოდნავ შეშრებოდა, მას დაფარცხავდნენ. გორიდან მიწას კბილიანი ჩელტით ჩელტავდნენ, სრლა მიწა კი „დაღობილი“ ფარცხით იფარცხებოდა (XII, 70).





ზეგანი და მთავორიანი ადგილების დაკვალვა იშვიათად იცოდნენ. „განის“ კვლები ნაწვიმარი წყლის დასაგროვებლად ფერდობის თავზე კეთდებოდა, რომ დამუშავებული მიწა არ ჩამორეცხილიყო და ნაკვეთს ზედმეტი სისველე არ ჰქონოდა.

ფერდობი რამდენიმე კავით ორ კვალზე იხვნებოდა. კვალი კვალში რომ არ ჩამჯდარიყო, ხენა ფართობის ძირიდან დაქანებით იწყებოდა, ხოლო თუ ზოგიერთ ადგილას კავი ვერ მიუღდებოდა, მაშინ ჯერ დათესავდნენ და მერე მეორე კვალის მაგივრად მოთონხინდნენ. ასეთ მიწას გურიაში ს ა გ ვ ა ლ ა ვ მიწას ეძახდნენ. მას ადრე გაზაფხულზე მოხნავდნენ და მაშინვე დათესავდნენ (XII, 67-68)

მესხეთში დამოწმებულია მიწის სამჯერადი დამუშავება. ივნისიდან იწყებოდა საანეულო მიწების ხენა, რასაც ადგილობრივ თერძვას, ხოლო ნახნავს სათერძავს უწოდებენ. მიწები, რომლებიც მოსავლის აღების შემდეგ გაზაფხულამდე ისვენებდა, შორი-შორს მოიხვნებოდა და რჩებოდა დაუთესავი. მიწის ამგვარად დატოვებას ჩაღარვა ერქვა. ივნისის დამლევამდე ძვ. სტილით სათერძავი მიწების პირველი მოხვნა, ანუ გათერძვა დამთავრებული იყო. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ იწყებოდა სათერძავი მიწების მეორედ მოხვნა, აოშვა, ანუ ოშვა. უკვე მოხული მიწის მეორედ გადახვნა ძნელი არ იყო, რადგან გაფხვიერებული ნიადაგი სახვნელს ნაკლებ წინააღმდეგობას უწევდა. ამიტომ მეორედ მოხვნა შედარებით უფრო მსუბუქი სახვნელი იარაღით ხდებოდა. გაოშვილი ნიადაგის დამუშავება მესამედ თესვის წინ ხდებოდა. ამის შემდეგ ნაკვეთი ითესებოდა და დათესილ მინდორს ფიჩხის კაბდოს ან ფარცხს გადაატარებდნენ, რათა თესლი ნიადაგში ღრმად ჩასულიყო.

აღმოსავლეთ საქართველოში აოშვას, ჩვეულებრივ, წინ უძღოდა თესვა და ფარცხის გატარება; აოშვა ქართლში მეორედ მოხვნას ეწოდებოდა. იგი თესვის თანადროული და თანდართული პროცესია.

ქართლში აოშვის განსხვავებული წესები გამოიყენებოდა სარწყავი და ურწყავი ნიადაგებისათვის, ზეგანი ადგილებისათვისაც. აქ დამოწმებულია აოშვის ოთხი სხვადასხვა ფორმა: ნახნავის გასწვრივი, გარდიგარდმო, ჯვარედინი და აყურით აოშვა, ანუ აჩუთვა. აყურით აოშვა კუთხიდან კუთხეში ჯვარედინ მუშაობას გულისხმობდა.

ნახნავის გასწვრივი აოშვა გულისხმობდა ჩუთით ისეთ მუშაობას, როცა გუთნით გავლებული კვლების გასწვრივ ხდებოდა ჩუთის გატარება. გარდიგარდმო აოშვისას გუთნით გავლებულ გრძივი კვლების საპირისპირო მოძრაობას აკეთებდა ჩუთი მარჯვნიდან მარცხნივ და უკან. ჯვარედინ აოშვას მიმართავდნენ შედარებით მაგარი სტრუქტურის მქონე ნიადაგების დამუშავებისას, მაგალითად, იქ, სადაც ნიადაგს წებოვნება მეტა აქვს, გორიხები ძნელი დასაშლელია. ჯვარედინი მუშაობისას ჩუთი ასრულებს ორი მიმართულებით სვლას—სიგრძეზე და გარდიგარდმო. აოშვის მეოთხე სახე თრიალეთში აყურით აჩუთვის სახელს ატარებს. იგი ჯვარედინი აოშვისაგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ აყურით აოშვისას ჩუთით მუშაობას იწყებდნენ დასამუშავებელი ნაკვეთის რომელიმე კუთხიდან. შემდეგ მეორე საპირისპირო კუთხიდან იწყებოდა აოშვა და ჩუთი აკეთებდა დიაგონალურ სვლას. აყურით აოშვას შემდეგ ფარცხვას აღარ მიმართავდნენ. I და II სახის აოშვა შედარებით რბილი ნიადაგებისათვის იყო გათვალისწინებული, III და IV სახის აოშვას კი აწარმოებდნენ ნაწვერლების და ნასიმინდარების დამუშავებისას.

თესლის შერჩევა. სათესლე მარცვლისა და სათეს ფართობთა თანაფარდობა. თესვა. თესვის დაწყებამდე სათეს-





ლე მარცვალს, სარეველა და სხვა მარცვალი რომ არ შეჰყოლოდა, წინასწარ შეარჩევდნენ, დაკმაზავდნენ, გადაარჩევდნენ და ცოტახნით გააფიცებდნენ. შემოდგომამდე გაფიცებულ მარცვალს გაზაფხულზე ისევ მზეზე გამოიტანდნენ. თესლის გაფიცების მნიშვნელობის მაჩვენებელია გლეხის გამონათქვამიც: „შვრია რომ გააფიცხო მაგრაათაო და დათესო კარგ ყანაში, ქერი მოვაო, გაუფიცებელი ქერი რომ დათესო წვიმაში, შვრია მოვაო“.

სათესლედ შერჩეულ მარცვალს მოსავლის აღებისთანავე კოდში ინახავდნენ (ამით სათესლე მარცვლის მღრღნელებისგან დაცვა უზრუნველყოფილი იყო).

სათესლე ხორბალს ინახავდნენ წვრილი წნელისაგან მოწნულ გოდორშიც, რომელიც შიგნითა მხრიდან ნაკელით იყო სუფთად გალესილი, გოდორს ზემოდან ჩალას დააფარებდნენ და ასევე ნაკელით გადალესავდნენ. ძველ-თესლი ცალკე ინახებოდა, ახალთესლი — ცალკე.

სკოდნიათ თესლის გაცვლა: ერთი სოფელი მეორეს უცვლიდა სათესლე ხორბალს, ან ერთი სოფლის შიგნით ქვიშრობ ადგილებზე მოწეულ ხორბალს უცვლიდნენ თიხნარ ადგილებზე მოწეულ ხორბალში. ასეთივე, თესლის გადაცვლის, წესი დამოწმებულია ქართლში: სარწყავ ადგილებში მოყვანილ დოლისპურის თესლს, გადაგვარებისაგან დასაცავად, სცვლიდნენ ურწყავ ადგილებში მოყვანილზე და პირიქით.

კარგი მეურნე ცდილობდა სათესლედ პირველი განალეწი მარცვალი აეღო. მისი აზრით, პურის პირველი ლეწვის დროს კალო გადათოხნილია და რბილი, რბილ კალოზე პურის მარცვალი „ლეწვით არ იღლება და ღონეს ინარჩუნებს“. სათესლე მარცვალი სრული და მსხვილი უნდა ყოფილიყო, კარგად მომწიფებული.

სამგორის სოფლებში (მარტყოფი, ახალსოფელი), შიდა ქართლში, ალგეთის ხეობაში და თრიალეთში სათესლე მარცვლეულის შერჩევა-შენახვის წესებს შორის აღსანიშნავია პურის დაკოდვის წესი. ზოგიერთ რაიონში დოლისპურთან შედარებით თავთუხი ბარაქიანი ხვავით ხასიათდებოდა. მაგრამ თავთუხმა გადაგვარება იცოდა. თავთუხის გადაგვარების ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეული იყო ლეწვის დროს ნადოლისპურა კალოზე მისი გალეწვა. ამ მიზეზით „მეოთხე წელს თავთუხს მარცვალი უწვრილდებოდა, ნაკმაზი მატულობდა, მარცვალი მოკლე იყო და თავთავიც წვრილდებოდა“. თავთუხის გადაგვარების თავიდან აცილების მიზნით საჭირო იყო თესლის გამოცვლა, ან სათესლე მარცვლის შერჩევა. სათესლე მარცვლის შერჩევის ერთი სახეობაა თავთავის დაკოდვა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სამი წლის შემდეგ თავთუხის თავთავს თავსა და ბოლოს მოკვეცავდნენ და თავთავს სათესლედ „გამოფშენებდნენ“. ამ წესით მიღებული თესლი თავთუხს თავის თვისებებს კვლავ უნარჩუნებდა სამი წლის განმავლობაში, შემდეგ კი თავთავის დაკოდვა კვლავ მეორდებოდა. სათესლე მარცვალს ორმოში ინახავდნენ. ორმოში ხორბლეული ოდნავ ნოტიო, მაგრამ ერთ უცვლელ ტემპერატურაზე ინახებოდა, რაც ხელს უწყობდა დათესვისას მარცვლის გავლივება-აღმოცენების დაჩქარებას.

სათესლე სიმინდს მოსავლის აღებისთანავე გამოყოფდნენ, ანდა სათესლეს მოსავლის აღებამდე საუკეთესო ძირებიდან მოტეხავდნენ. სათესლედ საღ, გრძელ, დიდ, ბრჭყვიალა და მწიფე ტაროს აიღებდნენ, რომელსაც გრძელი, სწორად ჩარიგებული და მჭიდროდ მიკრული მარცვალი ჰქონდა. სათესლე სიმინდის ნაქუჩი წვრილი და გრძელი უნდა ყოფილიყო, რომ მარცვლის მეტი გამო-სავალი მიეღოთ (XII, 68).



სამეგრელოსა და გურია-იმერეთში სათესლე კოტას გასახმობად და შესანახად ბელელში ღომის თავზე დააწყობდნენ, ქუნჩულით ურეკდნენ. ერთმანეთს გადააბამდნენ და სახლის წინ აიგნის ქანდარაზე ან ნალიაში დაკიდებდნენ. აჭარაში (ქედის რაიონი) სათესლედ გადარჩეულ სიმინდს „საძველოს“ ეძახდნენ და მას აღნიშნული წესით ინახავდნენ.

სათესლე სიმინდს გაზაფხულზე გადაარჩევდნენ, გამოფშვნიდნენ შუა ნაწილს ნაქუჩით ან ხელით და მარცვალს ერთი ან ორი დლით მზეზე გაფენდნენ; ამას განსაკუთრებით მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს პირობებისათვის, სადაც სათესლე მარცვალი სინესტეს შეეძლო გაეფუჭებინა.

ლეჩხუმსა და მის მიმდებარე ქვ. რაჭის სოფლებში სათესლე სიმინდის ცეცხლზე გახმობას სავალდებულოდ თვლიდნენ. ამგვარად გამხმარი მარცვალი კარგად აღმოცენების გარანტიას იძლეოდა. ამასთან „მჭრელი ამ გამჭვარტლულ თესლს მიწაში ველარას ავენებდა“.

ღომს მოსავლის აღებამდე ან აღების დროს ცალკე გამოარჩევდნენ. ყველაზე უკეთესს, საღ და დიდ თაველს ღეროიანად მოჭრიდნენ და კონაღ—„მუჭკად“—შეკრავდნენ. კონებს ბელელში ღომის თავზე დააწყობდნენ, ან იმავე სათავეში ცალკე შეინახავდნენ. სამეგრელოში სათესლე ღომის დაწვანაც იცოდნენ და შეკრულს სახლში ისეთ ადგილას დაკიდებდნენ, რომ ცეცხლი მოხვედროდა. ასე გამხმარ თაველს თესვის დროს ხელით დაფშვნიდნენ. საცხველში მისი გაცეხვა არ შეიძლებოდა, რადგან ცეხვის დროს ღომის მარცვალს „გული“ გაუფუჭდებოდა და ასეთი მარცვალი სათესლედ აღარ ვარგოდა (X, 51).

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ზუსტად იყო დადგენილი სათესლე მასალის ოდენობაც. დასათესი მარცვლის რაოდენობა დიდად იყო დამოკიდებული სათეს ფართობზე და ნიადაგის ხარისხზე; საუკეთესო მიწებზე თესავდნენ უფრო კოტა მარცვალს, ნაკლებმოსავლიან მიწებზე კი მეტი, რადგან ცუდი მიწა თესლს „ჭამდა“. სიმინდი მეტი ითესებოდა შავმიწანიადაგში, რადგან ასეთ ნაკვეთზე ჭია მეტი იყო და თესლიც მეტი ნაღვურდებოდა, ხოლო თეთრ მიწას სიმინდის ნაკლები თესლი სჭირდებოდა. მაგალითად, საჩხერის რაიონის მიწაზე საჭირო იყო სიმინდის მეტი თესლი. საშუალოდ კი ერთ ორთაღს (ორთაღი — 90 კვ. საყენი) სჭირდებოდა 2 ფუთი სიმინდი და ზოგჯერ უფრო მეტიც.

მეორეც, სათესლე მარცვლის ოდენობა დამოკიდებული იყო თვით სათეს კულტურებზე და მათ ჯიშებზე. მაგალითად, რაჭაში ქცევა მიწაზე სათეს ნორმად მიჩნეული იყო ხორბალი და ქერი 3—8 ფუთამდე, სიმინდი კი 0,5—1,5 ფუთამდე, ე. ი. თანაბარ ფართობზე, თავთავიან მარცვლეულთან შედარებით, იხარჯება სიმინდის თესლის ნაკლები რაოდენობა, იმავე რაჭაში მარცვლეულთა ადგილობრივი საზომი კოდი (2,5 ფუთი), რომელიც უდრის 5 ბათმანს და 4 ნაოთხალს, ერთსადაიმავე დროს მიწისა და ფართობის საზომია. ამგვარად დესეტინა უდრის  $10\frac{2}{3}$  კოდს, 4 კოდი უდრის ქცევას (900 კვ. საყენი),  $\frac{1}{2}$  ქცევა უდრის 4 ნაოთხალს, 1 ნაოთხალი უდრის  $\frac{1}{4}$  ქცევას და ა. შ. მიწის ზედაპირის ფართობის გაზომვისას ხშირია კოდისა და მარცვალთა სხვა საწყაოების გამოყენება. მარცვალთა საწყაოების გაიგივება ფართობის საზომთან მიგვითითებს სათესი მარცვლის ოდენობის მეშვეობით ფართობის გაზომვაზე.

მიწის ფართობის საზომია აჭრეთვე კ ა ბ ი წ ი და გ რ ი ვ ი, რომლებიც მარცვლეულის წონის ერთეულებია. „ყანა გრივისა ერთისა სათესავი“ და „ყანა ექუსისა კაბიწისა სათესავი“ (ქრონიკები და სხვ. II, 48, 77) გამონათქვამებში ყანის სიდიდის აღსანიშნავი მისი სათესავის დამტკიცებაა მოცემული.



ასევე კახეთში მიწის საზომად მარცვლეულის საწყაოთაგან ჩარეკი იხმარებოდა.

მესხეთში დოლის პური, 1 სომარ მიწის ფართობზე, 16 კოდი უნდა დათესილიყო. სომარი მესხეთში მარცვლეულის საწყაოა, რომელიც 16 კოდს უდრის. განსაზღვრული რაოდენობის კოდი, სომარი, უკვე ფართობის სიდიდის აღმნიშვნელია და არა მარცვლეულისა, აქედან 16 კოდის სათესი ფართობი სომარია. ეს იმდენად დაკანონებული შესატყვისობაა ამ კუთხეში, რომ სომარი მიწის საზომ ერთეულად გვევლინება.

ხევსურეთში ერთ დღიურ ნახნავზე (დღიური 100-დან 300 კვ. საყენამდე მერყეობს) 2—3 საწყავი, ანუ ფუთი ხორბლეული ითესებოდა.

რაც შეეხებოდა ღომს, იგი ერთ ქცევა მიწაზე ნახევარი კოთხო ითესებოდა (კოთხოში ჩადის 4 კვ.).

თესვის ვადების ზუსტად დაცვისა და კარგად შერჩეული სათესლე მასალის გარდა, უხვი მოსავლის მიღების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე თესლის მიწაში მიბარების სიღრმეს, ეს უკანასკნელი კი დამოკიდებული იყო ნიადაგის სახეობაზე, მარცვლეულ კულტურათა ჯიშებზე და მარცვლის სიდიდეზე.

სომინდის თესვის დროს თესლის მიბარების სიღრმეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა. ნოყიერ და წყლით უზრუნველყოფილ ნიადაგზე თესვა უფრო მეტი სიხშირით არის შესაძლებელი. მსუბუქ ნიადაგში თესლს უფრო ღრმად თესავდნენ, ვიდრე მძიმე თიხა ნიადაგში. ამავე დროს ყურადღებას აქცევენ თესლის ფორმას. წვრილმარცვლიანი თესლი ზერელედ ითესებოდა, მსხვილი თესლი კი უფრო ღრმად. ნიადაგში შედარებით ღრმა ჩათესვას მოითხოვდა დოლის პურის თესლიც (XII, 72—75).

ფერდ, თოხით დასამუშავებელ ადგილებში, ან მშრალ, მსუბუქ ნიადაგებში, რათა მარცვალი უფრო ღრმად ჩაითესოს და გვალვამ არ შეაწუხოს, მიმართავდნენ მარცვლის მობნევას დაუმუშავებელ მიწაზე და შემდეგ დახვნადათხნას. ხოლო იქ, სადაც სახენელი უდგებოდა და ნიადაგიც ნესტიანი და მძიმე იყო, რათა მარცვალი (განსაკუთრებით ხორბლის) ძალიან ღრმად არ მოხვდეს მიწაში და არ დაღუპეს, ჯერ ხნავდნენ და შემდეგ ხნულში მარცვალს ჩააბნევდნენ.

თესდნენ ხელით. სათესლე მარცვალი მთესველს ეყარა გუდაში, ცალეზში, ხალთაში, ტომარაში (რაჭა-ლეჩხუმი), ფეშტემალში (ქართლი, კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი, აჭარა), ლაგუჯში ი//ხართაში, ბუყუნში, ტომარაში, ჭურაში (ხაპი) (სამეგრელო), გუდაში (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი).

სათესლე მარცვალი ორი წესით ითესებოდა: მობნევით და კვალში. ამასთან კვალში თესვა შედარებით ახალი ჩანს (XX ს. დასაწყისი), მობნევით თესვა კი უფრო ძველი. მობნევით თესავდნენ მაგალითად ღომის მარცვალს, ხორბლეულს, სომინდი კი მობნევითაც ითესებოდა და კვალშიც, უფრო კი დათესვის ეს უკანასკნელი წესი იყო გამოყენებული.

თესვას ცოდნა უნდოდა და ყველას არ ანდობდნენ. თესავდა ორი მამაკაცი: ერთი, მთესველი, რომელიც უშუალოდ თესლს იღებდა და აბნევდა და მეორე — თესლმპირავი|თესლის მპირავი, ანუ მორბედი, ანუ წინმდგომი — წინ მიუძღოდა მთესველს და უთესლისპირებდა, ნათესის მიმართულებასა და დაუთესავ მონაკვეთებს განსაზღვრავდა. მთესვე-



ლი სათესლე მარცვალს მუჭით იღებდა, ხელს მუჭით შიგნით მოიბრუნებდა და მარცვალს მარცხენა მხარის მიმართულებით მოაბნევდა. მას შემდეგ, რაც მთესველი 4—5-ჯერ მოაბნევდა მარცვალს ერთსა და იმავე ადგილზე, 1 მეტრით გადაინაცვლებდა წინ. გამოტოვებულ დასათეს ადგილებს მთესველი ფეხით ნიშნავდა და შემდეგ ავსებდა. თესვა იცოდნენ წყნარ, უქარო ამინდში.

სათესლე მარცვლის დათესვის შემდეგ ხდებოდა სათესი ნაკვეთის დაფარცხვა. დაფარცხვა მიზნად ისახავდა თესლის ნიადაგში ჩაფლვას და ნათესის ზედაპირის მოსწორებას. ეს უკანასკნელი აუცილებელი იყო და ხელს უწყობდა როგორც მორწყვას, ასევე მოსავლის ასაღები სამუშაოების მოხერხებულად ჩატარებას.

ცხრილი 1

გუბერნიების დასახელება	თესვის ვადები			
	მთიანი ზოლი		დაბლობი ზოლი	
	პ უ რ ე უ ლ ი			
	საშემოდგომო	სავაზაფხულო	საშემოდგომო	სავაზაფხულო
ქუთაისის	პირველი აგვისტოდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე	პირველი აპრილიდან 30 მაისამდე	აგვისტოს შუა ან ბოლო რიცხვებიდან ოქტომბრის, ან ნოემბრის შუა რიცხვებამდე	მარტის პირველი რიცხვებიდან 15 აპრილამდე
თბილისის	სექტემბერსა და ოქტომბერში	მარტის ბოლო რიცხვებიდან მაისის 20-მდე	სექტემბრიდან ვერე ნოემბრამდე	მარტის შუა რიცხვებიდან აპრილის ბოლომდე

თესვის ვადები

სათესი კულტურა	გუბერნიის დასახელება	თესვის დრო
ს ა ბ ი ა ნ ე რ ი	ქუთაისის გუბერნია:	
	ლეჩხუმის მაზრა	აპრილის ბოლოს, ან მაისში
	რაჭის „	აპრილში, ან მაისის დასაწყისში
	შორაპნის „	სამხრეთ რაიონებში მარტის ბოლო რიცხვებში, ჩრდილოეთ რაიონებში აპრილის დასაწყისიდან მაისის ბოლომდე
	ქუთაისის „	პირველი აპრილიდან მაისის 15 რიცხვამდე
მ ა რ ტ ვ ი	ახალციხის „	აპრილის ბოლოს
	რაჭის მაზრა	პირველი აპრილიდან 15 ივნისამდე
მ ა რ ტ ვ ი	ქუთაისის მაზრა	პირველი აპრილიდან 30 აპრილამდე
	ქუთაისის მაზრა	9 მარტიდან 15 მაისის ჩათვლით, საერთოდ კი სიმინდზე გვიან.



რაიონების დასახელება	სათესი მარცვლეულის რაოდენობა ფუთობით ერთ დესეტინაზე						
	ხორბალი		ქერი		კვაფი	ფეტვი	სიმინდი
	საშემოდგომო	საგაზაფხულო	საშემოდგომო	საგაზაფხულო			
თბილისის გუბერნია							
თბაღისის გორის:	7—	12	8	—14	6—10	0 <sub>3</sub> —0 <sub>75</sub>	1—1,5
I მთიანი რაიონი	—	12—16	—	12—16	—	—	—
II " "	12—	16	12—	16	—	—	—
ველები	10—14(12)	8—12(10)	10—14(12)	8—12(10)	—	1—2	2—4
ლუშეთის	8—	20	8—	20	—	—	—
თიანეთის	10—12 <sup>1</sup>	{ 6—8	—	8	—	0,5	—
ერწო-თიანეთი }	8—10 <sup>2</sup>		—	—	—	—	—
კახეთში	7—9	—	7—9	—	—	—	1
ფშაფი	—	10—15	—	12—14 }	7—8	—	—
პირიქით ზეგსურეთი	—	12—16	—	14—18 }	—	—	—
სიღნაღის	7	—	—	—	—	0,75	0,5
ფელავის	9	—	8	—	—	—	—
ახალქალაქის }	12—	13	9	—	—	1,2	1,2
ახალციხის }	—	—	16	—	—	—	2,2

1 საგაზაფხულო ხნულში

2 საშემოდგომო " "

3 ჰანკისში თესავენ მეტს, ვიდრე კახეთში და ნაკლებს, ვიდრე ერწო-თიანეთში



ქუთაისის გუბერნია	ხორბალი	ქერი	სიმინდი	ფეტვი	ღმინი
ოზურგეთის მაზრა	—	—	2,66	—	—
სენაკის " }	—	—	2,66	—	—
ზუგდიდის " }	—	—	2,66	—	—
ლენხუმის " }	10,66	—	2,66	—	—
რაჭის " }	21	21	4	4	—
შორაპნის " }	4—8	5—8	2—3	—	—
ქუთაისის " }	—	—	—	—	—
ა) ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი	6	4,65	2,32	0,5	0,25
ბ) სამხრეთ-დასავლეთი	—	—	—	—	—
დაბლობი ზოლი	—	—	4	—	1
მთიანი " }	—	—	3	—	—

ლიტერატურა

I ნ. ბ რ ე ვ ა ძ ე, ხორბალი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, 1980.  
 II ნ. ბ რ ე ვ ა ძ ე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, 1969.  
 III Г. Ч и т а я, Земледельческая система и пахотные орудия в Грузии, ВЭЖ, 1952.  
 IV ლ. ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, მიწათმოქმედება მესხეთში, 1973.  
 V ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მსე, 1960.  
 ე. მ ე ნ ა ბ დ ე, საქართველოში ღომის შესწავლისათვის, თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის შრომები, X, 1947.  
 VI ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1.  
 VII გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორი-  
 იდან, 1960.  
 XIII Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян  
 Закавказского края, т. IV, часть I, X. А. Вермишев, Посев, с. 297.  
 IX უ. ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, ნ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, შიდა და ქვემო ქართლში მივლინების  
 დღიური.  
 X ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში.  
 XI გ. ჩ ი ტ ა ი ა, პატარა ლიხვისა და მეჭუდის ხეობაში მივლინების ანგარიში, ენიმკის მოამ-  
 ბე, XI, 1941.  
 XII ჯ. რ უ ხ ა ძ ე, სიმინდის კულტურა დასავლეთ საქართველოში, ქართველი ხალხის  
 სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა.



ბ. ჩიტაია, ბ. ჯალაბაძე

## უღლები და აპეურები

საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითის გვიანდელ საფეხურზე და ადრე ბრინჯაოს ხანაში გუთნური მიწათმოქმედება ვითარდება. პირუტყვის გამწევ ძალად გამოყენების ამსახველი უტყუარი საგნები (კევრები, ურმები, უღლები) ძვ. წ. ა. II ათასეულით თარიღდება.

გამწევ ძალად გამოყენებული იყო: ხარი, კამეჩი, ცხენი, სახედარი. ცხოველთა ყველა ეს სახეობა იბმოდა როგორც ტრანსპორტში, ისე სახვნელ იარაღებში.

ურემი, სახვნელი, მარხილი გამწევ ძალასთან დაკავშირებული იყო უღლის საშუალებით. უღელი XVIII საუკუნის ქართველი ლექსიკოგრაფის საბას განმარტებით არის „ჭართ. ქედთ საღები ხე შესაბმელად“. უღლის მოწყობილობაში შედიოდა ტაბიკები და აპეურები.

უღელი სხვადასხვა დანიშნულების იარაღებისთვის გამოიყენებოდა. იყო საურმე, სახვნელი, კევრის, მარხილის, საურმე საყევრის, გუთნის წინა ხარის, ცალუღელი, ხის მორების სათარი, აჩაჩა სახვნელის, ჩოჩილა ურმის და გუთნის საჯდომის (ტაბ. V, 1). უღლები ერთიმეორისაგან განსხვავდებოდნენ ფორმა-მოყვანილობითა და სიდიდით. განსხვავებას იწვევდა ბუნებრივ-სამეურნეო პირობები და გამწევი ძალის სახეობა. ამის შესაბამისად უღლის სიგრძე მერყეობდა 120 სმ-დან 300 სმ-მდე; სიგრძე 8—10 სმ, სისქე 4—8 სმ. უღლის დასამზადებელ მასალად ამჯობინებდნენ თელას, იფანას, მაყალოს (აღმოსავლეთ საქართველო), წაბლს, მუხას, ვერხეს, ფიჭვს (დასავლეთ საქართველო). ბრინჯაოს ხანის უღლის ნაშთები მუხის ხისაა, როგორც ჩანს, ძველად აღმოსავლეთ საქართველოში მუხის უღლები ყოფილა გამოყენებული (რუკა 6, 7, 8).

საუღლე მასალად ჩამოთვლილი ხის ჯიშების შერჩევა ხანგრძლივი დაკვირვებიდან მომდინარეობს. „უღლები მუშაობის დროს არ უნდა გახურდეს, რომ ხარს კისერი არ დაეწვას“.

საუღლე დანიშნულებით მოჭრილ ხეს სათანადო ზომაზე დააყენებდნენ, გააკობიტებდნენ და შემდეგ საქედურებს გამოუყვანდნენ. უღელს რომ მეტი გამძლეობა და სიმაგრე ჰქონოდა, გათლილ საქედურებამოყვანილს კერის აყარზე შემოდებდნენ და ბოლში გამოყავდათ. თუ მისი ხმარება ეჩქარებოდათ, მაშინ ცეცხლზე მოატარებდნენ და ახალი ნაკელით გაგოზავდნენ. რამდენიმე დღის მერე მას გაასუფთავებდნენ, დახვეწავდნენ, სატაბიკე ნაჩვრეტებს გაუკეთებდნენ და უღელი საშუაოდ მზად იყო.

ჩვეულებრივ ურემში და სახვნელში სახმარ უღელს 2 საქედური უკეთდება, მაგრამ არის განსხვავებული რეგიონები; მაგ., დასავლეთ საქართველოს მთის ზოლში (იმერეთი) არც ურმის და არც სახვნელის უღელს საქედუ-







რი არ გააჩნია, აქაურ უღელს მრგვალად გათლიდნენ და ისე ხმარობდნენ. საქართველოში რამდენიმე სახის ურემი იყო გავრცელებული. იყო მრგვალი, მთური ჩოჩილა (ფრჩხილებიანი), ბარული, ბარული საძნე, ახალციხური საძნე, გარეკახური ოთხბორბლიანი და ცალუღელა. შესაბამისად სატრანსპორტო იარაღებისა, უღლებიც განსხვავებული ფორმა-მოყვანილობისა და სიდიდისა მზადდებოდა. საყვერის უღელი ურემში ჩვეულებრივი უღლისაგან ფორმითაც განსხვავდებოდა და სიმძიმითაც. ურემის საყვერის უღელი გუთნის წინა ხარის უღლადაც გამოიყენებოდა.

საყვერის უღელს შუაგული დაბლა ჰქონდა ჩაზნეკილი, ხოლო კიდევები ანუ მხრები დაკაული-მოქანდული. ქართველი მიწისმოქმედნი უღლის ასეთ ფორმას სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან: ერთნი აღნიშნავენ, თითქოს წინა ხარს ამ ფორმის უღელი სილამაზისთვის ჰქონდა დადგმული. მეორეთა შეხედულებით მხრებდაქნილი უღელი ხარს საშუალებას არ აძლევს, რომ წაფორხილების დროს მიწაზე ყბა დაარტყას. მესამეთა შეხედულებით წინა ხარი, რადგან მეხრე არ უზის უღელზე და არც სხვა გამწევი ძალაა მის წინ ჩაბმული, ან დებრობს, ღვედი უღელს უკან ეწევა და ხარს აპეურები ყელში ებჯინება, სიმძიმე კი უღელს სწორად აყენებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ როცა ასეთი ფორმისა და სიმძიმის უღელი არ ჰქონდათ, წინა უღელზე ქვასაც ჰკიდებდნენ, ხარს რომ უღელი არ აეჭედურებინა. ასეთ ქვას საწაფი ქვა ეწოდებოდა.

საყვერის უღელი გავრცელებული იყო ქართლში, კახეთში, ქვემო ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში. ამ ტიპის უღლები ურემის შემცირებასთან ერთად შემცირდა 1917—1930 წლებში. 1930-იანი წლებიდან კი იგი იშვიათად გამოიყენებოდა.

სათრიელა ანუ სათარი უღელი, ჩვეულებრივი უღლისაგან სიმოკლით გამოირჩევა. იგი ხშირად უსაქედუროა, მრგვალი ფორმისა, შუაში ჩაზნეკილი და სატაბიკეებთან მოქანდული. ცენტრში სატაბიკე ნაჩვრეტის ნაცვლად ორი რიკი აქვს ჩადგმული. იგი გავრცელებული იყო ტყიან ადგილებში (სვანეთი, ბორჯომის ხეობა, გურია). ამგვარ უღლებს იყენებდნენ ტყიდან ხეების გამოსატანად.

სახვენელ იარაღებში უღლების სიდიდეს დიდი ყურადღება ექცეოდა. გუთნეულისათვის საჭირო უღლების რაოდენობა მოდგამის გამწევი ძალის ოდენობით განისაზღვრებოდა. გუთნეულის უღლებში სამი ტიპის უღელი იყო წარმოდგენილი: 1. საჯდომი ანუ ბალიშიანი, 2. წასაკრავი და 3. საყვერის უღელი.

საჯდომი ანუ ბალიშიანი უღელი (სურ. 1) დასტურდება ბარის მიწათმოქმედებაში მოქმედ დიდი გუთნის კომპლექსში. ჩვეულებრივი უღლებისაგან იგი იმით განსხვავდებოდა, რომ მეხრის მოხერხებული ჯდომისათვის სიგანე მეტი ჰქონდა. ბალიშიან უღელს მარცხენა მხარე განიერი აქვს, ვიდრე მარჯვენა. ჩვეულებრივ მეხრე მარცხენა მხარეზე იჯდა. მარცხენა მხარე ველის მხარეზე მოძრავი ხარის მხარეს წარმოადგენდა.

ველზე მავალი ხარი 20—25 სმ მაღლა იდგა, ვიდრე კვალის ხარი, ამიტომ, კვალის ხარი ყოველთვის მეტად იტვირთებოდა. ამ დატვირთვას ველის მხარეზე უღელზე მჯდომი მეხრე აწონასწორებდა. XIX ს. ბოლოს ბალიშიანი უღელი მხოლოდ საძირის ხარებს დარჩათ.

გუთნის უღლის მეორე ტიპია წასაკრავის უღელი, რომელიც სწორი ხისაგან ითლებოდა, ჰქონდა გამოყვანილი საქედურები და 5 სატაბიკე

- ▲ ▲ ▲ 1
- ■ ■ 2
- ▣ ▣ ▣ 3
- ● ● 4
- ◉ ◉ ◉ 5
- ▢ ▢ ▢ 6
- ▼ ▼ ▼ 7
- ▶ ▶ ▶ 8
- ◆ ◆ ◆ 9



მ ა 3 ი  
ზ მ 3 ა


რუბა № 7. ულღების სახეები (XIX ს. II ნახ.).

1. პარული ურმის უღელი, 2. აჩაჩა ურმის უღელი, 3. საყევის უღელი, 4. ფშაური სახენელის უღელი, 5. საჯდომის უღელი, 6. მარტუღელი, 7. სათრეღა უღელი, 8. ფორნის უღელი, 9. ცხენის უღელი





ნაჩვრეტი. გუთანში იხმარებოდა მესამე ტიპის უღელი, ე. წ. საყვერის უღელი, მხრებდაქნილი და შუაში ჩაზნექილი. საყვერის უღელი სხვა უღლებთან შედარებით მძიმე იყო. იგი წინა ხარისათვის იყო განკუთვნილი. თუ გუთნე-ულს წინა ხარისათვის მხრებდაქნილი უღელი არ გააჩნდა, მაშინ უღელს შუა-ში ჰკიდებდნენ საშუალოდ 8—10 კგ წონის საწაფ ქვას, რომ ხარს უღელი არ აეჭედურებინა.



სურ. 1. საჯდომი უღელი, ხაშურის მუზეუმი, კოლ. № 13.

ქართულ დიდ გუთანში 8—10 უღელი გამწევი ძალის შებმა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, თვითეულ დაუღლება ხარს და უღელს თავისი სახელები გააჩნდა.

ფრონეს ხეობა	პ. ლიახვის ხეობა	ქვემო ქართლი	ქიზიყი
1. გუთნისთავის	1. გუთნისთავის	1. თავთუღელი	1. ლირლიტის
2. საძირის	2. საძირის	2. საძირის	2. საგლეჯის
3. საშუალის	3. საშუელის	3. საჯდომის	3. სადგომის
4. საშუალის წასაკრავი	4. წასაკრავის	4. საწკები	4. საყვერის
5. საშვიდუღლის საჯდომი	5. წინა საჯდომი	5. საჯდომი	5. სადგომის
6. საშვიდუღლის წასაკრავი	6. წინა წასაკრავი	6. წინა	6. წინახარები
7. წინა საჯდომის	7. საყვერის საჯდომი		
8. წასაკრავი	8. წინა		

დიდი გუთნის უღლებისაგან განსხვავებულ უღელს იყენებდნენ ფშაურ-ი აჩაჩით ხვნის დროს. ცნობილია, რომ სახვნელში გამწევი ძალა სხვადა-სხვანაირად არის დატვირთული. ორ უღელბმულ სახვნელში თუ ერთი ზომის ერთნაირი უღლები ექნებათ, მაშინ საძირის ხარს 10% მეტი ჯაფა ადგება. ფშაველ მეურნეს ეს განსხვავებული დატვირთვა უღლების ზომათა განსხვავებით დაუძლევიან. წინა ხარის უღლის სიგრძე საშუალოდ 10 მტკაველის სიგრძისა უნდა ყოფილიყო, უკანა უღელი კი 12 მტკაველი.

ერთ უღელბმულ სახვნელთა უღლებს ხშირად შუა ტაბიკის ნაჩვრეტი არ გააჩნდათ, სამაგიეროდ ან თავისივე ნაწილიდან შუაში ამომჯდარი გადა-ღარული ქედი, ან ამავე დანიშნულებით ჰორიზონტალური ნაჩვრეტი ჰქონ-დათ, რომელშიც ღვედის თავს გაიყვანდნენ და მერე რიკს ჩაუყრიდნენ ღვედის თავში. უღელთა უმრავლესობას მაინც ორი რიკი უკეთდებოდა.

იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში გვიანი დროისათვის იყენებდნენ ერთხარბმულ სახვნელებს//ცალუღელას. ცალხარა უღელი 50—60 სმ სიგრძი-სა იყო, ზოგჯერ შუაში გახრილი და საქედურგამოყვანილი. ამავე სახის სახვ-ნელში ადრე ცხენს აბამდნენ. ცხენის ძალის გამოყენება სახვნელში XVI საუკუნიდან იწყება. ცხენისათვის გამოიყენებოდა ოვალური ფორმის ქეჩით



მ ა კ ნ  
ფ მ ჰ ა

რუკა № 8. შლღეზის სახეობი (XX ს. 30-იანი წწ.)

1. ბარული ურმის უღელი, 2. აჩაჩა ურმის უღელი, 3. სავევრის უღელი, 4. ფშაური სახენელის უღელი, 5. საჯდომის უღელი, 6. მარტუღელი, 7. სათიფელა უღელი, 8. ფორნის უღელი, 9. ცხენის უღელი.



და ტყავით გამოკრული უღელი. ამგვარი უღლები გვხვდება იმერეთში სამეგრელოში, გურიაში, ხევში და დუშეთის რაიონის სოფლებში.

საქართველოს მთის რაიონებში სახნავ-სათესებში ნაკელი გაჰქონდათ მცირე ზომის მარხილებით, მარხილზე შედგმული იყო ჭინი, აბამდნენ ცალ ხარს. ხარის შესაბამელად ხმარობდნენ მარტულელს. ბარის რაიონებში მარტულელის პარალელურად ტერმინი „ცალუღელა“ გვხვდება.

მარტულელს ნახევარმთვარისებური ფორმა ჰქონდა, გააჩნდა საქედური და სატაბიკე ნაჩვრეტები. კიდები მარხილის ლატნის მისაბმელად ამოჩვრეტილი იყო თითის სიმსხოზე. ბარში ცალუღელაში ხარს ან კამეჩს აბამდნენ. ცალუღელა სიგრძით 80 სმ-მდე აღწევდა. შუაში საქედურით და სატაბიკე ნაჩვრეტებით იყო გაწყობილი. კიდებზე დატანებული ნაჩვრეტებით მაგრდებოდა ურმის ხელნებზე. ამგვარ უღლებს იყენებდნენ ბოლო ხანებში შემოდებულ მცირე ზომის ურმებში, როგორც ქართლში, ისე იმერეთსა და გურია-სამეგრელოში.

მე-19 საუკუნეში საქართველოში ჩამოსახლეს გერმანელი კოლონისტები და რუსი დუხობორები, ისინი ოთხთვლიან ფორმებს იყენებდნენ, რომელშიც გარდა ცხენისა ხარებსაც აბამდნენ. ამგვარი ურმები გარეკახეთისა და ქვემო ქართლის მოსახლეობამაც გადაიღო, რომლებიც შესაბამისად დაწყვილებულ ანუ ჩარჩო უღელს ხმარობდნენ. უღლის ეს კომპლექსი შედგებოდა ზედა უღლისა და ქვედა ასაკრავი უღლისაგან. ზედა წარმოადგენდა სწორ, საქედურგამოყვანილ უღელს, ხოლო ქვედა 7—8 სმ სიგანის და 4 სმ სისქის სწორი ხე იყო წიბოებმოგლუვებული და ზედა უღლის ზომაზე ჰქონდა სატაბიკე ნაჩვრეტები. იგი ზედა უღელთან დაკავშირებული იყო ხუთი ტაბიკით, შიგნითა ტაბიკები დაბლიდან მალა იყო ამოტარებული და ზედა უღელზე მაგრდებოდა. გარეთა ტაბიკები კი ზემოდან იყო ჩაყრილი — სამაგრის გარეშე. ასეთ უღელში აპეურებს არა ხმარობდნენ. უღლის აღნიშნული ფორმა ხმარებიდან გავიდა ფორნის ტიპის ტრანსპორტის გაქრობასთან ერთად მეორე სამამულო ომის შემდგომ პერიოდში (1946—1950 წწ.).

თუ ერთი ხარი ებმება უღელში, მას მარტულელა ან ცალუღელა ეწოდებოდა, თუ წყვილი ხარი — უღელი ან უღელა. თუ ორი უღელი ება, — ყვეარი. აქედან არის ნაწარმოები სახელწოდება — საყვერის უღელი და საყვერის ჯაჭვი, ან უბრალოდ საყვერის ღვედი.

უღელში ხშირად არათანაბარი ძალის გამწვევს აბამდნენ. იმისათვის, რომ მათ შორის წვეის ძალა გათანაბრებულიყო, ძლიერ ხარს ან კამეჩს უღელს უმოკლებდნენ. ამ აზრით საქედურთან ერთი ნაჩვრეტი კიდევ იყო ტაბიკის ჩასადგმელად. ძლიერს ერთი საქედურით აქეთ შეაბამდნენ ან იმავე საქედურში დატოვებდნენ და უღელს ხელნასთან ჩაუბამდნენ ისე, რომ ძლიერი ხარი რაც არ უნდა მაგარი გამწვევი ყოფილიყო, მეუღლეს წინ ვერ წაუფიქროდა. საამისოდ უღელს საგანგებოდ უკეთებდნენ სატოლმეტო ნაჩვრეტს. სატოლმეტო ნაჩვრეტის მონაკვეთში ხარის შებმას ტოლის დადებას (ქართლი), ტოლის მოდებას (კახეთი), გადაცანდვას (გურია) უწოდებდნენ.

გამწვევი ძალის გათანაბრებას უფრო მაშინ მიმართავდნენ, როცა გამოუქნელი ხარის შებმა ხდებოდა. გამოქნის მიზნით შებმულ მოზვერს დიდი ყურადღებით ექცეოდნენ, დიდხანს უღელში არ აჩერებდნენ. მოზვერი ახალ გარემოს კარგად უნდა მიჩვეულიყო.

გარდა სატრანსპორტო, სალექსი და სახვნელი დანიშნულების უღლებისა არსებობდა უღლები შინაური პირუტყვისათვის, იმ დანიშნულებით, რომ დაე-



კამეჩისათვის იყო გათვალისწინებული, მაშინ მრავალწევრად შეგრეხდნენ აპეურების ხელოსანს მავმანი ეწოდებოდა. მავმანები ზამთრის პერიოდში სხვა ადგილებში გადიოდნენ და ადგილზე ამზადებდნენ აპეურებს.

დიდი გუთნით მუშაობის დროს მოდგამში აპეურები ზოგჯერ ერთ-ერთ წევრს შეჰქონდა, რამიც მას ნახევარ ალოს უხნავდნენ. უმეტეს შემთხვევაში კი მოდგამის წევრებს თავისი საკუთარი აპეურები ჰქონდათ.

ყოფაში მოწმდება რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ხატის უღლები. ხატის უღლები ხისა და რკინისა იყო. ხის ხატის უღელი თხილის მოქნილი ჯოხისაგან მზადდებოდა. სიმსხოთი ასეთი ჯოხი ნეკ თითზე უფრო წვრილი უნდა ყოფილიყო. ხატისთვის დამზადებულ, მრგვალად შეკრულ ჯოხს ბავშვებს თავზე ჩამოაცმევდნენ, ზედ ტყემლის ან ურძის ხისაგან გამოთლილ ჯვარს და სანთლის კაკლებს დაკიდებდნენ და ხატის კარზე ამ უღლით მიიყვანდნენ ხოლმე. ანალოგიური იყო რკინის მავთულისაგან დამზადებული ხატის უღლებიც, რომელთაც დამიზებულნი ხატის მიმართ ვალდებულების მოხდის შემდეგ იხსნიდნენ და იქვე ტოვებდნენ.

არსებობდა ხატის უღლები, რომელთაც დადიანურსაც უწოდებდნენ. ეს უღლები გამოირჩეოდნენ სიდიდითა და სიმძიმით. გააჩნდა საქედური რკინის ზოდი, რომელსაც ყულფებზე ჩამოკიდებული ჰქონდათ მსხვილი ჯაჭვი. ხატის უღლები ეკლესიის კარზე იყო (გერი, ატოცი, არბო, ალავერდი). ხატის დამიზებულნი ასეთი უღლით ეკლესიას მუხლის ჩოქით გარს უვლიდნენ და ღმერთს შევლას ევედრებოდნენ.

უღელი გარკვეულად ფიგურირებს მიცვალებულის კულტში. დადგენილია მიცვალებული მამაკაცის უღელზე დატირების წესი (ფშაე-ხევსურეთი), ასევე სახლში მიცვალებულის მისანიშნად ძველებური სახლის თავანზე უღლის შემოდების წესი (ქსნის ხეობა, ფშაეი).

ამგვარ ვადმონაშთებს გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს თრიალეთის არქეოლოგიური გათხრების დროს ტაბაწყურში ნაპოვნ უღელთან, რომელიც შუა-ბრინჯაოს ხანით თარიღდება.

მოწმდება ხატის კარზე უღლის მიტანის წესი (უკანაფშაევი, სამეგრელო, სვანეთი, ქართლი). საახალწლოდ საწესჩვეულებო უღლის ფორმის პურის გამოცხობა აუცილებელი იყო.

#### ლიტერატურა

გ. ჩიტაია, ქართული უღელი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1978, გვ. 45—49.

მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956, გვ. 72—76.

ოთ. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლიონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, 1961, გვ. 246—248.

გ. ჯალაბაძე, ცხენის ოგაფა, ჟურნ. „მეგლის მეგობარი“, № 24, გვ. 113.

ოთ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1960, გვ. 24—26.

ტ. ჩუბინიშვილი, მიცვალებულის კვერზე დასაფლავება სამთავროში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 1, 1971, გვ. 68.

გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960, გვ. 81—83.



ლ. მოლოდინი

ს ე ლ ი

სელი საქართველოში გავრცელებული ერთ-ერთი უძველესი კულტურაა, რომლის არსებობა შეპირობებული იყო როგორც ამ მცენარის ქიმიურ-ფიზიკური თვისებებით და გავრცელების არეალის აგროგეოგრაფიული (კლიმატი, ნიადაგი, რელიეფი) პირობებით, ისე სელის სამეურნეო მნიშვნელობითაც, ეს უკანასკნელი კი სელის საქსოვი და საკვები დანიშნულებით განისაზღვრებოდა.

სელის სხვადასხვა ჯიშებს შორის საქართველოში გავრცელებული იყო საქსოვი—საბოჭკოე და საზეთე სახეობა. საწარმოო დანიშნულებით გამოყენების ეს პრინციპი დაედო საფუძვლად სელის ჯიშების კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა საბოჭკოე—საქსოვი და საზეთე სელი. ამათგან პირველს ოტანიკურად შეესაბამება კოლხური სელი (*Linum isitatisimum* L), მეორეს—საზეთე სელი (*Linum humile* Mill).

სელის გავრცელების არეალი საქართველოში ჩრდილოეთ განედის  $41^{\circ}5'—42^{\circ}5'$ -ს შორისაა მოქცეული. იგი მოჰყავდათ ზღვის დონიდან 15 მ-ის სიმაღლიდან დაწყებული 237 მ-ის სიმაღლემდე. ჩანს, სელი მეტ-ნაკლები ინტენსივობით საქართველოში ყველგან იყო გავრცელებული. იქ, სადაც მეტი მზიანი დღეები იყო (ბარში), საბოჭკოე სელს აშენებდნენ, მალღობ და ზეგან ადგილებში საზეთე სელი მოჰყავდათ. ამ გარემოებას ვახუშტი ბატონიშვილი ასე ადასტურებს: „მთათა ჯორბალი, ქრთილი, შვრია, სელი, ხილნი მთათანი ნაყოფიერებს და სხვანი არარაა“ (I, 31). ამ ნიშნის მიხედვით ქუმელის — საზეთე სელის გავრცელების არეალს შეადგენს თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, სამცხე-ჯავახეთი, კოლხური — საბოჭკოე სელის — აჭარა, გურია და სამეგრელო. სელის ინტენსიური გავრცელების ზოლსაც ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასისათვის განსაზღვრულ ყველა პერიოდში ეს რეგიონები შეადგენდა (რუკა № 9, 10).

საქართველოში სელი ცნობილია ს ე ლ ი ს (ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი), ლ ე რ წ მ ი ს (აჭარა, გურია), ქ უ მ ე ლ ი ს (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი) სახელით. ამ სახელთა ანალიზი სელის გარკვეული დანიშნულებით გამოყენებაზე მეტყველებს.

სელისა და სელის წარმოების აღმნიშვნელ (მეგრული სუ-სელი, სვანური სელი-სელ, ჭანური ოსულე-კანაფის მცენარის დაქერება, დაძენვა, სულერი—დაძენძილი კანაფი) ყველა ტერმინში დაცულია ქართული სელის შესატყვისი ძირი—სელი (II, 404). გამოთქმულია ვარაუდი, რომ სელი თავდაპირველად მცენარის თვისების (საქსოვად გამოიყენება) აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რომელიც რთვა-ქსოვის პროცესს უკავშირდებოდა, იგი შეიძლება სელის საქსოვ დაზგაზე ქსელის გაბმას შეესაბამებოდა (III, 19). ამ მოსაზრებასთან კავშირში ანგარიშგასაწევი ფაქტია სელის ქსოვილის ჩერქეზული ტერმინი ტ ა ლ ა. იგი







ამკარად ეხმაურება სელის ქსოვილის ქართულ სახელს ტ ი ლ ო ს. ძველი ქართულის მიხედვითაც ტილო „ს ე ლ თ ა და კანაფის ლარია“ (საყურადღებო აგრეთვე შინაწარმი შალის ქსოვილის ხევსურული სახელი „ტოლი“) (IV, 187).

ამგვარად, ს ე ლ ი ს ეტიმოლოგიისათვის ამოსავალია რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული პროცესებისა და სელის ქსოვილის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია. ეს მასალა ადასტურებს ტერმინი ს ე ლ ი ს ქართულ წარმომავლობასა და ქართულსავე ქ ს ე ლ თ ა ნ კავშირს (V, 14).<sup>1</sup>

სელის აჭარული-გურული სახელწოდება ლ ე რ წ ა მ ი შეიძლება მისი სინონიმური ტერმინის ს ა რ ო ს თ ა ნ კავშირში იქნას ახსნილი. აქ ორივე შემთხვევაში თავს იჩენს მცენარის აგებულება-სიმაღლე (სარო ტანი, ლერწამტანი). ამ მონაცემის მიხედვით დასაშვებია, რომ სახელწოდებაში ლ ე რ წ ა მ ი იგულისხმებოდეს სელის ლეროს საბოჭკოე ანუ საქსოვი დანიშნულება (VI, 12).

სელი ქ უ მ ე ლ ი ს სახელით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი) იყო ცნობილი. ქ უ მ ე ლ ი აქ ერთდროულად ეწოდება მცენარეს, მის თესლს და დახალულ, დაქუცმაცებულ სელის მარცვალსაც. აჭარაში — ქუმელი, სამეგრელოში — ქუმუ სელის თესლის აღმნიშვნელია. ეს ტერმინები სელის სათესლე ან საკვებ დანიშნულებაზე მიანიშნებს.

ცნობილია, რომ სელის წარმოშობის კერის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სელის სახელწოდებათა ფორმათა ნაირობა და სხვადასხვა დანიშნულების სელის არსებობა (VII.55). აქ დასახელებული პირობების შესაბამისია სელის შესახებ არსებული ქართული მონაცემებიც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სელის ქართული სახელწოდება განმარტოებით დგას და არცერთი სხვა ერის ტერმინს არ ენათესავება (II, 404), ასე რომ ეტიმოლოგიური თავისებურება ცოტად თუ ბევრად თვით მეურნეობის თუ მრეწველობის უფრო საკუთარი გზით განვითარების დამამტკიცებელი უნდა იყოს (II, იქვე).

ამგვარად, სელის ადგილობრივ ბაზაზე წარმოშობის ახსნას საყურადღებო არგუმენტაცია მოეპოვება, იგი უკანასკნელ ხანებში წარმოებული სელის ფილოგენეტიკური შესწავლითაც იქნა დადასტურებული. გაირკვა, რომ კოლხური სელი სელის ბოტანიკურ სახეობებს შორის ყველაზე უძველესია და მისი წარმოშობის კერაც კოლხეთშია სავარაუდო (VIII). დადგენილია ისიც, რომ კოლხური სელი ერთდროულად წარმოადგენს საბოჭკოე და საზეთე მცენარეს, ხოლო საქართველოს მთიანეთში გავრცელებული საზეთე სელის სახეობა კულტურის ახალი ეტაპია და ბიომორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, მთის კლიმატის გავლენით კოლხური სელის სახეცვლილებას წარმოადგენს (III, 162).

ადგილობრივი სამეურნეო-ბუნებრივი პირობების შესაბამისად სხვადასხვა საწარმოო დანიშნულების სელის ჯიშების გამომუშავება ქვეყნის განვითარებული მოთხოვნილების შესაბამისი მოვლენა იყო.

აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთსა და თრიალეთში ტრადიციულად თესავდნენ ბრტყელ, წიწმატა და შავ ანუ შალგა სელს. ამ მცენარეთაგან მხოლოდ ბრტყელი სელი განეკუთვნება საზეთე სელის სახეობას, რომელსაც ეს სახელი თესლის ბრტყელი მოყვანილობის მიხედვით აქვს შერქმეული. შალგა სელი კი იგივე ჭარხალბოლოკაა, მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა წიწმატას (*Camelia sativa* Cronty), შალგას (*Brassica avvenica*) და ბრტყელ სელს ერთნაირად სელის ჯიშებად მიიჩნევს და სელის სახელით იცნობს. სტატისტიკური სამმართველოს ცნობებში ეს სამი ჯიში ცალ-ცალკე არ არის გამოყოფილი და საერთოდ სელის სახელით არის სახელდებული (IX, 151, 162).







საქართველოში სელის მოვლა-მოყვანის, მისი პროდუქტების მრავალმხრივი გამოყენების მდიდარი გამოცდილება ხალხის ყოფაში მის ხანგრძლივ არსებობას და დიდ მნიშვნელობას გამოავლენს. ეს ტრადიციები საქართველოში ბოლო დრომდე იყო შემონახული.

საბოჭკოე სელი აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის პირველ ნახევარში ითესებოდა, ხოლო საზეთე სელი — აპრილ-მაისში. სელის დასათესად ორივე შემთხვევაში ნოყიერ, შავ ნიადაგს არჩევდნენ. საჭიროების შემთხვევაში დათესვამდე ერთი თვით ადრე ნაკელით ანოყიერებდნენ.

დასავლეთ საქართველოს ზონაში უკანასკნელ ხანებში სელს ბოსტანბაღის კიდეებზე თესავდნენ, ადრე სელის ნათესებს გაცილებით დიდი ფართობი სჭერია.

სასელედ მიწას დასავლეთ საქართველოში კავით (ოგაფა-სამეგრელო) მოხნავდნენ, მაღალ ზეგან ადგილებს თოხით მოთოხავდნენ, სამცხე-ჯავახეთში დათესვამდე ერთი თვით ადრე მიწას გუთნით (II ყარა-ქოთან წალკა. თრიალეთი) დახნავდნენ, ბელტებისა და გოხების დასამულელად მას დაფარცხავდნენ. სელი სქელი რომ არ მოსულიყო, თესლს მშრალ მიწას გადაურევდნენ და ხნულში სწრაფი დავლით მოაბნევდნენ. სელი მიწაში ღრმად არ უნდა ჩათესილიყო, მით უმეტეს ნესტიან ნიადაგში თორემ „ძალას ვერ მიიტანდა და დაიხრჩობოდა“. ამიტომ სელის ნათესს ზევიდან ფოცხით გადაასწორებდნენ. რაციონალური საშუალებების გვერდით სელის თესვის დროს მაგიური მოქმედებებიც სრულდებოდა: თრიალეთში სელის თესვის დროს წვერიანი კაცი წვერზე ხელს ჩამოისვამდა, რომ სელი თანაბრად, წვერივით ხშირი ამოსულიყო.

გარე კახეთში (სართიჭალა) თესლის მიწისათვის მიბარების დროს სელის ნათესზე ხარების მოტარების წესია დადასტურებული. თესვის ეს წესი სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე უძველესადაა მიჩნეული (X, 282).

სექტემბერში დათესილი საბოჭკოე სელი თოვლქვეშ იზამთრებდა. იგი მაღალი იზრდებოდა 1½ მ-დე, საზეთე სელი კი დაბალტანიანი იყო — ბუჩქისებური და ძლიერ დატოტვილი. საბოჭკოე სელს მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში აიღებდნენ, მაშინ, როცა ღერო კარგად შეწითლდებოდა, საზეთე სელის დამწიფების ნიშნად კი მისი სათესლე კოლოფის გაყვითლება ითვლებოდა. ამ ნიშნის მიხედვით მას აღება აგვისტო-სექტემბერში უწევდა.

სელის დანაშნულების და გამოყენების შესაბამისად შემუშავებული იყო სელის აღების სხვადასხვაგვარი წესი. კოლხურ სელს, რომელიც საქსოვად გამოიყენებოდა, ხელით მოგლეჯდნენ ან ნამგლით ჭრიდნენ. საზეთეს კი ცელით იღებდნენ. თესლის — მარცვლის დაფანტვის თავიდან ასაცილებლად სელს ნაწვიმარზე, ღრუბლიან ამინდში ან ადრე დილით აიღებდნენ; ჯობდა სელი ოდნავ ნედლი, ოდოყდერი ყოფილიყო. ბულულებად თუ კონებად შეკრულ სელს მინდორში ზვინებად (სამცხე-ჯავახეთი) // ჯ ა უ რ ე ბ ა დ (ქართლი) // ჩ ა დ ლ ე ბ ა დ (თუშეთი) დადგამდნენ. საბოჭკოე სელს კი მინდორში დატოვებდნენ, რომ ღამით ნამი მოხვედროდა და დღისით მზეს გაეთეთრებინა. ათი დღის შემდეგ სელის კონები // ნ ა კ ო ჭ ი სახლებში მიჰქონდათ. აქ მას ქანდარებზე // ჭ ო კ ე ბ ზ ე გადაჰკიდებდნენ. ჰაერზე გამოშრობის შემდეგ სელს მარცვალს ტ უ კ ი ს // თხილის ზ ო ფ ა ი ს (გურია, აჭარა), ხელის ხვედრის (თუშეთი) ცემით აყრევიანებდნენ, ზოგჯერ მას ხელით მოფშენიდნენ — მოჩხოტავდნენ. თესლს თიხის დერგებში შეინახავდნენ. სამცხე-ჯავახეთსა და თრიალეთში სელზე საქონელს ან ურემს მოატარებდნენ, მერე კარგად დატკეპნილ ან სიბებისაგან გაკეთებულ კალოზე გალენავდნენ. გალენილ მარცვალს მიწაში

ამოჭრილ ქვეთკირით ამოშენებულ მრგვალ ორმოებში ყრიდნენ. ამგვარ ორ-  
მოებში 18—19 ცენტნერი სელის მარცვალი ჩადიოდა.

სელის დამუშავება რთული და შრომატევადი პროცესი იყო. რთული  
ზემით ითქვა, კოლხური სელი ერთდროულად წარმოადგენს საბოჭკოე და  
საზეთე მცენარეს. კოლხური სელის საქსოვად გამოყენებასთან ერთად მის-  
გან ზეთის ხდის ტრადიცია ბოლო დრომდე ყველაზე მეტად აჭარის ყოფას  
შემორჩა. საერთოდ კი კოლხური სელის მოყვანის მიზანი მთელ დასავლეთ  
საქართველოში ძირითადად მისი საქსოვად გამოყენება იყო.

საქსოვად შერჩეულ სელს დანამავდნენ ან წყალში ჩაალბობდნენ. თვი-  
თოეულ ღერს ერთი ბოლოდან თავს გადაუტეხავდნენ, შიდა გულს —  
კვინჩხს ზევიდან კანს — ნატეხარას (გურია) // ეკნასულას (სამეგრელო) გახ-  
დიდნენ. ხელით დაჩეხილ ტყავს // ეკნასულას კვირის ტავით თავ-  
დაღმა ჩერიაზე // ხერტარზე დაართავდნენ, რომლის დროსაც ეკნასულას  
პირში იდებდნენ, ასველებდნენ და თან კბილებით მოძენძავდნენ. მუხლებზე  
ლანდებად ამოყვანილ ძაფს გამონასკვავდნენ და ნაცარტუტაში ან საპონში  
გამოხარშავდნენ // გამოაგობობდნენ. ლანდებად ფირფიტებზე ამო-  
ხვეული ძაფი მზად იყო მოსაქსოვად. თავის მხრივ სელის ტილოსაც ესა-  
ჭიროებოდა დამუშავება, რისთვისაც მას ჯერ ცივ წყალში რეცხავდნენ, მერე  
ერთ დღე-ღამეს ძროხის ნაკელის ხსნარში დაალბობდნენ, რასაც სამ დღეს  
რეცხვა და სარეგველით ბეგვა მოჰყვებოდა, მეოთხე დღეს ტილოს  
კვლავ ჩაალბობდნენ რძის შრატში, მერე ისევ სამი დღის განმავლობაში რე-  
ცხავდნენ და ბოლოს მზეზე ამრობდნენ.

რთული და შრომატევადი იყო საზეთე სელის დამუშავების პროცესიც.  
მისთვის საზეთე სელის ინტენსიური გავრცელების რაიონში (თრიალეთი, სამ-  
ცხე-ჯავახეთი) სპეციალური საწარმოები — სახდელეები არსებობდა.

XIX საუკუნის საქართველოში სელის ზეთს ფართო გამოყენება ჰქონდა.  
სხვადასხვა სახის მცენარეულ ცხიმებს შორის სელის ზეთი განსაკუთრებული  
მოწონებით სარგებლობდა. მის საკვებ ცხიმად გამოყენების მნიშვნელობას  
განსაკუთრებით სამარხვო რეჟიმი აძლიერებდა. იგი ამავე დროს განათების  
საშუალებაც იყო. მას ხმარობდნენ ტყავის დასარბილებლად, ქსოვილების და-  
ჩითვის ტექნოლოგიაში, ჰიგიენური მიზნით — საქონლის გასაზეთად. ხალ-  
ხურ მედიცინაში ფართო გამოყენება ჰქონდა სელის ზეთით შემზადებულ მა-  
ლაშობებს და სხვა სასმელ წამლებს. აღსანიშნავია ზეთის რელიგიურ-სარწმუ-  
ნოებრივ რიტუალებში გამოყენებაც: იგი დაბადება-გარდაცვალებისა და მი-  
ცვალებულის კულტთან დაკავშირებული ცერემონიალის აუცილებელი ატრი-  
ბუტი იყო. ამას გარდა სელის ბზეს — ბურდოს // ჯაგანს, ზეთის ნახადის ნარჩენს  
კოპტონს // ხურდას საქონლის საკვებად იყენებდნენ, ღეროთი კი სახლის  
ბანსა ხურავდნენ. საოჯახო მოთხოვნილების ზევით დარჩენილ ზეთს გლეხე-  
ბი ყიდდნენ ან ცვლიდნენ იმ პროდუქტებზე, რომელიც მათ მეურნეობაში არ  
მოიპოვებოდა. ასეთივე ფართო მოხმარების საგანი იყო სელის ქსოვილი —  
ტილო. მისგან კერავდნენ საცვლებს, ლოგინის გადასამოსავს, პირსახოცებს,  
სელის ნართისაგან ქსოვდნენ თევზის საჭერ ბადეებს. უკანასკნელ ხანებში,  
სელის ნათესი ფართობების შემცირებასთან დაკავშირებით, სელის მხოლოდ  
ძაფად გამოყენება დასტურდება.

ამგვარად, XIX ს II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში სელი საგ-  
ლეხო მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურა იყო. მისი ნაწარმი პირ-  
ველ ყოვლისა საოჯახო საჭიროებას ხმარდებოდა, მოჭარბებული პროდუქტი  
ადგილობრივ ბაზარზე გადიოდა. ამავე დროს ზეთი დაკვეთითაც მზადდებოდა,



ე. ი. მასალა ეკუთვნოდა მო მხმარებელს, იგი ხელოსანს უხდიდა შრომის სესხით და უფროსი ფულით ან ნატურით.

მოტანილი მასალა XIX ს. საქართველოში სელის კულტურის მდიდარ ტრადიციებზე მეტყველებს, რომელიც სელის საოჯახო წარმოებასთან ერთად მის სასაქონლო ხასიათსაც გამოავლენს. ამ ტრადიციებს დასაბამი საუკუნეთა სიღრმეში ეძებნება. არქეოლოგიური მონაპოვრებით სელის გამოყენების კვალი დაწყებული ნეოლითიდან ყველა პერიოდში იჩენს თავს (XI, 284, 286, 210; 210; 291—92; 44).

ყველაზე უადრესი წერილობითი ცნობა კოლხური სელის ქსოვილზე VIII ს (ძვ. წ.) ასურულ წყაროშია მოცემული (XII, 180). კოლხური სელის ქსოვილები თავისი მაღალი ღირსების გამო ძველ მსოფლიოში კარგად იყო ცნობილი. ამას საგანგებოდ აღნიშნავდნენ ბერძენი მწერლები (ქსენოფონტე, ჰეროდოტე, კალიმაქი, სტრაბონი). ქსენოფონტე თევზსაჭერი ბადისათვის საუკეთესოდ კოლხური სელის ნართს ასახელებს (XIII. II, 41). ჰეროდოტე ეგვიპტელებისა და კოლხების ნათესაობას ამტკიცებს ამ ტომებში სელის დამუშავების ერთნაირი ტექნიკის არსებობით (XIV, 1105). ეგვიპტე კი ძველ სამყაროში სელის წარმოებით ცნობილ უძველეს ქვეყნად იყო აღიარებული. ძვ. წ. I ს. სტრაბონის დროისათვის კოლხეთში სელი ისეთი რაოდენობით მოჰყავდათ, რომ მისგან ნაწარმი ქსოვილები ქვეყნის გარეთაც გაჰქონდათ (XV). ეს ცნობები სელის დიდ ფართობზე მოყვანას ვარაუდობს, რომელსაც ძველ კოლხეთში ორგვარი დანიშნულება ჰქონდა. სელს თავისი მნიშვნელობა არც შემდეგ დაუკარგავს. IX-X საუკ. არაბი გეოგრაფები (მასუდი, იბნ-ხალკლი, ისთახრი) საგანგებოდ აღნიშნავენ ქართული სელის ხარისხს (XVI. 55). XVI საუკუნის ძეგლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით საზეთე სელის გავრცელება ივულისხმება მტკვრის (სამცხე-ჯავახეთი, არტანი, პოლაკაციო, კოლა) და ჭოროხის ხეობებში (XVII. 55). XVII ს. სამეგრელოდან საზღვარგარეთ დიდი რაოდენობით გადიოდა სელის ქსოვილი და თესლი (XVIII, 35, 158, 148). მურიე აღნიშნავს, რომ საქართველოდან სელის თესლის საექსპორტო რაოდენობა 50000 ფუტს შეადგენდა (XIX, 333). ტურნეფორის დროს (1708 წ.) თბილისის მიდამოების სოფლებში აუარებელი სელი ყოფილა, რომელსაც მოსახლეობა საკვებად და ასანთებად ხმარობდა (XX, 174).

ვახუშტი ბატონიშვილი სელის თესვასა და მისგან ზეთის ხდას აღნიშნავს ტაშირში, სამცხე-ჯავახეთში, აბოცში, ყაიყულში, ხევში (I. 30. 41. 86), უფრო გვიან, საგლეხო რეფორმამდე სელი მეგრელი გლეხის ბეგარის ერთ-ერთი სახე ყოფილა (XXI). XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, რეფორმის შემდგომ პერიოდში რუსეთიდან იაფი ფაბრიკული ქსოვილების მოზღვაგების გამო სელის წარმოების შინამრეწველური ტრადიციები რამდენადმე შეიზღუდა. გლეხის ოჯახში სწრაფად იკიდებდა ფეხს იაფად ღირებული ფართულეული, ამავე დროისათვის კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას სელის თესლი ერეგნიდან და ალექსანდრეპოლიდანაც შემოაქვს (XXII). ეს მდგომარეობა სელის სასაქონლო წარმოების დაცემაზე მეტყველებს. ამ ხანიდან უნდა მომდინარეობდეს სამეურნეო ტოპონიმიკაში დამოწმებული ტოპონიმები: ნასელვარი // ნასელარი, სელები. ამ კულტურისავე დაკნინებას მოასწავებს ხალხში გავრცელებული თქმაც „სუმი კურთა ითი კუნტა“ (სელის საცვალი-ნიფხავი, ისიც მოკლე).

რაც შეეხება საზეთე სელს, იგი XX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ახალი საზეთე მცენარის მზესუმზირას გავრცელების გამო ძლიერ შემცირებულა. ამგვარად, XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში საოჯახო



მეურნეობასა და შინამრეწველობის დარგებს საკმაოდ შეერყა საფუძველი. მიუხედავად ამისა, სელთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობა ჯერ კიდევ აკმაყოფილებს ოჯახის მოთხოვნილებას, ჭარბი ნაწარმი კვლავ გამოდის გასაყიდად. ნიშანდობლივია, რომ მისი წარმოება ძველი ტრადიციული რეგიონების საზღვრებში აგრძელებს არსებობას, მაგრამ სელის გავრცელების ინტენსიობის მიხედვით ცალკეულ რეგიონებს შორის გარკვეული განსხვავება შეინიშნება. XIX საუკუნის რუკაზე ეს მდგომარეობა ოთხი ზონის გამოყოფის საშუალებას იძლევა.

1. დასავლეთ საქართველოს ბარი, სადაც საბოჭკოე კოლხური სელი საყოველთაოდ გავრცელებული კულტურა იყო.
2. სამხრეთ საქართველო (ახალქალაქის მაზრა, ბორჩალო, ბოგდანოვკა, წალკა, დმანისი, ახალციხე, ადიგენი), საზეთე სელის ინტენსიური გავრცელების ზონა.
3. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი), სადაც საზეთე სელი შეზღუდულად ითესება.
4. აღმოსავლეთ საქართველო (გორი, საგარეჯო, სიღნაღი), სადაც საზეთე სელს იშვიათად თესავენ.

ასეთი მდგომარეობა მეტ-ნაკლები ცვლილებებით დამახასიათებელი იყო საქართველოსათვის XIX საუკუნის მთელ მანძილზე. ამგვარად, XIX საუკუნის პირველი და მეორე ნახევრის მონაცემების მიხედვით სელის კულტურის წარმოებაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია სელის წარმოების სურათის ჩვენება XIX საუკუნის ერთი რუკის მიხედვით. შემდეგ ამისა, სელის კულტურის დაკნინება იმდენად შესამჩნევია, რომ XX საუკუნეში მეცნიერების წინაშე დადგა საკითხი სელის ადგილობრივი ჯიშის კოლხურ-პონტურის მოძებნისა და აღდგენის შესახებ (XXIII, 435), ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოში სელს აღარ აქვს ის სამეურნეო მნიშვნელობა, რომელიც მას ისტორიულად ჰქონდა. უკვე საკმაოდ შეზღუდულია, როგორც სელის წარმოება, ისე მოხმარება. შედარებით ინტენსიურად სელი გავრცელებული იყო სამცხე-ჯავახეთში. სტატისტიკური სამმართველოს ცნობებიდან ირკვევა, რომ XX ს. პირველ მეოთხედში სელი კვლავ ითესებოდა, მართალია, სელის გავრცელების რაიონებს შორის სელას კულტურის შეფარდებითი მაჩვენებელი თითქმის უცვლელია, იგი შედარებით დიდი რაოდენობით მოჰყავთ გორელოვკის (ახლანდელი ბოგდანოვკის), ბორჩალოს რაიონებში. ამგვარად, XX საუკუნის რუკაზე საზეთე სელი სამხრეთ საქართველოში კვლავ ინტენსიურად არის გავრცელებული, დასავლეთ საქართველოში კი საბოჭკოე სელი საკმაოდ შემცირდა, კიდევ უფრო ნაკლები რაოდენობით ითესება საზეთე სელი ქვემო და შიდა ქართლის რაიონებში (თეთრი წყარო, გორი), ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ახმეტის რ.). სულ აღარ ითესება კახეთში (რუკა № 10).

ბოლო ხანებში, სელი საქართველოს სამეურნეო საქმიანობის სფეროდან მოღიანად ამოვარდა, მაგრამ ანგარიშგასაწევი ის გარემოება, რომ კოლხური სელი წარმოადგენს სელის ერთადერთ სახეობას, რომელიც ხასიათდება როგორც ღეროს, ისე თესლის მაღალპროდუქტულობით, რის გამოც იგი განეკუთვნება სასელექციო მუშაობის ამოსავალ სახეობას (XXIV).

ლიტერატურა

I. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომაური-სა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.  
 II. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, თბილისი, 1930.





III ალ. გორგიძე, საქართველოს სელი (ფილოგენეტიკური მიმოხილვა), თბილისის ნიკორი ინსტიტუტის შრომები, XIX, 1958.

IV გ. ჩაჩაშვილი, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში, I სელი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX, 1956.

V ივ. ციციშვილი, მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბილისი, 1954.

VI ლ. მოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები), თბილისი, 1963.

VII Н. Вавилов, Центры происхождения культурных растений, Труды по прикладной ботанике, XVI, вып. II, 1926.

VIII Е. Синская, Биологические и физиологические основы классификации культурного льна, Доклады АН СССР, т. XVII, № 4, 1953.

IX Ч. Барулина. Полевые культуры Джавахети, Труды по прикладной ботанике и селекции, т. XVI, вып. 3, 1920.

X А. Мочинский, О технике древнеегипетского земледелия, Архив истории науки и техники, № 1, Ленинград, 1935.

XI А. Соловьев, Селище текстильной керамикой на побережье Западной Грузии, Совет. Арх. XIV; Б. ხოშტარია, „დიხა გუძუბა“ კოლხეთის ძველი მოსახლეობა, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, 1944, 210, 212; Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. IV. Тбилиси, 1950; დ. ქორიძე, გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლუდი), საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VIII, 1954.

XII Б. Пиотровский, История и культура Урарту, Ереван, 1944.

XIII ქსენოფონტე, ნადირობის შესახებ, II, 41.

XIV თ. ყაუხჩიშვილი, პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1960.

XV. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 1, § 17.

XVI Н. Караулов, Сведения арабских географов IX—X вв. по р. х. о Кавказе, Армении и Азербайджана, СМОМПК, XXVIII, Тифлис.

XVII ს. ჯიქია, „ვურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თბილისი, 1951.

XVIII Ж. Шарден, Путешествие кавалеро Шардена по Кавказу в 1670—1673, Тифлис, 1902; არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1902; ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბილისი, 1939.

XIX J. Mourier, La Mingrelie, Odessa, 1883.

XX В. Tournefort, Relation d'un Voyage du Lewant, Lyon, III, Lettre, XVII

XXI P. Эристов, О крестьянском сословии в Мингрелии, «Кавказская старина», 1873, № 6.

XXII უურბ. „მეურნე“, 1888, № 4.

XXIII П. Жуковский, Земледельческая Турция. М—Л. 1939.

XXIV ალ. გორგიძე, კოლხური სელი, უურბ. „საქართველოს ბუნება“. № 3, თბილისი, 1964.

მ. კანდელაკი, ნ. მინდაძე

### ნამკალ-ნათიგის ერთეულები

ნამკალის ერთეულები. საქართველოში დამოწმებულია მოსავლის აღების, გაშრობის, გადაზიდვის და დაბინავების სხვადასხვა წესი, განპირობებული მარცვლეულის ჯიშების ნაირგვარობითა და გეოგრაფიულ-კლიმატური გარემოს თავისებურებებით.

მოსავლის აღება წარმოებდა ნამგლითა და ცელით. მარცვლეულის ცალკეული ჯიშებისათვის (სვილი) მოწმდება მოსავლის ხელით აღების — „მოგლეჯის“ ფაქტები (აღმ. საქ. მთიანეთი). ხელით თხრიდნენ — „მოჯეგამდნენ“ აგრეთვე დაბალ, ჩაწოლილ „ჩაჯეგილ“ პურს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში (I, 273).

საქართველოში დამოწმებულია მოსავლის აღების უძველესი წესი — კრეფა. დასავლეთში ხის ან რკინის დანით იკრიფებოდა ღომი (II, 55), ხოლო ორი ჯოხისაგან ვაკეთებული მარტივი იარაღით შნაკვით — მახა და ზანდური (III, 74; IV, 133).

მოსავლის აღება-დაბინავების პროცესი გულისხმობს მცენარის მოჭრას, შეკვრას, გაშრობას, გადაზიდვასა და დაუნჯებას.

მცენარის (პურეულის) ნამგლით მოჭრას მკაჷ ჰქვია.

ნამგლის ერთი მოსმით მოჭრილ პურეულს, რომელსაც მომკელი ერთ ხელში დაიჭერს — მუჭეული ეწოდება. მუჭეულის სინონიმია მჯილა// მჯიდეული (აღმ. საქ. მთიანეთი), რომელსაც უმეტესად სვილის მუჭეულის აღსანიშნავად ხმარობენ.

მუჭეული ნამკალის უმცირესი ერთეულია. ძველად ნამკალის უმცირეს ერთეულს მჭელეული<sup>1</sup> ეწოდებოდა. საბას განმარტებით მჭელეული — ჯელეულია ყანისა (V).

მუჭეულზე დიდი ერთეულია ხელეური, რომელშიც რამდენიმე (2—5) მუჭეული „ჩადის“. საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში ნამკალის უმცირეს ერთეულად ხელეურია მიჩნეული. მოწმდება ხელეურის სხვადასხვა სახეწოდება — ხელეური//ხელეული (ქართ., კახეთ., მესხ., იმერ., რაჭა), ხელეული//მაჭლეური (ფშ.), ჯელეური (მთ., გუდ., ხევს.), ხელი (გურ., სამეგრ.), ნამუჭი (რაჭა-ლეჩხუმი), მუჭეული (ლეჩხ.). იმერეთში მიწაზე დადებულ ხელეურს ჭეველი ეწოდება, მიწაზე დაფენილ მომკილ პურს კი — ნაფენი (VIII, 491).

<sup>1</sup> შდრ. მკა — ყანის მომანგლა (VI); ხევსურეთში მოწმდება ტერმინი „ჯენცვლა“, ე. ი. ჯენცელით //კელ-ცელით// ნამგლით მკა (VII, 202).

<sup>2</sup> შდრ. მჭელი-პეშვი (VI).



დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ხელში დაგროვილ სიმინდის მოჭრილ ღერებს მუჭ-ს<sup>3</sup> უწოდებენ, ხოლო რამდენიმე მუჭს, რომელიც ერთ მკლავზე დაეტოვდა, „მკლავი ჩალა“ ერქვა.

ამგვარად ნამკალის უმცირესი ერთეულები — მუჭეული, ხელეური, მკლავი ჩალა სხვადასხვა რაოდენობის მცენარის ღერების შეუტრავი კონაა.

ნამკალი რომ არ დაფანტულიყო, საჭირო იყო ხელეურების ძნებად შეკვრა. ამ მიზნით მკელს (ქართ., კახეთი)//მესვეურს (კახ.)//მესაურს (მთ.)//მმკელს (მესხ.), მესვერელს//მესვეურს (იმერ.) უკან მეძნეური (ქართ., კახეთ., მესხ.)//მხვეველი (მთ.)//მკონავი//ამკონავი (იმერ.) მიყვებოდა და ერთად დაწყობილ ხელეურებს ძნებად კრავდა. მეძნეურთან ერთად შესაძლებელია მომკელს მეხელეური//მჭვევავი//მენაფენე (იმერ.) გაჰყოლოდა, მეხელეურეს მოვალეობა იყო ხელეურების ერთ ადგილზე დაწყობა.

ძნა<sup>4</sup> მამაკაცების მიერ მომკილი 2—5, ხოლო ქალის მიერ მომკილი 10—12 ერთად შეკრული ხელეურია. მამაკაცები მკის დროს სათითეს (ხის—თითზე წამოსაცმელი) ხმარობდნენ და ამიტომ მათ მიერ მომკილი ხელეური ქალის მიერ მომკილ ხელეურზე უფრო დიდი იყო. ძნა ულოთი იკვრება. ულოს წინასწარ ამზადებდნენ. „მეულოე დილით ადრე უნდა ამდგარიყო და საულოე ყანა მოეჭრა. თუ ყანა მოკლე იყო, ძირიანად უნდა მოეგლიჯა და ნესტიან ადგილზე შეენახა, რომ მუშაობის დროს ადვილად გადაეგრიხა“ (VII, 122). დასავლეთ საქართველოში ულოს ნაცვლად მოწმდება ტერმინი საკონავი//საჭირობელი (ლეჩხ.). საკონავი მზადდება როგორც პურის ნამჯის, ასევე ღომის ნოტიო ღერებისაგან, წნელის ან გრძელი ბალახისაგან. ბალახისაგან დამზადებულ საკონავს გვარალ<sup>5</sup> ეწოდება (რაჭა-ლეჩხუმი). გურიაში ჩალის საკონავის სინონიმად მოწმდება აგრეთვე ტერმინი წირეხი.

ტერმინი ძნა უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული და ძირითადად ხორბლეულის კონას აღნიშნავს. დასავლეთ საქართველოში კი როგორც სიმინდისა და ღომის ღერების შეკვრას, ისე ხშირად პურის ძნას კონას უწოდებენ. ამასთან ერთად მოწმდება პურის ძნის აღმნიშვნელი სხვა ტერმინებიც — მაგ.: ნამჯა (იმერ.), ნაბჯი (ლეჩხ.), ლუნჩვერ (სვან.); ეს უკანასკნელი სვანურში მხოლოდ ქერისა და პურის ძნის აღმნიშვნელია. ფეტვის ძნას სვანურად ნადრ-ი ეწოდება, ხოლო ჩალის კონას — ნაქთხ-ი.

მარცვლეულის გამოშრობის მიზნით ძნებს ყანაში სხვადასხვა წესით აწყობდნენ. გავრცელებული იყო ძნების ვერტიკალური და ჰორიზონტალური წყობა.

„ფეხზე დაყენებულ“//ვერტიკალურად დაწყობილ ძნებს ჰაერი კარვად „დაუვლიდა“ და უკეთ გამოაშრობდა, ვერტიკალურად აწყობდნენ სამეულებს, ხუთეულებს, წერებს და სხვ.

სამეული თავთავებით ერთმანეთზე მიბჯენილი სამი ძნაა. საქართველოს ბარში (ქართლი) ამგვარად ძნებს იმ შემთხვევაში დგამდნენ თუ მკის დროს გაუავდრდებოდათ და ძნები დაუსველდებოდათ.

<sup>3</sup> შდრ. შემკვრელი მქელელთა (X, 34).

<sup>4</sup> ძნა — ყანის კონა (VI); „ზნა“ ანუ „ძნა“ ამიერ-იმერეთშიც იხმარებოდა პურისა და ქერის თავთავებისათვის. ქუთაისის საყდრის გამოსავლის 1578 წლის დავთარში სწერია: მართებს გაბნის ორს განაყოფსა იესეს და მისსა ძმასა თივა ზნათ ცხრაასი (XI, 124).

<sup>5</sup> შდრ. გვარლი — თივის თოკი (VI).

ხუთეული თავთავებით ერთმანეთზე მიბჯენილი 4 ძნაა, მას თავზე ერთი ძნა აქვს ჩამოცმული. ხუთეული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებით არის ცნობილი. ფშავში მას ხუთეულს, დურას, მეღეულს უწოდებენ; მთიულეთში — კოჭაულს; თუშეთში — ჩეჩილას; იმერეთში — ხუთეულს, ხურდუმს, ჩერგილს; გურიაში — ჩერგენას, ჩერგილს. რაჭაში ძნებს ხუთეულებად ფერდობ ადგილებში დგამდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ფეხზე დაყენებულ, თავთავებით ერთმანეთზე მიბჯენილ 6—8 ძნას წერა ეწოდება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ამგვარად დადგმულ 14—16 ძნას ძნის ფეხი ჰქვია.

სამეული და ხუთეული ჰორიზონტალურად დაწყობილ ძნებსაც ეწოდება. ქართლსა და კახეთში სამეული მიწაზე ერთმანეთის გვერდით, თავთავებით ერთი მიმართულებით დადებულ ძნებს ჰქვია. ფერდ ადგილებში სამეულები ისე უნდა ყოფილიყო დალაგებული, რომ წვიმის შემთხვევაში წყალი იოლად აეცდინა. ამიტომ ორ ძნას თავთავების მხრით ფერდობის დაქანებისაკენ მოათავსებდნენ, მესამეს კი ზედა მხრიდან მათ საპირისპიროდ (პერპენდიკულარულად) (VII, 123), ზოგან ორ ძნას მიწაზე დადებდნენ და ზემოდან მესამეს დაადებდნენ.

ხუთეული ქართლსა და კახეთში ჰორიზონტალურად დაწყობილ ხუთ ძნას ეწოდება — ორ-ორი ძნა თავთავებით ერთმანეთზე გადაჭდობილი, ერთმანეთის პირდაპირ დევს, ზემოდან კი ერთი ძნა ადევს.

იჯარით ვაცემულ სამეთხედო მამულებში სამ ძნას ზემოდან მეოთხეს, მამულის მეპატრონისათვის განკუთვნილ ძნას დაადებდნენ (ქართლი). (VII, 123).

ზემოაღწერილი წესებით დადგმული ძნები ხელს უწყობდა მათ გამოშრობას. მაგრამ მათი დიდხანს დატოვება არ შეიძლებოდა, საჭირო იყო ძნების ისე დალაგება, რომ დაცული ყოფილიყო ბუნებრივი მოვლენებისა და მინდვრის მღრღნელებისაგან; ამავე დროს ადვილი ყოფილიყო მათი გადატანა ტრანსპორტზე. ამ მიზნით სახელდახლოდ აგებულ ძნებს უფრო მკვიდრად დროებით ზვინებად გადააგებდნენ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ზვინი ეწოდება როგორც ნამკალის, ისე ნათობის ერთეულს. ძველ ქართულში იგი შეუკრავად შეგროვებულ, მომკილ თუ მოჭრილ მცენარეს აღნიშნავდა (IX, 83).

დროებითი ზვინებისათვის<sup>6</sup> დამახასიათებელია ჰორიზონტალური წყობა. დროებითი ზვინია ათეული. ათეული ერთად დაწყობილი 11 ძნაა. მიწაზე დაიდება ოთხი ძნა, ორ-ორი ერთმანეთის პირდაპირ, ისე, რომ თავთავები შიგნით ერთი მეორესკენ აქვთ მიქცეული, ზემოდან კიდევ ორი ძნა დაედება, ისევე ერთი მეორისკენ მიქცეული. წვიმა რომ არ ჩავიდეს ერთ ძნას — მეთერთმეტეს ზემოდან, გარდვიგარდმო დაადებენ (XI).

ქვემო ქართლში ათეულებს ზემოთ აღწერილი წესით დალაგებულ ძნებს უწოდებდნენ, მაგრამ ძნების რაოდენობა აქ გაცილებით მეტია. მიწაზე დადებდნენ 8 ძნას — ოთხ-ოთხს ერთმანეთის პირდაპირ, თავთავებით შიგნით — ორ რიგად, ზემოდან დააწყობდნენ სამ-სამ ძნას, ამასაც ორ რიგად, შემდეგ ორ-ორს, ბოლოს კი თითო-თითოს — ე. ი. სულ 38 ძნას. როგორც ჩანს, ათეულის პრინციპზე აგებულმა ძნებმა, მიუხედავად მათში არსებული ძნების რაოდენობისა, ათეულის სახელწოდება შეინარჩუნა.

<sup>6</sup> გამოთქმას—დროებითი ზვინი—ვხმარობთ პირობითად.



ქვემო რაჭასა და ლეჩხუმში იცოდნენ ძნების „დაცამეტება“. ცამეტე როგორც თვით ტერმინი გვიჩვენებს, 13 კონისაგან უნდა შედგებოდეს. მას სხვადასხვა სოფელში ამ კონათა რიცხვი მერყეობს 13—20 შორის (IV, 188).

ცამეტიც ათეულის მსგავსად იგება. მიწაზე ერთმანეთის პირდაპირ დაიდება სამ-სამი ძნა. ზემოდან დაედება ორ-ორი, შემდეგ თითო-თითო, ბოლოს კი ერთი. შეიძლება რომელიმე ფენა „ორპირად“, ე. ი. ორ რიგად დაედოთ. ძნების ამგვარი წყობა რაჭის გარდა დამოწმებულია ქვემო ქართლის იმ სოფლებში, სადაც ამჟამად რაჭველები ცხოვრობენ.

საქართველოში გავრცელებული იყო ძნების ჯვარედინად დადგმის წესი. მიწაზე დადებდნენ რვა ძნას. ორ-ორს ერთმანეთის პირდაპირ, ჯვრის ფორმით, თავთავებით შიგნით. ზემოდან კი 2 ან 4 ძნას, სულ 10—12. ზოგან ქვემოთ იდებოდა 4 ძნა, თითო-თითო ერთმანეთის პირდაპირ, 4 რიგად, ზემოდან კი ერთი. სულ 17 ძნა (ქვ. ქართლი). ამავე პრინციპზე აგებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ ხევსურეთში, გავრცელებული დროებითი ზვინი წერილა და რაჭაში დამოწმებული დეო. წერილაში 7 სამეული ან 21 ძნა ჩადის. მიწაზე ერთმანეთზე გადაჯვარედინებულ 4 ძნას დადებდნენ ისე, რომ ძნის თავთავები ერთმანეთს ფარავს, ძნები იდება 5 რიგად, ზემოდან კი ერთ ძნას დაადებდნენ. ასევეა დაწყობილი დეო. ორ-ორ დეოს ერთმანეთის ახლოს დადგამდნენ, რომ გადაზიდვის დროს მათ შორის ჩადგმულ ერთ მარხილზე მოთავსდეს ორივე (I, 277).

საქართველოში დამოწმებულია დროებითი ზვინების სარზე აგება, მიწაში სარს ჩასობდნენ, ქვემოთ ხმელ ფიჩხს დაუფენდნენ. სარზე ძნებს ჩამოაცმევდნენ და მრგვალად ააგებდნენ. პირველი რიგი შეიძლება ჯვარედინად დაეწყოთ აერაციის მიზნით. ამგვარად აგებულ ძნებს ჩადალ-ი (თუმ.), აჯ-ი (სვან.), ზვინი (დას. საქ.) ეწოდებოთ.

იმ შემთხვევაში, თუ ნამკალის ჩამოზიდვა დროულად ვერ ხერხდებოდა, დროებით ზვინებს კვლავ გადააწყობდნენ და ამჯერად უფრო დიდ და მკვიდრ ზვინებს გააკეთებდნენ. მაგ., წერილებს ხევსურეთში წერად ან სერკვად გადააგებდნენ. წერა იგება წერილის პრინციპზე, მხოლოდ ამჯერად გადააჯვარედინებდნენ არა თითო-თითოს, არამედ ორ-ორ ან სამ-სამ ძნას. წერაში სულ 3 წერილა, ე. ი. 63 ძნა „ჩადის“.

სერკვი მრგვალად ნაგები ზვინია. მრგვალად, უსაროდ ნაგები ზვინები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული. ასეთებია მუხლის ძნა (ხევს.), ხუთულა (ხევს., ფშავ., მთ.), ძირი/ზვინი (ქართ., კახ., მესხ.), ჩერგილი (იმერ.).

მრგვალ ზვინში 100-დან — 500-მდე ძნა „ჩადის“. აგებენ შემდეგნაირად: მიწაზე დააფენენ ხმელ ფიჩხს და ზედ ძნებს „მრგვალად“, წრეზე დააწყობენ, თავთავებით ცენტრისაკენ, თავთავები რომ კარგად დაცული ყოფილიყო. შესაძლებელია პირველი ფენა ჯვარედინად დაეწყოთ, მეორე კი „მრგვალად“. შემდეგ ძნებსაც მრგვალად მოაყოლებენ. ძნების რაოდენობას თანდათან აკლებენ და ბოლოს „მოწვერავენ“, „ძნებით თაღს შეუკრავენ“ (ქვ. ქართლი), „ქუღს დაახურავენ“ (იმერ.) ე. ი. წვიმისაგან დასაცავად ერთ ძნას, ჩაღას ან თივას გადააფარებენ. ხშირად ქარის საწინააღმდეგოდ აქეთ-იქეთ ქვებს დაჰკიდებენ.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ხევსურეთის ზოგიერთ სოფელში, შატლის მხარეს, განსხვავებული წესით აწყობდნენ სხვადასხვა ჯიმის ხორბლეულის ძნებს. მაგ., წერად აგებდნენ ქერის, წერილას, — სვილის, ხოლო სერკვებად — იფქლის ძნებს (VII, 203).



მთის რაჭის სოფლებში, სადაც უფრო ხშირად მომკილი პური ნედლია, თანაც საკმარისი რაოდენობით ურევია ბალახი, ძნებს წერებად დაგმუნა რაჭაში დამოწმებული წერა ხევისურეთში დამოწმებულ წერასგან სრულიად განსხვავდება. წერას ის უპირატესობა აქვს, რომ ნედლი ნამკალი კარგად შრება. წერებად დადგმული პური ერთი თვის განმავლობაში შრება. წერას დასადგმელად მიწაში „ორი კაცის სიმაღლე“ სარს ჩაასობენ, მასზე კონებს ოთხკუთხედად — ჯვარედინად შემოაყოლებენ შემდეგნაირად: კონას თავს გაუშლიან, სარზე შემოახვევენ და ჩაუმარყუებენ, რომ თავი არ მოეხსნას, ამგვარად სარს კონებს რამდენიმე სართულად შემოავლებენ. თუ დიდი წერა იდგმება, იმისათვის, რომ პურმა არ გადაძალოს და გვერდზე არ წააქციოს, მას ერთი-ორ მოხრილს — საბჯენ, საყრდენ სარს შეუყუდებენ დახრილად. სულ ზედა კონას კი, ავდრისაგან დასაცავად, ქუდად დაახურავენ. ამგვარად დადგმულ წერებში პაერი მუდმივად მოძრაობს და უზრუნველყოფს ნედლი ნამკის გამრობას. ზოგ წერაში 15 „მოვლება“ (მოვლება 5 კონისგან შედგება), ზოგში კი 100 კონაც იყო (I, 277—278).

წერაზე დიდია რაჭაში დამოწმებული ზვინი. ზვინიც სარზე იგება. ზვინი ბევრი კონის მომცველია და მის გასამართავად 2—3 კაცია საჭირო. კონების ერთ რიგს რომ მოაწყობენ შუაში „დასობილი“ დიდი სარის ირგვლივ, ისე რომ თავთავები შიგნით მოექცეს, ერთი კაცი ფეხით შედგება კონებზე, მეორე ფიწლით ან ორთითით დანარჩენ კონებს აწვდის და ასე ნელ-ნელა იზრდება ზვინი. ზედ შემდგარი კაცი წვერამდე ფეხით უვლის მას. ზვინს ნელ-ნელა აწვრილებენ და ბოლოს „ცას შეუკრავენ“ — ქუდად კონასვე დაფარებენ და ზედ ქვას დაადებენ ქარმა რომ არ გადაავდოს. ასე დადგმული ზვინი იმდენად კარგადაა დაცული ავდრისაგან (წვიმის შემთხვევაში წყალი შიგვერ ადწევს, სველდება მხოლოდ ზედა კონა, რომელიც დანარჩენს იფარავს), რომ მისი დატოვება ერთი, ორი წლის განმავლობაშიც თავისუფლად შეიძლება. ზვინად უნდა დაიდგეს კარგად გამომშრალი კონები, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩახურდება. ზვინი მეტად დიდი იდგმება, ხშირად იგი 4—5 ან მეტ წერას მოიცავს. ამგვარად დადგმულ ზვინს რაჭაში კორომი ჰქვია (I, 278).

საქართველოს რიგ რეგიონებში დამოწმებულია პურეულის მოთიბვა. პურეულის მოთიბვა ერთის მხრივ გაპირობებული იყო ამა თუ იმ მარცვლეულის ჯიშის თავისებურებებით, მეორეს მხრივ კი მოსავლის რაოდენობითა და ნათესის მდებარეობით. მაგ., ქერის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ძალიან დაბალი იზრდება, — თიბება, რადგან მისი ნამგლით მოჭრა ძალიან ძნელია.

თიბავენ ორნაირი ცელით: ჩვეულებრივით და ფოცხიანით. ფოცხიან ცელს ერთ მხარეს გაკეთებული აქვს პატარა ჯოხი და ეს საშუალებას აძლევს მომკელს ნამკალი ერთ მხარეზე დააწყოს. ასე მოთიბული ქერი ზოგ შემთხვევაში ძნებად იკვრება, შემდეგ კი კეთდება ათეულები (ქვემო ქართლი, სოფ.: გომარეთი, მამულა, ახა, კაკლიანი და სხვ.).

ჩვეულებრივი ცელით მოთიბული პური ჭელებად ეფინება მიწას. ზოგან ჭელს ააღვარეულებდნენ, ზოგან კი პირდაპირ ბულულებს დგამდნენ.

მოთიბავს უკან შემგროვებელი მოჰყვებოდა და ნათიბს ბულულებად// ბუნულებად (მესხ.) დგამდა. ბულული სახელდახლოდ ნაგები პატარა ზვინია. იგი უსაროდ//უმარგილოდ (მესხ.) იგება. ბულულებს შემდეგ „დაძირავდნენ“. დაძირვა აუცილებელი იყო მარცვლეულის დასაცავად ბუნებრივი მოვლენების — მზე, წვიმა, ქარი, სეტყვა და სხვ. მაგნე მოქმედებებისაგან (XXXII, გვ. 125).



დაძირვა შემდეგნაირად ხდებოდა: ბულულებს აქეთ-იქით სპეციალურ ჯოხებს — კეტებს ამოუღებდნენ და ორი კაცი ამ კეტებით ბულულს ასწვნივლი და. რამდენიმე ბულულს ერთ ადგილას მოაგროვებდნენ და შემდეგ ძირად/მოთქა ზვინად ააგებდნენ.

მეძირე ორი ან სამია — ერთი აწოდებს, მეორე ძირზე დგას და მესამე ტკეპნის//ქელავს“.

საქართველოში დამოწმებულია ნამკალის გადაზიდვის სხვადასხვა საშუალება. მთიან რაიონებში ძნები „ზურგით“, ცხენით, სათარით ან მარხილით ჩამოჰქონდათ. ზურგით ჩამოსაზიდ ძნებს „ტვირთად“ შეკრავდნენ, საბლით//ალერდით ზურგზე მოიკიდებდნენ და ჩამოიტანდნენ. ცხენით ორ-ორი ტვირთი ჩამოჰქონდათ. სათარსკი შემდეგნაირად ჩამოათრევდნენ — ძიწაზე დადებდნენ არყის ხის ორ ტოტს — ორხალს (ხეგს.). ეს არყის ტოტი ტვირთს მარხილის მაგივრობას უწევდა და ძნას დაშლისაგან იცავდა. ამგვარად დაწყობილ ძნებს ზემოდან თოკს გადაუჭერდნენ. თოკი ერთის მხრივ ორხალის თავებზე, ხოლო მისი მეორე ნაპირი ორხალის მარყუჟშია გამობმული. ორხალი და თოკი ორივე მხრიდან კრავს ძნებს. ასე შეკრულ ძნებსაც ორხალი ეწოდება. ორხალში დაახლოებით 20—25 კელი/სამეული ჩადის. პირველ ორხალზე „საწინაო საბელზე“ ტოვებენ ორმაგ თოკის პირს, რომელსაც საზიდს ეძახიან. „მთრელი“ ზურგზე მოიდებს და წინასწარ დამზადებულ შეეულ გზაზე „ნასათარაზე, ორხალით რუვზე მიუძღვება“ (VI, 203).

ძნების მსგავსი გადაზიდვა დამახასიათებელია საქართველოს მთიანი ზონისათვის, იქ სადაც მარხილი არ უდგება, ხოლო სადაც მარხილი უდგება, ძნები მარხილით//მარჯიკით (ფშ.) ჩამოაქვთ. ფშავში დამოწმებულია ნამკალ-ნათიბის სპეციალური გადასაზიდი ვალი (მარხილის მსგავსი. ლატნებისაგან შეკრული ტრანსპორტი). გარდამავალი და დაბლობი ზონისათვის დამახასიათებელია ძნების ურმებით გადაზიდვა: გარდამავალში — პატარა — აჩაჩა, ხოლო ბარში დიდი — საძნე//ჭელიანი//ბჯიანი ურმები.

ძნებს კალოზე ჩამოზიდავდნენ, იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდებოდა მათი გალევვა, კალოს პირზე დადგამდნენ მრგვალ ზვინებს — ხუთულას (ფშ., მთ., გუდ.), მუხლის ძნას, დიდ სერკვს (ხეგს.), ჩერგილს (იმერ.), ზვინს (რაჭა, ლეჩხ.), მაჭვალს//სკირტს (სვან.). ზოგჯერ ზვინს სარზე ააგებენ. ასეთ ზვინს დასავლეთ საქართველოში ჩერგილი//ჩენგელი//ზვინი ეწოდება.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში და დასავლეთ საქართველოში კალოს პირზე, იმეათად ყანაშიც, ძნები იგებოდა ურმეულეზად, მაჭვლად, თაიებად და ფთემოქცეულებად.

ურმეული იგება „გრძლად“, ორფერდა სახურავიანი ნაგებობის მსგავსად, მასში თავსდება დაახლოებით 100—200 ძნა.

სვანეთში ძნები კალოს პირზე მაჭვლად იგება, იგი ყანაში აგებული მაჭვალისაგან აგების წესითა და ფორმით განსხვავდება. ქვემოთ იდება ოთხი ძნა კვადრატულად და ასეთი წყობით იგება ბოლომდე. მას ოთხკუთხედი ფორმა აქვს. იგი ზემოდან ძნებით ან ჩალით იფარება. მაჭვალში ერთი მარხილი ნამკალი ჩადის.

ქართლისა და კახეთისათვის დამახასიათებელია ძნების თაიებად და ფთემოქცეულეზად აგება. თაია უსაროდ აგებული გრძელი ზვინია. ფთემოქცეული/ფრთამოქცეულიც გრძლად ნაგებია, მაგრამ იგი თაიაზე უფრო დიდია. შუაწელამდე ძნები თავთავებით ერთი მიმართულებით არის და-



წყობილი, ხოლო შუაწელის შემდეგ საპირისპირო მიმართულებით. თაიხა და ფრთამოქცეულზე კიდებენ გადაბმულ სარებს ან ქვებს ქარის საწინააღმდეგოდ.

ზემოთ აღწერილი წესით ხდებოდა საქართველოში პურეულის მკა, გაშრობა და დაბინავება. განსხვავებული წესები მოწმდება სიმინდისა და ღომის ჭრის, გაშრობისა და დაბინავებისათვის.

სიმინდის მოსავლის აღება ორი წესით ხდება. ზოგ რეგიონში ჯერ ტაროს მოტეხავენ, შემდეგ კი ჩალას აიღებენ. ზოგან კი ჩალას ტაროიანად ჭრიან და მერე გაარჩევენ. ღომის აღების დროს კი ჯერ ხის ან რკინის დანით თაველებს მოჭრიდნენ, შემდეგ კი ჩალას აიღებდნენ. ღომის ჩალას საქონლის საკვებად და ქვეშაგებად ხმარობდნენ.

შედარებით ნესტიან რეგიონებში ჩალის გაშრობას მეტი დრო ჭირდება, ამიტომ ჯერ შემოსულ სიმინდს მოტეხავდნენ, ჩალას კი რამდენიმე დღის შემდეგ მოჭრიან.

სიმინდის მოსავლის აღების სხვადასხვა წესი რამდენადმე განაპირობებდა სიმინდის ჩალის გაშრობის სხვადასხვა წესს. იქ, სადაც სიმინდს ტაროიანად ჭრიდნენ (იმერეთის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის ზოგიერთი მიკრო-რეგიონი) ჩალას შეუკონავად შეაქუჩებდნენ, „აქუბავდნენ“<sup>7</sup>, მიწაში ჩალას ჩასობდნენ და რამდენიმე ღერს ირგვლივ მრგვლად მიაყუდებდნენ. ჩალების თავს „მაჭკნარი“ (ნედლი) ჩალით შეკრავდნენ და რამდენიმე დღე ასე დატოვებდნენ. როდესაც კარგად გამოშრებოდა, წააქცევდნენ და თხილის წნელით შეკონავდნენ (XII, 25) ან პირდაპირ ურემზე დააწყობდნენ.

იმ რეგიონებში კი, სადაც ჯერ ტაროს ტეხავდნენ, სიმინდის მოსავალს შემდეგნაირად იღებდნენ: ჯერ ტაროს მომტეხელი ი//მატახალი (სამეგრ.), მტეხავი (გურ.) ტაროს მოტეხდა, შემდეგ კი ჩალის მომჭრელი — მაჭკირალი (მეგრ.) ნამგლით ჩალას მოჭრიდა. მოჭრილ ჩალას მკონავ ი//მაკირალი (მეგრ.)//ამკონავი (გურ.) კონებად//კი ი//კორუა (მეგრ.)//ნატხ-ი (სვან.) შეკრავდა. კონებს ერთად შეაქუჩებდნენ და წამოიღებდნენ, თუ არა და რამდენიმე ჩალის კონას ერთმანეთს მიაყუდებდნენ, თავებს საკონავით შეუკრავდნენ და ყანაში რამდენიმე დღე დატოვებდნენ. ასევე ხდებოდა ღომის ჩალის შეკონავა-გამოშრობაც. ასე დადგმულ ჩალის კონებს იმერეთში ჩერგილი ი//ხურდუმი//ქუბი, სამეგრელოში — ჩანგელი, გურიაში — ჩერგენ ი//ქურდულა ეწოდებოდა.

სიმინდის ჩალა ზურგით ან ურმით ჩამოჰქონდათ და ეზოში აბინავებდნენ. ჩალა სარზე იგება. დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში კი ხეზე. არსებობს სიმინდის კონების „ხეზე დაზვინვისა“ და „ხეზე ჩამოკიდების“ განსხვავებული წესი.

ხეზე დაზვინვა უმეტესად დასავლეთ საქართველოს მაღლობისათვის იყო დამახასიათებელი (ხარაგაული, ჩოხატაური, ონი, გეგეჭკორი, სვანეთში — ჭუბერსა და ლახამულაში). დასავლეთ საქართველოს ბარში კი, განსაკუთრებით იქ, სადაც ძლიერი ქარი იცოდა (სამტრედიის, აბაშის რაიონები), ზვინებს სარზე აგებდნენ.

ხეზე დაზვინვა ორი წესით ხდებოდა: 1. ხეს გასხლავდნენ და კონებს ჩამოაცმევდნენ, ხოლო თუ ჩალა ნესტიანი იყო, მამინ კონებს ტოტებზე ჩამოკიდებდნენ. თუთის კანით, ჩალის ღეროთი ან ცოცხით შეკონილ კონებს „დააჩენგელავებდნენ“

<sup>7</sup> არის მოსაზრება, რომ ტერმინი აქუბავა დაკავშირებული იყო დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში დამოწმებულ ქვეყნის სახელწოდებასთან ქუბი (ჯ. რუხაძე).





მ  
ს  
3  
ი

ფ  
ვ  
3  
ს

რუბა № 11. ნამგალის ერთეულები. ზვინები (XIX ს. II ნახ.)

1. სამკეთხელის ფორმის ძნის ზვინი, 2. ჭვარდინიდ ნაგები ძნის ზვინი, 3. მრგვალი ძნის ზვინი, 4. გრძელი ძნის ზვინი,
5. სარზე აგებული ძნის ზვინი, 6. მოთბული პურეულის მრგვალი ზვინი, 7. მოთბული პურეულს გრძელი ზვინი,
8. სარზე აგებული ჩალის ზვინი, 9. ხეზე აგებული ჩალის ზვინი, 10. ხეზე ჩამოკიდებული ჩალის კონების ზვინი.



იმერ.). საშუალო სიმაღლის კარგად დატოტვილ ხეზე ერთი კაცი ავიდოდა. მელიც საზვინე ჭოკით//ს ა ჩ ა ლ ი თ მიწოდებულ ჩაღის კონას წვერს— »გადაკვანტილებულ“ კონებს ტოტზე ჩამოკიდებდა და ხისკენ მისწევდა. შემდეგ უკვე თითო-თითო კონას ჩამოკიდებდა ხის ტოტზე. დაწყობის დროს ჩაღის კონებს თანდათან მოაკლებდა. გამზადებულ ჩენგლას (იმერ.) // ზვინს (მეგრ. გურ.) წვიმისგან დასაცავად თავზე ჩაღის ორ თავგადაღუნულ კონას დაახურავდა (XIII, 31; XXX, 70, 71).

ხეზე დაზვინვა ჩაღის კარგად გამოშრობას უწყობდა ხელს, მეორეს მხრივ, ხეზე დაზვინული ჩაღა გაშვებული საქონლისათვის მიუწვდომელი იყო. სარზე ავებული ჩაღა კი ეზოში სპეციალურად გამოყოფილ შემორაგულ ნაკვეთში იდგებოდა.

გურიამი დამოწმებულია ჩაღის „დაბეღლა“. იმ შემთხვევაში თუ სახლთან ახლოს საზვინე ხის შერჩევა არ ხერხდებოდა, მაშინ სახელდახელოდ სახლთან სპეციალურ ბედელს ააგებდნენ. ოთხ ფიცარს მიწაში ჩაასობდნენ, ფიცრითვე შემოსაზღვრავდნენ და ზედ გარდიგარდმო ფიცრებს დააწყობდნენ, ზემოდან კი ჩაღის კონებს დაალაგებდნენ.

ამგვარად დალაგებულ ძნებს იმერეთში ზვინი ეწოდებოდა (იხ. რუკა № 11).

ნათიგის ერთეულეგი

თიბვა ბალახის ცელით ჭრას ეწოდება. თიბავენ უმეტესად მამაკაცები. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დამოწმებულია აგრეთვე ბალახის ნამგლით მოთიბვა — ჯენცვლა (ხევს.). ნამგლით ქვიან ადგილებში ამოსული უხეში, „ჯოჯორიანი“ (გამხმარ კლერტებიანი) ბალახი ითიბება. ხევსურეთში ნამგლით უმეტესად ქალები თიბავენ (VII, 224).

თიბვის დროს მთიბავი ერთ ხაზს მიყვება. ერთ ხაზზე ცელით მოთიბულ ბალახს ნამხრევი (ქართ., ერწ., ხევს.)//ტოტი (ხევს.)//ნაფთევი (ფშ.)//ლორეულა//ნამკრევი (მთ.)//ლესორი (რაჭა)//ნაზღვარი//ზღვარი (გურ., იმერ.)//ჭელი (მესხ., ქვ. ქართ., იმერ.)//კვალი (სამეგრ., გურია)//სვე (სამეგრ.)//ლმაალ (სვან.) ეწოდება.

გრძლად და შეუღლად ჩატანილ ტოტს ხევსურეთში ღვერას უწოდებენ. ტოტების გროვას კი ნამკრევი ჰქვია. ტოტის გატანისას ზოლად დაყრილი მოთიბული ბალახის ზოლს ქალიწს ეძახიან. ნამგლით მოთიბულ ბალახს ხევსურეთში „მიაქალიწებდნენ“, ე. ი. ერთად შეყრიდნენ. იმერეთში ნამგლით მოჭრილი თივის უმცირესი ერთეული მუჭის სახელითაა ცნობილი, თუშეთში მას ჯელეური ჰქვია. ეს არის მთიბავის მიერ ერთ ხელში დაგროვილი მოჭრილი ბალახი. ერთ ადგილზე დაგროვილ მუჭებს იმერეთში ჯეველს//ჭელს უწოდებენ. თუშეთში ნამგლით მოჭრილ თივის ხელეურებს კონებად კრავენ.

სათიბად მიდიან დილით ადრე, როდესაც ბალახი ოდნავ ნოტიო//ჭანარია (მესხ.), ნოტიო ბალახი ადვილად დაიზვინება.

მზიან ამინდში დილით მოთიბული თივა შეიძლება იმავე საღამოს ან მეორე დღეს ახვეტონ, ნესტიან ამინდში მოთიბული ორი-სამი დღე სათიბში რჩება, შემდეგ კი გადააბრუნებენ და ფოცხით ახვეტავენ. თივის ნამხრევეები შეიძლება ერთ გრძელ ზოლად — ღვერეულად შექუჩდეს. მთიულეთში ერთად მოხვეტილ მოთიბულ ბალახს მურვილი ეწოდება.





სახელდახლოდ აგებულ თივის პატარა ზვინს ბულული (ტაბ. V, 2) ჰქვია. იქ, სადაც ცელით ვერ უდგებიან, ბალახს ნამგლით თიბავენ. ნამგლით მოთიბული ბალახის ბულულს ხევისურეთში ქუჩაღას უწოდებენ. ქუჩაღას თავზე ქუჩაღას თავს დაახურავენ, წყალი რომ არ ჩაუვიდეს და თივა არ დააღბოს, ირგვლივ ალერდს (ბალახისგან დაგრეხილ თოკს) მოახვევენ. ნამგლით მოთიბულ ბალახს ზოგან კონებად//ნაბარ (სვან., ლეჩხ.) კრავენ და ამ კონებისგან პატარა ზვინს//კატუმა//მაკუტა (თუშ.) დგამენ. პატარა ზვინში დაახლოებით 5—6 კონა თივა ჩადის.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამოწმებულია თივის ბულულის აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინები. თივის პატარა ბულულს ხევისურეთსა და მთიულეთში გოლს უწოდებენ. მას ზემოდან არაფერს არ დაახურავენ, მხოლოდ ზემოდან ჯვარედინად ალერდით გადაახვევენ და ალერდის ბოლოებზე ქვებს დაჰკიდებენ (VII, 21). თივის დიდ ბულულს ხევისურეთში ხელნაბა — ხოლნაბო (არხოტ.), საფანდრე (მატილი, მთიულ.), საწირი (ფშავ.) ჰქვია. თუშეთში — ბულულს ჩეჩიღას უწოდებენ. ქართლში ბულულთან ერთად იხმარება ტერმინი ნაქუჩი, კახეთში — რადი, კვირტი, რაჭასა და სვანეთში — ბათანი, ხევში — ბიქინა, დასავლეთ საქართველოში თივის ბულულს — „ბუჩქა—ბუჩქად“ აგებულ თივასაც უწოდებენ.

თივის ბულული, როგორც აღვნიშნეთ, სახელდახლოდ ნაგები თივის ზვინია. მისი აგების მიზანია თივის ერთად შეგროვება და გამომშრობა, მაგრამ ბულულში თივა კარგად არ არის დაცული და მისი დიდი ხნით დატოვება არ შეიძლება. ამიტომ საჭიროა თივის უფრო მკვიდრად გადაგება, რომ დაცული იყოს ბუნებრივი მოვლენებისაგან და ამავე დროს მოხერხებული იყოს გადაზიდვისათვის.

საქართველოს მთიან და გარდამავალ ზოლში თივას აგებდნენ როგორც სარზე, ისე უსაროდ. სარზე მრგვლად აგებულ თივის პატარა ზვინს თუშეთში, მთიულეთსა და ერწო-თიანეთში სარი (ტაბ. V, 4) (თუ თივა ნესტიანი იყო მას, აერაციის მიზნით, გატოტვილ სარზე ააგებდნენ), დასავლეთ საქართველოში კი ზვინი ეწოდება. უსაროდ მრგვლად ნაგებ თივას ძირი (ტაბ. V, 3) (ქართ., მესხ., ერწ., თიან.) ზვინი, მექვი- (სვან.), ბაყანა (რაჭა) ჰქვია. თუ სათიბში თივა დიდხანს რჩება, სვანეთში მას გგბენ-ად გადააგებენ. გგბენ-ი თივის დიდი ზვინია. იგება ოთხკუთხედად, ორფერდა სახურავი აქვს. მასში მოთავსებულია მთელი მოთიბული ბალახი.

ძირსა და ზვინში 20—30 ბულული ჩადიოდა. ბულულებს კეტებით იღებდნენ და ძირებად გადააგებდნენ. ჩადაღში, ძირსა და ზვინებში თივა თალმებად ეწყობოდა. თალამი (ქართ., კახ.)//ნაცაფი (თუშ.)//კელფი (მთ., ხევს.) ერთი აღება დატყეპნილი თივის ფენაა.

ზემოთ აღწერილი თივის ზვინები კარგად იყო დაცული და მოხერხებული იყო ტრანსპორტირებისათვის. მოწმდება აგრეთვე თივის სპეციალურად გადასაზიდად აგება. ასეთია ტვირთი, ხორამი, სათარზე აგებული თივა.

ტვირთი გამიზნულია ზურგით, ცხენით ან ხარით ვადმოსაზიდად, რომ არ დაიშალოს, კარგად იტკეპნება და წინასწარ იკვრება საბლით ან ალერდით. ამგვარად შეკრულ თივას სატვირთოს (ხევს.), ტვირთს (ფშ., მთ., გულ., თუშ.), „საზურგე თივას“ (დასავ. საქართველო) ეძახიან. ზურგით ჩამოაქვთ ერთი ტვირთი, ცხენით ან ხარით — ორი. სპეციალურად ცხენით ჩამოსატანად თივა ხორამადაც იგება. ხორამი კარგად შეკრული თივის ტვირთია





და ცხენის გავაზე იდება (ხეც., მეს., აჭ.). ტვირთი თუ გადაკიდებულია, ხეცაზე დადებულია.

სათარზე თივას შემდეგნაირად აგებენ. მიწაზე დაიდება კავიანი ჯოხი ან გადაჯვარდინებული ორი არყის ხის მსხვილი ტოტი — ბაჟან (რაჭ.), ხალი (ხეც.). ხეცურეთში სათარს ორ ხალს უწოდებენ. სათარზე დადებენ თივას და ტკეპნიან (რაჭაში უკვე გამზადებული ბაჟანები გადმოაქვთ), საბლით მაგრად შეკრავენ და ქვემოთ დადებულ ჯოხზე დაამაგრებენ. ასე აგებულ თივას წინა კავზე საბელს გამოაბამენ, „მთრელი“ საბელს ზურგზე მოიკიდებს და თრევით ჩამოიტანს. შეიძლება რამდენიმე სათარი ერთად გადაეხას. გადაბმულ სათარს ცხენს ან ხარს მოჰკიდებენ და ისე ჩამოათრევენ. სათარზე აგებულ თივას ხაწირი (ფშავ.) // ვალა (მთ., გუდ.), სათარი თივა (თუშ., ხევ.), ბაჟანა (რაჭა), სვეთილ (პატარა სათარი), სვეთი (დიდი სათარი) (სვან.) ეწოდება.

ჩამოსათრევად აგებული თივის ზვინის ერთ-ერთ სახესხვაობას ჯაურა წარმოადგენს. თვით ტერმინი ჯაურა ოსურია, ჯაურას ტიპის ზვინები დამოწმებულია ქართლში. იგი შემდეგნაირად იგება: კაპიან სარს მიწაში ჩაასობენ, კაპზე ფიჩხს დააყრიან, შემდეგ კი მოთიბულ ბალახს დააფენენ. როდესაც სარი თივით დაიფარება, მოწვერავენ და სათავეს გაუკეთებენ. ასე აგებული თივა წვიმისა და ქარისაგან კარგად იყო დაცული, გადმოზიდვის დროს ჯაურას წააქცევენ, სარის კაპზე თოკს მოაბამენ, თოკს ურემს ჩამოაბამენ და თრევით ჩამოიტანენ.

გარდა ზემოაღნიშნული საშუალებებისა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თივა ჩამოჰქონდათ მარხილით. მარხილზე დაახლოებით 100-მდე ბულული — ერთი სვანური გებენ-ი ეტეოდა. გარდამავალ ზოლსა და ბარში თივა ურმებით ჩამოჰქონდათ. მთიან ზოლში სათიბებიდან ჩამოზიდულ თივას სპეციალურ საზვინე//სათივე//საგულე ბელ-ში (აღმ. საქ. მთ.) აბინავენ ან ეზოში ჩამოაქვთ. სათივეში თივას სარზე აგებენ. ქვემოთ ხმელ ფიჩხს დაუფენენ, რომ არ დანესტიანდეს. შემდეგ კი თივას ფენა-ფენად დააფენენ. ერთი კაცი თივაზე დგას და ტკეპნის, მეორე კი ფიწლით თივას აწოდებს. თუ სარი დაბალია, მაშინ რამდენიმე სარს ერთმანეთს გადააბამენ და მაღალი თივის ზვინს აკეთებენ.

სარზე აგებული თივა დამახასიათებელია უმეტესად ფერდობი ადგილები-სათვის. სათივეში ზვინები იგება უსაროდაც. ასე აგებულ თივას ფშავში თივას//საგორე თივას უწოდებენ. მას თავზე თივას გადააფენენ და ქარისაგან დასაცავად ზემოდან სამხირავს — პატარა ჯოხს ჩაასობენ ან ქვებს დაჰკიდებენ. სვანეთში კი სათივეში თივას გებენად აგებენ. ზამთარში სათივეებიდან თივის ზვინები თრევით ან მარხილით ჩამოაქვთ და ეზოში ისევ ზვინებად დგამენ.

საქართველოს ბარში სათიბებიდან ურმით ჩამოზიდული თივა ეზოში მრგვალ ზვინებად ან კონუსისებური ფორმის (სარზე ან უსაროდ) ან გრძელ თაიებად (ქართლ., კახეთი) აიგება. თაია გრძლად ნაგები თივის ზვინია. სვანეთში ეზოში ჩამოტანილ თივას გებენად დგამენ ან დარბაზში შეაქვთ და თივის შდექეს აკეთებენ. შდექეში 30-მდე მარხილი თივა თავსდება. თივა მარხილით შეაქვთ დარბაზში და მთელ ფართობზე ანაწილებენ. მარხილიდან გამოშვებულ ხარებს დასატკეპნად მოფენილ თივაზე შეაყენებენ. როცა თივა ზევით აიწევდა, ხარებს



გვერდზე გზასაგაუკეთებდნენ და ისინიც თანდათან ზემოთ ადიოდნენ. თივის ნას კაცები და ბავშვები გააგრძელებდნენ. ერთი შდექვი პირუტყვის ერთი თორის გამოსაკვები იყო. თუ თივა დარბაზში ვერ ეტეოდა, გებენ-ს ეზოში დად-გამდნენ (XIV, 8—9). (იხ. რუკა № 12.)

ლიტერატურა

I ნ. ბრეგაძე, ხალხური აგროტექნიკის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“, № 3, თბ., 1967.

II ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976.

III გ. ჩიტაია, შნაკვი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები, თბ., 1980.

IV ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969.

V სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

VI ალ. ჭინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.

VII გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიი-დან, თბ., 1960.

VIII ქ. ძოწენიძე, ზემო იმერული ლექსიკონი, თბ., 1974 წ.

IX ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, თბ., 1935.

X ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად. III. ქართული საფას-საზომთა მეოდნეობა ანუ ნუმისმატიკა — მეტროლოგია, ტფ., 1926.

XI სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

XII ჯ. რუხაძე, იმერეთი, ეთნოგრაფიული მასალები, ხარაგაულის რ-ნი, 1981 წ. გვ. 25.

XIII ჯ. რუხაძე, სვანეთის ეთნოგრაფიული მასალები (ხელნაწერი), 1974.

XIV ნ. მაკალათია, მ. ბალიაური, მესაქონლეობის წესები ხევსურეთში, 1938 წ., ხელნაწერი (საქ. ეთნოგრ. გან-ბის არქივი).

XV ა. ოჩიაური, რელიგია ფშავში, 1947 წ. (ხელნაწერი).

XVI 1946—1947 წწ. ქართლის ექსპედიციის დღიურები.

XVII ს. მაკალათია, მთიულეთი, თბ., 1930.

XVIII ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1933.

XIX ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1935.

XX ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1934.

XXI ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1934.

XXII ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938.

XXIII თ. უთურგაძე, თუშური კილო, თბ., 1960.

XXIV ივ. გიგინეიშვილი, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961.

XXV დ. გოგოლაური, მთიბლურთა ტრადიციისათვის ფშავში. კრებულში ქართული ლიტერატურის საკითხები, II, თბ., 1971.

XXVI გ. ჯალაბაძე, მემინდვრობის კულტურა საქართველოში, თბ., 1971.

XXVII გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თუშეთში, კრებ. „თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1967.

XXVIII მ. მაკალათია, მსხვილფეხა მესაქონლეობა თუშეთში, კრებ. „თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1967.

XXIX ჯ. რუხაძე, ვანის დღიურის ფურცლები, თბ., 1982.

XXX ალ. ოჩიაური, სოფლის მეურნეობა ხევსურეთში (ხელნაწერი).

XXXI ჯ. რუხაძე, ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, 1960.



XXXII ლ. ბერიაშვილი. მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973.

XXXIII ნ. მინდაძე, 1977—82 წლების საველე დღიურები.

XXXIV მ. კანდელიანი, 1976 წლის საველე დღიურები.

XXXV ნ. მინდაძე, 1976 წლის საველე დღიურები.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეების შესახებ ცნობები მოგვაწოდეს: ვ. ითონიშვილმა, ჯ. სონღულაშვილმა, გ. გასვიანმა, გ. მარგიანმა, ნ. აზიკურმა, გ. ცოცანიძემ, მ. მაკალათიამ; გ. ჯალაბაძემ, ნ. ბრეგაძემ, ლ. ბერიაშვილმა, თ. ავსაჯანშვილმა, თ. ცაგარეიშვილმა, მ. ხაზარაძემ, თ. იველიშვილმა, ს. კვიციანმა.

ბ. ჩიჭაია, მ. ხაზარაძე

## მარცვლეულის გასანიავებელი იარაღები

მემინდვრეობის სამუშაოთა ციკლში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია მოწეული მოსავლის დროულად აღება-დაბინაება, რომელიც კალოობის რთულ პროცესში ხორციელდება. კალოობა ძნის ლეწვის გარდა მოიცავს აგრეთვე ხვავის განიავებას, გაცხაება-გაცხრილვას და დაკაზმვა-დაარკვევას.

ხვავის გასანიაველად — მარცვლისაგან ბზის, ქვების, სარეველა მცენარეთა თესლის მოსაშორებლად ნაირგვარი იარაღი გამოიყენებოდა, რომელიც 3 ძირითად ჯგუფად იყოფა:

I — სანიავებელი

II — გასაცხავებელ-გასაცხრილავი

III — დასაკაზმავი და დასარკვევი

I. სანიავებელი იარაღებია: ნიჩაბი, კელვარცი, ტაბაკი, საფრელა//ფეთქი.

ნიჩაბი — ბრტყელპირიანია, გრძელი ტარით, მთლიანი ხისგან გამოთლილი (ტაბ. VI, სურ 1). საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში გვხვდება. სამტრედიის და წულუკიძის რაიონებში იგი ფიორის სახელწოდებითაა ცნობილი<sup>1</sup>.

ნიჩაბი მსუბუქი ხის (თელა, ვერხვი, ლაფანი) ჯიშისაგან მზადდება. განიავება წარმოებს კალოზე, როდესაც შესაფერისი ნიავე ქრის. ხვავის ნიავე ძლიერი არ უნდა იყოს. გამნიავებელი ნიჩბით აზიდულ მარცვალს ქარის დინებას აყოლებს და ამით ასუფთავებს მოწეულ მარცვლეულს.

მძიმე მარცვალი გამნიავებლის მახლობლად ეცემა, მისგან მოშორებით კი საშუალო სიმძიმის მქონე მარცვალი ცვივა, ხოლო მჩუტე და სუსტი მარცვლები — უფრო შორს.

სათესლედ ყველაზე მძიმესა და სრულყოფილ მარცვალს ინახავენ საგანგებო ჭურჭელში. თუ სურთ შერეული თესლის დათესვა, მაგალითად, ქერქრელის (ქერი და დიკა), ხორბლის მარცვალს ქერის თესლს ურევენ და ერთ ჭურჭელში ინახავენ. ხალხის რწმენით სხვადასხვა ჯიშის თესლის ერთად მოთავსება სიუხვეს უზრუნველყოფს.

ნიჩაბი ქართულ წერილობით ძეგლებში IX—X საუკუნეებიდან იხსენიება. ხვავის დახარისხება სანიავებელი მანქანითაც ხდება, მაგრამ იგი მარცვალს ახარისხებს არა სიმძიმის, არამედ მოცულობის მიხედვით, ამიტომ მძიმე მარცვალთან ერთად მჩუტეც ხვდება, რაც ცხადია სათესლედ გამოყენების თვალსაზრისით არაეფექტურია.

სანიავებელი მანქანა ფაბრიკული ნაწარმია. იგი მე-19 საუკუნის ბოლო წლებიდან ჩნდება და დამახასიათებელია ეკონომიკურად ძლიერი მეურნეო-

<sup>1</sup> ქართლის ზოგერთ სოფელში იხმარებოდა ნიჩაბი, რომელსაც ფარფლიანი პირი ჰქონდა და განიავებისას მარცვალს ახარისხებდა



ბისათვის. მას მემამულეები და მდიდარი გლეხები იძენდნენ. იგი იმეორებოდა იყო გავრცელებული.

საქართველოს იმ რაიონებში, სადაც პურეული კულტურები დღესაც მოყავთ, კალოობისას ნიაბი ისევ გამოყენებაშია.

**ჭ ე ლ ვ ა რ ც ლ ი** — მოგრძოა, სამი მხრიდან დახურული, ორივე ბოლოში წაშვერილი ფრთებით (ტაბ. VI, სურ. 2.). იგი ძირითადად ხევსურეთშია გავრცელებული. მას ს ა ნ ი ა ო ჯ ე ლ ვ ა რ ც ლ ი ეწოდება.

განიაგებისას ჯელვარცლი მამაკაცს მარჯვენა ხელში ისე უჭირავს, რომ მისი ღია გვერდი ზემოთ არის აწეული და თანაბარი მოძრაობით ჯელვარცლის უკანა გვერდიდან ხვავი ძირს ცვივა, ბზე ნიაგს მიაქვს, მარცვალი სხვა მინარევებთან ერთად ქვემოთ იყრება.

ჯელვარცლს თელის, ლეკის, ვერხვისა და წნორის ხისგან ამზადებდნენ. ამ ჯიშებიდან უპირატესობას წნორის ხეს აძლევდნენ, რომელიც უფრო მსუბუქია და მზეზე არ სკდება. ხეს ჭრიდნენ შემოდგომაზე და ზამთარში. გაზაფხულზე სამასალე ხის მოჭრას ერიდებოდნენ. ლპობის დროს ხე სუსტია და ასეთი ხისგან დამზადებული ნივთი სკდება, ჭია უჩნდება. ხის მოჭრისას მთვარის ფაზებსაც ითვალისწინებდნენ. სამასალე ხე ძველ მთვარეზე უნდა მოჭრილიყო, ჭია რომ არ გასჩენოდა. ასეთად თხუთმეტი დღის მთვარე იყო მიჩნეული.

ჯელვარცლისთვის შეარჩევდნენ გლეგ უკაპო, უნუყო ხეს. შერჩეულ ხეს ზომაზე ცულობით გადაჭრიდნენ — გა დ ა მ ო რ ა ვ დ ნ ე ნ. ერთი მორიდან ორი ჯელვარცლი შეეძლოთ გაეთალათ — ა მ ო ე თ ხ ა რ ა თ. გამობისას ჯელვარცლი რომ არ გამრუდებულიყო, მორს ქერქის მხრიდან გათლიდნენ, საიდანაც ხეს ცილა აქვს. „ხის ცილა მაგარია და გახმობისას მერქანს ქვემოთ წევს“. პირველად ჯელვარცლის გვერდს გათლიდნენ, შემდეგ გულს ამოიღებდნენ დაახლოებით ოთხი თითის სიღრმეზე. მარცვალი რომ ადვილად ასაღები იყოს, ჯელვარცლის ღია გვერდი თხელი და ქვემოთ ოდნავ დახრილია. გათლილ ჯელვარცლს აშრობდნენ ა ს ა ყ ა რ ზ ე (ხევსურული სახლის კერის ასწვრივ საგანგებოდ გადებული ორი ხე) (I, 290). ჯელვარცლი ბოლოში გამოდის დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში.

**ტ ა ბ ა კ ი.** გასანიაგებელი ტაბაკი ხისაა, სინისმავარი. გვერდები ოდნავ დაქანებული აქვს იმისათვის, რომ განიაგებისას მარცვალი ადვილად მოისხლიტოს (ტაბ. VI, სურ. 3). იგი ძირითადად მთიულეთ-გუდამაყარშია გავრცელებული. ტაბაკი მზადდებოდა მსუბუქი ხის (თელა, ცაცხვი) ჯიშისაგან. ხეს ცულობით შუაზე გააპობდნენ, გვერდებს მრგვლად შ ე მ ო კ ვ ე რ ც ხ ა ვ დ ნ ე ნ, შავად გათლილ, გ ა მ ო კ ო პ ი ტ ე ბ უ ლ ტაბაკს ჩარხზე მოხვეწდნენ.

**ს ა ფ რ ი ე ლ ა // ფ ე თ ქ ი.** ეს ხელსაწყო ტყეჩისგან მოწულნი ოთხკუთხედი ჩელტია სახელურით, ღომის, სიმინდის, ლობიოს დასანიაგებელი (ტაბ. VII, სურ. 1) ხშირია ტყიბულის რაიონში. წულუკიძის, ვანის, სამტრედიის რაიონებში ღომის, სიმინდის გასანიაგებლად ბლის ხის ქერქს და ოთხკუთხა ფიცარს იყენებდნენ (რუკა 13, XIX ს. II ნახევარი),

II — გასაცხავებელი და გასაცხრილავი იარაღები ძირითადად ორი სახისაა: ცხავი და ცხრილი. ორივე საცრის ფორმისაა, მასზე ოდნავ მოზრდილი, ხის ქერქის რკალზე ამოკრულია ბადურა (ტაბ. VII, სურ. 2,3). ცხავი და ცხრილი ერთმანეთისგან ბადურის სიმჭიდროვით განსხვავდება. ცხავის ბადურა უფრო თხელი და დიდი ნაჩვრეტებიანია, ფ ხ ა ლ ა ა (ხევსურეთი), ფ ა ც ხ ა ტ ა ა (თუშეთი), ვიდრე ცხრილის. ცხავისა





და ცხრილის ბაღურის სიმჭიდროვე დამოკიდებულია გასაცხავებელი თუ გასაცხრილავი მარცვლის ზომაზე. ამის მიხედვით ყოფაში გვხვდება იფქლის, ქვემო-იფქლისა და სხვა მარცვლეულისათვის განკუთვნილი ცხავ-ცხრილები.

ხეავს ბზის მსხვილი ნაწილებს — ჩელხის//ჯელღის მოსაშორებლად ცხავში გაატარებენ, გასაცხავებენ. ცხავს თანაბრად მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ ამოძრავებენ. მარჯვნივ და მარცხნივ მოძრაობისას ცხავის ქვეშ მარცვალის და წვრილი მინარევი ნაკმაზი, ნაკუდი (ქართლ-კახეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, ერწო-თიანეთი, თუშეთი), მაგატო//ნათავძირალი (ხევსურეთი), შორტი, ძირწო (ხევი) გადიოდა. ზევით მოძრაობის — მოქცევის დროს ცხავს ზემოდან გაულეწავი და გულაფშუტა მარცვალის ცხავის თავი (მთიულეთი), ჯელღო//ჩელხი (ქართლ-კახეთი) მოექცეოდა, რომელსაც ხელით იღებდნენ და ქათმების საკვებად იყენებდნენ.

გაცხავებულ ხეავს ცხრილში გასაცხრილავენ//გააკეთებენ (ქვემო ქართლი). ცხრილში მიწა, სარეველას თესლი გადის, ხოლო მარცვალის შიგვრეა. ცხრილს შემოქცევის დროს ზემოდან ცხრილის თავი//ცხრილ-ზევითი (მთიულეთ-გუდამაყარი), თავმონაყარი//თავმონახალი (ქვემო ქართლი) მოექცევა (ნახ. 2.).



სურ. 2. კალობა.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, მესხეთ-ჯავახეთი, ქვემო ქართლი) გვხვდება აგრეთვე საშუალო ნაჩვრეტებიანი ხელსაწყო-იარაღი. მესხეთ-ჯავახეთში მას ქვაცხრილა ეწოდება, ქვემო ქართლში ცხავი, მთა რაჭაში ჯელღო, რაჭა-ლეჩხუმში კაკაბა, სვანეთში ლადშაარ. ქვაცხრილში მარცვლის გატარებისას შიგ ქვა, წვრილი გორბი, კილი და მისთ. რჩება, ხოლო ქვეშ მარცვალის გადის.



რუკა № 14. მარცვლეთლის გასანერგვითი იარაღები

გასეხვევები-გასეხრილები, (XIX ს. II ნახ): 1. ცხავი (ტყვის), 2. ცხავი (თხმის), 3. ცხრილი (ტყვის), 4. ცხრილი (თხმის).



გვხვდება ტყეჩისა და საქონლის ტყავის თასმის ბადურიანი ცხავ-ცხრილები. პირველის გავრცელების არეალი აღმოსავლეთ საქართველოში (ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთ-გუდამაყარი, თუშეთი), ზემო და შიდა ქართლი, ერწო-თიანეთი, ნაწილობრივ კახეთი (თელავის რაიონი), დასავლეთ საქართველო (იმერეთი, ვურია, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, სამეგრელო). საქონლის ტყავის თასმის ბადურიანი ცხავ-ცხრილები გვხვდება მესხეთ-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, ქიზიყსა და კახეთში. ცხავი და ქვაცხრილი დაუგრეხავი თასმით იწვნება, ცხრილი — დაგრეხილი თასმით.

გვხვდება ცხავ-ცხრილის ორი ქვესახეობა. ერთი სიმაგრისათვის რკალზე წნელის სალტით, მეორე — უსალტოდ. პირველი ქვესახეობა გვხვდება ხევსურეთში, ზემო ქართლში, კახეთში, რაჭა-ლეჩხუმში, ზემო სვანეთსა და იმერეთში. მეორე გავრცელებულია თუშეთში, ფშავში, მთიულეთ-გუდამაყარში, ქვემო სვანეთში.

მე-19 საუკუნის II ნახევრისა და მე-20 საუკუნის 30-იანი წლებისათვის ცხავი და ცხრილი ხშირია აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, ზემო იმერეთი), ქვემო იმერეთის ზოგიერთ რაიონში — ტყიბული, წულუკიძე, ვანი—ნაკლებ ხშირია, სამტრედიის რაიონში კი — იშვიათი. როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში სიმინდის კულტურამ მძლავრად მოიკიდა ფეხი და შეაფეროვა ღომის, ფეტვის, ჭვავისა და ხორბლის ნათესი ფართობი (II, 80). ამ გარემოებას განაპირობა ცხავისა და ცხრილის ასეთი ინტენსივობით გავრცელება ქვემო იმერეთში.

ცხავისა და ცხრილის რკალი — კირკალი (კახეთი), ქარა (მესხეთ-ჯავახეთი, ქვემო ქართლი), კანი (ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, მთიულეთ-გუდამაყარი), კარბა (რაჭა-ლეჩხუმი, ზემო იმერეთი), კარბ (ქვემო სვანეთი), კამრაი (ზემო სვანეთი) ცაცხვის, ბლისა და ნაძვის ქერქისაგან მზადდება. ხეს ქერქს გაზაფხულზე საყრელი სოლით აძრობენ. გაზაფხულზე ხეს ლოპო აქვს ჩამდგარი და ქერქი ადვილად ძვრება. ქერქს ისე მოხრიან, რომ მისი შიდა ნაწილი გარეთ მოექცეს. რკალის ნაპირები ტყეჩითაა ამოკერილი. ტყეჩი — ყაპყატო//მუშოი//ლაპატო (აღმოსავლეთ საქართველოს მთა), პწკალი (კახეთი, იმერეთი, ზემო ქართლი) თხილის სწორი წნელისაგან მზადდება. წნელს დანით ჩაჭრიან, მუხლზე მოხრიან და მარცხენა ხელის შუა თითის დახმარებით თანდათან თხელ ნაწილებად დაშლიან.

ბადურის წვანა შუა ადგილიდან იწყება. ექვსი ტყეჩი ერთი მხრიდან უნდა გაიბას, ექვსი მეორედან. ცხავი ერთი თხელი ტყეჩით იწვნება, ცხრილი — ორი მსხვილი ტყეჩით — ორშიანია (ფშავი, ხევსურეთი), ორპირაა (ზემო ქართლი), ყაზაზური<sup>2</sup> (ზემო იმერეთი). ცხრილს მეტი ჯაფა აქვს, ვიდრე ცხავს.

ცხავ-ცხრილის დაწვნა ძირითადად მამაკაცის საქმიანობა იყო და განსაკუთრებულ დახელოვნებას მოითხოვდა. ზემო ქართლში და ზემო იმერეთში ცხავ-ცხრილებს ქალებიც წნავდნენ. ცხავით მარცვალს ანიავებდნენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები, ცხრილით — მხოლოდ ქალები.

საქონლის ტყავის თასმის ბადურიან ცხავ-ცხრილებს სომეხი ბოშები<sup>3</sup> და ბერძნები ამზადებდნენ. ისინი ამ ტიპის ცხავ-ცხრილებით ამარაგებდნენ ზემო, შიდა ქართლსა და კახეთს.

<sup>2</sup> ყაზაზი — აბრეშუმეულის მქსოველი. ძვ. ყათან — ბუშმენტის მქსოველი ხელოსანი (III).

<sup>3</sup> ბოშური წარმოშობის სომეხი სარწმუნოებით ეყენენ ქრისტიანები (გრიგორიანები) და ლაპარაკობდნენ ბოშურ ენაზე. ძირითადი მასა ხელოსნობას მისდევდა (IV, 54).







ცხრილი ქართულ წერილობით ძეგლებში IX საუკუნიდან იხსენიება (რუკა 14. XIX ს. II ნ ხევარი).

III — დასარკვევი იარაღებიდან საქართველოში გავრცელებულია ტაბაკი, ჯელვარცლი, რიჭი, გობი.

დასაკაზმავი ტაბაკი გავრცელებულია მთიულეთ-გუდამაყარში. ზომით უფრო პატარაა, ვიდრე გასანიავებელი ტაბაკი. მესხეთ-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, ქსნის ხეობაში, კახეთსა და შიდა ქართლში მას ტაბაკი ჰქვია.

ზემო ქართლისა და ზემო იმერეთის მოსახლდვრე სოფლებში მას სარკვევს უწოდებენ.

ჯელვარცლი, სანიაო ჯელვარცლზე პატარაა და მას სსსფქვე ეწოდება. იგი უმთავრესად ხევსურეთშია გავრცელებული (ტაბ. VII, სურ. 4).

რიჭი სამი მხრიდან დახურულია, წინა გვერდი ღიაა, რიჭი თუშეთსა და კახეთშია (ყვარლის რაიონი) გავრცელებული.

გობი ხისაა, თეფშის მსგავსი, პირგადაშლილი. იგი დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში ხშირია.

აღნიშნული ხელსაწყოებით მარცვლეულს დაკაზმავენ//დაარკვევენ, დარიჭნავენ, გააბრელოებენ//წაფენთხავენ — აქნევით არჩევენ.

ტაბაკი ქართულ წერილობით ძეგლებში XII—XIV ს. მოიხსენიება (ვეფხისტყაოსანი, ჯელმწიფის კარის გარიგება).

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ხის ტაბაკი ძვ. წ. II ათასწლეულით თარიღდება (V) (რუკა 15. XIX ს., II ნახევარი).

ლიტერატურა

I. ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.  
 II. ჯ. რუხაძე, ლომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მსე, ტ. IX, თბ., 1960.  
 III. ქველ. ტ. 7, თბ., 1962.  
 IV. ლ. ფაშაევა, შინახელოსნური წარმოების ზოგიერთი საკითხის შესახებ წალკის რაიონის მოსახლეობაში, „ძეგლის მეგობარი“, 42, თბ., 1976.  
 V. გ. გობეჯიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლი, „კომუნისტისტი“, 260, 1966.

პ. რუხაძე

## ს ა ც ე ხ ვ ე ლ ი

საქართველოში მარცვლეული კულტურების ცეხვა და ნაყვა ქვის და ხის საცეხველში ხდებოდა.

საცეხველი ხანგრძლივი ემპირიული დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბებული ტრადიციული იარაღია. მის კონსტრუქციულ-ფუნქციურ თავისებურებებს, გავრცელების არეალს და სიხშირეს განსაზღვრავს გარკვეული ჯიშის მარცვლეულის თვისებები და მისი მოხმარების წესი, აგრეთვე გეოგრაფიული გარემო და ბუნებრივი პირობები.

საქართველოში საცეხველის სამი ტიპია დადგენილი: ა) ხელის, ბ) ფეხის და გ) წყლის. ხელის საცეხველის სამი სახესხვაობა არსებობს: ბრტყელი ან მრგვალი სანაყ-სასრესი, სწორი სანაყი და თავმოხრილი სანაყი. თავმოხრილი სანაყის ორი ქვესახეობა დასტურდება: მთლიანი ხისაგან თავმოხრილად გათლილი და ორი ნაწილისაგან შედგენილი „ჩაქუჩისებური“. მეორე ტიპის — ფეხის საცეხველის ერთდერთი სახეობაა ხის ფეხის დინგი. მესამე ტიპის — წყლის საცეხველი ორგვარია: ბერკეტოანი — ერთღერძიანი და ვერტიკალურ ბორბლიანი მრავალღერძიანი; ერთღერძიანი საცეხველი კონსტრუქციულად სხვაგვარიც არის<sup>1</sup>.

საცეხველი XX საუკუნის დასაწყისშიც მოქმედებდა.

XIX საუკუნეში და XX საუკუნის 30-იან წლებში ხელის საცეხველი ფორმათა ვარიაციული სახესხვაობით მთელი საქართველოსათვის დამახასიათებელ სამეურნეო იარაღად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ იგი ყველგან ერთნაირი სიხშირით და ერთნაირი სახეობით არ დასტურდება.

აღნიშნულ პერიოდში, აღმოსავლეთ საქართველოს უმრავლეს რეგიონებში სამივე ტიპის საცეხველია ცნობილი. სამცხე-ჯავახეთში ინტენსიურად გავრცელებული ხელის საცეხველი სამი სახესხვაობით არსებობს (ტაბ. VIII). აქ ხშირია ხის მოხრილთავიანი — თ ო ხ მ ა ხ ი ა ნ ი რ ო დ ი ნ ი, ნაკლები სიხშირით სწორსანაყიანი როდინი იხმარება, ხოლო იშვიათად ის როდინი, რომელსაც პირობითად სანაყ-სასრესს ვუწოდებთ და მრგვალი, ბრტყელძირიანი მუშა ქვა აქვს (სურ. 3). აქ ხის გრძელ მორში ამოჭრილი ხელის როდინის ერთეულ შემთხვევასაც ვხვდებით. სამცხე-ჯავახეთში წყლის ერთღერძიანი დინგი დღემდეა შემონახული; იგი აღნიშნულ პერიოდში ფართო მასშტაბით არ იხმარება (ტაბ. IX, 12).


ხელის საცეხველის თოხმანიანი სახეობა ასევე ხშირია ქვემო ქართლად წოდებულ ისტორიულ პროვინციებში: თეთრწყაროში (I, რვ. 1,8), ბოლნისში (I, რვ. 1,33) და თრიალეთში.

<sup>1</sup> თბილისის შემოგარენში არაქართველ მოსახლეობაში საცეხე ქვას დინგი-ი, ხოლო ხელ-აკვს სალი ჰქვია, ელიას მთაზე (თბილისი) მცხოვრები სომხები მას სანდს ეძახიან.



XIX საუკუნეში იმერეთის მოსაზღვრე, მახლობელ რაიონებში — შიდა ქართლში (ხაშური, ქარელი, გორი, კასპი) და კახეთში (თელავი, ყვარელი) ტრადიციულმა საცეხველმა ვერ ჰპოვა გასაქანი.

აქ ფეხი მოიკიდა მხოლოდ ხელის საცეხველის კონსტრუქციულმა სახესხვაობამ, ხის საცეხველისაგან განსხვავებული ფორმის და მოცულობის, შედარებით მცირე ზომის ხის როდინმა (ქართლი) (II ა, რვ. 1, რვ. 2, 29). ანალოგიური ვითარებაა კახეთში, აქ ხის მრგვალი ფილია გავრცელებული (III ბ, რვ. 3, 30; რვ. 2, 26).



სურ. 3. როდინი და სანაყი ქვა, ახ ალქალაქის რაიონი, სოფ. ჩუნჩხა

საინგილოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფილმა დაკარგა თავისი ფუნქცია და ხმარებიდან გამოვიდა, ხოლო ფეხის დინგი გახშირდა, მან სამეურნეო იარაღთა შორის მტკიცე ადგილი დაიკავა. აქ წყლის მრავალღერძიანი დინგიც იხმარება. ეთნოგრაფიული და ლიტერატურული მონაცემებით ამგვარი საცეხველი — დინგი XIX საუკუნის მიწურულში იშვიათად გვხვდება.

ფეხისა და წყლის მრავალღერძიანი საცეხველი კახეთის სამ მიკრორაიონშია დადასტურებული. ყვარლის რაიონში, სოფელ ოქტომბერში (ს. ზინობიანი) ვართაშენიდან გადმოსახლებულ (1919—1920 წწ.) უდინებში ფეხის დინგის ხმარების ერთეული შემთხვევები გვაქვს (II, გ, რვ. 5, 13). ფეხის დინგი ასრულებს არა მარტო ბრინჯის გასაცეხვი, არამედ, აგრეთვე, ხორბლის, ზამთრისათვის შესანახი ნიგვზის და ხმელი სუნელის დასანაყი იარაღის დანიშნულებას.


თრიმლის დასაფქვავად გამოყენებული წყლის დინგი — „თრიმლის წისქვილი“ თელავში, ამავე რაიონის სოფელ რუისპირში და სიღნაღშია ცნობილი. ფეხის და წყლის დინგის არსებობა კახეთში უნდა იყოს შედარებით გვიანდელი მოვლენა. ზუსტად ვერ ვიტყვით იყო თუ არა კახეთში XIX საუკუნის პირველ ნახევარში და წინა საუკუნეებში იგივე ვითარება.

მაშასადამე ერთმანეთისაგან როგორც ძალიან ახლო, ასევე დაშორებულ ტერიტორიაზე გვაქვს საცეხველის მსგავსი და განსხვავებული ვარიანტები,

რომლებიც ინარჩუნებენ საერთო ნიშნებს და ზოგიერთ განსხვავებულ ნიშნებსაც ავლენენ.

საინგილოში ფეხის საცეხველის სიხშირე და წყლის საცეხველის მრავალღერძიანობა საცეხებით შეესაბამება ამ რეგიონის მარცვლეულის მეურნეობას, კერძოდ, ბრინჯის დიდი რაოდენობით წარმოებას და მის დამუშავებას, რომელიც ამ ტერიტორიაზე თურქმენული მოდგმის ხალხის დასახლებას მოჰყვა (II ა, რვ. 3, 20).

შიდა ქართლში (ხაშური<sup>2</sup>, ქარელი, გორი, კასპი) როდინი და კახეთში (თელავი, ყვარელი) ფილი ხორბლის გასაცეხად — კანის გასაცელად — ს ა კ ო რ კ ო ტ ე დ ი ე ო ვ ა ნ კ უ თ ე ნ ი ლ ი. ამ რეგიონების მოსახლეობა აღნიშნულ საკვებს ძირითადად ტრადიციული წეს-ჩვეულებების შესრულების დროს იყენებდა<sup>3</sup>. კ ო რ კ ო ტ ის მომზადება წელიწადში რამდენჯერმე იყო აუცილებელი: შობის წინ კარგი მოსავლის დასაბეგებლად და ა დ ე ბ ის შ ა ბ ა თ ის მიცვალებულისათვის. კ ო რ კ ო ტ ს აკეთებდნენ აგრეთვე მიცვალებულის მოსაგონარ დღეებში: დაკრძალვა, ორმოცი, წლის რიგი (სურ. 4).



სურ. 4. ფილი და ფილაქვა, ყვარლის რ-ნი, სოფ. შალდა

სამცხე-ჯავახეთში (ახალქალაქი, ახალციხე) ისევე, როგორც ისტორიულ ქვემო ქართლში (დმანისი, ბოლნისი, თეთრიწყარო); მოსახლეობის ძირითად საკვებს დიდ როდინში გაცეხვილი, ან გაცეხვილი და ხელისწისქვილში დაღერდილი ხორბლისაგან დამზადებული კერძი წარმოადგენდა, აქ კორკოტს რიტუალური დანიშნულებაც ჰქონდა. ამის გამო საცეხველი ინტენსიურად იყო გავრცელებული და ყოფიდან არ გადავარდა (IV, 36—41).


XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხეესურეთსა და თუშეთში საცეხველი იშვიათად გვხვდება. იგი მხოლოდ თოფის წამლის დასამტვრევად იხმარება. (V, 233; VI, 281), თუშეთში ფილი ქუმელის მოსამზადებლადაც იყო საჭირო (VII, 74).

დასავლეთ საქართველოში საცეხველი გამოყენებული იყო ენდემური პურელის: მახას//ხასი პურის (აჭარა)(VIII, 38), ზანდურის და სხვა მარცვლეუ-

<sup>2</sup> ხაშურში დღესაც არის ქვის საცეხველი, რომელიც, გადმოცემით, აქ მცხოვრებ ბერძენს ეკუთვნოდა. ამ ქვეთ — როდინით სარგებლობდა ყველა აქ მცხოვრები ბერძენი, ისინი როდინში ხორბალს ნაყავდნენ და მისგან სხვადასხვა კერძს ამზადებდნენ (II-ა, 13,20).

<sup>3</sup> ასლისა და ხორბლის საკვებად გამოყენებაზე მიუთითებს მისგან დამზადებული კერძების მრავალღერძოვნება, როგორცაა: ძიკორკოტა, დოკორკოტა, ფლავი, ჩადგმული კორკოტი, ჰერიხა, დაღერდილი კორკოტის კერძები: ხაშილი, ხალიფაფა და სხვ. შდრ. IV, 36—40.





მ  
ზ  
ს  
რ  
ს  
ბ

რუბა № 16. სამცხეშილის ტიპები (XIX ს. I ნახ.)

1. ხელის საცხველი, 2. ფეხის საცხველი, 3. წყლის საცხველი.

ადმინისტრაციული დაყოფა: I. იმერეთის სამეფო: 1. ვაკის სასარდლო, 2. ოკრიბის სასარდლო, 3. ზემო მზრის სასარდლო, II აფხაზეთის სამთავრო: 1. ზღვისპირა გიქეთი, 2. აფხაზეთი, 3. ბზიდის აფხაზეთი, 4. გუმა, 5. დალ-წებელდა, 6. აბუჯა; III. სამურ-ზაყანო, IV ოდიშის სამთავრო: 1. ზუგდიდის სასარდლო, 2. სენაკის სასარდლო, 3. ლეჩხუმ-ლენტეხის სასარდლო; V. გურიის სამთავრო: 1. ოჭურგეთის სასარდლო, 2. ნავომრის სასარდლო, VI სადადეშქელიანო სვანეთი, VII სვანეთი, VIII ჩილდირის ვილაიეთი. მაზრები: 1. ლორეს, 2. გორის, 3. დუმეთის, 4. თელავის, 5. სიღნაღის

საზღვრები. — — — სამეფო-სამთავროების — . — . — — — მაზრების . . . . . სასარდლოების



ლი კულტურების: ღომის<sup>4</sup>, ასლის, ფეტვის, ბრინჯის გასაცხვად, სელის, ნაფის და საკორკოტე ხორბლის დასანაყავად (აჭარა, რაჭა, ლეჩხუმი), აჭარის<sup>5</sup> ში ს ა ძ ი გ ვ ე ლ შ ი ცეხვადნენ აგრეთვე ქერს და ზოგჯერ ფშენიდნენ სიმინდს<sup>5</sup>.

აღნიშნული მარცვლეული კულტურების ხმარებიდან გამოსვლასთან დაკავშირებით საცეხველში ნაყავდნენ მარილს, ნიგოზს (რაჭა, ლეჩხუმი, ზემო იმერეთი), კერძის სანელებელს ზამთრისათვის (ზ. იმერეთი); ხილს—ვამლს, მსხალს, ბაქმანის წვენიისათვის (აჭარა) (VIII, 38).

საცეხველი გამოყენებული იყო აგრეთვე თოფის წამლას (რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი) და კერამიკის დასამტვრევად (ზემო იმერეთი).

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში XIX საუკუნეში სამივე ტიპის საცეხველი მოქმედებდა (XI, 30).

ხელის საცეხველი XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია გურისის, აჭარის, სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმისათვის, სადაც მისი არაერთი ნაირსახეობა დასტურდება. ხელის საცეხველი ნაკლებ ხშირია ქვემო იმერეთში, ზემო იმერეთის ზოგ რაიონში იშვიათად დგინდება.

დასავლეთ საქართველოში ხელის საცეხველის ორი სახესხვაობაა ცნობილი: სწორსანაყიანი და თავმოხრილსანაყიანი კავი. სწორსანაყიანი საცეხველი არის აგრეთვე მსხვილთავიანი, რომლის ბოლო ხელის მოსაკიდებლად სიგრძეზე გამოჭრილი. თითოეული ამ ქვესახეობის გავრცელების არეში ალავალაგ შეინიშნება სწორი სანაყის გავრცელებაც (რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი), ეს საცეხველი XX საუკუნის დასაწყისში და შემდეგაც იხმარებოდა, მაგრამ არასეთი სიხშირით როგორც მოხრილი საცეხველი.

ფეხისა და წყლის საცეხველის ინტენსიური გავრცელების არეალი მოიცავს გურია-აჭარას, მაგრამ ხელის საცეხველთან შედარებით ნაკლები სიხშირით ხასიათდება; იშვიათად გვხვდება იგი ქვემო და ზემო იმერეთში; სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმში. ზემო იმერეთის ზოგიერთ რეგიონში (ხარაგაული) და მის მოსაზღვრე ტერიტორიაზე, შიდა ქართლში, იგი საერთოდ არ უნახავთ. ფეხისა და წყლის საცეხველი ასევე უცნობია სვანეთისათვის.

აღნიშნული პერიოდისათვის საცეხველის ასეთი გავრცელება იმით იყო გამოწვეული, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს ზოგან (ქვემო იმერეთი) შემცირდა მასში მოსაცეხვი მარცვლეული: ღომი, სელი, კანაფი, ფეტვი, ზანდური და სხვ., რომელთაც ვერ შეძლეს კონკურენცია გაეწიათ სიმინდისათვის, რომლის ხვედრითი წონა, განსაკუთრებით ქვემო იმერეთში, დღითიდღე იზრდებოდა. ამიტომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მარცვლეული კულტურების შესაბამისად, საცეხველი შედარებით იშვიათად იხმარება და კარგავს თავის ღირებულებას (რუკა 16, 17).

სხვა სურათია სამეგრელოში. XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში აქ ღომის კულტურას ჯერ კიდევ სავაჭრო ხასიათი აქვს (XII, 52, 53), აღსანიშნავია ისიც, რომ სამეგრელოში და გურია-აჭარაში ბრინჯის უხვი მოსა-

<sup>4</sup> კალევატს აღნიშნული აქვს, რომ ღომი სვანეთშიც ითესებოდა, მაშინ ზემოსვანური როდნ ქვაჯ ღომის გასაცეხვად უნდა გამოეყენებინათ (IX, 16, 45).

<sup>5</sup> ნ. მარის მახედეო ჩამურ-მანგანა-ოჩამურე სპინდას დასაფშენელი ქვის ფეხის ან წყლის საცეხველი (X, 229), ნ. მარის განმარტება არ არის დაზუსტებული, როგორც ცნობილია, სიმინდი სპეციალურ ქურქულში იფშენებოდა საცეხველს მხოლოდ სპინდას დასაბურღევად იყენებდნენ.






რუბა № 17. საცენზილოს ტიპები (XIX ს. II ნახ.).

1. ხელოს საცენზელო, 2. ფეხის საცენზელო, 3. შულის საცენზელო.

ვალიც მოყავდათ. ლომის ნათესების საგრძნობი შემცირების შემდეგ, ბრინჯი კვლავ ითესებოდა, ის საყვებში ლომის ადგილს იკავებს და XX საუკუნის დასაწყისშიც რენტაბელურია. ამ მიზეზის გამო საცეხველი ყოფაში დარჩა (რუკა 18).

ასეთივე ვითარებაა რაჭაში და ლეჩხუმში. აქ საცეხველის არსებობა და მისი გავრცელების სიხშირე, ძირითადად, მარცვლეული კულტურების: მახაზანდურის და ლომის მოსავალთან იყო დაკავშირებული, ეს სამეურნეო იარაღი კორკოტისათვისაც სჭირდებოდათ<sup>6</sup>. XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც შემცირდა ლომის, ხოლო შემდეგ მახას და ზანდურის მოსავალი, საცეხველი ხმარებიდან გამოვიდა და გაიშვიათდა. ივარაუდება, რომ ამ დროს გაჩნდა ხის, შედარებით მცირე ზომის სწორ-სანაყიანი როდინი<sup>7</sup> (სურ. 5).



სურ. 5. სანაყი როდინი, ონის რ-ნი, სოფ. ლები.

საცეხველი ნაირგვარია კონსტრუქციისა და მასალის თავისებურების მიხედვით, გვხვდება როგორც ხის, ისე ქვის საცეხველი, უფრო გავრცელებულია მეორე ამათგანი.

გასული საუკუნის მასალების მიხედვით საქართველოს უმრავლეს რეგიონში: გურიაში (ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი), ზემო იმერეთში (ტყიბული, საჩხერე, ჭიათურა, წყალტუბო, ქუთაისი), რაჭაში, ლეჩხუმში (ამბროლაური, ონი, ცაგერი), ზემო და ქვემო სვანეთში (მესტია, ლენტეხი) ქვის საცეხველი ჭარბობდა ხისას, ხოლო ქვემო იმერეთში (სამტრედია, ვანი, წულუკიძე) და სამეგრელოში (აბაშა, ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, გეგეჭკორი) უფრო ფართოდ ხის საცეხველი იხმარებოდა.

<sup>6</sup> გურიაში, სამეგრელოში და იმერეთში არ არის ანალოგიური ვითარება.

<sup>7</sup> აღნიშნულ პერიოდში თანდათან მცირდება მახაზანდურის ნათესებს ფართობი, მათ ბაზრისათვის უკვე აღარ აწარმოებენ. ეს ის დროა, როდესაც დასაჯღღთ საქართველოს მთაში დაწყებულია რენტაბელური მარცვლეული კულტურის, სიმინდის მოყვანა, რომლის განვითარებისათვის იქ ხელსაყრელი პირობები არსებობდა, უნდა ითქვას, რომ ამ დროს პურის მზა პროდუქტის შემოტანაც დაიწყო (XIII, 69; XIV, 54—71).





რუბა № 18. სამცხე-მთიანეთის ტიპები (XX ს. 30-იანი წწ.).

1. ხეღის საცხებელი, 2. ფეხის საცხებელი, 3. წყლის საცხებელი.



აღმოსავლეთ საქართველოში: სამცხე-ჯავახეთში, თრიალეთში და ქვემო ქართლში (თეთრი წყარო, ბოლნისი, დმანისი) ძირითადად ქვის საცეხველს იყენებდნენ, ხის საცეხველის არსებობის თითო-ორი შემთხვევა დასტურდება.

შიდა ქართლსა (ხაშურის, ქარელის, გორის და კასპის რაიონებში) და კახეთში ხის როდინი//ფილია ცნობილი, ხეგუსრეთსა და თუშეთში ქვის საცეხველი და ხის ფილი არის დადასტურებული.

დასავლეთ საქართველოში საცეხველი სხვადასხვა ფორმის და მოცულობის იარაღია, გვხვდება კონუსისებური, ოვალური, დიდგულიანი — გულბანდიანი (იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, გურია, სამეგრელო), კონუსისებური პირჩაჭრილი (სამეგრელო), მრგვალი, დიდგულიანი ოთხფეხიანი (ქვემო იმერეთი, სოფელი ვანი), ოვალურყურიანი (გურია, მახარაძის რაიონი), მრგვალი, დიდგულიანი (ზემო იმერეთი, ტყიბულის რაიონი).

ხელის და ფეხის საცეხველს ამოღებული აქვს დიდი გული, წყლის საცეხველი უფრო გრძელი და ვიწროა, ქვა კარგად არის დამუშავებული. აღნიშნული საცეხველები არის როგორც დაბალი, ასევე მაღალი. საცეხველის ძირი ძაბრისებურია და ძირითადად მიწაშია ჩამაგრებული (ტაბ. X, 1).

აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული როდინი არის მრგვალი, კვადრატული და მართკუთხედი ფორმის, რომლის ძირი სწორადაა გათლილი (ტაბ. XI).

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გავრცელებული საცეხველების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი არის ძირი, რითაც იგი მიწაზეა დაყრდნობილი.

იხილეთ საცეხველი და მუშა სანაყის სახელწოდებების შედარებითი ცხრილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის მიხედვით (გვ. 101).

საცეხველის კონსტრუქციულ სახესხვაობას წარმოადგენს მისგან ფუნქციონალურად განსხვავებული წყლის საცეხველის მსგავსი იარაღი: დათვოული, საცეხველა (ზემო იმერეთი), სარეჭგველე, საცეხველა (ქვემო იმერეთი), დათვოული (გურია, შავშეთი, კლარჯეთი) (XV, 33). სარაკუნა, სარახუნა (რაჭა, ლეჩხუმი, გურია), ოკაკვე//ოკვეაკვე (სამეგრელო), წკარმანგანა (ლაზეთი), რომელიც იხმარებოდა ყანებში გარეული ცხოველების დასაფრთხობად. აღნიშნული იარაღი საცეხველისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ კაკუტი ჯამს კი არ ეცემოდა, არამედ ორ ბოძზე დამაგრებულ ძელს, რომლის ხმაური ნადირს აფრთხობდა.

დასტურდება საცეხველების გათლა-დამუშავების და აგება-მომხარების გარკვეული წესი, მის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

საცეხველი ჩვეულებრივ მოქცეულია კარმიდამოს კომპლექსში. ხელის საცეხველი (დასავლეთ საქართველოში) დგას სახლის გვერდზე ან მის უკან ბელის ან ხულას ახლოს, ფეხის საცეხველი კი გამართულია მყუდრო ადგილას სასიმიინდის ქვეშ ან სამზადი სახლის გვერდზე საგანგებოდ გადმოხურულ ღია სათავსში — მოდგმულა დოშკანაში ან ახორში (ჩოხატაურის რაიონი).

წყლის საცეხველის უკანა ეზოში გამართვა წყალზე და წყლის დინებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობაზე იყო დამოკიდებული.

წყლის საცეხველი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობდა, ამიტომ იგი წვიმისაგან დასაცავად იყო გადახურული. მიწაში ჩასმულ მაღალ ბოძებზე



საეცხველის სახელწოდებების შედარებითი ცხრილი

შიდა ქართლი (ხაშური, ქარე- ლი, გორი, კასპი)	სამცხე-ჯავა- ხეთი (ახალქა- ლაქი, ახალცი- ხე)	ქვემო ქართლი (თეთრი წყა- რო, ბოლნისი, ღმანისი)	კახეთი	საინგილო	ხევსურეთი	თუშეთი	ფშავი	იმერეთი	გურია	აჭარა	კახეთი	სამეგრელო	რაჭა	ლენტეხი	სვანეთი	აფხაზეთი
როდინი	როდინი, დინგი, დენგი	როდინი	ფილი	დინგი				საეცხველი, საეცხველა, ჩამური, როდინი, როფი	ჩამური, ოჩამურე	საბეგველი, საძიგველი	მანგანა, ონჩამურე, ოჩამურე	ჩამური, ოჩამურე	საეცხველი, როდინი	საეცხველი, საეცხველი, ჯორგო, სამეცხველო	როდი- ნი, ქეი- ჯა, ლა-	ალაჭვარა

მუშა სანაყის სახელწოდებების შედარებითი ცხრილი

სანაყი ქვა	თოხმახი სანაყი ქვა	ოოხმახი	ფილ- თაქვა, თოხმა- ხი	გურჩი	გურჩი	ხელკავი, კეკო, კავი	ხელკავი, კავი		ხელკავი	კაკუტი, კაკუტეფი	ხელკავი, საეცხვი, კეტი	ხელკავი, კავი, კეკო, საეცხველის ხელი	გურნა

ლარტყებს გადებდნენ და მას სიმინდის ჩალით, კოროლით, ზოგჯერ ისლფრენული წეს ღერით დახურავდნენ.

გადახურულ საცეხველს ზოგჯერ ქვემოთ შქერის ან მესრის ღობე ჰქონდა შემოვლებული.

საცეხველის სადგომს სამეგრელოში ოჩამურე ერქვა, ხოლო გურიაში ჩამურის ბურული, მას მაღალი სახურავი ჰქონდა. გადმოცემის მიხედვით „ჩამურის ბურული ჭინტად ძალიან ჩხოტიოდ/ვიწროდ იყო დახურული“ (XVI, 130) (იხ. ცხრ. ვგ. 101).

ბურულის ცენტრში, მიწაში ჩამაგრებული იყო საცეხველი, რომელსაც გარშემო აყალი მიწით მოტყეპნიდნენ. ოჩამურეში ხშირად მოთავსებული იყო ცეხვასთან დაკავშირებული ინვენტარი: ხელკავი, სარევი ჯოხი, ცხრილი, სანიავებელი ფიცარი ან ხის ქერქი, გობი, 2 ვარცლი, მარცვლის საწყაო ჭურჭელი „სიმინდის“ ასაღებად, ცოცხი და სხვ.

ქვის საცეხველს, მისი განსაკუთრებული გამძლეობის გამო, ხის საცეხველთან შედარებით უპირატესობა ენიჭება. ამიტომ იმ მხარეში, სადაც სათალი ქვა უფრო მეტია, ქვის საცეხველია გაბატონებული. ამის კვალი დღესაც კარგად ჩანს ტყიბულის, წყალტუბოს, ჩოხატაურის და მახარაძის რაიონებში (XVI, 130).

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რეგიონების ბუნებრივი პირობების გამო ძველად ფულადი შემოსავლის თუ გაცვლის ერთ-ერთი წყარო ქვის ნაწარმი იყო (საცეხველი, კეცი, წისქვილის ქვა, სახლისა და ჭიშკრის სვეტები, სამშენებლო მასალა).

როგორც ირკვევა, XIX საუკუნეში ქვის ნაწარმით ვაჭრობა გაიზარდა, ამას ხელი შეუწყო სამიმოსვლო გზებმა, რომელთა საშუალებით აღნიშნული პროდუქციის გაცვლა-გასაღება ხდებოდა.

#### ხის საცეხველი

ხის ჯამის — საცეხველის დამზადების პროცესი რამდენიმე ეტაპს შეიცავს: ხის შერჩევა, მოჭრა და გათლა.

ხის მოჭრის დროს ითვალისწინებდნენ მთვარის ფაზებს. ხეს ძველ მთვარეზე მოჭრიდნენ, ტრადიციული იყო უკუნი დღე (ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი), რადგან ამ დღეებში მოჭრილ ხეს საგრძნობლად მეტი უპირატესობა ჰქონდა. მასალას უმთავრესად შემოდგომის მიწურულში ან ზამთარში მოამზადებდნენ, შეარჩევდნენ მზეზე გაზრდილი მაგარი ჯიშის: მუხის, ცაცხვის, წიფლის ან კაკლის მსხვილ და საღ ხეს, რომელიც უზადო, სწორი და განიერი იყო. ყველაზე უფრო შესაფერის ჯიშად მიჩნეულია ცაცხვი, რომელიც იოლად ითლება, სუფთა ხეა და, რაც მთავარია, დაბზარვა არ იცის. უფრო იშვიათად იყენებენ წაბლს, იგი მაგარია, მაგრამ ადვილად იბზარება. მოსაჭრელ ხეს ორი ცულისპირით შემოსერავენ და ნაჯახით მოჭრიან. მოჭრილ ხეს დალარავენ — ნახშირში ამოვლებულ ლარს დააკრავენ და საცეხველის ზომის მიხედვით მორებად დაჭრიან ან დახერხავენ. მთვარის კლების დროს მორს გაკუთხავენ და გრძელტარაიანი ნაჯახით გულის ამოჩეხვას შეუდგებიან; შემდეგ მიუდგომელ ადგილებს სატოხით (იმერ.) ამოთლიან და წკეპართ ამოფხეკენ. ამოთლილ გულში გამოსაწვავად სიმინდის ნაგულას ჩადებენ და ცეცხლს დაანთებენ. ზოგი ხე გამოწვის დროს სკდება, ამიტომ გულის გამოსუფთავება ცეცხლით ყოველთვის არ შეიძლება. გამომწვარ ან გულამოღებულ საცეხველს ჯერ ეჩოთი გაწმენდენ, მერე ხვეწით და დანით





გაასუფთავებენ. საცეხველი სხვადასხვა ზომის იყო, ხშირია 2 მეტრი სიგანისა და 70—80 სმ სიმაღლის და 20—30 სმ სიღრმის საცეხველები.

ჰვის საცეხველი

საცეხველის გათლის ტრადიციების შესასწავლად საინტერესო მასალას გვაძლევს გურიის (ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვანის, ზომლეთის, ძირგანახლების და მახარაძის რაიონის სოფელ გორისფერდის) ქვის საბადოების დამუშავების ხალხური წესები.

ქვის მოჭრა და გათლა დიდ დახელოვნებას საჭიროებდა. ქვის საბადოებით მდიდარ კუთხეში ქვის მჭრელი და მიღელი ხშირად სხვადასხვა პირი იყო: ზოგი ქვისმიღელი სალაღუმეზე ქვის მოსაჭრელად არ წავიდოდა.

საცეხველის ქვის შერჩევა ძირითადად საბადოს მდებარეობის მიხედვით ხდებოდა. საუკეთესო მასალად ითვლებოდა მზის გულზე ამოზრდილი ობოლი ქვა, იგი ადვილი მოსაჭრელი და კარგი დასამუშავებელი იყო. ქვის გამოცნობა იცოდნენ აგრეთვე ხმის გამოცემით. ქვას ჩაქუჩს ან ქვას დაარტყამდნენ და ბზარი თუ ახლოს ჰქონდა, ხმაზე შეატყობდნენ და არ მოჭირდნენ. საცეხველისათვის იხმარებოდა სახსრიანი და ტალიანი ქვა, რასაც სხვადასხვაგვარი დაბურღვა და მოჭრა ესაჭიროებოდა (XVI, 132) (ტაბ. X, 2).

საქართველოში საცეხველისათვის მრავალნაირი ქვა იყო გამოყენებული. ჩოხატაურის რაიონში ლურჯი ხოჭოიანი ქვა იხმარებოდა. „თეთრ ქვას, რომელსაც თირ ქვას უწოდებენ, ბზარი-საური აქვს, იგი ლალუმით არ იჭრება, თუ მისგან საცეხველი გაითალა, ცეხვის დროს დაიშლება და ნაცეხვს ქვიშასავით შეერევა“. ტყიბულის რაიონში საცეხველისათვის იყენებენ სილახეშიან ქვას, რომელსაც ზოგან კბილიან ქვას ეძახიან, ზოგან კი ფხიანს ან ხორკლიანს. ეს ქვები შედგება სხვადასხვა ფერის და სიმაგრის ქვის ნაწილაკებისაგან. კბილიანი ქვა წირის მოქმედების დროს ხელს უწყობს თაველის დაფშვანს — მარცვლისათვის კილის შემოცლას.

როგორც აღვნიშნეთ, ქვის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ცუდად შერჩეული ქვა დამუშავების დროს გატყდება. საგანგებოდ შეარჩევდნენ წყლის საცეხველის ქვას, რომელიც მაგარი უნდა ყოფილიყო, ტეხვას ყველა კლდე არ ემორჩილება, ამიტომ ქვის მოჭრა ორგვარი ხერხით ხდება — სოლებით და წამლით — დანაღმით. ზოგ უსახსრო და მაგარ კლდეს სოლიბური ვერ ერევა. ზოგ კლდეს კი სიმაღლის გამო ვერ მიუღდებიან. ამიტომ ქვა, რომელიც სოლით არ იჭრება, დანაღმით უნდა მოტეხონ.

ქვის მოჭრის ან ქვის ხდის დროს ქვას მოუძებნიან ძარღვს — სახსარს (სათალი კლდე ძარღვიანი უნდა ყოფილიყო), წვერწამახული წაკატით ერთ ხაზზე დაღარავენ და რკინის პალოთი ან ბურღით/ბურით გატეხენ — სასულეს მისცემენ. ქვის მჭრელები ქვის გასაჭრელად ბურს ნელ-ნელა დაატრიალებენ, ხოლო ქვის დასარბილებლად (რომ ადვილი გასაჭრელი ყოფილიყო) ნაბურღში წყალს ჩაასხამენ და ნაფქვავს რკინის კოვზით ამოწმენდნენ. სუფთა ნაბურღში ჩაყრიან შინ დამზადებულ ლალუმის წამალს, თავზე კლდის მშრალ მიწას დააყრიან და ბურისთავით დატენიან. წამლის ჩაყრის შემდეგ ნაბურღის გვერდზე გრძელ სახელურიან რკინის მილს ჩაარჭობენ და ხვრელის გასაკეთებლად დაატრიალებენ. ხვრელში მოათავსებენ წამლიან ისლის კალამს, რომელსაც მიწის ზემოთ თავს დაუტოვებენ. ისლის კალამს ცეცხლის მოსაკიდებლად თავს გაუსხნიან, აბედს დაადებენ და მერე ცეცხლს მოუკიდებენ. ცეცხლი აბედს გაყვება, მივა ლალუმითან

და აფეთქდება. ბურის სიმაღლე და ჩასაყრელი წამლის რაოდენობა ქვის სე-  
დიმენტზე და სისქეზეა დამოკიდებული. თუ მოსატეხი ქვა დიდია, ლაღში  
გრძელი უნდა იყოს და წამალიც ბევრი უნდა ჩაიყაროს, ზოგ ქვას რამდენიმე  
ნაბურალი დასჭირდება. შემდეგ დაიწყება მოჭრილი ქვების გათლა, რასაც  
საკუთარი მოხელე და იარაღი ესაჭიროება.

ოსტატი ქვაზე ხის ორკაპა ჯოხით ან ფარგლით წრეს შემოწერს და წრე-  
ხაზის შიგნით დიდი წვერიანი წაკატით ქვის გულს ამოკაფავს, ხოლო სიღრ-  
მეში მუშაობა რომ ადვილი იყოს, პატარა წვერწამაზულ წაკატს ხმარობს.  
პატარა წაკატით ქვას გულბანდს (სიგანეში თლის) გაუთლის.

როდესაც გულის ამოღება დამთავრდება, ქვისმთლელი პირთხელი/  
პირგვალი წაკატით საცეხველის შიგნითა ნაწილს გამოპირ-  
თხლავს — წმენდს, საცეხველის ქვას სიმრგვალეს აძლევს. ეს არის საცე-  
ხველის გულის გასასწორებელი საფეხეის წმენდა. ქვის მთლელი შემდეგ სა-  
ცეხველის ქვას გარეთა წრეხაზის ირგვლივ შემოჭრის — ქვა პირთხელი წა-  
კატით კომტულამდე თანდათან გაითლება, ხოლო კომტულის გა-  
თლა — გამოყვანა სატეხით ხდება. ქვის სიგანეში მოკლება იწყება მუცლის  
ქვემოთ და კომტულამდე ვაგრძელებდა. თუ ქვის გული არასწორად ამოი-  
კაფა, ე. ი. ერთი მხარე მეტია ამოღებული, ვიდრე მეორე მხარე, მაშინ წირის-  
თავი მუშაობის დროს გამრუდდება და ვერ იმუშავებს, ამისათვის საჭიროა  
საცეხველი ისევ ამოიკაფოს — გასწორდეს.

საცეხველის ქვას თავზე უკეთებენ ლავგარდანს — კარნიზს, რომ  
ცეხვის დროს მარცვალი შიგ ჩაბრუნდეს და არ ამოიფანტოს.

წყლის საცეხველს პატარა გულბანდი აქვს (ქვის გული ღრმად და  
განივრად არ არის ამოღებული, იგი ვიწრო და გრძელია), რის გამოც ცეხვის  
დროს მარცვალი თავისთავად ტრიალებს შიგ და დამხმარე მუშახელს არ სა-  
ჭიროებს. ამის გამო საცეხველში სუფთა — ჯენჯა — ნახორ გაცლილი  
მარცვალი უნდა ჩაიყაროს, რადგან ნახორიანი მარცვლის გაცეხვას ხელის  
შეწყობა (ხშირი ამორევა) უნდა.

გურიაში საცეხველის ქვის საუკეთესო საბადოდ ცნობილია ჩოხატაურის  
რ-ნის სოფელი ვანი, ზომლეთი, ძირგანახლება და ბუქსიეთი.

მხარაძის რაიონში საცეხველის ქვა იჭრებოდა სოფელ გორისფერდის  
საბადოში, იმერეთში — მუხურასა და კურსებში. აღნიშნული საბადოების სა-  
ცეხველები იყიდებოდა ადგილზე, გაჭონდათ მეზობელ რაიონებშიც.

პირველი ტიპის საცეხველი შედგება ხის ან ქვის ჯამის და ხელკავისაგან,  
რომლითაც ცეხვა წარმოებს.

XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში საცეხველის ასეთი მარტივი  
სახეობა არსებობდა უფრო განვითარებულ ფეხის და წყლის საცეხველებთან  
ერთად და მას, იმის გამო რომ მარტივი გასაკეთებელი იყო, უფრო ხშირი გავ-  
რცელების არე ჰქონდა. ყოფის მონაცემების მიხედვით ხელის საცეხველში  
მარცვლის ცეხვა საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ პროცესს მოიცავდა; სამი (ან  
უფრო მეტიც ექვსამდე) ქალი დადგებოდა საცეხველის გარემო და ხელკავით—  
კაკუტფით<sup>8</sup> რიგრიგობით გარკვეული ტაქტის მიხედვით არტყამდა საცეხველში მო-

<sup>8</sup> კაკუტფი სიმინდის დასაფშვენელადაც იხმარებოდა, მას მოკაუქებული ან კორძიანი თავდ  
ჰქონდა, (XVI, 136).



თავსებულ თავთავს და სიტყვებს თუ ბგერებს სა-სავ-ს, კი-კუ<sup>9</sup>-ს და ციფუ-ცა-ს წარმოთქვამდა.

ლომის პირველი ცეხვა მეტად მძიმე სამუშაო იყო. თუ ღომის თავთავი კარგად იყო გამხმარი, მას მხოლოდ ერთხელ გაცეხავდნენ, მაგრამ ხშირად იგი ორჯერ იცეხებოდა. მეორე ცეხვა უფრო სწრაფად ხდებოდა, რადგან მარცვალი სუფთა იყო.

ასევე ძნელი იყო ენდემური პურეულის—მახას და ზანდურის გაცეხვა. შინამრეწველობის მასალაში აღნიშნულია, რომ „მახა და ზანდური ორივე საცეხვი პურია და ესაა, რომ გვძულს თუ არა მაგათ პური ვერ მოუვა ვერაფრით... ზანდური, მახა და ღომი იცეხება“ (XVI, 136).

ხელის საცეხველის განსხვავებული სახეობაა ოდნავ გულამოღებული როდინი, რომელზედაც მრგვალი და ბრტყელძირიანი მუშა ქვაა მორგებული. ქვის ერთი მხარე დაბალია და მასზე ხელის მოსაკიდებელი ორი ადგილია ამოკვეთილი.

მუშაობის პროცესი ასეთია: დაღობილ ხორბალს დაყრიან როდინზე, ზემოდან ქვას დაადებენ და ორი ხელით მოძრაობაში მოჰყავთ, წინ და უკან ხორბალზე ატარებენ. ნაყვა გრძელდება იქამდე, სანამ ხორბალს კანი კარგად არ გაეცლება, შემდეგ მას დაბერტყავენ და თუ საჭიროა, ხელსაფქვავეში დააროხავენ — დააქუცმაცებენ.

ხელის საცეხველის ეს სახეობა, რომელიც ქვის ქვაზე სრიალის პრინციპზეა მოწყობილი, სწორსანაყიანი ხელის საცეხველის წინასახეობა უნდა იყოს და გავრცელების ვრცელ რეგიონს, სავარაუდოა, მთელ საქართველოს მოიცავს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის კანონზომიერება, რომელიც საცეხველის განვითარების თანმიმდევრობაში შეიმჩნევა<sup>10</sup> და ისიც, რომ ცეხვა და ნაყვა — მარცვლისათვის კანის გაცლა ერთი და იმავე იარაღით, ხის წირის თავით, სანაყი ხით, ან ქვით ხდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სანაყების შორეული წინაპრები განთხარ მასალაშიც დასტურდება<sup>11</sup>.

ხელის საცეხველის კონსტრუქციული სახესხვაობაა როდინი და ფილი. ფილის ძირი ფორმით მრგვალია, მას ტანი და თავი მრგვალი აქვს. ფილის სიმაღლე საშუალოდ 15—22 სმ, სიგანე 26—28 სმ, სიღრმე 18—20 სმ ფარგლებს არ სცილდება. ზოგჯერ ფილი პრაქტიკული საჭიროების გამო სახელურიანია, ასეთი ფილი იყალთოში დადასტურდა (სურ. 6).

<sup>9</sup> ქვემო რაჭაში, სოფელ ჯონხაში ზღვარის შესახებ ამბობდნენ: „ტყეში დეგობადე, ტყეში გეგზაზდე, გამეგვი და კიკუ დავიძაქე“ (XVI, 135).

<sup>10</sup> ხელის და ფეხის სანაყი სწორი სანაყის ტექნიკურად სრულყოფილ სახეობად არის მიჩნეული (XVIII, 241—243; XIX, 30).

<sup>11</sup> ქვის სანაყი ნაპოვნია ნეოლითის ხანის ძეგლზე ანასეული II (გურია), სანაყები ცნობილია ოდიშიდანაც (XX, 38—39; ტაბ. XIV; 3. (ანასეული II); გვ. 53 (ოდიში). ქვის მასიური როდინები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოშიც შულავერ-შომთეთვეს კულტურის ძეგლებზე (გვიანი ნეოლითი — ადრე ნეოლითი), კერძოდ ზრამის დიდიფორა (XXI, 35, ტაბ. VI, 4).

საყურადღებოა, რომ ფორებიანი კირქვისაგან გამოთლილი, დაახლოებით 60 სმ სიმაღლის როდინები — საცეხველები (ზოგიერთი მათგანი ხმარებისაგან ძირგავარდნილი იყო) დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ჭიათურის რაიონის სოფელ ითხვისთან, ადგილ ჩილათაზე, იქ, სადაც 1962—1963 წლებში ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი რ. აბრამიშვილი) გათხარა ბრინჯაოს, ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ნამოსახლარი და ანტიკური ხანის სამაროვანი. საცეხველები ზედაპირზევე ჩანდა ვაუთხრელად და მათი ზუსტად მიკუთვნება ნამოსახლარის რომელიმე ფენისადმი ვერ მოხერხდა (ი. გავოშიძის ზეპირი ცნობა (XXII, 31).

შიდა ქართლში გავრცელებული როდინი მაღალი იარაღია, მას ეწოდებოდა ნენ იმ ვარაუდით, რომ შუაწელში ვიწრო, ხოლო ძირისა და თავისაკენ დათანობით გაფართოებული ყოფილიყო.


როდინს ბრტყელი ძირი აქვს, ზემო და ქვემო ნაწილი ტოლი, რომ ნაცვის დროს წონასწორობა არ დაკარგოს.

როდინის სიმაღლე 37—55 სმ. ფარგლებში ტრიალებს, მარცვლის ჩასაყრელი გულის სიღრმე 15—27 სმ. ტოლია, თავისა და ძირის დიამეტრი 15—20 სმ. უდრის.

ფილსა და როდინში ნაცვა ფილთაქვით, ქვის გურჩით (თუმეით) ან იშვიათად ხის (ბზის<sup>12</sup> ან კაკლის) სანაყით ხდებდა (VII, 170).

როდინისა და ფილისათვის საუკეთესო მასალად კაკალი იყო აღიარებული, რადგან კაკალი დიდხანს ძლებს და ჭია არ უჩნდება. როდინი და ფილი იშვიათად თუთის, აკაციის და ცაცხვის ხისაგანაც მზადდებოდა.

ხეს რომ გამძლეობა ჰქონოდა და მალე არ გაფუჭებულიყო, მას სამშაბათს ან ხეთშაბათს 10—15 დღის სავსე მთვარეზე ნაჯახით მოჭრიდნენ, გაქერქავდნენ და სასურველი ზომის მიხედვით დაჭრიდნენ.



სურ. 6. კორკოტის ფილი, სოფ. იყალთო.

როდინი და ფილი მთლიანი ხისაგან იყო გათლილი (ტაბ. XI).

ფილისათვის გათლილი ხე დამუშავებას, საბოლოო სახის მიცემას მოითხოვს, ამისათვის მასზე ორივე მხარეს ჯერ წრეს შემოხაზავდნენ და ნაჯახით გათლიდნენ, შემდეგ გაარკვევდნენ სჭირდებოდა თუ არა მას შემოთლა, რასაც დანით ვაკეთებდნენ, თუ მოსახერხებელი იყო შალაშინს გადაატარებდნენ.

გასუფთავებულ ხეს ესაჭიროება პირის ამოღება, რასაც სპეციალური იარაღით აწარმოებდნენ. ჯერ ხეს ერთ მხარეს რამდენიმე ადგილზე დააბურავდნენ და გულის ამოჩხვას სატეხზე ჩაქუჩის დარტყმით შეუდგებოდნენ. ამოღებულ გულს ჩულუხით გამოთლიდნენ, არათანაბარ ადგილებს მოხრილი ჩულუხით ამოასუფთავებდნენ და ხვეწით წმინდად გათლას დაიწყებდნენ. როდესაც გაწმენდას დამთავრებდნენ, გულს ამოწვავდნენ. ფილის გულში ზოგჯერ ბურბუმელას და ნახერხს ჩააყრიდნენ და ცეცხლს დაანთებდნენ, რომ ზედმეტი ბუსუსი მომწვარიყო.

როდინისათვის ისევე, როგორც ფილისათვის, მოჭრილ და დამორილ ხეს ნაჯახით გათლიდნენ, მერე ხვედით საჭრეთელის გულს — ჭიბს (VII,

<sup>12</sup> „ბზა დიდხანს ძლებს, არ უჩანდება, გამძლეა, შვერი არ უცვდება და ხელშიც კარგი დასაჭერია“. ბზის მავარი და მჭიმე მერქანი სანაყად საუკეთესოდ ითვლება.



### ფეხის საცხეველი

ფეხის საცეხველი მარტივი კონსტრუქციისაა, ძირითადად ხის ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირების პრინციპზეა დამყარებული.

ფეხის საცეხველი ხუთი ნაწილისაგან შედგება: საცეხველი ჯამის, წირის თავის, ტაფის, ლილვის//ღერძის და ორი ძელისაგან. დამხმარე ნაწილებია: ხელის მოსაკიდებელი ღვედი და მარცვლის სარევი ჯოხი.

წირის თავი უმთავრესად წაბლის, ბზის, წყავის ან ხურმის ხის მასალისაგან უნდა გაითალოს. მთხრობელთა მითითებით მათი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ხის ეს ჯიშები მაგარი და სუფთაა, ადვილად არ ცვდება, არ იხეხება და არ ტყდება.

წირისთავისათვის 1 მეტრი სიგრძის ხეს ნაჯახით გათლიან, ეჩოთი გაასწორებენ და თავს მოუმრგვალებენ. დამუშავების პროცესში იგი კლებულობს და გამზადებული წირისთავი დაახლოებით 60 სმ სიგრძისაა. წირისთავი ტაფაშია გაყრილი.

ტაფათელის ან იფნის ხისაგანაა გათლილი. ორივე ხე მსუბუქი ან რბილია, რის გამოც ისინი ადვილი დასამუშავებელია. ტაფისათვის იყენებენ აგრეთვე კაკლის ხეს. ნაჯახით გათლილ და დანით გასუფთავებულ ტაფას წირისთავის გასაყრელად სატეხით ამოტეხავენ. თუ წირისთავი პატარაა და ტაფის თავში კარგად არ არის ჩამჯდარი, მას მიუმატებენ სოლს. სოლი ხმელი ხისაგან უნდა გაითალოს, რომ ხმარების დროს არ გახმეს, არ დაპატარავდეს და წირისთავმა ტაფაში არ დაიწყოს მოძრაობა.

ლილვი//ღერძი გაყრილია ტაფაში წირისთავიდან ერთი მეტრის მოშორებით. ღერძი დამაგრებულია ორ მოკლე ბოძზე „ბარჯგზე“ და მოძრაობს.

ბარჯგი — მაგარი ხისაგან გათლილი ორი მოკლე სვეტია. ბარჯგისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი ხეა თელა და მუხა; ამჯობინებენ თელის ხეს, რადგან ის ძარღვიანია და ადვილად არ ტყდება. მუხის ხე, მიუხედავად სიმაგრისა, უძარღვოა და დაბზარვა — დაპობა იცის. ბარჯგისათვის არჩევენ მშრალ ხეს, თავებს სატეხით ამოტეხავენ, ამოკაფავენ — ფილს გაუკეთებენ და მეორე ბოლოს მიწაში ღრმად და მკვიდრად ჩასვამენ. ბარჯგი, როგორც აღვნიშნეთ, მაგარი უნდა ყოფილიყო, რადგან მან ტაფას, წირისთავს და ცეხვის დროს ადამიანის სიმძიმეს გაუძლოს.

ფეხით ცეხვა ასე ხდება: მცეხავი ფეხით შედგება გრძელტარიანი საცეხველის მარჯვენა ან მარცხენა ღერძზე-ლილვზე, ხელებს მაღლა გამოზმულ თოკს მოკიდებს და მეორე თავისუფალ ფეხს ტაფის — ძელის ბოლოს (მოახვედრებს) შეახებს. თუ მარცხენა ფეხი ღერძზე აქვს დადებული, ის მარჯვენა ფეხით აწევა ტაფის ბოლოს, რომლითაც წირისთავი მარცვლის გასაცეხვავად მოძრაობაში მოჰყავს. წირისთავმა ზომიერად უნდა იმოძრაოს, რომ უკან არ გადატრიალდეს (XVI, 37).

ფეხის საცეხველში ჯენჯიანი მარცვლი უფრო სწრაფად იცეხება, ვიდრე ხელის საცეხველში, რადგან დარტყმა მძიმედ და სწრაფად ხდება. ცეხვის დროს მარცვლი სამჯერ უნდა გადააბრუნონ, რომ ერთ ადგილზე არ ჩაეკრას და გაუცეხვავი არ დარჩეს. მცეხავს დამხმარე ქალი ჰყავს, რომელიც მარცვალს ხელით ან ჯოხით ურევს. ფეხით ცეხვა მომქანცავია, რის გამოც მომუშავენი ერთმანეთს ენაცვლებიან.

ფეხის საცეხველში, რადგან იგი ნაკლები მოცულობის იყო და მისი კონსტრუქცია ზედმეტ დაწოლას — სიმძიმეს ვერ იტანდა, ბევრი თავთავის ყრა არ შეიძლებოდა.

მეორე ტიპის საცეხველის სახეობაა საინგილოში გავრცელებული ფეხის დინგი.

მოგვყავს ფეხის დინგის აღწერილობა შინამრეწველობის მასალის მიხედვით (XVII).

ფეხის დინგისათვის კაკლის, მუხის ან წაბლის ნედლ ხეს ზამთრის მიწურულში ცულით და ჩორკით მოჭრიდნენ, რადგან ხმელის ამოთლა ძნელი იყო. მოჭრილ მორს ერთ ადგილზე გახვრეტადნენ, საბელს მიუბამდნენ და სასურველ ადგილზე წამოიღებდნენ. დინგს ზოგჯერ ტყეში ამზადებდნენ. მორს გვერდებს ჩაუთლიდნენ, გააბრტყელებდნენ, მერე ნახევარი მეტრის სიღრმეზე გულს ამოიხეხავდნენ, თუ ხე სქელი არ იყო, მაშინ გულს დაახლოებით 40 სმ. სიღრმეზე ამოიღებდნენ. გული ისევე, როგორც დინგის გარეთა ნაწილი, ძირითადად ცულით უნდა გაეთალათ, ხოლო იქ, სადაც ცულით მუშაობა ძნელი იყო, ჩორკს ხმარობდნენ. ჩორკი ღრმა და ვიწრო ადგილების ჩასაჭრელად იყო საჭირო. ცულით ამოღებულ და ჩორკით ჩაჭრილ გულს უჩოთი გაასუფთავებდნენ. დინგის გულში სატეხით ბუდეს ამოჭრიდნენ. ჩალთუქის ნაყვა დინგის თავით ბუდეში — თოღში ხდებოდა.

ჩალთუქის ამოღების დროს დინგის თავს იჭერდა ჯოხი, რომელიც ბუდეში მაგრდებოდა (ტაბ. XII, 2).

დინგის საფეხი, რომელზედაც ნაყვა ხდებოდა, ძირითადად მორის გაგრძელებას წარმოადგენდა. შემდეგ კეთდებოდა დინგის ზრო და დინგის კლავი. კლავის შუა ადგილი სატეხით იყო ამოჭრილი და მუხის ხისაგან გაკეთებული ზრო შიგ იყო გაყრილი. ნედლი კლავის თავში პერპენდიკულარულად ჩამაგრებული და გაჭედილი იყო ბუნებრივად დამუშავებული ლურჯი ქვა, რომელსაც კევრის ქვას ეძახდნენ (ინგილოურად კევრის) ანუ დინგი(ს) — ქუა). ქვა ისე მჭიდროდ იყო ჩასმული ტარში, რომ მას სხვა გასამაგრებელი საშუალება აღარ სჭირდებოდა. მაგრამ დროთა ვითარებაში თუ ქვა ბუდეში მოძრაობას დაიწყებდა, მას გასამაგრებლად სოლებს — ჩხლინკებს გაუკეთებდნენ. სანაყი ქვა ხელით გათლილს ჰვავდა და საუკეთესოდ ითვლებოდა. ჩალთუქს კანი რომ უფრო ადვილად მოშორებოდა, ქვა ზოგჯერ კბილებიანი იყო. ქვის სიმაღლე 37--40 სმ, ხოლო სიგანე 12 სმ ფარგლებში ტრიალებდა.

ბრინჯის — ჩალთუქის დანაყვა (ცეხვას საინგილოში ნაყვას ეძახიან) ასე ხდება. ბრინჯი ჯერ ილეწება ქოთუქით, რომელიც ჯეკავს ჩალთუქს, მერე მას კევრით მოყეჩავენ — მოაცილებენ ფერფლს და გაანიავებენ, ამის შემდეგ ჩალთუქს დინგში ნაყავენ. დინგში მოთავსებული ერთი ფუთი ჩალთუქი ორ საათში ინაყებოდა. ფეხის დინგი ყველა ეზოში იდგა.

წყლის საცეხველი ღეროანი საცეხველის ერთ-ერთი სახეობაა. წყლის საცეხველის მოძრაობაში მოყვანა და ცეხვა წყლის ენერჯის მექანიკური გამოყენებით ხდება.

წყლის საცეხველი შედგება: კოვზის, წირისთავის, ქვის ან ხის ჯამის — საცეხველის და ღარისაგან. საცეხველის ცენტრალური ნაწილია ძელ // დერძი, რომლის ერთი ბოლო წყლის ჩასასხმელად კოვზივითაა გათლილი, მეორე კი გამოჭრილია სწორი წირისთავის გასაყრელად. წირისთავის ქვემოთ დგას საცეხველი ჯამი, რომელშიც ხდება ცეხვა. წირისთავთან გაკეთებულია ცეხვის მარეგულირებელი პატარა ფიცარი—



ნამორი. კოვზის ტარს ცენტრალურ ნაწილში გაყრილი აქვს ლილვი საყრდენი, რომელიც ლანდურზეა დამაგრებული.

საცეხველის მოძრაობაში მოსაყვანად კოვზს მიუყენებენ ღელეს ან საგანგებოდ გაკეთებულ ღარს, როდესაც კოვზი წყლით აივსება, ქვემოთ დაიწევს, წირისთავი კი მაღლა ადის, კოვზიდან წყლის გადმოსხმის დროს წირისთავი დასძლევს, დაეცემა საცეხველს და მარცვალს ვაცეხვავს.

წყლის საცეხველის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწყობილობა არის ოთხკუთხედად გათლილი კოვზის ფორმის გრძელი ხე და მასზე ასხმული სხვა ნაწილები.

წყლის საცეხველის გასაკეთებლად, მაგ., კოვზისათვის საუკეთესო მასალად ითვლება წაბლის ხე, რომელსაც საგანგებო შერჩევა სჭირდება. კოვზისათვის „ხახვიანი ხე არ ვარგა, წაბლის ხემ კი ხახვივით იცის გული“.

ზოგიერთი ხის მასალა მთვარის ფაზების მიხედვით უნდა მოეჭრათ. წაბლს და მუხას ჰია არ უჩნდება, ამიტომ მთვარეს ყურადღებას არ აქცევენ. ხოლო ბლის ან თხმელის ხის მოჭრა ძველ მთვარეზე იყო საჭირო. ხეს კოვზისათვის მასში ან გვიან შემოდგომით მოჭრიან. ხალხური თქმით, „მაისის ხე არ კილავს“, შემოდგომის ხე მშრალია და წყალში დიდხანს ძლებს. საკოვზედ შერჩეულ ხეს დალარავენ — დაზომავენ და ცუდით ან ბირდაბირით მოჭრიან. მოჭრილ ხეს გამომორავენ, ფართო ძირს და ვიწრო ყელს გაუკეთებენ. გამომორილ ხეს წყალში ჩადებენ. „წყალში ჩადებული ხე კილს არ იჩენს, გამეიხარჩება წყალში და მერე დაგხვეთ, ცხელ წყალშიც ვატარებთ ძელს და არ კილავს, დულარეს გადავარებთ, ისიც კარქია“.

გამოსათლელად მომზადებულ ძელს ცუდით ძირს წაახევენ და გულს ცუდის პირით ამოიღებენ. კოვზის კუთხეებს სატეხით ამოჭრიან და პირგვალი ეჩოთი ამოასუფთაებენ (რადგან სიღრმეში ცუდით მუშაობა არ შეიძლება).

კოვზის ბალქაშის (იმერეთი) ტაფის (ჩოხატ. რ-ნი) დიამეტრი სხვადასხვა ზომის კეთდება. ტარი შუაწელთან თანდათან ვიწროა, ხოლო ბოლო წვრილი აქვს. გათლილი კოვზის სიგრძე დაახლოებით 3 მ და 7 სმ. ტარის სიგრძე 2 მ. 55 სმ-ია. როდესაც კოვზი ამოითლება (სიღრმე 30—35 სმ.) მას გადააბრუნებენ და უკანა ნაწილს ცუდით წანაქთულად დაფერდებულად გათლიან. კოვზის ტარის შუა წელს ლილვის გასაყრელად სატეხით ამოჭრიან, ბოლოში ამოტეხავენ და მოკლე წირისთავს კველოს (იმერეთი) ვერტიკალურად დაუყენებენ.

წირისთავისათვის ყველანაირ ხეს ხმარობენ (თხმელა, თუთა, წაბლი, ცხემლა, ხურმა, ბზა, წყავი). კარგია, როდესაც წირისთავი ხმელი ხისაგან არის გათლილი, რადგან დაწოლას იგი განიცდის ვერტიკალურ მდგომარეობაში და თუ სიმავრე არ ექნა, გაიღუნება. ამასთანავე ნედლი წირისთავი ხმობის დროს შევიწროვდება, იგი კოვზის ტარში თავისუფლად იმოძრაებს და ხელს შეუშლის მის მუშაობას. წირისთავის დიამეტრი 8—10 სმ. ფარგლებში მერყეობს. მისი სიგრძე საცეხველის ქვის სიღრმეზეა დამოკიდებული. ამის გამო წირისთავი კოვზის ტარში ისეა გაყრილი, რომ შესაძლებელია მისი აწევ-დაწევა. თუ ქვა ღრმა არის, წირისთავს ქვემოთ დაწევენ და პირიქით. წირისთავის სიგრძე დაახლოებით 1 მეტრია. როდესაც კოვზი ხმელია, კოვზის ტარის და წირისთავის შეერთების ადგილზე კეთდება ცეხვის მარეგულირებელი დამატებითი ფიცარი — ნამორი. საშვალის ანუ დამატებითი ფიცარის ნამორის სისქე 2 ვერშოკი ან ვერშოკნახევარია, სიგრძე 50 სმ. ნამორი იმ ზომის და

შიძისა, რამდენიც კოვზის გასაწონასწორებლად სჭირდებათ. თუ კოვზის დროს წირისთავს ნამორი არ ყოფნის, დაუმატებენ მეორე ნამორს.

წირისთავის გასაშუალება ხდება მასზე ზიმძიმის დაკიდებითაც (მას ჰკიდებენ ქვას, დააჭედებენ ხის ნაჭერს ან ტყვიას გაუქეთებენ), თუ კოვზი ცეხვის დროს რეგულირებული არ იქნა, მაშინ კოვზის ტარი აიწვევს მაღლა და გადატრიალდება.

ხის ნაწილების ასხმასთან ერთად საცეხველის სამუშაოდ საჭირო იყო დვიროს, არხის//დარის, საგდულა//რეგულატორის გაკეთება<sup>13</sup>.

წყლის საცეხველის სახესხვაობა მესხურ-ჯავახური წყლის დინგი ცალკე ნაგებობაში ან წისქვილთან ერთად არის გამართული. ნაგებობის იატაკი ფიცრითაა მოგებული. მისი ცენტრალური ნაწილის შემადგენელ ადგილზე დიდი მოცულობის ბრტყელი და მრგვალი ქვაა მოთავსებული. ეს ქვა არ მოძრაობს (მისი დიამეტრი 120 სმ). ქვას გარშემო დამრეცი ფიცრის ლოზე ყაისნალი ქამარი აქვს შემოვლებული, რომელიც ქვაზე დაყრილ გასაცეხ მარცვალს დაბნევისაგან იცავს. ქვის ცენტრში ჩამაგრებულია ხის მრგვალი ლერძი//ფეხი//ყელი//ბოლოზა, რომელშიც რკინის ლერძია გაყრილი. ლერძის ბოლოზე ქვემოთ ხის ფარფლებიანი ჩარხია გაკეთებული. ლერძის ქვედა ბოლო ჩადგმულია ლითონის ბუდეში, რომელიც ფოლადის წვერით უძრავად დამაგრებულ ქვას ეყრდნობა. ლერძის ბოლოზე ჩამოცმულია ამყოლი ლერძი, ხოლო მის მეორე მხარეზე მრგვალი სანაყი ქვაა წამოგებული. ქვა ტრიალებს ქვედა ქვაზე და მარცვალს კანს აშორებს. წყალს ღარის საშუალებით ლერძი და მბრუნავი ბორბლის ფარფლები მოძრაობაში მოყავს. ფარფლების-ჩარხის ბრუნვა იწვევს რკინის ლერძის-მასთან დაკავშირებული სანაყი ქვის ბრუნვას და მარცვლის სათანადო დამუშავებას (ტაბ. IX, 2; XIX, 83; IV, 36-41).

მარცვლის ნაყვა ასე ხდება. დასველებულ მარცვალს დაყრიან დინგის ქვედა ქვაზე, იქ სადაც დინგის ქვამ უნდა იმოძრაოს. მუშაობის პროცესში მარცვალს ხის ნიჩბით აურევენ, რომ ყველა მარცვალი დაინაყოს. ერთ ჯერზე დინგში ორი კოდი (კოდი=20 კილოს) მარცვალი იცეხვება. ამის შემდეგ მარცვალს მზეზე გააშრობენ და გაანიავენ. სუფთა მარცვალს იყენებენ კორკოტისათვის, ხოლო სხვა კერძისათვის მას ხელსაფქვაში ფქვავენ.

წყლის საცეხველის სახესხვაობაა მრავალღერძიანი საცეხველი დინგი//დენგი<sup>14</sup> (საინგილო) და თრიმლის წისქვილი (კახეთი).

მოგვყავს წყლის დინგის აღწერილობა მოსე ჯანაშვილის და შინამრწველობის მასალის მიხედვით.

წყლის დინგს წისქვილთან ახლოს საგანგებო გადმოხურულ ნახევრად ღია სათავსში-ალთი-აჩულ-ში აგებდნენ. დინგის ასამუშაველად პატარა ღარიტ მალლიდან წყალს გადმოიყვანდნენ. წყალი ბორბალზე ისხმებოდა და მას

<sup>13</sup> წყლის საცეხველში იცეხებოდა 3 ზომანი (დაახ. 20 კგ) თაფლი. თუ წყლის დინგა სწორია და საცეხველი კარგადაა გამართული, დღე-ღამეში მას შეუძლია ორ ფუთამდე ღომი გაიცეხოს. მაგრამ თუ საცეხველს სული ეპარება, მაშინ ერთ ქილა ღომსაც ძლივს მოერევაო, ამბობენ გურიაში (XVI, 140).

<sup>14</sup> გასათვალისწინებელია, რომ ხევსურულ-დიდოური თოფის წამლის სანაყი დენგი, ინგილოური დინგი, მესხურ-ჯავახური მარცვლის საცეხვი დინგი კონსტრუქციულად განსხვავებული, მაგრამ ერთი ფუნქციის მქონე იარაღია, რასაც მხარს უზამს წინაინლოეთსა, ინლონეზიასა და ჩინეთში მარცვლის საცეხვი ჭურჭლის დენკის არსებობა. ეს ენობრივი შეხვედრები შემოთხვევითი არ უნდა იყოს, შესაძლებელია იგი მათ საერთო წარმომავლობაზე ლაპარაკობდეს (XXVI).





ატრიალებდა, ამის საშუალებით ღერძი მოძრაობდა. დინგს ოთხი ან ექვსი მკლავი აქვს, რომლებიც დიდ და გრძელ ზროშია ჩამაგრებული. ზროს დიდი ჩარჩოვანი ფარი ატრიალებს. მკლავების ბოლოზე რკინის კბილებიანი სალტეა აცმული. ღერძის გასწვრივ მიწაზე დევს თვლებად დაყოფილი სქელი ხე ან მიწაში გაკეთებული ორმოები. მკლავი და თვალი ერთნაირი რაოდენობისაა. თვალში ან ორმოში ჰყრიან ჩალთუქს, ქერს ან თრიმლს (სარალანს) და ნაყავენ. როდესაც ნაყვის შეჩერება სურთ, მკლავებს ხვრელებში ჩხირებს გაუყრიან და იმ ხეზე დაამაგრებენ, რომელშიაც მკლავებია გაყრილი. ნაყვის დროს ჩალთუქს დროდადრო სჭირდება ჯოხით ამორევა (XXVII, 59).

წყლის დინგის მრავალი მკლავი ერთდროულად დაახლოებით ხუთ-ექვს ფუთ მარცვალს ცეხავდა.

დინგის ხანგრძლივი გამოყენებისათვის აუცილებელი იყო წყლის და მარცვლის ნორმალური განაწილება, ამ წესის გაუთვალისწინებლობა ღერძის მკლავის გადამტვრევას იწვევდა. წყლის დინგი ხშირი არ იყო. იგი რამდენიმე ოჯახს საერთო ჰქონდა, ან შეძლებული ოჯახის კუთვნილება იყო და მეზობლები სარგებლობდნენ (XXVIII, I გვ. 3, 15).

#### ლიტერატურა

- I ჯ. რუხაძე, 1981, თეთრიწყარო (რვ. 1), ბოლნისი (რვ. 1).  
 IIა ჯ. რუხაძე, 1982, ხაშურის რაიონი, რვ. 1; რვ. 2.  
 IIბ თელავის რაიონი, რვ. 3; რვ. 2.  
 IIგ ყვარლის რაიონი, რვ. 5.  
 III მ. დუმბაძე, ადმოსაღლე კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ., 1953.  
 IV ლ. ბერიაშვილი, მესხური დინგი, „ძეგლის მეგობარი“, 1971, № 24.  
 V Г. Радде, Хевсурия и Хевсуры, Зап. КОИРГО, XI, вып. II, Тбилиси, 1881.  
 VI ალ. რობაქიძე, თოფის წამლის დამზადება პირაქეთ ხევსურეთში, ანალები, I, 1974.  
 VII მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, თბ., 1979.  
 VIII ბ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974.  
 IX Кальвейт, Е, Очерк сельского хозяйства верхней Сванетии, Тифлис, 1911.  
 X Марр Н. Я. Грамматика чанского (лазского) языка, с. Петербург, 1910.  
 XI ჯ. რუხაძე, ღამის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მსგ. ტ. XI, თბ., 1960.  
 XII ბ. გუგუშვილი, მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1954.  
 XIII ალ. ბენდიანიშვილი, აგარაული ურთიერთობანი საქართველოში, თბ., 1965.  
 XIV შ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969.  
 XV Марр Н. Я., Дневник из поездки в Шавшетию и Кларджетию, С. П. 1911.  
 XVI ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976 წ.  
 XVII მიწათმოქმედება და სოფლის მეურნეობის იარაღები, შინამრეწველობის მასალები.  
 XVIII E. Werth, Grabstock, Hacke und Pflug, 1954.  
 XIX ლ. მლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთისხდელი იარაღი), თბ., 1963.  
 XX ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972.  
 XXI მ. მენაბდე, თ. კილუჩაძე, ზ. ქიქოძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976—1977 წლების მუშაობის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, თბ., 1978.  
 XXII რ. აბრამიშვილი, ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1963.



- XXIII ი. გაგოშიძე, ითხვისის სამარხი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა, თბ., 1959 წ.
- XXIV ჯ. რუხაძე, 1959 წ. სველე დლიური, საინგილო.
- XXV შდრ. თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950.
- XXVI P. Leser, Westöstliche Landwirtschaft, Festschrift Publication d'Honno-ge offerte qu P. W. Schmidt, Wien, 1928.
- XXVII მ. ჯანაშვილი, საინგილო, ტფ., 1913.
- XXVIII ჯ. რუხაძე, 1959 წ. სველე დლიური, საინგილო.



მ. შილაკაძე

### ხელსაფქვავი

ხელსაფქვავი — მარცვლეულის დასამუშავებელი (დასაქუცმაცებელი, დასაფქვავი) იარაღი საქართველოს ეთნოგრაფიულმა ყოფამ უკანასკნელ დრომდე შემოინახა. მისი დამზადების წესების სიძველე, მათში ასახული ხალხური ემპირიული ცოდნა, ძირითადი ფუნქცია, მოწმობს, რომ ხელსაფქვავის გამოყენებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს, რასაც არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებენ.

ნაშრომი ეყრდნობა სპეციალურ ლიტერატურას და აგრეთვე ავტორისა და საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომელთა<sup>1</sup> მიერ სათანადო კითხვარის მიხედვით შეკრებილ საველე მასალას. ამოსავალს ჩვენთვის წარმოადგენს ს. ბედუქაძის სპეციალური ნაშრომები (I, II) და ქართველი ეთნოგრაფების ნაშრომები, რომლებიც თუმცა საგანგებოდ ხელსაფქვავეს არ ეხებიან, მაგრამ საკვლევი თემის ირგვლივ მნიშვნელოვან მასალას გვაწვდიან.

უმარტივესი სანაყებო და სასრესები — მარცვლეულის დასაქუცმაცებელი<sup>2</sup> უძველესი იარაღები საქართველოს ყველა კუთხეშია ცნობილი და მათ სხვადასხვა დანიშნულება აქვთ (მარცვლეულის დანაყვა-დაქუცმაცება, მარილის, კორკოტის, ნიორის, საკვების შესაკაზში მასალის დანაყვა, ბრინჯის, ღომის, მახა-ზანდურის ცეხვა, ხილის დანაყვა და მოწურვა, თოფისწამლის დანაყვა, ზეთის გამოხდა) (IX, 30), ამის გამო უძველესი ხანიდან მომდინარედ ითვლებიან. ეს უძველესი სანაყებო და სასრესები საქართველოში ყველა კუთხეში გვხვდება სხვადასხვა სახელწოდებებით: გ უ რ ჩ ი (თუშეთი), რ ო დ ი ნ ი // ფ ი ლ ი // ქ ვ ი ჯ ა (ქართლი, კახეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა, სვანეთი), ვ ა რ ც ლ ი (ქიზიყი), ა ხ ა ყ ა (აჭარა), გ ო ბ ი (აჭარა), ხელსაფქვავე//ხელწისქვილი, დინგი//ს ა ც ე ხ ვ ე ლ ი//ს ა ძ ი გ ვ ე ლ ი (საინგილო, აჭარა, სამეგრელო), საწნეხი ხ ე ტ ა ბ ო (აჭარა) (IX 112). საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში (კახეთში) დასტურდება აგრეთვე დანაყვის უძველესი ხერხი — დანაყვა ორი ბრტყელი ქვით (მარილისა და მარცვლისა) (XXI).

ისტორიულად ცნობილია ხელსაფქვავის ორი ძირითადი ტიპი: 1) მრგვალი და ბრტყელი მოყვანილობის მსუბუქი ხელსაფქვავი და 2) მრგვალი და მაღალი კონუსური მოყვანილობის მძიმე ხელსაფქვავი (I, 157). საქართველოში მრგვალი და ბრტყელი მოყვანილობის ხელსაფქვავეები დასტურდება, რომელიც ორი სახით არის წარმოდგენილი: 1. მარგილიანი ანუ უთოხო.

<sup>1</sup> მასალების შეკრებისათვის და აგრეთვე ცნობების მოწოდებისა და შენიშვნებისათვის მადლობას მოვასხენებ ნ. აზიკურს, ლ. ბერაშვალს, ნ. ბრევაძეს, დ. გიორგაძეს, რ. თოფჩიშვილს, ვ. ითონაშვილს, მ. კანდელაკს, ბ. ნანობაშვილს, ჯ. რუხაძეს, ბ. სილაგაძეს, ა. სოხაძეს, თ. ცაგარეიშვილს, მ. ხაზარაძეს.

8. ატლასი. მემინდვრობა


და 2. თოხიანი. ეს ხელსაფქვავეები გარეგნულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

მარგილიანი ანუ უთოხო ხელსაფქვავეი წარმოადგენს ერთმანეთზე შედგმულ თანაბარი დიამეტრისა და თითქმის ტოლი სიმაღლის ორ მრგვალ ბრტყელ ქვას. ქვებს ეწოდება ზედა ქვა//მამალი ქვა და ქვედა ქვა//ღედალი ქვა//ძირა ქვა. ქვედა ქვის ცენტრში ჩამაგრებულ რკინის მოკლე უძრავ ღერძზე ბრუნავს ზედა ქვა, რომელსაც საბრუნებლად ნაპირიდან 3—4 სმ-ის დაშორებით ჩასმული აქვს ხის ტარი.

ქვედა ქვის მოსაფქვავეი პირი კიდისაკენ უფრო დაბალია, ცენტრისაკენ ამღლებული.

ხელსაფქვავეის ქვები მოსაფქვავეი პირებით ერთმანეთს ემთხვევიან.

თოხიანი ხელსაფქვავეი (სურ. 7) გარეგნულად ისეთივეა, როგორც ზემოთ აღწერილი უთოხო. არსებით განსხვავებას მათ შორის ჰქმნის ე. წ. თოხის ანუ არქის წარსებობა. თოხი ი/არქი ი/ალქი ი/სარაკელა (ხევი)//ყელა-გულა (ზ. იმერეთი) (XXV) რკინის (იშვითად ხის და ადრე, ცხადია, ხის) დეტალია, მიმაგრებული ზედა ქვასთან შემხებ მხარეს ქვედა ქვაზე, ღერძზე. ხის არქი მზადდება მაგარი ჯიშებისაგან (ურთხმელი, აკაცია, წყავი) (XXII).



სურ. 7. ხელსაფქვავეი, ბოლნისის რ-ნი, სოფ. წითელი სოფელი,

თოხის სიგრძეა 15—18 სმ, სიგანე 4—6 სმ, სისქე 2 სმ. თოხით ხდება ზედა და ქვედა ქვების შეხების რეგულირებაც, შეიძლება ქვების ერთმანეთთან მაქსიმალურად მიახლოება ან დაშორება. ამის შესაბამისად, ხდება ფქვის რეგულირებაც. რაც უფრო მჭიდროდ შეეხება ქვები ერთმანეთს, მით უფრო წმინდა გამოვა ნაფქვავეი და პირიქით.

ფქვის რეგულირება წარმოებს აგრეთვე დასაფქვავეი მარცვლის რაოდენობითაც. რაც ნაკლები მარცვალი ჩაიყრება, მით უფრო წმინდა გამოდის ნაფქვავეი.





საინტერესოა ფქვის ხარისხთან დაკავშირებული ტერმინებიც: მოლინგული (ხელისწისქვილში წმინდად დაფქული), წეწკილი (სალომე დაქუცმაცებული ღეროილი), მოფეშვილი, ლატა (ქენის ნაფშენიანი ფქვილი), დაწეწკილი, დაროხილი (XXII, XXVI).

ფქვის სარეგულაციოდ მოწმდება ღერძზე ტყავის ნაჭრის გაკეთება (ტყავი აშორებდა ქვებს ერთმანეთისგან და ნაფქვავე მსხვილი გამოდიოდა).

თოხინ ხელსაფქვავსაც ხის ვერტიკალური საბრუნე ტარი აქვს.

მარცვლის ჩასაყრელი ნახვრეტის — ხუმური (ქვ. ქართლი//ოფიხო (გურია) დიამეტრი არის 6—10 სმ.

იშვითად გვხვდება სადგარზე ჩოთაცხვლი ღელწისქვილი—სადგარიანი ხელწისქვილი, რომელსაც შეყენებული აქვს ფეხებზე დადგმული ხის ფიცარი და ცალ მხარეს ფქვილის ჩასაყრელი ოთხკუთხა საფქვილე ყუთი-ჩიბე//ჩიბო აქვს მიმაგრებული (ტაბ. XII, 2). ასეთი ხელსაფქვავეები დამოწმებულია ღუშეთის რაიონში (სოფ. ჰართალი, XXს. 50-იანი წლები)<sup>2</sup>, გეგეპკორის რაიონში (სოფ. პატარა ყინოთა XX სს. 50-იანი წწ.)<sup>3</sup>, ახმეტის რაიონში (ს. ხოდაშენი, ქისტაური), ყვარლის რაიონში (ს. გავაზი). ხელსაფქვავეების დამზადების წესები ფიქსირებულია (I, II). ღელსაფქვავის დანზადების ტრადიციები XX საუკუნის შუა წლებამდე ცოცხლად ყოფილა შემორჩენილი ძველთაგან სახელგანთქმულ ცენტრებში, როგორცაა ალგეთი (თეთრიწყაროს რ-ნი), ქაისხევი და ეთვალისი (ღუშეთის რ-ნი), მოლითი (ორჯონიკიძის რ-ნი), ჟონეთი (წყალტუბოს რ-ნი), მუხურა (ტყიბულის რ-ნი), თრიალეთი, სოფ. ჭერემი (გურჯაანის რ-ნი), იყალთო (თელავის რ-ნი), აჯეთი (ლანჩხუთის რ-ნი), ზომღეთი და ვანი (ჩოხატაურის რ-ნი), გორისფერდი (მახარაძის რ-ნი). განსაკუთრებით სახელგანთქმული ყოფილა იმერეთის მუხურა და ჟონეთი, სადაც დიდი რაოდენობით მოიპოვება საწისქვილე ქვის საბადოები. მაგრამ სადაც საბადო არ მოიპოვება, შემოპქონდათ მასალა და წისქვილის ქვებს ამზადებდნენ ადგილობრივი ხელოსნები. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით გორის და ხაშურის რაიონებში ქვა შემოპქონდათ სომხეთიდან ან იმერეთიდან (სოფ. ჩოლოტიდან), გურიაში—თურქეთიდან ე. წ. მურღულის ქვა (კაყიანი ქვა), კახეთში—ქვემო ქართლიდან და აგრეთვე უჯარმიდან.

ხელსაფქვავის დამზადება იწყება ქვის კლდეზევე მოფარგვლით და გვერდების დაჭრით. მოფარგვლა ხდება ე. წ. ფარგალით (ეს არის წვერებწამახული ხის ან რკინის ორკაპი ტოტი). ფარგლის ერთ წვერს ქვის ცენტრში დააბჯენენ, მეორე წვერთან ნახშირს დაიჭერენ და ირგვლივ წრეს შემოხაზავენ. შემდეგ ხდება გვერდების დაჭრა ირგვლივ შემორიგებულ სოლებზე უროს თანაბარი დარტყმით.

გვერდების დაჭრის შემდეგ სისქის ზომაზე დაყენება ხდება. ასე დამუშავებულ ქვას ცენტრში ამოჭრიან ნახვრეტს (თვალის დაჭრა). შემდეგ კი ხდება ქვების დაწყვილება და თითოეული ცალის ზომისა და გამძლეობის მიხედვით მისადაგება.

ხელსაფქვავის ზედა ქვად უფრო მაგარსა და მკრელკბილიანს არჩევენ, რადგან იგი მოძრავია და უფრო მეტად ცვდება. ქვედა ქვა კი შეიძლება შედარებით რბილი იყოს.

<sup>2</sup> საქ. სახ. მუზეუმი, კოლექცია №  $\frac{284-5}{23}$  (I, 193—164, ტაბ. X).

<sup>3</sup> საქ. სახ. მუზეუმი, კოლექცია №  $\frac{14-40}{193}$  (I, ტაბ. VII, 3, 4).

ზედა ქვაზე ამოკვეთენ სატარეს — მრგვალ ნახერეტს, რომელშიც ცენტრალურად ჩაიდგმება ქვის საბრუნე ხის ტარი//სახელური.

ხელსაფქვავის კეთებისას ყველაზე რთულია მუშა პირების გათლა-დამუშავება (დაქნა//დაწყობა). სწორედ მათი დამუშავების ხარისხზეა დამოკიდებული ხელსაფქვავის ღირსება.

ხელსაფქვავის ქვების მოსაფქვავე პირის ზუსტად დამუშავებისათვის გამოიყენება საგანგებო იარაღი სამართი ხისა, რომელიც ხელსაფქვავის ქვის ზომის (დიამეტრი) უნდა იყოს<sup>4</sup>.

ქვედა ქვის მოსაფქვავე პირი უნდა იყოს კიდევებში დაბალი, დაღარული და ცენტრისკენ ამალღებული. მოსაფქვავე პირების გამოთლა-დამუშავება ხდება დიდი სიფრთხილით საგანგებოდ წვერწამახული წერაქვით.

მოსაფქვავე ზედაპირების ამგვარად დამუშავების შემდეგ იწყება საკუთრივ „დაქნის“ პროცესი: ქვედა ქვის თვალში მარგილს გაჭედენ, ქვედა ქვას სწორ ადგილზე მოათავსებენ და პალოებით უძრავად გაამაგრებენ. ზედა ქვასაც ამავე მარგილზე ჩამოიყვანენ. ქვედა ქვაში მარგილი მჭიდროდ უნდა იყოს ჩასმული, ზედაში კი მას ოდნავ „ქარი“ უნდა ჰქონდეს, რომ ზედა ქვის შემობრუნებას ხელს არ უშლიდეს. ამგვარად გაწყობილი ქვების შიდა ზედაპირზე წყალს მოასხამენ, შემობრუნებენ ქვებს და შეამოწმებენ — დარჩა თუ არა სველი ადგილები. თუ დარჩა, ე. ი. ქვები ერთმანეთს არ შეხებია, მაღალ ადგილებს სათანადოდ დამუშავებენ, ვიდრე ორივე ქვის მოსაფქვავე პირი ზუსტად არ დაემთხვევა ერთმანეთს.

ხელსაფქვავის გამართვა ხდება გამოყენების ადგილზე. გამართვაში იგულისხმება: ქვედა ქვის საღერძეში ხის მარგილის გაჭედვა, რომლის ირგვლივაც უნდა იბრუნოს ზედა ქვა; ზედა ქვის ზედაპირზე ამოჭრილ სატარეში ხის ტარის დაგება; საარქეს ანუ სათოხეს ამოჭრა და მისი ზომის რკინის თოხის ჩადგმა (ამ უკანასკნელს მჭედელი ამზადებს).

დაბოლოს, გამართული ხელსაფქვავე კიდევ ერთხელ მოითხოვს მოსაფქვავე პირის დეტალურ დამუშავებას. ყელთან ახლოს, სათოხის ირგვლივი არე, რომელიც მარცვლის მისაწოდებლადაა განკუთვნილი, უნდა დამუშავდეს, დაიკენჭოს წერაქვის წვერით.

ხელსაფქვავის მოსაფქვავე პირების ერთმანეთზე სრული დამთხვევა უთოხო ხელსაფქვავეზე ხდება. აქ ხახუნის ძალა დიდია და ხელით შემობრუნებისთვის მეტი ენერგია იხარჯება. ხახუნის ძალა გადალახულია თოხიან ხელსაფქვავეზე. სადაც მოსაფქვავე პირებს შორის გაკეთებულია ღერძზე ჩამოგებული რკინის რგოლი ან მოგრძო მოყვანილობის რკინის ან ხის დეტალი — თოხი.

ხელსაფქვავის მოსაფქვავე პირი ხმარებაში თანდათან ცვდება და იღებს. განსაკუთრებით ადრე ზიანდება მისი ე. წ. საღერძელი სარტყელი, რისთვისაც საჭირო ხდება პერიოდულად მოსაფქვავე პირის სათანადო დამუშავება, ე. წ. მოკოდვა//მოკეკვა (გურია). ეს ხორციელდება საგანგებო წერაქვისებური იარაღით, რომელსაც ეწოდება საკოდაო//საკოდელა//კეკი (გურია)//წაკატი (გურია).

ხელსაფქვავეს ამზადებენ აგრეთვე წისქვილის გაცვეთილი ქვისაგანაც (კახეთი (XXI), გურია (XXII)).

ხმარების დროს ხელწისქვილი იდგმება სუფთა ტილოზე (ქსოვილზე) იატაკზე, ზედ იყრება ფქვილი.

<sup>4</sup> ეს იარაღი აღწერილია ს. ბელუკაძის მიერ (II, 12—13).





ხელსაფქვავის დანიშნულებაა მარცვლის (სიმინდი, ლომი, ბრინჯი) დაფქვა-დაქუცმაცება. მაგრამ მარცვლეულის გარდა მასზე იფქვება მარლი, ჩირყილი საარაყე ფორი, შინაური სამღებროსათვის საჭირო ზოგიერთი ქვა, მიწა და სხვ. (1, 157, XVI, 20).

ხელსაფქვავე თესლის სასრეს-საქნელ იარაღადაც ყოფილა გამოყენებული (X, 69).

სვანეთში ხელსაფქვავე (შირა) და სანაყი მხოლოდ კერაზე მოხალული, რიტუალური დანიშნულებისათვის განკუთვნილი მარცვლეულის, კანაფის, პურის, კერცვის დასაღერლად და დასანაყად გამოიყენება (XIII, 121—122).

ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, სადაც წყლის წისქვილი იყო, ხელსაფქვავს არ ხმარობდნენ, მაგრამ ზოგიერთი ცნობით წყლის წისქვილის გვერდით ისიც გამოიყენებოდა: 1) როცა ცოტა რაოდენობის ფქვილი ესაჭიროებოდათ. 2) ზამთარში, როცა წისქვილზე საფქვავე ველარ მიჰქონდათ წყლის გაყინვის ან უგზობობის გამო<sup>5</sup>, 3) ზაფხულშიც, როცა წყალი შრებოდა გვალვის დროს და წისქვილი აღარ მუშაობდა (XXI, XXII).

ხელსაფქვავე საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება მეტ-ნაკლები სიხშირით (იხ. რუკა 19, 20). ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, სოფელში რამდენიმე ხელსაფქვავე მაინც არსებობდა, რომლითაც ყველა ოჯახი სარგებლობდა.

საყურადღებოა ხელსაფქვავის მზითვეში გატანების ტრადიცია (ქართლი, კახეთი).

ხელსაფქვავის ძირითად ფუნქციას მაინც წარმოადგენს მარლისა და განსაკუთრებით კი საკოკოტე ხორბლის დანაყვა. ამ მიზნით გამოიყენება იგი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (III, 129-130; XXVII; XIII; XXIV; XXVI). კოკოტი არის სარიტუალო შეჭამანი, რომელსაც სახალწლოდ (ან საშობაოდ) ამზადებენ მსხვილად დაფქვილი (დაღერლილი) ხორბლისაგან. მისთვის მარცვლეულის განსაკუთრებული სახეობები გამოიყენებოდა (მაგ., რაჭაში ზანდური, ასლი) (IV, 167, 228), რომელიც აუცილებლად ხელსაფქვავეში იფქვება (ან როდინში ინაყება).

ხელსაფქვავის გამოყენება მარცვლეულის დასამუშაველად (დასაფქვავად) სარიტუალო შეჭამანისათვის ამ იარაღის სიძველეზე უნდა მეტყველებდეს, მით უმეტეს, რომ მარცვლეულის დაფქვა სარიტუალო შეჭამანისათვის ხელსაფქვავის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს.

დამუშავებულ ანუ დაფვნილ-დაქუცმაცებულ, დაფქვილ მარცვლეულს ადამიანი იყენებს საკვებად უძველესი ხანიდან. მარცვლეულისაგან ფქვილის წარმოებას განაკუთვნიებენ ნეოლითის დასასრულსა და ენეოლითის დასაწყისს (XIX, 33). თავდაპირველად, მარცვლეულის დაფქვა, ცხადია, პრიმიტიულად ხდებოდა. კერძოდ, მარცვლეულს ათავსებდნენ ბუნებაში ნაპოვნ ორ უბრალო ქვას შუა და გასრესდნენ, მოგვანებით ადამიანმა გამოიყენა ხელში მოხერხებულად მოსათავსებელი მრგვალი ან მოგრძო ქვა და ბრტყელ ქვაზე წრიული მოძრაობით აწარმოებდა მარცვლას თუ სხვა ნივთიერების დასრესა-დაქუცმაცებას. ასეთი იყო უმარტივესი ქვის სასრესი. ეს იარაღი დასტურდება მთელ მსოფლიოში ამერიკის გარდა (XIX, 33).

ეს სასრესები და სანაყები იყო ხელსაფქვავის წინამორბედი, რამაც მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა მარცვლის დამუშავებაში. ეს ცვლილება გამოი-

<sup>5</sup> ბ. სილაგაძის მადლობას მოვახსენებ ცნობის მოწოდებისათვის.





რუკა № 20. ხელსაფკვეპის საზიბი (X X ს. 30-იანი წწ.)

1. თზიანი, 2. ვთზხო



ხატა იმაში, რომ შეიცვალა იარაღის მუშაობის პრინციპი; გამოყენებულ იქნა ბრუნვითი მოძრაობა, რამაც განაპირობა შემდგომში მასზე გამწევი ძალის გამოყენება (XX, 14).

„საფქველზე ტარის დაგებას მოჰყვება მთელი რიგი გაუმჯობესებანი: ზედა მოძრავი ქვის ცენტრში, მუშა ზედაპირზე ჩნდება ნივთიერების თანაზომიერად მიმწოდებელი სიღრუვე, ხოლო მბრუნავ ხელწისქვილს ქვედა ქვის ცენტრში უჩნდება ზედა ქვის ჩამოსაყვანი ლერძი. ამ უკანასკნელზე კი საბოლოოდ ჩამოეგება მუშა ზედაპირებს შორის ხახუნის შემამცირებელი მოწყობილობა, რითაც ძირითადად დამთავრდება ხელსაფქვავის განვითარება“ (I, 154).

ხელსაფქვავემა მოამზადა ნიადაგი წყლის წისქვილის წარმოშობა-განვითარებისათვის.

მბრუნავი ხელსაფქვავეი ზოგი მეცნიერის აზრით ცნობილი იყო ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასაწყისში სირიასა და პალესტინაში (ლემანპაუბტი, ბელკი, მ. ებერტი. გ. წერეთელი, ი. კუბრიცი) (XVII, 167), ზოგის აზრით კი არა უადრეს ძვ. წ. I ათასწლეულისა (გ. ჩაილდი, არციხოვსკი). საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხელსაფქვავეები კი თარიღდება I ათასწლეულით ძვ. წ. (ბრინჯაოს ხანით XII-X სს. და ადრეული რკინის ხანით, VII—VI სს. ძვ. წ.).

ხელსაფქვავეში ფაქტიურად მიგნებული იყო წყლით მბრუნავი მანქანის ძირითადი პრინციპები: მუშა ქვების მრგვალი და ბრტყელი მოყვანილობა, უძრავი ლერძის გარშემო ბრუნვა. მარტივი სანაყიდან განვითარებული ხელსაფქვავეი წარმოადგენდა ფქვის ერთადერთ საშუალებას წისქვილის წარმოშობამდე.

უძველესი მარცვლეულის სასრესები და სანაყები მოპოვებულია საქართველოს ტერიტორიაზე (VII, XVIII, XV, 210—211).

საქართველოში დადასტურებული ხელსაფქვავეების უძველესი დროიდან მომდინარე უწყვეტი ტრადიციების არსებობაზე მიუთითებს ყოფაში შემონახული ხელსაფქვავეების ანალოგიური განათხარი ნიმუშები. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სოფ. ფლავისმანში (გორის რ-ნი) აღმოჩენილი იარაღი, რომელიც სამარხეული ინვენტარის მიხედვით თარიღდება ბრინჯაოს ხანით (XIII-IX სს. ძვ. წ.), (VI, 223—238; XIII, 8—9). ეს არის ყველაზე ძველი ხელსაფქვავეი დათარიღებულ ანალოგიურ ნიმუშთა შორის (XVII, 166—167).

ხელსაფქვავეები მოპოვებულია მცხეთის (ბაგინეთი, არმაზი), კოლხეთის, შიდა ქართლის, რუსთავის, უჯარმის და სხვ. ტერიტორიაზე, რომლებიც იმავე მრგვალი და ბრტყელი ვერტიკალურ საბრუნტარიაინი მსუბუქი ხელსაფქვავის ტიპს განეკუთვნება (XVIII, 166—167).

განათხარი ხელსაფქვავეი სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ამბროლაურის რაიონში (სოფ. ჩორჯო), რომელიც წინასწარული ვარაუდით გვიან ბრინჯაორკინის ხანით თარიღდება (V).

განათხარი ხელსაფქვავის საინტერესო (მაგრამ დაუთარიღებელი) ნიმუში დაცულია ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ღია ცის ქვეშ მუზეუმში.

ხელსაფქვავეი არის მარცვლის თუ სხვა ნივთიერების დასაფქმენლად, ვასასრესად, დასაქუცმაცებლად განკუთვნილი ხელით სამუშაო იარაღი. წისქვილი არის მარცვლეულის საფქვავეი საგანგებო მოწყობილობა და ეწოდება შენობასაც, სადაც ეს მოწყობილობაა გამართული (XI).





ა. შანიძე და გ. წერეთელი წი ს ქ ვ ი ლ-სიტყვას ამგვარად შლიან: წი ს ქ ვ ი ლ-ი. სიტყვის პირველ ნაწილს წყალ—სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმად მიიჩნევენ (წ (ყ ლ) ის, ხოლო მეორე ნაწილი ფქვილი ა. შანიძის აზრით საფქველ ქვას აღნიშნავდა (XII, 45; XIV, 64). ა. შანიძე არ ეთანხმება ს. ბედუკაძეს, რომელიც წისქვილ-სიტყვას პირველ ნაწილში გულისხმობს არა წყალს, არამედ წერ//წირ ძირს, რაც გაჭრას უნდა ნიშნავდეს (II, 2—3).

ა. შანიძე ძველ ქართულ წერალობით წყაროებზე დაყრდნობით ადგენს, რომ საფქველ ქვას ქართულში რამდენიმე სახელი ჰქონია (ფ ქ ვ ი ლ ი, ს ა ფ ქ ვ ე ლ ი//ს ა ფ ქ ვ ა ვ ი, მ ფ ქ ვ ა ვ ი, მ ფ ქ ვ ე ლ ი, წ ი ს ქ ვ ი ლ ი, ს ა ფ ქ ვ ი ლ ე, წ ი ს ქ ვ ი ლ ის ქ ვ ა), რომელთაგან უძველესია ფქვილი. არკვევს რა ამ უკანასკნელის მნიშვნელობას, ადგენს, რომ ფ ქ ვ ი ლ -სიტყვის ერთი მნიშვნელობა იყო ქვა, რომლიც იფქვებოდა ღორბლეული, მეორე კი ის, რაც დღეს აქვს (ამ უკანასკნელ მნიშვნელობას წერალობით წყაროებში X ს-დან ვხვდებით). ხოლო საფქველი ქვა ფ ქ ვ ი ლ ი თავდაპირველად ხელით საბრუნებელი, ხელსაფქვავე იყო (XII, 37—45).

ამგვარად, ხელსაფქვავებმა, ვიდრე სრულყოფილ სახეს მიაღწევდნენ, გაიარეს განვითარების სხვადასხვა საფეხური პრიმიტიულად ორი ქვის ერთმანეთზე სრებიდან დაწყებული, განვითარებულ ბრტყელ და მბრუნავ ხელსაფქვავემდე, ის ტიპი ხელსაფქვავისა, რომელიც საქართველოში გვხვდება, ყველაზე დაწინაურებულ ტიპად ითვლება, რომლის ბაზაზეც უძველესი მანქანა—წყლის წისქვილი განვითარდა.

#### ლიტერატურა

- I ს. ბედუკაძე, საფქველების განვითარების ისტორიისთვის, ხელისწიქვლები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX—B, 1956.
- II ს. ბედუკაძე, წყალთ მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, თბ., 1960.
- III ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973.
- IV ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969
- V „კომუნისტი“, № 223 (16004), 22. 09. 1974.
- VI ს. მაკალათია, ფლავიუსის უძველესი ნეკროპოლი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. V, თბ., 1930.
- VII ს. მაკალათია, დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1948.
- VIII ს. მაკალათია, ჭრონის ხეობა, თბ., 1963.
- IX ლ. მოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსაღები იარაღები), თბ., 1963.
- X ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976.
- XI ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII.
- XII ა. შანიძე, წისქვილს ქვის სახელები ძველ ქართულში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII—XIII, თბ., 1963.
- XIII მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961.
- XIV გ. წერეთელი, საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები, თბ., 1939.
- XV ნ. ხოშტარია, დიხა-გუცუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, I, № 2, 1944.
- XVI გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თუშეთში. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967.
- XVII С. Бедукадзе, О поточных мельницах Арагвского ущелья. Этнография Кавказа, Тб., 1951.
- XVIII Б. А. Купфтин, Материалы к археологии Колхиды, т. V, Тб., 1950.



საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

XIX Н. А. Пономарев, История техники мукомольного и крупяного производства, ч. I, Первобытно-общинный и рабовладельческий строй, М., 1955.

XX Технология мукомольного производства, Под ред. проф. Я. Н. Куприца, 1951.

XXI რ. თოფჩიშვილის მიერ ახმეტის რაიონში შეკრებილი მასალა. 1976.

XXII ზ. ტულუშის მიერ ლანჩხუთის რაიონში შეკრებილი მასალა. 1982 წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილების არქივი.

XXIII მ. შილაკაძე, ხაშურის რაიონში მევლანების დღაურა. 1976.

XXIV მ. შილაკაძე, ლავიჯის და წითელწყაროს რაიონებში მივლინების დღიური, 1981.

XXV მ. შილაკაძე, ჭაათურის და თერჯოლის რაიონებში მივლინების დღიური, 1981.

XXVI მ. შილაკაძე, ახმეტისა და ყვარლის რაიონებში მივლინების დღიური, 1982.

XXVII მ. ხაზარაძე, გურჯაანის რაიონში მივლინების დღიური, 1974.



თ. ოჩიაური

წყლის წისკვილები

საქართველოში გავრცელებული ჩვენამდე მოღწეული წისკვილები ძირითადად ორი ტიპისაა: ჰორიზონტალური ბორბლით მბრუნავი და ვერტიკალური ბორბლით მბრუნავი. აქედან, საყოველთაოდ გავრცელებული და ძირითადი სახეობაა ჰორიზონტალურ ბორბლიანი წისკვილები, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია აზიური წყლის წისკვილისა და ტურბინული წისკვილის სახელწოდებით (I, 08,91).

ჰორიზონტალურ ბორბლიანი წისკვილი

ჰორიზონტალურ ბორბლიანი წისკვილი წყლის მიმწოდებელი მექანიზმის მიხედვით ძირითადად ღარის წისკვილისა და კოდის ან გვიმიანი წისკვილის სახით გვხვდება. წისკვილებს ანსხვავებენ მუშა ქვის სიდიდის მიხედვითაც. მცირე ზომის მუშა ქვით გამართული წისკვილი ბურჭულა//გვრიტა წისკვილად იწოდება, დიდი მუშა ქვით მოწყობილი კი დოლაბად. წისკვილის ზომა დამოკიდებულია მემინდვრეობის მასშტაბსა, წყლის ენერჯის ძალასა და გარკვეულად გეოგრაფიულ გარემოზედაც. მთის პირობებში, სადაც მოსახლეობის რიცხვი შედარებით მცირე იყო, მარცვლეული კულტურები ნაკლები, უგზობის გამო წისკვილის ქვების ადგილზე მიტანა გაძნელებული, ბუჭულა წისკვილებს მართავდნენ. ბარის რაიონებში კი, სადაც უხვი მოსავალი მოდიოდა, დოლაბი წისკვილები იყო აუცილებელი. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია წისკვილის მფლობელთა საზოგადოებრივი მდგომარეობაც, რაც გარკვეულად განაპირობებდა წისკვილების სიდიდე-სიპატარავეს (ფეოდალთა, ვაჭართა და კულაკთა კუთვნილი წისკვილები დიდი და რამდენიმე თვლიანი იყო).

მუშა ქვების მოცულობა განსაზღვრავს შესატყვისი მექანიზმის, წყლის რაოდენობისა და სათანადო ნაწილების ზომას. კონსტრუქციულად კი ბუჭულა და დოლაბი წისკვილები არსებითად ერთნაირია. სხვაობას იძლევა მხოლოდ წყლის მიმწოდებელი აპარატის სახეობა (ღარი, კოდი, გვიმი), წისკვილის რუსა და საგუბარის მოწყობის წესი, რაც თავის მხრივ წისკვილის გასამართი ადგილის ხასიათზეა დამოკიდებული (დაბლობი, დაქანებული ადგილი, წყალუხვი და მცირეწყლიანი და ა. შ.).

წისკვილი, ჩვეულებრივ, ორი სართულისაგან შედგება. პირველი სართულია საღვარეა, სადაც გამართულია წისკვილის მამოძრავებელი მექანიზმი, მეორე სართულში კი მფქველი ქვები, მარცვლის მიმწოდებელი მოწყობილობა და ფქვილის ჩასაგროვებელი სათავსებია (ტაბ. XIII, 1).


პირველად კეთდება წისკვილის საბუდარი [წისკვილის დასაჯდომი, ლოგინი, წისკვილის ბუნავი (არაგვის ხეობა), წისკვილის ლეი-

ბი (ქართ.), წისქვილის ლეიბი, ტ რ ა ჰ ე ზ ი (სამეგრ.), რომელშიაც ჩასმულია წისქვილის ქვედა ქვა უძრავად. ზემოდან მას ზედა ქვა აქვს დადგმული. გარშემო შემოსდევს სანაგარამოე II ს ა ხ რ ი ლ ე (I კახ.), ქ ა რ ა (ჯავ.), ფქვილის გამოსასვლელთან კი წისქვილის ს ა ბ უ დ ა რ ს ფქვილის ჩასაგროვებელი სათავსო—ა ლ ა ტ ი უდგას [ს ა ფ ქ ვ ი ლ ე, ღ ი რ ს ა მ ა, ქ ო ფ ე (ქვ. იმ.), ა ლ ა (ზემო იმ.), გ ო ბ ი (გურ.), ჩ ი ბ ე (ქვ. რაჭა), საქვირე (ზ. სამეგრ.), ლ ე ნ კ ე რ (სვ.), ა რ ო (თუშ. I)].

ალატი, ჩვეულებრივ, ფიცრისაგანაა შეკრული. იქ სადაც ხე-ტყის ნაკლებობაა, მას ქვის ფიქალებისაგანაც აკეთებენ. ალატი ღრმა უნდა იყოს, რომ სანაპიროზე არ ამოივსოს და წისქვილმა ფქვილი უკანვე არ ჩაიხვიოს. წისქვილი გულითა და თოხით უნდა გაიმართოს. გულით გამართვა ქვებს ჭირდება, რომლებშიაც ღერძია ქვემოდან ამოტარებული. წისქვილის გული რბილი ჯიშის ხისაგან ითლება (თელა, ტირიფი, ვერხვი, მურყანი, წითელგულა, ცაცხვი, არყი, აკაკის ხე), ვინაიდან მასში ღერძი ადვილად იტრიალებს, არ გახურდება და არ დაიწვება. თუ გული კარგად არ არის გამაგრებული, მარცვალი გაუვა და წყალში ჩაიყრება.

წისქვილის ზედა ქვას ამოკვეთილი აქვს სათოხე, რომელშიაც რკინის ან იშვიათად ხის თოხს სვამენ. თოხი, რომელშიაც ქვემოდან ღერძია შემჯდარი, წისქვილს აბრუნებს, ამავე დროს, ყელიდან ჩასულ მარცვალს წისქვილის გამჭრელი პირის ქვეშ უღის.

წისქვილის ქვებს მარცვალს აწვდის ქვებს ზემოთ გამართული ფიცრებისაგან შეკრული ან მთლიანი ხისაგან გამოთლილი სამარცვლე ხ ვ ი მ ი რ ი [ო ფ ჩ ო (გურ.), ბ ე დ ე ლ ი (მესხ. ჯავ. I), ჩ ი ბ ე, ხ ვ ი მ ი რ ა (რაჭ.), ს ა კ ა კ ლ ე, ხ ვ ი მ რ ე (სამეგრ.), ხ უ მ ბ უ რ ა (ფშ. ხევს.)] (სურ. 8). ხვიმრზე



სურ. 8. ხვიმრის სახეობები

ქვემოდან მიდგმულია ე.წ. კ რ ი ჭ ა. ხვიმრიდან მარცვალი კ რ ი ჭ ა შ ი ცვივა, საიდანაც ნელ-ნელა მიედინება წისქვილის ყელში [ნაკლიკა (ხევს.), კ რ ი ჭ ა





(ქართ.), ჯანჯამი, ჯამი (გურ.), ლაკვარა (რაჭ.), გოყო (ზ. სამეგრელო), აყაბა (სვ.), ლაკორა, ჯამჯამი (ქვ. იმ.), ქრიჯა (თუშ.), (ჯავახ.)] (სურ. 8). კრიჯა მოგრძო, გულამოდებული, ბოლოში ვიწრო, თავლია კოლოფის მსგავსი მოწყობილობაა. ორივე გვერდზე მიმაგრებული აქვს ასაწევ-დასაწევი, ერთ გვერდზე კი სარეკელს ხმალას თავია ჩამაგრებული. კრიჯას ან ფსკერი უნდა ჰქონდეს აღმაცერად ამოღებული, ან ისე უნდა ეკიდოს, რომ მარცვლი წისქვილის ყელისაკენ დაცურდეს. მის გვერდებზე დამაგრებულია ასაწევ-დასაწევი, ან საკლებ-სამატები, რომელთა მეშვეობით ხდება მარცვლის მიწოდების რეგულირება. სხვადასხვანაირ წისქვილს სხვადასხვანაირად უნდა მარცვლის მიცემა. პატარა წისქვილებში, სადაც დაყრილ საფქვავს უმეტადად უფქვავს წისქვილი, სასურველ ზომაზე აყენებენ სამალქნელს, სარეკელს, საკლებ-სამატებს და მარცვლი თანაბარი ზომით ჩადის წისქვილის ყელში. ბარის წისქვილებში კი, სადაც საფქვავი სწრაფად იფქვება, მუდმივი მეთვალყურეობაა საჭირო. აქ მეწისქვილე სარეკელს მიწევ-მოწვეითა და საკლებ-სამატების საშუალებით, კრიჯის აწევ-დაწევით ახდენს მარცვლის მიწოდების რეგულირებას. ამ პროცესში არსებითი მნიშვნელობა სარეკელს ენიჭება [სარაქუნა, რიკრიკა (გურ.), ჩახჩახა (მესხ. ჯავ.)], სარეკელს ღერძი ერთი ბოლოთი სარეკელს ბოძზეა მიმაგრებული, მეორეთი კი კრიჯის გვერდშია ჩასმული. ღერძზეა მიმაგრებული თვით სარეკელს საგოგავი, რომელიც წისქვილის ქვის ზედაპირს ებჯინება. ბრუნვის დროს ქვა თანაბრად ანძრევს მას, მოძრაობა კრიჯას გადაეცემა, რაც წისქვილის ყელში ხორბლის ზომიერ ცვენას იწვევს. სარეკელს საგოგავი მაგარი ხისა უნდა იყოს, ვინაიდან მისი ზედაპირი ხახუნის გამო მალე ცვდება (ტაბ. XIII, 2).

წისქვილის პირველი სართული, რომელსაც საღვარე ეწოდება, ღარის თავიდან საშუალოდ სამი საჟენით მაინც უნდა იყოს დაბლა, რომ წყალმა ზევიდან ღონივრად დაარტყას ბორბალს. სათქამურის თავიდან (ბორბლების სათავე) ეშვება წყალი ღარში და ბორბალს ესხმის.

სათქამურის თავი დიდ წისქვილებში მკვეთრად იყო შეკრული ერთმანეთზე გადადებული მსხვილი ხეებით, დიდი ქვებითა და ბელტებით.

პატარა ზომის წისქვილების სათქამურის თავი ყორით და ბელტით ამოგებული საგუბარია. საერთოდ იცოდნენ ხის მარგილების ჩასმა, ტირიფების დარგვა, რაც სათავეს სიმკვიდრეს აძლევდა. დიდ წისქვილებში სათქამურის მთავარი ნაწილი — ღარების თავის დასადები ხე — ღარების ბაქანია (ქიზ.). ღარებში წყლის მიშვება-ჩაკეტვას ემსახურება მოწყობილობა, რომელიც ფიცრების ან ხეებისაგან არის შეკრული [ღარის ხოპი (ქართ.), საგდალა, საგდული (ქვ. იმ., გურ.), ჩამკეტი, მალქაფა (ქიზ.), განის ხოპი (ზ. იმ.), ლაკამი (ქვ. იმ.), წყალსატევი (ჯავახ.)]. ხშირად სათქამურის თავსა და ღარის დასაწყისს შორის ჩალაგებულია ლასტი, წყალმა რომ ქვა-ღორღი და ნარიყი არ ჩაიტანოს საღვარში.

სათქამურიდან საღვარში ჩაშვებულა ღარი, კოდი ან გვიმი. ღარის საშუალო სიგრძე 12—14 არშინია. იგი თავში განიერია, ბოლოში კი ვიწრო ტუჩი აქვს. იმისათვის რომ გამალებულმა წყალმა ღარი არ დაძრას, წვერი სოლებითა და ქვებით მაგრად არის გაკედილი.

ღარი ყოველთვის მარჯნიდან არის ბორბალზე დაყენებული, რაც წისქვილის წაღმა ბრუნვას იწვევს.

ღარისაგან განსხვავებით, კოდი ძირითადად მთლიანი ხისგან არის გამოთლილი. შეიძლება იგი ფიცრებისაგან იყოს შეკრული. კოდი ან ვერტიკალურად დგას, ან ცერად არის „დანდობილი“ ბოძზე. კოდის ძირი დახურუ-



ლია. ფსკერის პირზე მას გვერდიდან წყლის გამოსასვლელი მილი აქვს დატანებული. ამავე პრინციპზეა მოწყობილი გვიმი, რომელიც ან მთლიანად საგან კეთდება, ან კერამიკული წესით არის დამზადებული. „გვიმიში გროვდება წყალი, რომელიც წნევის ძალით „ფშტვირიდან“ (გვერდზე დატანებული მილი) მაგრად ხვდება ბორბლის ფრთას და შედარებით სწრაფად აბრუნებს წისქვილის ქვას“ (I. II, 267—255).

კოდის მსგავსად გვიმი თითქმის ვერტიკალურადაა დადგმული. კოდისათუ გვიმის მილიდან იმ რაოდენობით გამოდის წყალი, რა რაოდენობითაც ჩადის, ისე რომ კოდი არ იცლება.

დაფარებული ღარი წარმოადგენს ღარიდან კოდისაკენ გარდამავალ შუალედურ საფეხურის ნიმუშს და ხშირად გვხვდება სუსტი ძალის „საწისქვილოების მქონე ადგილებში“ (1,77), იმისათვის, რომ წყალი ჩაგროვდეს და არ დაიღვაროს, მას ზევიდან აფარებენ. ჩაგროვილი, წვერში ჩაჭედვით წყალი მილის საშუალებით ძლიერად „გამოიტყორცნება“ გარეთ და ბორბალს აბრუნებს.

ღარი საღვარეში ღარის კარიდან არის შეყვანილი. თვითონ საღვარე, სადაც მოთავსებულია ბორბალი, დიდრონი ქვების მშრალი წყობით შენდება. ღარის შესასვლელი და კარი ღიაა. იატაკი გასასვლელისაკენ ოდნავ უნდა იყოს დაქანებული, რომ წყალი შეუფერხებლად გამოვარდეს გარეთ და კედლები და ძირი არ გამოჭამოს. იმის მიხედვით თუ რამდენი თვალი წისქვილი ბრუნავს შიგ, საღვარეში ამოყვანილია საღვარის შუა კედლები.

საღვარეში მოწყობილია ქვის მამოძრავებელი მექანიზმი ღერძი, რომელზედაც გამართულია ბორბალი (ტაბ. XIV, სურ. I). პატარა წისქვილებში ბორბალი და ბორბლის ტანი (მორგვი) ფრთებითურთ ზოგჯერ მთლიანი ხისაგან არის გაკეთებული (ხევს.). უმეტეს შემთხვევაში კი მორგვს ცალკე აკეთებენ და მერე მორგებენ ბორბალს. ბორბალი რაც მძიმეა, მით უკეთესია. იგი ერთხელ რომ გაბრუნდება, თავისთავადაც ტრიალებს, მსუბუქს კი სულ წყლის ძალა სჭირდება.

ბორბლის ფრთები მაგარი ხისაგან უნდა გაკეთდეს (მუხა, ბალამწარა და სხვ.). ფრთები სხვადასხვა ფორმისაა. იშვიათად გვხვდება სწორფრთიანი ბორბალი (ხევს.) ჩვეულებრივ, ფრთებს ისეთ ფორმაზე თლიან, რომ წყალი ზედ უქმად არ დაიკარგოს (ამოღრმავებული, ჯამივით მუცელი, ამობურცული ზურგი და ა. შ.). ბორბლის დიამეტრს წისქვილის ქვის დიამეტრს უფარდებენ. მისი სიმძლავრე ფრთების სიხშირეზედაცაა დამოკიდებული. გამზადებულ ბორბალს ღერძზე ააგებენ. ღერძის ის ადგილები, რომელიც წისქვილის გულში ბრუნავს, მრგვალია, თავი კი გაკუთხული აქვს და თიხში სოლად არის შესული. ღერძი ყოველთვის რკინისაა.

ბორბლის აუცილებელი ნაწილია ბორბლის კოჭი ანუ ფეხი [ასტმე (კახეთი), საკოჭური (თუშ.), საცორელა (რაჭ.), ნევსა (ჯავ.)]. კოჭი ქვის ან რკინისაა. კოჭი დაყრდნობილია ლითონის კიბორჩხალაზე (ლითონი, მძივი, წრიაპი, ომაინი, თვალნი), დიდ წისქვილებში კოჭიცა და მისი დასაყრდენი კიბორჩხალიც, რაზედაც ტრიალებს ბორბლის კოჭი, მაგარი ფოლადისაგან კეთდება. საღვარეშივე გამართულია წისქვილის ამწევ-დამწვევი ბერკეტი, რომლის საშუალებით ხდება წისქვილის აწევ-დაწვევა სასურველი სიწმინდის ფქვილის მისაღებად. ამასთან, სამაქნელის (ბერკეტის) გამრუდება გამოიწვევს მასზე დაყრდნობილი ბორბლის ფეხისა და მთლიანად ბორბლის გამრუდებას.





ჰორიზონტალურბორბლიანი წისქვილის გამართვის აღწერილი წესი სუ-  
ყოველთაოა როგორც მცირე, ისე დიდი ზომის წისქვილებისათვის.

ჰორიზონტალურბორბლიანი წისქვილისაგან ჩარხის წისქვილი სხვაობას  
ამჟღავნებს მამოძრავებელი მექანიზმის გამართვის მხრივ. თვითონ ქვების,  
საფქვავის მიმწოდებელი მოწყობილობისა და ნაფქვავის ჩასაგროვებელი სა-  
თავსის გამართვის წესი ჰორიზონტალური წისქვილების იდენტურია. ვერტი-  
კალურბორბლიანი წისქვილი საქართველოში ჩარხის წისქვილის სახელი-  
თაა ცნობილი.

ჩარხის წისქვილები XIX და XX საუკუნეში მცირე რაოდენობით გვხვდე-  
ბა ძირითადად მტკვრის ხეობასა და კახეთის რაიონებში (თბილისი, ბორჯომი,  
დიღომი, მარტყოფი, თელავისა და სიღნაღის რაიონები, ქვემო ქართლი).

ჩარხის წისქვილებში ერთ ღერძზე ორი ჩარხი მაგრდება: 1. სველი, რო-  
მელიც შენობის გარეთაა მოწყობილი და წყალი ესხმის, 2. მშრალი, რომე-  
ლიც კბილანებით ჩამჯდარია წისქვილის ღერძზე დამაგრებულ დოლის  
კბილანებში და მოძრაობაში მოჰყავს წისქვილი. მშრალი ჩარხი შენობაშია  
გამართული. ღერძი სქელი უნდა იყოს, ზოგიერთი მათგანის დიამეტრი ნახე-  
ვარ არშინს აღწევს, სიგრძე კი საუენამდეა. ღერძის თავი ჩარხის ბოძებზე გა-  
დებულ ფარცხაზე დაყრდნობილი. სველ ჩარხს აქვს მკლავები (ოთხ წყვილამ-  
დე ან მეტი), გარშემო სქელი ფიცრის ფერსოები უკეთდება. მკლავებზე გო-  
ბებია გამართული, რომლებსაც ფიცრები აქვს შიგნიდან მჭიდროდ მიკრული,  
წყალი რომ არ გაუვიდეს. ღარიდან გამოვარდნილი წყალი ამ გობებში ჩადის.  
აივსება თუ არა გობი, სიმძიმე დაბლა დასწევს და ჩარხი დატრიალდება.

ჩარხის მკლავები მუხისა კეთდება, გობის ფიცრები კი რბილი ხისა (ლა-  
ფანი, ვერხვი), კარგად რომ გაიყვინთოს და წყალი არ გაუვიდეს. თითო გობ-  
ში ორ ფუთამდე წყალი ჩადის.

სველი ჩარხის სიგანე 7 არშინამდეა, შიგნითა მშრალი ჩარხისა კი 4 არ-  
შინს აღწევს. ჩარხის სიდიდე წყლის რაოდენობაზეა დამოკიდებული, თუ  
წყალი ცოტაა და გობებს დროულად ვერ ავსებს, მცირე მოცულობის ჩარხს  
აყენებენ.

ჩარხის წისქვილი ჰორიზონტალურ ბორბლიან წისქვილზე უფრო  
ძლიერია. ღარის წისქვილში ბორბლის ერთხელ შემობრუნება წისქვილის ქვას  
ერთხელ შემობრუნებს, ჩარხის ერთხელ შემობრუნება კი ქვის ორჯერ ბრუნ-  
ვას მაინც იწვევს.

#### წისქვილის კვება

წისქვილისათვის გამოსადეგი ქვის საბადოები საქართველოში ბევრგან  
მოიპოვება. ამათგან საუკეთესოდ ითვლება მუხურა (იმერეთი) და სარკინეთი  
(აღგეთის ხეობა). ამ საყოველთაოდ ცნობილი საბადოების გარდა, სხვადასხვა  
კუთხეში არსებობდა სათანადო საწისქვილე ქვის საბადოები. მაგ., არაგვის  
ხეობაში — საკოხე, ქაისხევი, ეთვალისი; ხევში — კუჭვა, დარიალი, იმერეთ-  
ში — ყონეთი, მოლითი, ქვაკოდალა და სხვ. მუხურისა და სარკინეთის საბა-  
დოებიდან მარავდებოდა არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ იგი  
ვაჭრნადათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მცხოვრებლებსაც. „მუხურის  
ქვების მთავარი გასასაღებელი ბაზარი ძველად ჭიათურასა, ჩხარსა და მუჯი-  
რეთში ყოფილა“. „ამ ბაზრებში, ხშირად თვით მუხურშიც წისქვილის ქვების  
შესაძენად მოდიოდნენ საქართველოს ყოველი კუთხიდან (კახეთი, ქართლი,



სამეგრელო, აჭარა, აფხაზეთი), რომელთა ცენტრებშიც (თელავი, აწყურის მუნიციპალიტეტის ცენტრში, გორი, თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გაგრა, გუდაუთი, სოხუმი, ზუგდიდი, წყალტუბო, აბაშა, სენაკი, ფოთი) გარკვეული პუნქტები არსებობდა, სადაც მუხურის წისქვილების შესყიდვა შეიძლებოდა“ (I, 7, 8).

საბაღოში ქვებს ჭრიდნენ მჭრელ-მკაფავი ხელოსნები, თვითონ ქვას კი წისქვილის გამთლელი ოსტატები ამუშავებდნენ. ქვებს აწყვილებდნენ დედალ და მამალ ანუ ქვედა და ზედა ქვებად. ზედა ქვას მაგარი „ბილი“ უნდა ჰქონოდა, დედალს კი შედარებით რბილი. ქვებს პირველ რიგში მოსაფქვავ პირებს გაუთლიდნენ და ერთმანეთზე მოარგებდნენ. ზედა ქვას შუა გულში სარქეს ანუ სათოხეს ამოუჭრიდნენ, რომელშიაც უნდა ჩაჯდეს წისქვილის მამოძრავებელი მექანიზმი — თოხი ანუ არქი და ყელს გაუკეთებდნენ. ზედა ქვის მოსაფქვავი პირი ცენტრში მაღალი უნდა ყოფილიყო, კიდევებისაკენ კი დადაბლებული. ქვედა ქვას კი, პირიქით, გულს ღრმად ამოუჭრიდნენ, ნაპირებისაკენ მაღლა დაიჭერდნენ. ამგვარად დამუშავებული ქვები მარცვალს კარგად შლიდა და არც იხვევდა.

დიდ წისქვილებში, სადაც დოლაბი ბრუნავს, ზედა ქვებს გვერდებზე შეჭრილი აქვს ჭახრაკის პირის მოსაკიდებელი ქვის გადმოსაღებად. ქვედა ქვას კი მოსაფქვავი პირის კიდეში ფქვილის გადმოსასველ ნაპირებს შეაჭრიდნენ. წისქვილის ქვები სხვადასხვა ზომისა ითლებოდა — დიდი დოლაბი წისქვილები 150 სმ დიამეტრამდე აღწევს, რომლის სისქე დაახლოებით 35 სმ-ია. პატარა წისქვილები კი სისქით 10—12, ხოლო დიამეტრით 60 სმ-ია. წისქვილის ქვების ზომას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა წისქვილის გამართვისათვის; ქვა და ბორბალი ერთნაირი სიგანისა უნდა დაეჭირათ.

წისქვილის ქვები საბაღოდან ურმებით გადმოჰქონდათ. მთიან რაიონებში კი, სადაც საურმე გზები არ იყო, ცხენით ეზიდებოდნენ. ზოგიერთ რაიონში ქვების გადასატანად საგანგებო კეხები ჰქონდათ (თუშ.). ასეთ კეხს წინა და უკანა ტახტებზე ზემოდან დამაგრებული ჰქონდა ფიცარი, რომლის შუაში მცირე ზომის პალო იყო ამოტარებული. ამ ფიცარზე ჩამოდებდნენ წისქვილის ქვას ისე, რომ მას პალო გულში მოჰქცეოდა და თოკებით დაამაგრებდნენ (ტაბ. XIV, I).

#### წისქვილის სახლი

წისქვილის სახლი, ე. ი. ნაგებობა, რომელშიაც წისქვილია გამართული, სხვადასხვა სახისაა როგორც სამშენებლო მასალის, ისე გადახურვის პრინციპის მიხედვით. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებულია ორი სახის საწისქვილე ნაგებობა: ბანური და საბძლური. ბანური წისქვილ-სახლი ძირითადად ხევსურეთსა, ხევსა და მთიულეთ-გუდამაყარშია დადასტურებული, საბძლური კი ფშავისათვისაა დამახასიათებელი. საშენ მასალად ბანურისათვის ქვა არის გამოყენებული, საბძლური კი შეიძლება ხისაგანაც იყოს აგებული.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის წყალ-წისქვილები უმთავრესად ქვით არის ნაგები, ორფერდად გადახურული წალმით, ხალით, კრამიტით ან თუნუქით. იშვიათად დასტურდება ციხის წისქვილები, რომელთაც საბრძოლო დანიშნულებაც ჰქონიათ. ასეთი წისქვილები ციხის მსგავსი, სათოფურებიანი შენობებია, მათი გაჩენა ძირითადად ლეკიანობის პერიოდს მიეწერება (ტაბ. XIV, 2).

დასავლეთ საქართველოში ძირითადად ხისგან ნაგები, ცალფერდა და ორფერდად გადახურული წისქვილის სახლებია (ტაბ. XIV, 3).





ქვით ნაგები წისკვილების პირველი სართული საღვარე მშრალად არის ნაგები, მეორე სართული კი შემაკავშირებელი ხსნარით. წისკვილის სახლის სიდიდე დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა მოცულობის წისკვილი ბრუნავდა ან რამდენი თვალი. დიდ წისკვილებს, სადაც მუდმივად საჭირო იყო მეწისკვილე, მიდგმული ან თავზე დაშენებული ჰქონდა ოთახი მეწისკვილის დასაძინებლად.

წისკვილით სარგებლობის წესები

საქართველოს ყოველ კუთხეში, სადაც სათანადო წყლის ნენერგის მოპოვება შეიძლებოდა, წისკვილები დიდი რაოდენობით გვხვდება. მდინარისაგან გამოყვანილ სარუეზე, ღელეებზე გამართული იყო ცალკეული კომლებისა და საზიარო წისკვილები, ისე, რომ ერთი წისკვილისაგან გამოსული წყალი მეორის სარუე ყოფილიყო. გასულ საუკუნეში წისკვილების განსაკუთრებულ სიმრავლეზე მიუთითებენ ჯავახეთში. „არცერთ მაზრაში არ არის იმდენი წისკვილი და ისე კარგი, როგორც ჯავახეთშია. მთელ ამ მაზრაში სამასზე მეტი წისკვილია. ეს სიმრავლე წყლის სიუხვეს მიეწერებაო — აღნიშნავს ცნობის ავტორი (III). წისკვილების დიდ რაოდენობაზე მიუთითებენ რაჭაში. პატარა წისკვილები აქ სამოსახლოში თითქმის ყოველ მოსახლეს ჰქონია, დიდი წისკვილები კი იშვიათად ყოფილა (IV, 20). ასეთივე მდგომარეობა ჩანს სვანეთშიც. მაგრამ იყო ადგილები, სადაც წისკვილისათვის საჭირო წყლის ნაკლებობის გამო შორეულ ადგილებში უხდებოდათ სიარული დასაფქვავად. ქიზიყში, მაგალითად, წისკვილები გამართული იყო მხოლოდ ანაგის ხევსა და მდ. მედიქზე. გარდა ამისა, ერთი წისკვილი ჭუმბათს, ხოლო ორი ყარაღაჯს ყოფილა (20—30-ანი წლ.), ისიც კოდიანი ბუჭულა წისკვილები, რომლებზედაც გაჭირვებულები და „ქვრივ-ოხრები“ ფქვავდნენ. „ხარიან“ ხალხს „ოჯახიშვილებს“ იორზე და ალაზანზე მიჰქონდათ ხორბალი დასაფქვავად. წისკვილის ჯერს ზოგჯერ ერთ თვემდე ელოდებოდნენ.

გასულ და ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებამდე წისკვილები ცალკეულ ოჯახებს საკუთარი ჰქონდათ, მაგრამ ხშირად რამდენიმე კომლი ერთიანდებოდა და საზიარო წისკვილს აგებდნენ. ეს კომლები ძირითადად ერთი კერიდან გაყრილები იყვნენ, ან ამ გაერთიანებას ტერიტორიულ-მეზობლური პრინციპი განსაზღვრავდა. შეამხანაგებულნი ოჯახები წისკვილის ჯერს ინაწილებდნენ. კახეთში, სადაც დიდი ოჯახები იყო, 60 კაცამდე აღწევდა მოჯერეთა რიცხვი. წისკვილი იჯარით იცემოდა. მეწისკვილე შეიძლება მოჯერეც ყოფილიყო და ამავე დროს მეწისკვილეც. მოჯერეები თვეში ჩაიღებდნენ დღეების წილს და გადასახადიც წილადობაზე მოუდიოდნენ. ქვემო რაჭაში შეამხანაგებით როცა აგებდნენ წისკვილს, ვინ რამდენ თანხასაც დადებდა, წილიც იმის მიხედვით ერგებოდა. ქვ. სვანეთში ვისაც წისკვილი არ ჰქონდა, მას წილით ქირაობდა და რვა კილო მარცვალს იხდიდა სულზე.

საქართველოს ყველა კუთხეში და განსაკუთრებით მის მთიანეთში, სადაც მკაცრი ზამთარი იცის, საზამთრო მარაგი შემოდგომას იფქვებოდა. სვანეთში, მაგალითად, საზამთრო მარაგის დაფქვა „წიფობის თვიდან გიორგობის თვემდე“ გრძელდებოდა. ჯერ დაიფქვებოდა პური და ქერი, შემდეგ სიმინდი. იანვრიდან თებერვლის ბოლომდე აქ წისკვილები საერთოდ გაუქმებული იყო.

საქართველოს მაღალმთიან რაიონებში, სადაც პატარა ბუჭულა წისკვილებია, რომელიც დღე-ღამეში ორ-სამ ფუთ ხორბალს ფქვავს და რომლებიც

\*9. ატლასი. მიმინდერეობა



რუკა № 21. ფულის წისკვილის ტიპები (XIX ს. II ნახ.)

1. ღარის (ჰორიზონტალურბორბლიანი), 2. კოდის (ჰორიზონტალურბორბლიანი), 3. ჩარსის (ვერტიკალურბორბლიანი)



უმთავრესად უმეთვალყუროდ მუშაობენ, თვითონ საფქვავის პატრონები ფქვავენ. მეწისქვილის დაქირავება არ იცოდნენ. მეწისქვილის გარეშე ფქვავდნენ ბარშიც საკუთარ პატარა წისქვილებში, მაგრამ დიდ წისქვილებში, სადაც წისქვილის უმეთვალყურედ დატოვება არ შეიძლება, მეწისქვილეს ქირაობდნენ. წისქვილები, რომლებიც ბარის რაიონებში შემოსავლის მიზნით ფეოდალთა და ვაჭართა მიერ იყო აგებული, მეწისქვილის გარეშე არ მუშაობდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები, რომელთაც დაფქვაზე დაწესებული არ ჰქონდათ გამოსაღები, ბარის წისქვილებს მინდის წისქვილებს ეძახოდნენ. ბარში, სადაც მეწისქვილე დაფქვის პროცესს უძღვებოდა, დაწესებული იყო გარკვეული გადასახადი. მეწისქვილის ერთ მთავარ დანიშნულებას მესაფქვავისაგან მინდის აღება შეადგენდა, მასვე ევალებოდა ქვების მოკოდვა, არხის გაწმენდა და სხვა წვრილმანი საქმეები. მეწისქვილეს გარკვეული ანაზღაურება ჰქონდა წისქვილის პატრონისა და მოჯერებისაგან. იჯარას იგი არ იხდიდა, ეძლეოდა შემოსავლის (მინდის) მესამედი. საქართველოს ცალკეულ კუთხეებში მინდისათვის სხვადასხვა საწყაო ჭურჭელი იყო დაწესებული, რომლითაც მეწისქვილეები მინდის გარკვეულ რაოდენობას იღებდნენ. მაგალითად, ქიზიყში სხვადასხვა მინდი უნდა გადაეხადათ სხვადასხვა მარცვლეულზე; ხორბალზე 15 წილი დამფქვავისა იყო, მეთექვსმეტედი კი მეწისქვილეს ეკუთვნოდა. სიმინდსა, ქერსა და ფეტვზე კი მერვედს იღებდა. იმერეთში მეწისქვილეს ეძლეოდა მეხუთედი — ფოხალზე 1 ჯამი, რაჭაში ბათმანზე 1 გირვანქა, სამეგრელოსა და ლეჩხუმში ერთ ქილაზე (ფუთიანი ხის საწყაო) 1 კაყი, მესხეთ-ჯავახეთში კოდიდან ერთი მეოცედი და ა. შ. მინდს სამინდე ჭურჭელში ყრიდნენ, რასაც შემდეგ წისქვილის პატრონები და მეწისქვილე ინაწილებდნენ. სვანეთში ზაფხულის პერიოდში, როცა საფქვავე ცოტა რაოდენობით იფქვებოდა, მინდს არ იხდიან. ზამთრის მარაგის დაფქვის დროს კი წისქვილის პატრონი ფუთზე 1 ფოხალს იღებდა.

წისქვილების რიცხვი საქართველოს ცალკეულ რაიონებში XX საუკუნის ოცდაათიანი წლებისათვის შემცირდა, რაც გამოიწვია ბარის რაიონებში წისქვილთა ელექტროენერგიაზე გადასვლამ (რუკა 21). ამასთან, ფქვილის ადგილზე შეზიდვამ შეამცირა და ზოგან სავსებით ამოაგდო ხვნა-თესვა გლეხის მეურნეობიდან. წყლის წისქვილების სიმცირე დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ დაბლობ რაიონში, სადაც სიმინდის კულტურა იყო გაბატონებული, გამოწვეული იყო ხელწისქვილების არსებობით, რაზედაც ოჯახი სიმინდის საჭირო რაოდენობას სახელდახელოდ ფქვავდა\*.

\* სტატია ძირითადად დაწერილია ს. ბედუქიძის ნაშრომის მიხედვით: „წყლით მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში“. გარდა ამისა, გამოყენებულია:

შინამრეწველობისა და წვრილხელოსნური წარმოების მასალები, მერწყველეობა და მეწისქვილეობა, შეკრებილი 1935 წ. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით.

ჯ. რუხაძის სოფელ აკურაში შეკრებილი მასალები, 1961.

მისივე იმერეთსა და გურიაში შეკრებილი სავსე ეთნოგრაფიული მასალები.

ლ. ბერიაშვილის მესხეთ-ჯავახეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა.

ნ. აბესაძის 1975 წ. კახეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა,

გ. კობალეიშვილის მესხეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები.

გ. ზედგინიძის მასალები — „წისქვილი და მისი ნაწილები“ (მესხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები).

თ. ოჩიაურის მიერ მეწისქვილეებზე შეკრებილი მასალები ფშავ-ხევსურეთში, ქვემო და შიდა ქართლში 1975—1981 წწ.,

გ. ჯალაბაძის მიერ თუშეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები, 1966.

ლიტერატურა



- I. ს. ბედუქიძე, წყლთ მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, თბ., 1961.
- II. გ. ჩიტაია, ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში, საქ. სახ. მეზემის მოამბე, XII, 1944.
- III. ილ. ალხაზიშვილი, ჯავახეთი, ივერია, 1893, № 233.
- IV. Рача, СМОМПК, т. XIII, 1892, с. 20.
- V. Сванетия, Зап. Кавк. Общ. сельского хозяйства, 1868.



ნ. აბისაძე, ჯ. რუხაძე

### მარცვლეულის საწყაოები

ქართველ ხალხს ძველთაგანვე ჰქონდა შემუშავებული ზომა-წონის გარკვეული სისტემა. ამ სისტემაში შემავალი მკვრივი მასალისა და მარცვლეულისათვის განკუთვნილ საზომს საწონი, თხევადი მასის საზომს საწყაო, ხოლო სივრცის საზომ ერთეულს კი გასაზომი ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი კი სამივე დარგის ერთეულების აღსანიშნავ საზოგადო ტერმინად იხმარებოდა. ამავე დროს სითხისა და მარცვლეულის საზომს ერთი სახელი საწყაო ვი ჰქონდა (I, 61).

წერილობითი წყაროები და ეთნოგრაფიული მასალები მოწმობს, რომ საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორია საზომების მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. გარდა საყოველთაოდ გავრცელებული და მიღებული საზომებისა, როგორცაა ლიტრა, კოკა, კოდი და სხვ., ცალკეულ კუთხეებში გამოიყენებოდა მხოლოდ ამ მხარისათვის დამახასიათებელი საზომები: გორო — ლეჩხუმში, გვერდი, გუდა სამეგრელოში და სხვ. ამ საზომთა უდიდესი ნაწილი აღმოცენდა ადგილობრივ ნიადაგზე და დაკავშირებული იყო ქართველი ხალხის მატერიალურ ყოფასთან (II, 5). საწონ-საზომთა სიმრავლე და მათი ლოკალური ვარიანტები ფეოდალურ დაქსაქსულობის პირობებში არ იძლეოდა საქართველოში საწყაოთა უნიფიკაციის შესაძლებლობას (II, 79).

საწყაოთა ასეთი მრავალფეროვნების შემთხვევაში საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში მათი ასახვის მიზნით შეირჩა ლიტრის წონით ოდენობაზე დამყარებული საწყაოთა აღრიცხვის პრინციპი, როგორც ქართული წონითი სისტემისათვის მაინც ყველაზე ტიპური და უნიფიცირებული. ამ პრინციპის საფუძველზე აღმოსავლეთ საქართველოს საწყაოები წარმოსდგა ასეთი თანმიმდევრობით: ლიტრა, ჩანახი, პინა, ორიანი, სამიანი, ფოხალი, კოდი, ხოლო დასავლეთ საქართველოს კი ასეთი თანმიმდევრობით: კოთხო, ბათმანი, ქილა, გორო, კვიდოლი (III, 3, 10).

აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია მარცვლეული კულტურების ხის შემდეგი საწყაო ჭურჭელი: ლიტრა, პინა, ჩანახი, ორიანი, სამიანი, ფოხალი, ჩხუტი, გვერდი, ნასამალი, რუბი, კოდი და სხვა (IV, 287), რომელთა ძირითად საზომ ერთეულს ლიტრა წარმოადგენდა, ეს საწყაოები სხვადასხვა ადგილას განსხვავებული იყო სიდიდის მიხედვით. განსხვავებული იყო თვით ლიტრის ოდენობა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

აღმოსავლეთ საქართველოს საწყაოები შემდეგი წონითი ოდენობისაა. თბილისისა და მცხეთის რაიონებში ლიტრა 10 გირვანქას, ხოლო კოდი 10 ლიტრას (40 კგ.) შეადგენდა; თელავის რაიონში ლიტრა 12 $\frac{1}{2}$  გირვანქას უდ-

ნ. აბესაძე, ჯ. რუხაძე

## მარცვლეულის საწყაოები

ქართველ ხალხს ძველთაგანვე ჰქონდა შემუშავებული ზომა-წონის გარკვეული სისტემა. ამ სისტემაში შემავალი მკვრივი მასალისა და მარცვლეულისათვის განკუთვნილ საზომს საწონი, თხევადი მასის საზომს საწყაო, ხოლო სივრცის საზომ ერთეულს კი გასაზომი ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი კი სამივე დარგის ერთეულების აღსანიშნავ საზოგადო ტერმინად იხმარებოდა. ამავე დროს სითხისა და მარცვლეულის საზომს ერთი სახელი ს ა რ წ ყ ა ვ ი ჰქონდა (I, 61).

წერილობითი წყაროები და ეთნოგრაფიული მასალები მოწმობს, რომ საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორია საზომების მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. გარდა საყოველთაოდ გავრცელებული და მიღებული საზომებისა, როგორცაა ლიტრა, კოკა, კოდი და სხვ., ცალკეულ კუთხეებში გამოიყენებოდა მხოლოდ ამ მხარისათვის დამახასიათებელი საზომები: გორო — ლეჩხუმში, გვერდი, გუდა სამეგრელოში და სხვ. ამ საზომთა უდიდესი ნაწილი აღმოცენდა ადგილობრივ ნიადაგზე და დაკავშირებული იყო ქართველი ხალხის მატერიალურ ყოფასთან (II, 5). საწონ-საზომთა სიმრავლე და მათი ლოკალური ვარიანტები ფეოდალურ დაქსაქსულობის პირობებში არ იძლეოდა საქართველოში საწყაოთა უნიფიკაციის შესაძლებლობას (II, 79).

საწყაოთა ასეთი მრავალფეროვნების შემთხვევაში საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში მათი ასახვის მიზნით შეირჩა ლიტრის წონით ოდენობაზე დამყარებული საწყაოთა აღრიცხვის პრინციპი, როგორც ქართული წონითი სისტემისათვის მაინც ყველაზე ტიპური და უნიფიცირებული. ამ პრინციპის საფუძველზე აღმოსავლეთ საქართველოს საწყაოები წარმოსდგა ასეთი თანმიმდევრობით: ლ ი ტ რ ა, ჩ ა ნ ა ხ ი, პ ი ნ ა, ო რ ი ა ნ ი, ს ა მ ი ა ნ ი, ფ ო ხ ა ლ ი, კ ო დ ი, ხოლო დასავლეთ საქართველოს კი ასეთი თანმიმდევრობით: კ ო თ ხ ო, ბ ა თ მ ა ნ ი, ქ ი ლ ა, გ ო რ ო, კ ვ ი დ ო ლ ი (III, 3, 10).

აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია მარცვლეული კულტურების ხის შემდეგი საწყაო ჭურჭელი: ლ ი ტ რ ა, პ ი ნ ა, ჩ ა ნ ა ხ ი, ო რ ი ა ნ ი, ს ა მ ი ა ნ ი, ფ ო ხ ა ლ ი, ჩ ხ უ ტ ი, გ ვ ე რ დ ი, ნ ა ს ა მ ა ლ ი, რ უ ბ ი, კ ო დ ი და სხვა (IV, 287), რომელთა ძირითად საზომ ერთეულს ლიტრა წარმოადგენდა, ეს საწყაოები სხვადასხვა ადგილას განსხვავებული იყო სიდიდის მიხედვით. განსხვავებული იყო თვით ლიტრის ოდენობა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

აღმოსავლეთ საქართველოს საწყაოები შემდეგი წონითი ოდენობისაა. თბილისისა და მცხეთის რაიონებში ლიტრა 10 გირვანქას, ხოლო კოდი 10 ლიტრას (40 კგ.) შეადგენდა; თელავის რაიონში ლიტრა 12<sup>1</sup>/<sub>2</sub> გირვანქას უდ-



რიდა, კოდი 10 ლიტრას, 52 კგ.-ს. ამასთანავე თბილისის, მცხეთისა და ფელაის რაიონებში საწყაოდ მიღებული ყოფილა აგრეთვე ფოხალი, რომელიც 5 ლიტრას იტევდა და ნახევარ კოდს უდრიდა.


საყურადღებოა, რომ წილკანში და მის მეზობელ სოფლებში საწყაოდ დამოწმებულია სამიანი, რომელშიც სამი ლიტრა ჩადის; აქაური კოდი სამ ფუტს (48 კგ.) უდრის. მასში ოთხი სამიანი ( $4 \times 12 = 48$  კგ.) ჩადის, გორის, კასპის, ცხინვალის რაიონებში საწყაოდ გავრცელებულია ჩანახი, რომელშიც ჩვეულებრივად ორი ლიტრა (8 კგ) ჩადის. აქაური კოდი ოთხფუტიანია (64 კგ), კოდში ანგარიშობენ 8 ჩანახს ანუ 16 ლიტრას (8 კგ.  $\times 8 = 64$  კგ).

დუშეთის რაიონში გავრცელებულია საწყაო პინა, ანუ ორიანი. პინაში ჩადის ორი ლიტრა (8 კგ.). ექვსი პინა ერთი კოდია ( $6 \times 8 = 48$  კგ.).

ფშავეში გავრცელებულია კოდი და ლიტრა. აქაური კოდი ათლიტრიანია, ხოლო ლიტრში 12 გირვანქა (4, 800 გრ.). თუშეთში მარცვლეულის საწყაოდ იხმარება კოდი, რომელიც 10 ლიტრას უდრის. ამაზე მცირე საწყაოა კაბიწი ანუ ლიტრა. აქაური ლიტრა 12 გირვანქას (4, 800 გრ) უდრის. ასევე ხევსურეთში საწყაოდ გავრცელებულია კოდი და ლიტრა. ხევსურული კოდი 12 ლიტრიანია. ერთი ლიტრა ანუ ნასამალი, როგორც მას არხოტში უწოდებენ, 10 გირვანქას უდრის (4 კგ.). სამხრეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მარცვლეულის საწყაოდ დადასტურებულია რუბი, კოდი და სომორი. კოდის მეოთხედს რუბი ეწოდება. რუბში 10 გირვანქა ჩადის და 4 კგ. იწონის. აქაური კოდი ერთი ფუტია, სომორში — 16 ფუტია. ამგვარად 16 კოდი ერთ სომორს უდრის (IV, 288). სომორი უფრო საანგარიშო ერთეული უნდა იყოს, ვიდრე დამოუკიდებელი საწყაო.

შინამრეწველობის (1935—37 წწ.) მასალებით ქართლის ლიტრა 10 გირვანქას (4 კგ), ხოლო ვახეთის ლიტრა 13 გირვანქას (5, 200 გრ) შეადგენდა.

როგორც ვხედავთ, ყველა ამ საწყაოს ძირითად საანგარიშო ერთეულად აღებულია ლიტრა, რომლის (სურ. 9) წონითი ოდენობა ადგილის მიხედვით



სურ. 9. ლიტრა (ბორჯომის ხეობა).

სხვადასხვაა. საერთოდ ხმარებაში იყო უმთავრესად 10 გირვანქიანი ლიტრა, რომელშიც წონით 4 კგ მარცვლეული ჩადიოდა. ამის მიხედვით იანგარიშე-



ზოდა საწყაოები — ჩანახი, პინა, ფოხალი და კოდი. მაგრამ ლიტრობით მარცვლეულის აწყვის დროს ანგარიში ეწეოდა თვით პურეულ ტურებსაც. ვინაიდან ლიტრა მოცულობის საზომია, ამ შემთხვევაში განსაზღვრელია ლიტრაში მოთავსებული მასის კუთრი წონა. ამდენად, სხვადასხვა წონა აქვს ერთ ლიტრა ხორბალს, ქერსა და სიმინდს. მაგ., თელავის რაიონში ლიტრა ქერი, მთხრობელთა ანგარიშით, 10 გირვანქას შეადგენდა, ხორბალი — 12<sup>1</sup>/<sub>2</sub> გირვანქას, ხოლო სიმინდი 13, 13<sup>1</sup>/<sub>2</sub> გირვანქას. ამავე დროს ყურადღებას იქცევდა ისიც, თუ დარწყვის დროს ერთიდაიგივე ლიტრა როგორ იყო გაგებული — „თავშებმული იყო ლიტრა, თუ პირგადასმული (სილაზე სავსე ლიტრა)“. თავშებმული იმას ნიშნავს, რომ ლიტრაში იმდენი მარცვლი ყრია, რამდენსაც იგი დაიტევს, თავს შეიდგამს, ხოლო პირზე სავსე ლიტრა ნაპირზეა გადასწორებული (VI, 70). ამდენად, საწყაოს აწყვის ეს ორი სახეობა სხვადასხვა წონით ოდენობას შეესაბამება; პირველი მეტია წონით მეორეზე (VI, 71).

ცნობილი და დადგენილია ლიტრის სიდიდეც საუკუნეთა მანძილზე. ქართულ წყაროებში ტერმინი ლიტრა საზომად პირველად XI ს. ადიშის ოთხთავში (იოანე 19<sup>38</sup>, 12<sup>3</sup>) ჩანს. საქართველოში ხმარებული თავდაპირველი ბიზანტიური ლიტრა 397, 45 გ. შეადგენდა (II, 49), ხოლო XVIII ს. ის უკვე 3,4 კგ-მდე იყო გაზრდილი (II, 58).

XIX—XX ს მანძილზე ლიტრა მეტ-ნაკლებად იზრდება, მაგრამ მისი წონითი ოდენობის ზედა საზღვარი მაინც იშვიათად აღემატება 4—5-კგ. ს, ეს პერიოდი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ის ატლასისათვის განკუთვნილ ქრონოლოგიურ ჩარჩოს მოიცავს. ამ მხრივ ჩვენ მოგვეპოვება სარწმუნო დათარიღებული სტატისტიკური მასალა კავკასიის კალენდრის მონაცემების სახით საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის სამივე პერიოდისათვის (XIX ს. I ნახევარი, XIX ს. II ნახევარი და XX ს. 30-იანი წლები) (რუკა 22, 23, 24).

ამ ცხრილების მიხედვით ლიტრა კავკასიის კალენდრის 1846, 1847, 1852 წლების ცნობებით თბილისის, გორის, თელავის, სიღნაღის, ბორჩალოს მაზრებში შეადგენდა 9 რუსულ გირვანქას, ე. ი. (409, 5 X 9) დაახლოებით 3,7 კგ-ს.

XIX ს. II ნახევრისათვის (კავკასიის კალენდარი 1869, 1880, 1888, 1895 წლების) ლიტრა თბილისისა და ბორჩალოს მაზრებში შეადგენდა 9 რუსულ გირვანქას (3,7 კგ-ს), სიღნაღის მაზრაში — 7 რუსულ გირვანქას, 88 რუსულ მისხალს და 72 რუსულ დოლიას (დაახლ. 3,5 კგ-ს), თელავის მაზრაში 11—12 რუსულ გირვანქას (დაახლ. 4—5 კგ-ს), თიანეთის მაზრაში — 12 რუსულ გირვანქას (დაახლ. 5 კგ-ს), დუშეთის მაზრაში — 8 რუსულ გირვანქას (დაახლ. 3,2 კგ-ს) (ტაბ XV,3).

XX ს. I ნახევრისათვის (კავკასიის კალენდარი, 1904, 1905, 1913—1914 წწ.) ლიტრა თბილისის მაზრაში შეადგენდა 9 გირვანქას, თელავისა და თიანეთის მაზრებში — 12 გირვანქას, დუშეთის მაზრაში 8 გირვანქას, სიღნაღის მაზრაში — 13 გირვანქას.

ზემოაღნიშნული ცნობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ლიტრა საშუალოდ 10 გირვანქას შეიცავდა. მთხრობელთა ცნობით, უმთავრესად ხმარებაში იყო 20 სტილის (VII, 61, 99, 285, 29) შემცველი ლიტრა. სტილში 4 კვერცხის წონას ანგარიშობდნენ, 20 სტილის შემცველი ლიტრა კი დაახლოებით 80 კვერცხის წონას შეესაბამებოდა, თუ კი





რუბა № 22. მარცვლეთის სარეაონის სხემი (XIX ს. I ნახ.)

1. ლტრა, 2. რუბი, 3. ჩანაზი, 4. პინა, 5. ფოხალი/მათმანი, 6. კოდი, 7. კოთხო, 8. ქილა, 9. გორო, 10. კეღლოლი  
 11. ბათმანი. I. იმერეთის სამეფო: 1. ვაისის სასარდლო, 2. ოკრიბის სასარდლო, 3. ზემო მზრის სასარდლო, II აფხაზეთის სამეფო:  
 1. ზღვისპირა გიქეთი, 2. აფხაზეთი, 3. ბზიფის აფხაზეთი, 4. გუმა, 5. დალ-წებელდა, 6. აბეუა; III სამურზაყანო,  
 IV ოდიშის სამთავრო; 1. ზუგდიდის სასარდლო, 2. სენაკის სასარდლო 3. ლეჩხუმ-ლენტიხის სასარდლო, V. გურიის სამთავრო:  
 1. ოჭურგეთის სასარდლო, 2. ნავომრის სასარდლო, VI სადადემქელიანო სვანეთი, VII სვანეთი, VIII ჩილდირის ელიაეთი, მზრებნი: I. ლორეს, 2. გორის, 3. დუმეთი, 4. თელავის, 5. სიღნაღის

კვერცხი საშუალოდ 50 გ. აიწონიდა. მაშასადამე, 20 სტილის შემცველი ლიტრის წონითი ოდენობა მარცვლეულისათვის 4 კგ-ით განისაზღვრებოდა.

ლიტრის წონითი ოდენობის დადგენის შედეგად კოდისა და ფოხალის ტევადობის განსაზღვრაც ადვილდება, ვინაიდან ლიტრა ქართულ წონით სისტემაში ძირითად ერთეულს შეადგენდა.

ტერმინი ჩ ა ნ ა ხ ი თურქულია და აღნიშნავს ჭურჭელს, კალათს. მაგრამ საზომი ქართულ ნიადაგზეა შექმნილი (II, 89). თავდაპირველად ჩანახი იხსენიება XVI ს. მეორე ნახევარში. ფართოდ გავრცელებული ჩანს ეს საწყაო ქართლში მხოლოდ XVIII ს-ში (II, 123).

ჩანახის განსაზღვრის რეალური შესაძლებლობა XIX ს-მდე არა გვაქვს. XIX—XX სს. მასალებით ქართლში ორგვარი ჩანახი ყოფილა გავრცელებული: დიდი — 8 კგ-იანი, გორის მაზრაში კი პატარა — 9—10 გირვანქიანი, საშუალოდ 4 კგ-იანი—თბილისის მაზრაში. ეს უკანასკნელია ე. წ. ჩ ა ნ ა ხ ი - ლ ი ტ რ ა , რომელიც კოდის 1/8-ს შეადგენდა. ჩანახის გავრცელების არეალი შიდა ქართლზე მოდის — თბილისი, წილკანი, გორი, ხაშური, ცხინვალი.

ტერმინი პ ი ნ ა , ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბერძნულია და აღნიშნავს თეფშს (I, 80). ასევე ფიქრობს ს. კაკაბაძეც (VIII, 77). მაგრამ, როგორც საზომი, პინა მხოლოდ საქართველოში გვხვდება (II, 109).

პინა (ტაბ XV, 4) მარცვლეულის საწყაოდ ჩანს XVI ს. II ნახევრიდან ჯერ იმერეთში, მერე კი XVII ს-დან ქართლშიც. XVIII ს. II ნახევარში პინა აღმოსავლეთ საქართველოში ორ ლიტრას, ე. ი. 6,8 კგ. შეადგენდა (II, 109). XIX ს. I ნახევარში, დუშეთის მაზრაში, პინა ასევე 2 ლიტრიანი საწყაო იყო. აქ პინას ორიანს უწოდებენ. XIX ს. II ნახევარშიც (კავკასიის კალენდარი 1869, 1870) დუშეთის მაზრაში პინა 2 ლიტრის ტევადობისაა.

საწყაო ფოხალს გავრცელების ფართო არეალი ჰქონდა. ის დასტურდება იმერეთში უკვე XVI ს. ბოლოს ლომის საწყაოდ (II, 120). XVIII ს. წერილობითი წყაროების მიხედვით ფოხალი მარცვლეულის საწყაოდ გამოიყენება აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ ქართლში (II, 120).

„დასტურლამალის“ ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა ფოხალის სიდიდე 5 ლიტრით, ე. ი. 15 კგ-ით განსაზღვრა, რაც კარგად უდგება საბას განმარტებას, რომ ქილაკი — ფოხალი უდრიდა 10 ლიტრიანი კოდის ნახევარს. მაგრამ დასავლეთ საქართველოში ამ საწყაოს უფრო მცირე ტევადობა ჰქონდა (II, 121), მაგ. XVIII ს. ფოხალის წონითი ოდენობა იმერეთში შეიძლება საშუალოდ 7,5 კგ-ით განისაზღვროს (II, 121).

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ ფოხალის გავრცელების არეებია—შიდა ქართლი — თბილისი, მცხეთა, კასპი, მეტეხი; კახეთში — თელავისა და ყვარლის რაიონები. აღნიშნულ კუთხეებში მისი ტევადობა XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ეთნოგრაფიული მონაცემებით და კავკასიის კალენდრის ჩვენებით ნახევარ კოდს, 5 ლიტრას ან ოთხ ჩანახს შეადგენდა.

საწყაო კოდი (სურ. 10, ტაბ. XV, 1), როგორც მარცვლეულის საზომი, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული.

კოდი საზომთა შორის ძველ საბუთებში არ იხსენიება. ეს ტერმინი მხოლოდ XVI ს. ჩნდება დასავლეთ საქართველოს სიგელ-გუჯრებსა და დავთრებში პურეულის საზომად, ხოლო XVII—XVIII ს. ს. აღმოსავლეთ საქართველოში პურისა და მარცვლეულისათვის ერთადერთი ჩვეულებრივი მოზრდილი საზომია და იხსენიება ყველგან (I, 78, 79), XVIII ს. II ნახევარში ის 34 კგ-იან საწყაოდ ჩანს (II, 99).






ქართლში კოდი XIX ს. 50-იანი წლებისათვის 37 კგ.-ს იწონიდა; კახეთში, თელავის მაზრაში — 50 კგ.-ს, სიღნაღის მაზრაში — 33 კგ.-ს, ახალციხეში 1 ფუტს, 16 კგ.-ს (ტაბ. XV, 2).

XIX ს. II ნახევარში კავკასიის კალენდრით (1869, 1870 1889 წ. წ.) კოდი გორისა და კასპის მაზრებში 8 ჩანახი — 4 ფუტი, 64 კგ.-ია; ბორჩალოს მაზრაში 10 ჩანახი — 80 კგ; ახალციხეში — 16 კგ., თელავში 20 ლიტრა (12 გირვანქა X 10) — 48 კგ. სიღნაღში — 10 ლ. (13 გირვ. X 10) — 52 კგ. დუშეთის მაზრაში პინა (8 კგ. X6)—48კგ, ქართლში (თბილისი, მცხეთა, სურამი, ბორჯომი) — 10 ლ. — 40 კგ., მთიულეთში — 3 ფუტი, 48 კგ., ქვემო ქართლში — 8 ჩანახი — 64 კგ., ზემო ქართლში — 10 ჩანახი — 80 კგ.

XX ს. 30-იან წლებში კავკასიის კალენდრით (1901, 1903, 1905, 1908, 1910, 1914 წ. წ.) ქართლში კოდი უდრის 2 $\frac{1}{2}$  — 3 ფუტს, დუშეთში — 8 პინას — 48 კგ., სიღნაღის, თელავის, თიანეთის, თბილისის მაზრებში — 3 ფუტს — 48 კგ.-ს.



სურ 10. კოდი (საწყაო), ბოლნისის რ-ნი, სოფ. დიდი გომარეთი. საქ. სახ. მუზეუმი

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეს, აქ საწყაოთა უამრავი ლოკალური ვარიანტი დასტურდება, თუმცა ძირითად საწყაო ერთეულებს მაინც კოთხო, ბათმანი, ქილა/გორო და კვილოლა შეადგენდა.

საჭურჭლე ხეს საწყაოებისათვის წინასწარ შეარჩევდნენ, გაშრობდნენ და დახერხავდნენ, მორის ტანს წალდითა და ცულით გაასუფთავებდნენ, გულს სატეხით ამოსჭრიდნენ, რომელზედაც ხვედას ურტყამდნენ, შემდეგ კი „ჩხუტიითა“ და სხვადასხვა სახის ხვეწით ამოასუფთავებდნენ, წყალში დაალობდნენ, გაუღენთავდნენ და ძირს ჩაუდგამდნენ. ძირჩადგმულ ჭურჭელს, ზოგჯერ, სალტეებს შემოუჭერდნენ. სალტეები ხის ან რკინისა კეთდებოდა. ასე დამზადებულ ჭურჭელს კვლავ წყალში ჩადგამდნენ, რომ გამაგრებულიყო და წყლით გაუღენთილიყო. სიმაგრის მინიჭების მიზნით მიმართავდნენ ამ ჭურჭლის გახიზვასაც. ხიზს ასე ამზადებდნენ: გაცრილ ნაცარს ძროხის ან თხის ადუღებულ ქონში აურევდნენ და კვლავ ცეცხლზე წამოადუღებდნენ. შემდეგ ცხელ ხიზს ჯოხზე დახვეული ნაჭრით საწყაოებს ძირზე წაუსვამდნენ.





რუბა № 24. მარცვლულუს საზუაოთუს სხეიმი (XX ს. 30-იანი წწ.)

1. ლიტრა, 2. რუბი, 3. ჩანახი, 4. პინა, 5. ფოხლი, 6. კოდი, 7. კოთხო, 8. ქოლა, 9. გოხო, კვდოლი, 11. ბოთხი.

ხიზი გაცივების შემდეგ მაგრდება და ჭურჭლის ზედაპირიც მთლიან სახეს იღებს.

ასე დამზადებულ საწყაო ჭურჭელს ესაჭიროებოდა გამოწყვა სწორი და შემოწმებული საწყაოთი. მას ამოწმებდა სოფლის მამასახლისი ბეჭდის დასმით. შემოწმებული საწყაო მოქმედებდა სოფელში ალებ-მიცემობის, გადასახადის აკრეფისა და სხვა საჭიროებისათვის. საწყაოს შემოწმების შემდეგ ნიშნის დადება მიღებული იყო ყურის ძირზე ან საწყაოს ფსკერზე. სანიშნე ადგილს ამოჭრიდნენ და დალუქავდნენ (IV, 285, 286).

დასავლეთ საქართველოში საჭურჭლე მასალად იხმარებოდა ხის ქერქი, მორი, წნელი ან ტეჩი. ყველაზე გავრცელებულ მასალას ხის მორი შეადგენდა. ფულუროიან ხეს ძველ მთვარეზე მოჭრიდნენ, დახერხავდნენ, ან ნაჯახით ზომავზე დამორავდნენ. გულს წკეპარით გამოიღებდნენ და ძირს ჩაუდგამდნენ. თვით საწყაო ნედლი ხისაგან მზადდებოდა, ძირი კი — ხმელისაგან. საჭურჭლე მასალის განმობის შედეგად ხმელი ძირი მასში მჭიდროდ ჩამაგრდებოდა. საწყაოს გარშემო ხის სალტე ჰქონდა, ზოგს კი სალტეს ქვემოთ ტარი.

დასავლეთ საქართველოს საწყაოთა შორის შედარებით მცირე ერთეულს კოთხო შეადგენდა. იგი დასტურდება ქვ. იმერეთს, გურიასა და სამეგრელოში ღომის, სიმინდისა და პარკოსნების საწყაოდ. კოთხო ფუთის 1/4-ს შეადგენდა და 4 კგ. იწონიდა. კოთხო 1800 წ. კაცია წულუკიძის მიერ მამუკა რუხაძისადმი მიცემულ „წყალობის წიგნში“ იხსენიება ღომის საწყაოდ (IX, 286). ი. ყიფშიძის აღნიშვნით, ის წარმოადგენდა სხვადასხვა ტევადობის ხის საწყაოს, რომელიც, ჩვეულებრივ, ფუთის 1/4 შეადგენდა (XI).

კავკასიის კალენდრის 1901, 1904 წ. მონაცემებით კოთხი სამეგრელოში 10 გირვანქას — 4 კგ. უდრიდა. გურიაში კოთხოს პარალელურად ოკას//საოკიასაც ხმარობდნენ. კოთხო ტევადობით აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი ლიტრის იდენტურად მოჩანს და ლიტრის მსგავსად ისიც სხვა საწყაოების გამოსაწყაოდ იხმარებოდა.

ბათმანი საქართველოში გავრცელებული ჩანს XVIII ს. გამოიყენებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში (1, 81).

ივ. ჯავახიშვილი და ს. კაკაბაძე საქართველოში ბათმანის დამკვიდრებას ოსმალეთის გავლენას უკავშირებენ, ხოლო გ. ჯაფარიძე ბათმანის შემოსვლას აღმოსავლეთ საქართველოში ირანის დამსახურებას მიაწერს (II, 69—70); ცნობას, ამ საწყაოს დასავლეთ საქართველოში არსებობის შესახებ, პირველად 1772 წ. გიულდენშტედტთან ვხვდებით, სადაც ის 9 ჩარექის ანუ 18 გირვანქის ტოლ ერთეულად იხსენიება (II, 69—70). მარცვლეულის საწყაოდ ბათმანი დასავლეთ საქართველოს 1801 წ. გუჯარში გვხვდება, სადაც ის პურის საზომადაა ნაგულისხმევი (1, 81).

ი. ყიფშიძის განმარტებით ბათმანი სხვადასხვა ტევადობის საწყაოა, რომელიც, ჩვეულებრივ, ნახევარ ფუთს შეადგენდა (X).

1846 წ. ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრებში ცნობილი იყო 6 ოყიანი ბათმანი (6 X 3 X 400) — 7200 გ. 1858 წ. ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრებში ბათმანი 19 გირვანქას უდრიდა, დაახლოებით (19 X 400) — 7600 გ-ს. 1880 წ. თელავისა და ოზურგეთის მაზრებში ხმარებაში არსებულა ისევ 6 ოყიანი ბათმანი. 1897 წ. რაჭა-ლეჩხუმში ბათმანი 20—21 გირვანქიანია (8 კგ.). საქართველოს კალენდარიც 20 გირვანქიანს ასახელებს ლეჩხუმურ ბათმანს (8 კგ.).



1902 წ. კავკასიის კალენდარი ქუთაისის, ოზურგეთის, ლეჩხუმისა და სენაკის მაზრისათვის 20 გირვანქიან ბათმანს მიუთითებს (8 კგ.), ხოლო შორაპნის მაზრისათვის — 21 გირვანქიანს (8, 400 გ).

ბათმანის წონითი ოდენობა 8—10 კგ. ფარგლებში მერყეობს. იგი იმერეთ-გურიაში ერთ-ერთი ძირითადი საწყაოა. რაჭა-ლეჩხუმშიც ბათმანის წონითი ოდენობა 8—10 კგ-ს შეადგენდა და რაჭულ ნაოთხალსა და ლეჩხუმურ ფოხალს შეესატყვისებოდა (XI, 179).

მამასაღამე, ბათმანი სხვადასხვა ტევადობის საწყაო იყო, რომლის ძირითადი წონა 20 გირვანქას (8 კგ-ს) უდრიდა. დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მას ოყობით ანგარიშობდნენ, ზოგან კი კოთხობითა და ლიტრობით.

ქილა. დასავლეთ საქართველოს ძეგლებში ქილა XVI ს. იხმარება როგორც ღომის საზომი (1, 80). ი. ყიფშიძის განმარტებით, ქილა 36—40 გირვანქიანი პურის საწყაოა (X).

კავკასიის კალენდრის მონაცემებით ქილა XIX ს. I ნახევარში ქუთაისისა და გურიის მაზრებში 12 ოყას შეადგენდა. XIX ს. II ნახევარში (კ. კ. 1859, 1870, 1880 წ. წ.) დასახელებულია ქილის იგივე წონითი ოდენობა — 12 ოყა ანუ 24 ლოლარიკი ანუ 48 ქსანი, დაახლ. — 15 კგ. ს. კაკაბაძის ცნობითაც, XIX ს. II ნახევარში ქილა გურიაში უდრიდა ორ ბათმანს (თითქმის 40 გირვანქას) — (X, 70) — (40X400— 16 კგ.). სამეგრელოში ე. წ. ძველებურ „შემოქედელ“ ქილაში 42 გირვანქა (16, 800 გ) სიმინდი ჩაღიოდა (XII, 94).

ქილა, ისევე როგორც ყველა საწყაო, ზუსტად დადგენილი არ ყოფილა. ეთნოგრაფიული მასალით მოწმდება ოთხკოთხიანი (4 X 4 კგ— 16 კგ. — 1 ფ), ექვსკოთხიანი (4 X 6 — 24 კგ. // 2 ფ) და თექვსმეტ ოყიანი (16 X 3 X 40 — 48 გირვანქა— 19, 2 კგ.) ქილის არსებობა.

ქილა უკავშირდება ლოკალურ წონით ერთეულებს. სადაც კოდი იყო გავრცელებული (რაჭა), იქის კოდის ნახევარს შეადგენდა, ბათმანობით კი ორ ბათმანს უდრიდა, ლეჩხუმში გოროს ნახევარს შეესატყვისებოდა (XI, 179).

გორო. საბას მიხედვით გორო თხიერი მასის საწყაოდ იხმარებოდა, ხოლო ლეჩხუმში იგი მარცვლეულის საზომიცაა. გორო ორი ფუთის ტევადობის საწყაოა. რაჭაში გოროს სანაცვლოდ კოდი იხმარება (XI, 177).

1892 წ. საქართველოს კალენდარში გორო 2 ფუთის (32 კგ.) ოდენობითაა განსაზღვრული. ლეჩხუმური გორო მერყეობს 1 ფუთსა და 32 გირვანქასა და 2 ფუთს შორის. ვლ. ჩაკვეტაძის ცნობითაც გორო 2 ფუთზე ცოტა მეტია (XI, 177).

კვიდოლა სვანეთში და რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული საწყაოა. კავკასიის კალენდარის ადგილობრივ საწყაოთა შესახებ არსებულ მონაცემებში ლეჩხუმში გავრცელებულ საწყაოთა შორის კვიდოლაც არის დასახელებული და იგი 2, 5 ფ. არის განსაზღვრული, რაც რაჭულ ლომკაცის კოდის შესატყვის საწყაოდ მოჩანს (XI, 278).

სვანეთში მარცვლეულის ძირითად საზომ ერთეულად კვიდოლია მიჩნეული, რომლის წონითი ოდენობის მიხედვით გამოითვლებოდა სხვა საწყაოებიც.

კვიდოლის ზომა სხვადასხვა თემში სხვადასხვა იყო. საწყაოს „ლაზმი კვიდოლი“ წარმოადგენდა, რომელიც სოფელში ერთ ოჯახში იყო შენახული. ამ ჯვარდასმული და შემოწმებული კვიდოლით ხდებოდა აღებ-მიცემა და ყიდვა-გაყიდვა.



ხოშაკვიდოლა 3 ფუთის ტევადობისა იყო და მიმოქცევაში არ მარებოდა. იგი ეცერის თემში დადგენილებს ჰქონდათ შენახული, რომელსაც გლეხებისაგან ნადელის მიღების დროს იყენებდნენ.

სვანური მასალით კვიდოლი თემების მიხედვით შემდეგი წონითი ოდენობისაა:

ლატალი		ნაკრა — 2 1/2 ფ.
ცხუმარი		მესტია
ეცერი	2 ფ.	მუყალი 3 ფ.
ლაშხეთი		მულახი
ქახუნდერი	2 ფ.	ჭუბერი
ჩოლური		ჩუბახევი
ბერი — 2ფ., 5 კგ.		უმგული — 3 — 4 ფ.

ასეთია მოკლედ საქართველოში გავრცელებული მარცვლეული კულტურების საწყაოთა წონითი სისტემა და მისი ისტორიულად ცვალებადობა.

საწყაოთა კარტოგრაფირებისას ტიპოლოგიის საფუძველად, როგორც დავინახეთ, აღებულია საწყაო ჭურჭლის ტევადობა. ამ ტიპოლოგიის საფუძველზე რუკაზე წარმოდგენილია საწყაოთა ასეთი კლასიფიკაცია — ლიტრა და მასზე დამყარებული წონითი სისტემა (ჩანახი, პინა, ფოხალი, კოდო) აღმოსავლეთ საქართველოში, კოთხო და მასზე დამყარებული წონითი სისტემა (ბათმანი, ქილა, გორო, კოდი, კვიდოლა) დასავლეთ საქართველოში. ამ ტიპოლოგიაში ცალკეა გამოყოფილი რუბი, როგორც ლიტრის წონითი სახეობა, რომელიც წონით ლიტრის იდენტურია, 10 გირვანქის ანუ 4 კგ-ის ტევადობისა, მაგრამ გვხვდება მხოლოდ სამხრეთ საქართველოში და მის საფუძველზე სწარმოებს აქ კოდის განსხვავებული განსაზღვრა: აქ ოთხი რუბი ერთი კოდია, 16 კგ.-ია, ერთი ფუთი; ლიტრის წონით ვარიანტს წარმოადგენს აგრეთვე დასავლეთ საქართველოში (ქვემო იმერეთი, გურია, სამეგრელო) გავრცელებული კოთხო. აქ მის საფუძველზე წარმოებს ქილის ტევადობის განსაზღვრა. ძირითადად ქილაში 4 კოთხო მარცვლეულს ანგარიშობენ, რაც 1 ფუთს ან 16 კგ-ს შეადგენს, თუმცა ცნობილია 6 კოთხოიანი (1 1/2 ფ.) ქილაც.

ასევე ცალკე სახეობად არის წარმოდგენილი ლიტრაზე დამყარებული მოზრდილი (ორლიტრიანი) წონითი ერთეული — საწყაო ჩანახი (8 კგ), რომელიც გარკვეულ კუთხეში (შიდა ქართლი) გვხვდება და მასზე დამყარებულ კოდის აღრიცხვაც განსხვავებულია. აქ 8 ჩანახია ერთი კოდი, 64 კგ. ანუ 4 ფუთი.

ამ პრინციპის საფუძველზე ცალკეა გამოყოფილი ორლიტრიანი (8 კგ) საწყაო პინაც, როგორც ჩანახის წონითი სახესხვაობა, რომელიც აგრეთვე გარკვეულ მიკრორაიონში (შიდა ქართლის მთიანეთი და მთიულეთი) გვხვდება და მასზე დამყარებული კოდის აღრიცხვაც ამ კუთხეში განსხვავებულია. აქ ექვსი პინა ერთი კოდი — 48 კგ, 3 ფუთი. უთუოდ ჩანახის წონით ვარიანტს შეადგენს დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, გურია) ხმარებული ბათმანი. აქ მასზე დამყარებული ქილის წონითი ოდენობის განსაზღვრა განსხვავებულია, ორი ბათმანი შეადგენს ერთ ქილას (2x8 კგ. = 16 კგ ან 1 ფ.).

რაც შეეხება საქართველოში გავრცელებულ ლიტრის წონით აღრიცხვაზე დამყარებულ შედარებით დიდი ტევადობის საწყაოებს, რუკაზე მათ შესატყვისად წარმოდგენილია ფოხალი (შიდა ქართლი — თბილისი, მცხეთა,





კასპი, მეტეხი, კახეთში — თელავისა და ყვარლის რაიონები, რაჭა-ლეჩხუმის რაიონი (ქუთაისი), ქილა (გურია, სამეგრელო, იმერეთი), კოდი (აღმოსავლეთი საქართველო, რაჭა) და მისი წონითი ვარიანტები გორო (ლეჩხუმი) და კვილოლა (რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი).

XIX ს. 40—60-იან წლებში პრაქტიკულმა საჭიროებამ მოითხოვა ქართულ საზომთა განსაზღვრა რუსულ საზომებთან შეფარდებისათვის. კავკასიის კალენდრის მონაცემი ამ ცხრილებზეა დამყარებული. ამ მასალის, რომელიც მოტანილია ტექსტში ცალკეულ საწყაოებთან დაკავშირებით, ანალიზი გვიჩვენებს, რომ საუკუნენახევრის (XIX ს. — XX ს. 30-იანი წლები) მანძილზე საქართველოს საწყაოთა დაყოფადობისა და ურთიერთმიმართების პრინციპი შედარებით უცვლელია, ხოლო საწყაოთა სიდიდე — სტაბილური. განსხვავება შეინიშნება ცალკეულ საწყაოთა წონით ოდენობას შორის ცალკე კუთხეების მიხედვით. მაგ., ქართლში ლიტრა 10 გირვანქიანია, კახეთში 12 1/2—13 გირვ. კოდი სამხრეთ საქართველოში ერთ ფუტს უდრის, რაჭაში 2 ფუტს, ქართლში 2 1/2 ფუტს, კახეთში 4 ფუტს. ფოხალი აღმ. საქართველოში ნახევარ კოდს უდრის, დას. საქართველოში ნახევარ ქილას და ა. შ. რაც შეეხება ამ საწყაოთა ყოფაში მიმოქცევის ცხოველუნარიანობას, უნდა ითქვას, რომ ისინი ხმარებაში იყო თვით XX ს. 30-იან წლებამდე, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ მოსპო მათი პრაქტიკული არსებობა. განსაკუთრებული გამძლეობა ლიტრამ და მასზე დამყარებულმა კოდის აღრიცხვის წონითმა სისტემამ შეინარჩუნა.

#### ლიტერატურა

I ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი III, ნაკვეთი VII, ქართული საფასსაზომთაშეცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, ტფილისი, 1925.

II გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1973.

III დაწერილებით საწყაოთა შესახებ იხ. ნ. აბესაძე, მარცვლეულის საწყაო საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ტ. XIX, 1978, გვ. 3; 2. ჯ. რუხაძე, მარცვლეულისათვის განკუთვნილი საზომ საწყაოები დასავლეთ საქართველოში, იქვე, გვ. 10.

IV. ჯ. სონღულაშვილი, მემინდვრეობასთან დაკავშირებული ხის საწყაოები აღმოსავლეთ საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, თბ., 1959

V ივლისხმება „მასალები შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის საქართველოში“, შეკრებილი ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით 1935—1937 წწ.

VI. გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული პარალელები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XV, 1979 წ.

VII მაგ. 1771 წ. ერეკლე II-ის საბუთში ნაბრძანებია, რომ პურის ჩაბარების დროს უნდა ეხმარათ ოცტილიანი ლიტრა და 10 ლიტრიანი კოდი, იხ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, თბ., 1956, აგრეთვე 1896 წ. სააღაპო წიგნი, სადაც კვლავ ოცტილიანი ლიტრა იხსენიება, იხ. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 99; შდრ. აგრეთვე ხევსურული მასალები ბესარიონ გაბულურის მიერ შეკრებილი, აკ. შანიძის რედაქციით და მის მიერ შედგენილი ლექსიკონით, სიტყვასთან „ლიტრა — ნახე „ლიტრა“ — ნახევარი ლიტრა — შეიცავს 4 ჩარქქას ანუ 20 სტილს; სტილი — 4 კვრცხს. წელაუდეულა, I—II, ტფილისი, 1923.

VIII ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, საისტორიო მოამბე, I—II, 1926 წ.

IX დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან II, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1953.

X. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, с хрестоматией и словарем, СПб., 1914 г., სიტყვასთან „ყოთხო“.

XI. ნ. ბრეგაძე, მთის მაწიანოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1959.

XII ნ. აბესაძე, მეაბრეწუმეობა საქართველოში, თბ., 1957.

## ИСТОРИКО-ЭТНОГРАФИЧЕСКИЙ АТЛАС ГРУЗИИ

### МАТЕРИАЛЫ

#### ПОЛЕВОДСТВО

##### Резюме

Предлагаемый вниманию выпуск «Полеводство» — продолжение серии материалов для историко-этнографического атласа Грузии. В первом выпуске («Историко-этнографический атлас Грузии. Материалы». Тбилиси. 1980, на груз. яз.) были представлены статьи по земледелию (в основном по полеводству, а также виноградарству и виноделию).

Настоящий выпуск посвящается изучению бытовых и культурно-исторических особенностей полеводства, сохранившихся в виде богатых традиций в материально-производственной практике грузинского народа. Установлены ареалы и интенсивность распространения отдельных элементов культуры. Выявлены закономерности соответствующих этнографических явлений, показана этнографическая действительность, ее прошлое и настоящее по соответствующим текстам, картам, таблицам и иллюстрациям.

В сборнике суммированы итоги активной деятельности человека в конкретных природно-хозяйственных условиях.

Выявление и изучение специфики полеводческого быта и культуры имеют не только узкое научно-познавательное значение, но также могут стать предметом научной пропаганды рациональных народных традиций и ее многовековых производственных достижений.

В предлагаемый выпуск вошла лишь часть вопросов, касающихся системы полеводства. Предусмотренные проспектом историко-этнографического атласа Грузии остальные статьи, связанные с полеводством, будут опубликованы в следующем выпуске Материалов («Полеводство»).

Основным источником Атласа является полевой этнографический материал, зафиксированный по отдельным микрорайонам. Материалы (полевые дневники, фото и другие иллюстрации) хранятся в секторе этнографии Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР и в отделе этнографии Государственного музея Грузии им. С. Н. Джанашиа АН Грузинской ССР. Наряду с полевыми материалами использованы музейные экспонаты, хранящиеся в Государственном музее Грузии им. С. Джанашиа, Музее грузинского народного зодчества и быта под открытым небом, краеведческих, союзных республик, а также зарубежных музеев.

Помимо вышеуказанного, использованы материалы специальной литературы и архивных рукописей на грузинском, русском, армянском и других (английском, немецком, французском и т. д.) языках. Число учетных карточек превышает десятки тысяч.



Хронологические рамки „Атласа“ охватывают период в полтора столетия (I—II пол. XIX в.—30-е гг. XX в.); материалов по II половине XIX столетия сравнительно мало; поэтому указанный период в Атласе представлен слабо (или вовсе отсутствует).

Сбор материала производился по специально составленному вопроснику, основанному на комплексно-интенсивном методе этнографического изучения (Г. С. Читая). (О принципе и методе составления атласа подробнее см. «Историко-этнографический атлас Грузии, Материалы, Тбилиси, 1980. Вступительная статья Г. С. Читая (на груз. яз.).

Настоящий выпуск составлен по принципу вышеуказанного «Атласа». Замечания и поправки, предложенные авторам, будут предусмотрены в дальнейшей работе при издании основного корпуса Историко-этнографического атласа Грузии; в будущем, с выявлением новых полевых и литературных сведений, безусловно будут внесены определенные изменения и дополнения.

В предлагаемой работе суммированы имеющиеся у нас результаты специальных исследований и сформулированы в виде нижеследующих статей:

1. **Почвы Грузии.** Богатым природно-экономическим условиям Грузии соответствует многообразный почвенный покров.

Глубокие эмпирические знания народа о свойствах почв (механический состав, способность оценки и определения качества, распределение культур по вертикальной зональности и др.) вырабатывались в течение веков.

По данным специальной литературы и этнографического материала в статье систематизированы народные эмпирические знания агропроизводственных свойств почв и представлена схема, в основу которой положен принцип классификации почв по 4 разным признакам:

- 1) по цвету (чернозем, красная, желтая, белая);
- 2) по механическому составу (каменистая, песчаная, болотистая, известковая, глинистая);
- 3) по вертикальной зональности и экспозиции (почвы прибрежных лесов, равнин, кособорья, солнечных и тенистых склонов);
- 4) по урожайности (урожайные, бесплодные и др.).

К статье прилагаются три карты: 1. Почвенный покров Грузии (по энциклопедии), 2. Народная классификация почв по цвету, 3. Народная классификация почв по основному признаку (№№ 1—3).

2. **Террасное земледелие.** Террасное земледелие — традиционная форма грузинской земледельческой культуры. Ее возникновение обусловлено глубокими народными знаниями освоения и защиты земельных ресурсов.

В этнографическом быту сохранились богатые материалы, по которым возможно установить формы хозяйственного применения террасовых участков под виноградарство — виноделие, садоводство, полеводство.

По принадлежности к различным вертикальным гео-климатическим зонам террасы делятся на два основных типа с соответствующими подвидами:

- 1) террасы с подпорными стенами — а) с каменными, б) с деревянными;
- 2) террасы без стенок — а) под виноградарство и садоводство, б) под полеводство («лареби»).

В зависимости от многообразия природных условий террасы в Восточной Грузии широко используются под орошаемые культуры, в



то время как в Западной Грузии, в зоне обильных осадков предохраняют почву от перенасыщения влагой.

В целом, террасное земледелие Грузии, возникшее на основе интенсивной культуры земледелия, является носителем общегрузинских традиций. В отдельных ее регионах оно представлено большим видовым разнообразием и характеризуется богатым комплексом мероприятий освоения и обработки земли.

На картах показано террасное земледелие соответственно вышеуказанной классификации по двум хронологическим периодам (№№ 4, 5).

**3. Посев.** В статье на основе данных специальной литературы, в зависимости от вертикальной зональности и сортов посевных культур, установлено два типа посева: весенний и озимый. Показаны: сроки весеннего и озимого посева, весенняя и озимая пахота, подбор почвы под посев, подбор семян, расход семян в соответствии с посевной площадью, процесс посева.

**4. Ярмо и бечевки.** Ярмо представляет собой деревянный брус длиной 120—230 см, толщиной 5×8 см, в которое впрягалась пара волов или буйволов.

Рельеф территории Грузии обусловил многообразие видов транспорта и пахотных орудий, соответственно и ярем.

В статье дается типология ярем, определен ареал их распространения, а также технология изготовления бечевки (карты №№ 6, 7, 8).

**5. Лен.** На основе классификации льна по принципу его производственной функции выделены два типа: 1) колхидский-волокнистый (*Linum isitatisimum* L) и 2) масличный (*Linum humile* Mill.).

Одним из очагов происхождения культурного льна признано Закавказье, в частности, Колхида.

Колхидский — волокнистый лен одновременно является и масличным, а масличный лен — новым этапом культуры. По биоморфологическим признакам масличный лен представляет собой разновидность колхидского льна, выработанную в условиях горного климата (Е. Синская, А. Горгидзе).

В статье установлен ареал распространения видов льна — в низменной части Западной Грузии (Гурия, Аджара, Имерети, Самегрело) распространен волокнистый лен, а в нагорных и горных регионах Южной и Восточной Грузии (Самцхе-Джавахети, Тушети, Пшави, Хевсурети) — масличный лен.

В хозяйственном быту грузин лен является основным источником изготовления полотна и масла. Леняное производство в XIX в. приобретает широкую известность и становится предметом товарного оборота.

На картах (№ 9,10) показана интенсивность распространения льна по двум хронологическим периодам (XIX в. и I пол. XX в.).

**6. Способы уборки, сушки, хранения хлебов, кукурузы и сена.** В Грузии хлеба обычно убирала серпом или косили. Горсти сжатого хлеба («хелеури» рученки) связывали в снопы, для просушки и временного хранения складывали различными способами: самой распространенной была горизонтальная укладка снопов — конусообразная, крестообразная, четырехугольная, продолговатая.

Вертикальную укладку применяли лишь при первичной сушке — такой способ укладки обеспечивал наиболее быструю просушку благодаря свободному доступу воздуха к каждому снопу.

В урожайных регионах Грузии (Квемо Картли, Джавахети) хлеба обычно косили. Скошенный хлеб оставляли лежать в рядах, потом сгребали в копны, а после просушки складывали в стога. Стога





бывали конусообразной и продолговатой формы в зависимости от количества урожая.

Кукурузу срезали серпом. Солому связывали в связки. Во влажных районах Западной Грузии, с целью хорошей просушки урожая, связки накладывали на деревья, с оголенными сучьями.

Сено косили обычно в июне и июле (в горных районах), на некоторое время оставляли лежать в рядах, иногда переворачивали, потом сгребали в копны и после просушки складывали в стога. Были распространены конусообразные стога, в некоторых низменных районах встречались стога продолговатой формы.

В горных районах Грузии было распространено складывание сена в небольшие связанные кучки («сатары») для удобной перевозки.

В каждом районе Грузии существовали две-три формы укладки снопов и сена, что было обусловлено в основном особенностями географических и климатических условий Грузии.

На картах (№№ 11, 12) показано распространение вышеуказанных типов по II половине XIX века.

**7. Орудия для веяния зерновых культур.** Орудия для веяния зерновых культур делятся на три вида: 1) веялка («ничаби», «хелварцли», «саниао», «саприела»); 2) решета («цхави», «цхрили»); 3) корытообразные («табаки», «хелварцли», «сасапкве», «ричи», «гоби»).

Веялка — «ничаби» — лопата, распространена повсеместно. В некоторых селах Картли употреблялась лопата, конструкция которой позволяет легко сортировать зерно.

Хелварцли локализуется лишь в Хевсурети. Саприела бытовала в Ткибули (Западная Грузия).

На следующем этапе веяния употреблялись решета двух видов: 1) сплетенное из прутьев (ареалом распространения которой являются большая часть Восточной и некоторые районы Западной Грузии), 2) сплетенное из кожаных ремней (Месхет-Джавახети, Квемо Картли, Кизики, Шида Картли).

Для дальнейшей очистки зерна употребляли корытообразные — «табаки», распространенные в Восточной, и «гоби» — в Западной Грузии. «Ричи» известно в Тушети и Кварельском районе.


Изучение вышеназванных орудий труда для веяния дает возможность считать их издревле распространенными и широко бытующими в хозяйственной деятельности грузинского народа (см. карты №№ 13—15).

**8. Крупорушки.** В Грузии установлено бытование трех видов молотил — сацхвели: ручного, ножного и водяного. Существуют три разновидности ручного молотила: круглая терка с уплощенным рабочим краем, прямой пестик и изогнутое молотило.

Ножное молотило устроено по принципу качелей, на один конец которых нажимают ногой, к другому же концу приделан пест; разновидностью ножного молотила является длинное деревянное денги//динги. Существуют два вида водяных молотил: с коромыслом (и единственным пестом) и с вертикальным колесом (с несколькими пестами). Конструктивной разновидностью первого вида является водяное молотило (динги), распространенное в Самцхе-Джавახети.

Эти рушилки являются традиционными орудиями, которые формировались в процессе производства на основании вековых эмпирических наблюдений и которые выявляют присущие им внутренние функционально обусловленные закономерности. Материал, из которых они изготавливаются, их типология и масштабы распространенности определяются свойствами применяемых сортов зерновых культур и





способами их употребления, а также географической средой и природными условиями.

